

გიორგი თავამაიშვილი

თამბაქო და გვიანი შუა საუკუნეების  
ოსმალური თიხის ჩიბუხები



*ბ. ნიჭი. კონსტანტინოპოლ. 1907 წ.*

ეძღვნება იას

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს  
არქეოლოგიური ძეგლები

-XXIII-

გიორგი თავამაიშვილი

თამბაქო და გვიანი შუა საუკუნეების  
ოსმალური თიხის ჩიბუხები

ბათუმი  
2020

ნაშრომი ეძღვნება გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის კერამიკულ ნაკეთობებს — თამბაქოს მოსაწევ თიხის ჩიბუხებს, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების, განსაკუთრებით, სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების — ციხესიმაგრეების გათხრების დროს.

ქართულენოვან სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში დღემდე ნაკლებად მოგვეპოვება შრომები თამბაქოს ისტორიის შესახებ. ამიტომ, ავტორმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ თიხის ჩიბუხებთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენასთან ერთად, ვრცლად ესაუბრა თამბაქოს კულტურის ისტორიის, კერძოდ: აღმოჩენის, გავრცელების, გამოყენების, მოხმარების ნესის და ამ პროცესების თანმხლები საინტერესო ისტორიული მოვლენების შესახებ.

ნაშრომში მიმოხილულია თამბაქოს ტრადიციული მოსაწევი საშუალებები, უფრო დეტალურად — თიხის ჩიბუხები, მათი ევროპული და აღმოსავლური ვარიანტები, ამ უკანასკნელთა ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის საკითხები. ფოტოილუსტრაციებისა და კატალოგის ფორმით მკითხველს მიეწოდება საინტერესო მასალა გონიო-აფსაროსის შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლური (ოსმალური) ჩიბუხების შესახებ, სადაც აქცენტირებულია მათ ფორმებთან, ორნამენტაციასა და დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხები. ნაშრომს თანდართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად დაეხმარება აღნიშნული თემით დაინტერესებულ მკვლევრებს.

**რედაქტორი:** ისტორიის აკადემიური დოქტორი ნინო ინაიშვილი

**რეცენზენტები:** ისტორიის აკადემიური დოქტორი მერაბ ხალვაში  
ისტორიის აკადემიური დოქტორი ზაზა შაშიკაძე  
ისტორიის აკადემიური დოქტორი რუსლან ბარამიძე

© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 2020

© გიორგი თავაძაიშვილი — 2020

ISBN 978.9941.488.11.5

გარეკანზე: 1. თურქული ყავახანა, კონსტანტინეპოლი. დევიდ ვილკეს მიხედვით. Sir David Wilkie's Sketches in Turkey, Syria & Egypt, 1840 & 1841, London 1843 (pl.VIII). Drawn on Stone by Joseph Nash. <https://www.royalacademy.org.uk/art-artists/a-turkish-coffee-house-constantinople>; 2. ინდიელი. [https://www.freecart.com/artwork/art-print/hello\\_fa34551888.html](https://www.freecart.com/artwork/art-print/hello_fa34551888.html)

## წინათქმა

თქვენ წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის შექმნის იდეა ჩვენი ქვეყნის გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების, უფრო კონკრეტულად, მათი აღმოსავლური (ე.წ. „ოსმალური“) ვარიანტების წარმოჩენის სურვილით იყო განპირობებული.

ოსმალური ჩიბუხები მიკვლეულია როგორც დღევანდელი თურქეთის, ასევე, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების ტერიტორიაზე. ამ ნაკეთობათა ასობით ნიმუში ნაპოვნია საქართველოშიც, მეტწილად, სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების – ციხესიმაგრეების გათხრების დროს, სადაც კონკრეტულ პერიოდში ოსმალური ელემენტი იყო წარმოდგენილი, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, რეგლამენტირებული (სამხედრო სამსახური), მაგრამ ცხოვრების ტრადიციული წესის ნიშნებით.

ჩიბუხებზე მუშაობის პროცესში მოვიძიეთ და გავეცანით თამბაქოს ისტორიასთან დაკავშირებულ საინტერესო ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას, რომლის მეტ-ნაკლები სისრულით წარმოჩენა სასურველად და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ. შესაბამისად, გავაფართოეთ განსახილველ საკითხთა წრე, შევეცადეთ მკითხველისთვის უფრო პოპულარული ფორმით მიგვეწოდებინა ძველი და ახალი მასალა თამბაქოს აღმოჩენის, გავრცელებისა და მოხმარების ფორმების შესახებ. საკვლევი თემის შინაარსიდან გამომდინარე, ნაშრომში გამორჩეული ადგილი დავუთმეთ ჩიბუხებს: მიმოვიხილეთ გვიანი შუა საუკუნეების თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების აღმოსავლური და ევროპული ვარიანტები, უფრო დაწვრილებით კი შევჩერდით საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნიმუშებზე. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ასეთი ფორმატის ნაშრომი საინტერესო იქნებოდა როგორც არქეოლოგებისთვის, ისე ისტორიული თემატიკით დაინტერესებული მკითხველისთვისაც. მით უმეტეს, რომ ქართულენოვან სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში დღემდე ნაკლებად მოგვეპოვება შრომები თამბაქოს ისტორიის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ თამბაქოს მიმართ ინტერესი

მნიშვნელოვნად ცდება მისი, როგორც მცენარისადმი, ინტერესის საზღვრებს, ალბათ, არც ჩვენ გაგვემტყუნება, თუ წარმოდგენილ ნაშრომში არსებული ხარვეზის ნაწილობრივ შევსებაც დავისახეთ ერთ-ერთ მიზნად.

„თამბაქოს ისტორია — ეს არის ისტორია ცდუნების, სიამოვნების და ფულის — ერთი მხრივ, და კონფლიქტების, ძალადობის და აკრძალვების — მეორე მხრივ“ (Gately, 2001:217). ვფიქრობთ, რომ თამბაქოს ისტორიის მკვლევრის, აიან გეიტლის ეს სიტყვები სრულად ასახავს თამბაქოს ისტორიის საინტერესო ხუთსაუკუნოვან გზას. თამბაქოს ეწეოდნენ, ყნოსავდნენ, ღეჭავდნენ, მის ნაყენს სვამდნენ, წვენით და კვამლით მკურნალობდნენ კიდევ (Heimann, 1960:30). მაგიური რიტუალის დროს თამბაქოს ღმერთებს უძღვნიდნენ, მის ფურცლებს მეომრებს ბრძოლის წინ გასამხნეველად მხრებზე აყრიდნენ, ქალიშვილებს ქორწილის ღამეს სარეცელზე უწყობდნენ (Chatto, 2013:5), საგაზაფხულო თესვის წინ მავნე მწერებთან „საბრძოლველად“ ყანებშიც კი აბნევდნენ და ა.შ. (Kell, 1965:101-102).

დღეს დავის საგანი აღარ არის, რომ თამბაქო ამერიკის კონტინენტის აბორიგენი მოსახლეობის — ინდიელების მიერ აღმოჩენილი პროდუქტია. ისტორიულ წყაროებში პირველი მოხსენიებიდან თითქმის ხუთი საუკუნის მანძილზე, თამბაქო ყველაზე „მოხმარებად“ მცენარეს წარმოადგენს. ინტერესი ამ კულტურისადმი ყოველთვის გამორჩეული იყო, რადგან არც ერთი სხვა მცენარე ისე სწრაფად და გულმმხურვალედ არ მიუღიათ, როგორც თამბაქო. თამბაქოსგან განსხვავებით, ახალი სამყაროდან ჩამოტანილმა სხვა პროდუქტებმა თავიდანვე ვერ მოიპოვეს საყოველთაო აღიარება. კარტოფილს სამი საუკუნე დასჭირდა, რომ ფეხი მოეკიდა ევროპაში. იგივე შეიძლება ითქვას პომიდვრის შესახებ, რომელიც ესპანელმა მეზღვაურებმა XVI საუკუნეში შემოიტანეს სამხრეთ ამერიკიდან, მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნეში დამკვიდრდა ევროპელთა კვების რაციონში (Janick, 2007).

დიდი ხნის მანძილზე თამბაქო წარმოადგენდა ადრეული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მაგიური რიტუალის აუცილებელ ატრიბუტს, ასევე, ითვლებოდა ყველა ავადმყოფობის უებარ სამკურნალო საშუალებად. დროთა განმავლობაში, თამბაქო ადამიანთა ყოფა-

ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა. მაგრამ, მიუხედავად ასეთი „თვალსაჩინო გამარჯვებებისა“, ცნობილი ეთნოგრაფის უილიამ პენის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „ადამიანი, ვინც პირველად ხამანკები მიირთვა — ყველასთვის ცნობილია, ვინც პირველმა ღორის მწვადი დააგემოვნა — ისიც ისტორიაში შევიდა, მაგრამ თამბაქოს პირველი მწველების ვინაობა დღემდე უცნობია. მათ შესახებ არც პოეტებს შეუთხზავთ ლექსები და არც მხატვრებს აღუბეჭდავთ ისინი ტილოზე, არც ისტორიკოსები დაინტერესებულად თამბაქოს მიერ „დაპყრობილი“ ტერიტორიების აღნუსხვით. მიუხედავად ამისა, არ არსებობს უფრო პოპულარული და უნივერსალური პრაქტიკა მსოფლიოში, ვიდრე თამბაქოს კვამლის შესუნთქვაა“ (Penn, 1902:1).

უილიამ პენის გაცხადებული „გულისტკივილი“ ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება, მაგრამ საზოგადოების მიერ თამბაქოს „დაუფასებლობის“ საფუძველი შესაძლოა იმაშიც მდგომარეობს, რომ დამოკიდებულება თამბაქოს მიმართ ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო: ადრეულ პერიოდში — გადაჭარბებულად დადებითი (Heimann, 1960:21), მოგვიანოდ, ადამიანის ორგანიზმზე მისი მავნე ზემოქმედების დადგენის შემდეგ — მკვეთრად უარყოფითი.<sup>1</sup>

ძველი დასტაქრები და კულტმსახურები თვლიდნენ, რომ თამბაქოს პრაქტიკულად ყველა ავადმყოფობის განკურნვა შეეძლო, მეზღვაურები და ჯარისკაცები თამბაქოს მონევით დროსაც „კლავდნენ“ და შიმშილსაც „ივიწყებდნენ“, ელიტარული საზოგადოების წევრები, თამბაქოს კომფორტულ გარემოში მონევის მიზნით, სახლებისა და სალონების ინტერიერსაც ცვლიდნენ თუ აახლებდნენ, ამ საქმისთვის „მისადაგებულ“ ტანსაცმელსაც კი „ქმნიდნენ“.

თუ ორიოდ სიტყვას თამბაქოს მონინაალმდეგეებზეც ვიტყვით, უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ქრისტიანული, ასევე, მუსლიმანური რელიგიური წრეები თამბაქოს მწვევლებს და მყნოსველებს არა მარტო კიცხავდნენ, არამედ ყველა არსებული საშუალებებით ებრძოდნენ

---

<sup>1</sup> ინგლისელი ფილოსოფოსი და ბიოლოგი ჰერბერტ სპენსერი წერდა: „ხშირად რაიმე ბოროტებას ყველა უბედურება მიენერება. ასე, მაგალითად, თამბაქოს მონევას თვლიან დაავადებათა და სიგიჟის მიზეზადაც კი“ (<http://socium.ge>).

კიდევ. დიდი თუ პატარა ქვეყნების მმართველები თამბაქოს მწვევლთა თავშეყრის მცდელობას ხშირად მოსალოდნელი ბუნტის მზადების წინაპირობად აღიქვამდნენ, ხოლო ქალაქების პატარა ჩინოვნიკების თამბაქოსადმი ნეგატიური დამოკიდებულება მეტწილად განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ თამბაქო მათთვის ხანძრის პოტენციურ კერასთან იყო ასოცირებული (Gruia, 2013:7).

თამბაქოს ავკარგიანობის შესახებ დებატები საუკუნეებს ითვლის (Zentgraf, 2018:10). მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი მაინც დღესაც თამბაქოს აქტიური მომხმარებელია.

„არცერთ მცენარეს არ მოუხდენია ისეთი მნიშვნელოვანი გავლენა კაცობრიობის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, როგორც თამბაქოს“ — ასეთია გერმანელი ქიმიკოსის გეორგ შტალის აზრი თამბაქოს შესახებ (Липс, 1954).<sup>2</sup> ინგლისელი სოციოლოგი ლორდი რეგლანი აღნიშნავდა, რომ „არ არსებობს კულტურული ელემენტი, რომელიც საერთო იყოს ყველა ტერიტორიისათვის შავი აფრიკის ჩათვლით. გამონაკლისია მხოლოდ თამბაქო“ (Heimann, 1960:34).

თამბაქო, რომელიც გარკვეული ხნის მანძილზე მხოლოდ ამერიკის კონტინენტისათვის იყო ცნობილი, მოგვიანებით, მსოფლიოში ვაჭრობის ყველაზე მსხვილ საგნად იქცა. უნდა ვაღიაროთ, რომ თამბაქომ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არა მარტო სახელმწიფოთა შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე, არამედ ზოგადად პოლიტიკაზე, და რაც ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია — სამედიცინო აზრის განვითარებაზე (Charlton, 2004:292-296).

თუ ეთნოგრაფიულ მასალას მოვიხმობთ, დავრწმუნდებით, რომ თითქმის ყველა არსებული თუ გამქრალი კულტურა გარკვეული ფორმით მოიხმარდა თამბაქოს. თამბაქოს ისტორიის მკვლევრები, შესაძლოა, უფრო ხუმრობით, მაგრამ ხშირად და ხაზგასმით აღნიშნავენ,

<sup>2</sup> გეორგ ერნესტ შტალი (1659–1734). გერმანელი ექიმი, ფიზიოლოგი და ქიმიკოსი. მან ჩამოაყალიბა ფლოგისტონის თეორია: პირველი მეცნიერული თეორია ქიმიკაში, რომელმაც ქიმიკა საბოლოოდ „ჩამოაშორა“ ალქიმიას. გეორგ შტალი მიჩნეულია ანიმიზმის ფუძემდებლადაც ([http://en.wikipedia.org//Georg\\_Ernst\\_Stal](http://en.wikipedia.org//Georg_Ernst_Stal)).

რომ ზოგიერთი ცივილიზაციისგან დღევანდელ დღემდე შემოგვრჩა მხოლოდ თამბაქოს მოსაწევი საშუალებები (Гейтли, 2005).

თამბაქოს პოპულარობა იმითაც იყო განპირობებული, რომ თამბაქოს მონევა, ყოველდღიური ჭამა-სმისგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა ადამიანებისათვის „სასიცოცხლო აუცილებლობას“, ის უფრო სიამოვნების მიღების საშუალება იყო. ანგარიშგასაწევი ისიც, რომ ჰაშიშის, ოპიუმის და სხვა ნარკოტიკებისგან განსხვავებით, თამბაქო ნაკლებად მოქმედებდა ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ, მამაკაცებთან ერთად თამბაქოს მწვევლები გახდნენ ქალები და ბავშვები. მას ინტენსიურად მოიხმარდნენ მდიდრები, საშუალო შეძლების და ღარიბი ხალხი.<sup>3</sup> თუმცა, თამბაქოს ხარისხი და მოსაწევი საშუალებების ვიზუალური მხარე, მკაფიოდ მიუთითებდა თამბაქოს მომხმარებლის სოციალურ სტატუსზე (Shechter, 2006:18).

ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა თამბაქოს ეწეოდა ჩიბუხის საშუალებით. ამის კვალობაზე შეიქმნა მითები ჩიბუხზე, მის სოციალურ და რიტუალურ ფუნქციაზე. მოგვიანებით, ჩიბუხის მონევა მამაკაცთა „პრივილეგიად“ ჩაითვალა. ჩიბუხი გახდა თავდაჯერებულობისა და მაღალი სოციალური სტატუსის სიმბოლო. ის ასოცირდებოდა პიროვნებებთან, რომელთაც უყვართ კომფორტი და ვერ ეგუებიან ზედმეტ ფაციფუსს (Thomson, 2012:16).

მკვლევართა საერთო აზრით, შუა საუკუნეების თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხები უდავოდ საინტერესო მასალას წარმოადგენს კონკრეტული ეპოქისა და რეგიონის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების რეკონსტრუქციისთვის. ამ კონტექსტში, ავსტრალიელი არქეოლოგები — დენის გოუაკი და იან სტიუარტი ფრიად ორიგინალურად წარმოაჩინენ სავარაუდო არტიფაქტების სასურველ მახასიათებლებს საზოგადოების ისტორიული წარსულის კვლევის პროცესში:

<sup>3</sup> თამბაქოს გავრცელების ადრეულ ეტაპზე დამკვიდრდა აზრი, რომ თამბაქოს მონევა ანელებს შიმშილის გრძნობას და საშუალებას აძლევს ადამიანს შეასრულოს მძიმე სამუშაო (Heimann, 1960:24). მოგვიანებით, ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული, თუმცა შიმშილის დაძლევის იდეა ფრიად აქტუალური იყო ადრეული ეპოქის ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში (Zajac, Zimmermann, 2011:11).

„თუ არქეოლოგებს წარსულის აღდგენისათვის დასჭიდათ კონკრეტული არტეფაქტის შერჩევა, ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს:

- უნდა იყოს იაფი და გამოყენებადი ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- არა უშავს, თუ იქნება ადვილად მტვრევადი;
- უნდა იყოს გამძლე გარე ნალექების ზემოქმედებისგან;
- მასზე უნდა იყოს დატანილი დამამზადებლის ნიშანი ან სხვა რამ, რაც გააადვილებს დამზადების ადგილის ამოცნობას;
- უნდა ასახავდეს ფორმათა ცვლილებას დროში;
- სტილისტური თვალსაზრისით, უნდა იძლეოდეს მომხმარებლის სტატუსის, ეთნიკური და პოლიტიკური კუთვნილების განსაზღვრის შესაძლებლობას;
- უნდა იყოს ასახული კონკრეტული ეპოქის მხატვრობაში, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს მათი პრაქტიკული გამოყენების სოციალური კონტექსტის გარკვევას;

არის კი ასეთი არტეფაქტი? რასაკვირველია, არის. თამბაქოს ჩიბუხების სრულად აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს“ (Gojak, Stuart, 1999:38).

ავსტრალიელი მკვლევრების ანალოგიურად, ინგლისელი არქეოლოგი დევიდ ჰიგინსიც განმარტავს, თუ რატომ მიიპყრო თიხის ჩიბუხებმა არქეოლოგთა გამორჩეული ყურადღება:

- უპირველეს ყოვლისა, ისინი მასობრივი წარმოების ნაკეთობებია, თან შედარებით მყიფე სტრუქტურის და ამიტომ საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება შუა საუკუნეების ძეგლების გათხრების დროს;
- ისინი კონკრეტული ეპოქის მოდის „დიქტატის“ ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და თუ გავითვალისწინებთ მათი „ცხოვრების“ შედარებით ხანმოკლე პერიოდს, კარგი დამათარილებლები არიან კომპლექსებისა, სადაც იყვნენ განთავსებულნი;
- ჩიბუხებზე დატანილი დამლები, რომლებიც განსხვავდებიან სტილით და ხარისხით, შეიძლება გამოყენებული იყოს ჩიბუხის მფლობელის სოციალური სტატუსისა და დამზადების ადგილის დასადგენადაც (Higgins, 1995:48)

„ახალი სამყაროდან“ თამბაქოს ექსპორტის შემდეგ, ევროპაში XIX საუკუნემდე, ხოლო ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნის ჩათვლით, ჩიბუხებით მოწევა თამბაქოს მოხმარების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა. ჩიბუხების აბსოლუტური უმრავლესობა დამზადებული იყო თიხისგან, ამდენად, ხშირი იყო მათი დაზიანების შემთხვევები. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ „პროფესიონალ“ მწეველებს ათეულობით (ზოგ შემთხვევაში კი — ასეულობით) ჩიბუხი ჰქონდათ მომარაგებული. წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ თიხის ჩიბუხი, აქტიური მოხმარების პირობებში, სხვადასხვა მიზეზის გამო, დაუზიანებლად ერთ თვეზე მეტ ხანს ვერ ძლებდა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გვიანი შუა საუკუნეების ეპოქით დათარიღებული არქეოლოგიური ობიექტების გათხრების დროს აღნიშნულ კერამიკულ ნაკეთობათა ათასობით ნიმუში (რასაკვირველია, მეტნაკლებად დაზიანებული) არის აღმოჩენილი.

„ძველ სამყაროში“ (როგორც ევროპაში, ისე აზია-აფრიკაში) გვიან შუა საუკუნეებში თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების ორი ძირითადი ტიპი იყო გავრცელებული: აღმოსავლური (ე.წ. „ოსმალური“) და ევროპული. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილავთ ევროპულ ნაკეთობებსაც, თუმცა გაცილებით ვრცლად და დეტალურად ვისაუბრებთ აღმოსავლური (ოსმალური) ტიპის ჩიბუხების შესახებ.

აღმოსავლური ტიპის ჩიბუხები, მათი გავრცელების არეალის, ორიგინალური ფორმებისა და შემკულობის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. უნდა ვალიაოთ, რომ ევროპული ტიპის ჩიბუხები გაცილებით ადრე მოექცა ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ხელოვნებათმცოდნეთა თუ უბრალოდ მოყვარულთა ინტერესის არეალში და კვლევა ამ მიმართულებით დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს (McMillan, 2010:17-24). ამის დასტურია ევროპელ მეცნიერთა ნაშრომები, ჩიბუხის მოყვარულთა ასოციაციების თემატური სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და გამოფენების მასალები.

აღმოსავლური ტიპის ჩიბუხები დიდი რაოდენობით ჩნდებოდა ევროპისა თუ ახლო აღმოსავლეთის ძეგლების გათხრების დროს. სამწუხაროდ, არქეოლოგები, რომლებიც შედარებით ადრეული ეპოქების კულტურული ფენების შესწავლით იყვნენ დაკავებულნი, ხშირ შემთ-

ხვევაში, აღნიშნული მასალის შემცველ ფენებს თანამედროვე დონეებზე მიიჩნევენ და ჰუმუსოვან ფენასთან ერთად, ფაქტობრივად, შეუმომბლად ხსნიდნენ (Robinson, 1985:157). აქედან გამომდინარე, ოსმალურ ჩიბუხებს, როგორც აღნიშნული ფენების შემადგენელ არტეფაქტებს, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მათ (სხვა ნივთებთან ერთად), როგორც სუვენირებს, მცირე ფასად ან სულაც საჩუქრად სთავაზობდნენ სიძველეების მოყვარულ უცხოელ ტურისტებს თუ უბრალო მნახველებს (Silberman, 1989:469).

ჩვენი სურვილია, მკითხველს მივანოდოთ, შესაძლოა, მცირე მოცულობის, მაგრამ ახალი და საინტერესო მასალა თამბაქოს კულტურის გავრცელების ისტორიის შესახებ. ნაშრომში ვრცლად მიმოვიხილავთ ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს გავრცელებისა და მოხმარების ამსახველ საინტერესო დოკუმენტურ მასალას, რაც დაგვეხმარება საქართველოს ტერიტორიაზე თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების გამოჩენისა და გავრცელების დროისა და მასშტაბის სწორად გააზრებისთვის. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ პრობლემას, რადგან დღესაც კი ქართველ არქეოლოგთა შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ჩვენს ქვეყანაში თამბაქოს და თამბაქოს მოსაწევი ჩიბუხების გავრცელების სანყის პერიოდთან დაკავშირებით, რაც აისახება კიდევ გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებზე მიკვლეული კონკრეტული არქეოლოგიური არტეფაქტების დათარიღების დროს.

წარმოდგენილ ნაშრომში გამორჩეული ადგილი დაეთმოა გონიო-აფსაროსის შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ოსმალურ თიხის ჩიბუხებს, მათ ფორმებს, შემკულობას და დათარიღების საკითხებს. გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ეტაპზე, ჩვენთვის საინტერესო არტეფაქტების მხოლოდ ნაწილის შესწავლა მოვახერხეთ. საკვლევი მასალა გონიოშიც საკმაოდ დარჩა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის სხვა ძეგლებზეც. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი გათხრებიც ბევრ საყურადღებო ნიმუშს გამოამზეურებს. იმედს ვიტოვებთ, რომ ახალგაზრდა მკვლევრებს, ჩვენი მოკრძალებული შრომის შემდეგ, აღეძვრებათ სურვილი უფრო დეტალურად შეისწავლონ გვიანი შუა საუკუნეების ეს ორიგინალური ნაკეთობები და ახლებურად გაიაზრონ მათი კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიის საკითხები.

ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხებით ე.წ. „სიგარეტების ეპოქას“, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი განსხვავებულ ჭრილში განხილვას საჭიროებს, უფრო მოგვიანო პერიოდის მოვლენებს უკავშირდება და სხვა პროფილის მკვლევრების (ნაკლებად არქეოლოგების) შესწავლის საგანს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამეცნიერო ინტერესი უფრო ადრეული ეპოქის მატერიალური ძეგლების კვლევით იყო განსაზღვრული, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ექსპედიციის ფორმატი, კონკრეტულ უბანზე, სხვადასხვა ეპოქის ძეგლების შესწავლის პროცესში არქეოლოგთა ერთობლივ მონაწილეობასაც ითვალისწინებდა. ასე დაიგეგმა სამუშაოები პეტრა-ციხისძირის შიდაციხეზე, სადაც პირველად გავეცანით ოსმალურ ჩიბუხებს. მოგვიანებით, ამ ნაკეთობებს მივაკვლიეთ გონიო-აფსაროსის შიდაციხის გათხრების დროს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ დავით ხახუტაიშვილის თხოვნით, ჩიბუხების „პატრონობა“ ჩვენ დაგვევალა. ვწუხვართ, რომ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, კვლევის შედეგების ნაშრომის (თუნდაც, ასეთი ფორმატის) სახით წარმოდგენას მხოლოდ ბატონი დავითის გარდაცვალების შემდეგ ვახერხებთ.

ოსმალური ჩიბუხების შესახებ მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომები პერიოდულად ქვეყნდებოდა სავლეთ არქეოლოგიური გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილ ანგარიშებში, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურ კრებულში: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“. ჩემთვის დიდი პატივია, რომ წარმოდგენილი ნაშრომიც ამ კრებულის სერიით იბეჭდება.

დაბოლოს, მადლობა მინდა მოვახსენო გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებს — ფონდებში დაცული მასალის გაცნობის დროს აღმოჩენილი დახმარებისათვის, პროფესორებს: ქალბატონ თამარ სირაძეს და ბატონ ზაზა შაშიკაძეს — უცხოენოვან წყაროებზე მუშაობის დროს განეული კონსულტაციისთვის, ბატონ გივი ნახუტარიშვილს — ნაშრომში გამოყენებული ფოტომასალის დამუშავების და წიგნის საბეჭდი ვერსიის მომზადებისთვის.

## §1. თამბაქომდელი ეპოქა

კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც ადამიანები ბუნებრივი მოვლენების გამომწვევ მიზეზებს ვერ ხსნიდნენ, ყოველივეს ზებუნებრივი ძალების გამოვლინებად მიიჩნევდნენ. ძველი საზოგადოების სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო რწმენა, რომ გარე სამყაროს ყველა მოვლენას და საგანს საკუთარი სული აქვს, ხოლო ადამიანის გვერდით არსებობს ორეული (აჩრდილი), რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს: დროდადრო შორდება სხეულს და შემდეგ კვლავ უბრუნდება მას (Hartz, 2009:17).<sup>1</sup>

აუხსნელ ბუნებრივ მოვლენებზე პასუხის ძიებაში თუ მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, პირველყოფილი საზოგადოების წევრებს ჩამოუყალიბდათ რწმენა სულების კეთილგანწყობის მოპოვების მიზანშეწონილობის შესახებ. როგორც ჩანს, თავიდან ყველაზე ეფექტურ საშუალებად ძღვენის მირთმევის გზა მოიძებნა. სულების საამებლად სამსხვერპლოებზე მიჰქონდათ სხვადასხვა შესანიშნავები, რომლებსაც ცეცხლზე წვავდნენ იმ იმედით, რომ პროცესის თანმხლები კვამლი ზეცაში (დიდი სულების სამყოფელში) ავიდოდა. რადგან სული ანიმიზმის ეპოქაში თავისი ჰაეროვანი ბუნების გამო აღიქმებოდა კვამლის/ორთქლის მსგავსად, სავარაუდოდ, ადრეულ საზოგადოებებში სულებისთვის ასეთი ფორმით მირთმეული ძღვენი ყველაზე გამართლებულად ითვლებოდა (Элиаде, 1991:17).<sup>2</sup>

<sup>1</sup> მდინარე ფრეიზერის (ბრიტანული კოლუმბიის პროვინცია, კანადა) ქვემო დინების ინდიელთა აზრით, ადამიანს ოთხი სული აქვს: ერთი წააგავს ადამიანს, ხოლო დანარჩენი მისი აჩრდილება (ფანჯიკიძე, 1986:31).

<sup>2</sup> მკვლევრები პარალელს ავლებენ მსხვერპლშენიშვნის დროს წარმოქმნილ კვამლსა და სიცოცხლის ხეს შორის. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთ-ერთ მოდიფიკაციას სამყაროს ღერძისა, აკავშირებს ერთმანეთს მითოლოგიური სამყაროს სამ ზონას (ქვესკნელი, შუასკნელი, ზესკნელი) (Папиани, 2001:204). ბერძნულ მითოლოგიაშიც სულის სიმბოლური გამოხატულება კვამლია — ის იქმნება მისტერიების ცეცხლიდან. კვამლი განასახიერებს სულის აღორძინებას, რადგან ევოლუცია ეს არის პროცესი სულის ამაღლებისა. სკანდინავიური მითების მიხედვით, რაც უფრო მაღლა ადის კვამლი საალაპო კოცონიდან, მით უფრო მაღლა იქნება ზეცაში ის, ვის სახელზეც დაინთო ცეცხლი. ინდოელთა ტრადიცია მიცვალებულთა კოცონზე დანვისა, გარდაცვლილის სულის აღორძინების

მოგვიანებით, აღნიშნულ ფორმაზე უფრო ეფექტურად ღმერთებთან დიალოგი იქნა მიჩნეული. სპეციალურად შერჩეულ მცენარეთა ნვის შედეგად გამოყოფილი კვამლისა და სპეციფიკური სურნელების საშუალებით, ადამიანმა გამონახა ორიგინალური გზა ზებუნებრივ ძალებთან „უშუალო ურთიერთობისათვის“ (Thomson, 2012:25).<sup>3</sup>

საიდუმლო კავშირი ადამიანებსა და ღმერთებს შორის მყარდებოდა რიტუალური აქტის დროს. კულტმსახურები ცდილობდნენ მისულიყვნენ იმ მდგომარეობამდე, როცა დაბინდულ გონებაში ჩნდებოდა მოჩვენებები, ჰალუცინაციები, რაც სხვა სამყაროში გადასვლის ილუზიას ქმნიდა.<sup>4</sup> სავარაუდოდ, ღმერთებთან კონტაქტის ძიების ადრეულ ეტაპზე გამოიკვეთა ტოქსიკოლოგიის პირველი ნიშნები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰალუცინოგენური საშუალებების პირველი მომხმარებლები კულტმსახურები უნდა ყოფილიყვნენ. შამანები, ექსტატური და ემპირიული გამოცდილების კვალობაზე, პერიოდულად აყალიბებდნენ ჰალუცინოგენების ეფექტურობის მაჩვენებლებს (Донкин де Риос, 1997). მკვლევართა აზრით, ასე უნდა ჩასახულიყო ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების პრაქტიკაც.

რელიგიის ისტორიკოსი და მითოლოგიის მკვლევარი მირჩა ელიადე თვლის, რომ „ნარკოტიკულ შამანიზმს“ განსაკუთრებით დიდი გასაქანი ჰქონდა შამანიზმის ადრეულ ეტაპზე, ხოლო მოგვიანებით ის

სურვილით აიხსნება. შუა საუკუნეების ეპოქაში დამნაშავის კოცონზე დაწვის არსი სულის განწმენდაში მდგომარეობდა (Григулевич, 1976:448). იუდეველთა ტრადიციული სამართლის მიხედვით, დანაშაულისთვის, რასაც სასიკვდილო განაჩენი ესადაგებოდა, დამნაშავე უცილობლად ისჯებოდა სიკვდილით, ხოლო სხვა ცოდვები შეიძლება ჩამორეცხილიყო უცოდველ ცხოველთა სისხლით, ან მსხვერპლშენირვის დროს დანთებული ცეცხლის კვამლით, რომელსაც ღვთაება შეისუნთქავდა, როგორც „სასიამოვნო სურნელს“ (Breanainn, 2007).

<sup>3</sup> სხვადასხვა ხალხებში კვამლი აღიქმებოდა მედიატორად მიწასა და ზეცას, ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროს შორის (Burns, 2007:10; Тайлор, 1989:469).

<sup>4</sup> ევოლუციონისტის ჯეიმს ფრეზერის აზრით, ადამიანი ღმერთის ცნებამდე ტრანსის მდგომარეობაში, ან კიდევ ბუნებრივი მოვლენების კავშირის ძიების დროს უნდა მისულიყო. მირჩა ელიადე შამანებს „ტრანსის სპეციალისტებს“ უწოდებს, რადგან შამანიზმს განიხილავს მისტიკურ ფენომენად, რომელიც სხვადასხვა რელიგიაში მოცემულია ექსტატური კულტურის სახით (Элиаде, 1998).

შეიცვალა სხვა ე.წ. „ფსიქოტექნიკით“ (Элиаде, 1998:9).<sup>5</sup>

ამერიკელი ანთროპოლოგი კარლოს კასტანედა ასკენის, რომ ჰალუცინოგენური მცენარეების გამოყენების შედეგად, ადამიანისთვის მისანვდომი გახდა გარემომცველი სამყაროს ინტუიტიური შეგრძნება (Киселёва, 2008:106). ევროპელ მკვლევართა აზრითაც, ჰალუცინოგენების გამოყენებით, ადამიანებმა პირველად შეიგრძნეს საკუთარი თავი და შექმნეს პირველი რელიგია (Рейвен, 2008:284).<sup>6</sup>

ისტორიკოსი ალან გეიტლი აღნიშნავს, რომ სანამ თანამედროვე მეცნიერები გაარკვევდნენ და შეისწავლიდნენ "Erythroxylum coca"-ს ბუჩქის თვისებებს და მისი ფოთლებისგან მიღებულ კოკაინს, კოლუმბიის, ბოლივიისა და პერუს ველურები ლეჭავდნენ მის ფურცლებს.<sup>7</sup> ალან გეიტლის სიტყვებს ერთგვარი მატერიალური დასაბუთება ეძებნება უახლესი ეთნობოტანიკური კვლევის შედეგებითაც: პერუში, წელთაღრიცხვის გასაყარით დათარიღებულ მუმიებთან ერთად, აღმოჩნდა კოკას გამომშრალი ფურცლები (Torres, 1996:300).<sup>8</sup>

მარკო პოლოს მოგზაურობიდან ცნობილ ჰაშიშს ამზადებდნენ ინდური კანაფისგან ("Cannabis indica"). 1125 წლის არაბული ტექსტები ნა-

<sup>5</sup> მირჩა ელიადეს განმარტებით, „ნარკოტიკული შამანიზმი“ ერთგვარი დეკადენსია, რადგან, მისივე ხატოვანი გამოთქმით, „ტრანსი ნარკოტიკების საშუალებით – ნახევარტრანსია“ (Элиаде, 1998).

<sup>6</sup> ამერიკელი მეცნიერების — ეთნობოტანიკოს ტერენს მაკენასა და ანთროპოლოგ მარლინ დობკინ დე რიოსის აზრით, ჰალუცინოგენების მოქმედების შედეგად ადამიანებში იზრდებოდა ინფორმაციის გადამუშავებისა და გარემომცველი სამყაროს აღქმის უნარი, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა ტვინის მოცულობის ზრდას“ (Маккена, 1995; Добкин де Риос, 1997).

<sup>7</sup> ინდიელების მიერ კოკაინის მოხმარების ყველაზე ადრეული აღწერა ამერიგო ვესპუჩის ეკუთვნის: „ჩვენ ვნახეთ ველური ადამიანები, რომლებსაც ლოყები დაბერილი ჰქონდათ, რადგან რაღაც მწვანე ბალახს ცხოველივით ლეჭავდნენ. ყველას კისერზე ეკიდა ორი გამომშრალი გოგრა: ერთში ბალახი იყო, მეორეში თეთრი ფქვილის მაგვარი ფხვნილი. ისინი პატარა ჩხირს ჰყოფდნენ ფხვნილით სავსე გოგრაში, შემდეგ ამ ფხვნილს იყრიდნენ პირში და მწვანე ბალახთან ერთად ლეჭავდნენ“ (Гейтли, 2005).

<sup>8</sup> ინგლისელ მკვლევართა დასკვნით, ინკები რიტუალური მსხვერპლშენივითის სპეციალურად შერჩეულ ბავშვებს (როგორც ვაუებს, ისე გოგონებს) კოკაინით „აბრუებდნენ“ ([http://www.wissenschaft.de/journal\\_content/Inka-Ritual](http://www.wissenschaft.de/journal_content/Inka-Ritual)).

თლად მეტყველებს, რომ ჰაშიშის მოხმარება იმ დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. XIII საუკუნის ესპანელი ბოტანიკოსი და ფარმაცევტი იბნ ბაიტარი ეგვიპტის დღიურებში აღწერს "Konnab Indi"-ს, რომელსაც ადგილობრივები „ჰაშიშს“ უწოდებდნენ (Nahas, 1982:818). ჰაშიში მოხსენიებულია ინდურ ეპოსში. ათარვავედასა და რიგვედაში ასზე მეტი ჰიმნია მიძღვნილი კანაფისგან დამზადებული სასმელის — „ინდრაცენასადმი“, რომელმაც შეცვალა ტრადიციული „სომი“ — რიტუალური ჰალუცინოგენური საშუალება (Эдвардс, 2005:18).

„ყაყაჩოს წვენისგან“ დამზადებული ოპიუმი, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ათასწლეულის შუმერულ ტექსტებშია მოხსენიებული, უკვე ძვ.წ. II ათასწლეულიდან გავრცელდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (მასზე საუბრობენ ჰესიოდე, ჰეროდოტე, ჰიპოკრატე), შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში, მოგვიანოდ — ინდოეთსა და ჩინეთში (Shechter, 2006:18; Zentgraf, 2018:6). ევროპელ მოგზაურთა ცნობით, ინდიელი ზუნის ტომელები ტრანსში შედიოდნენ ტოლოაჩის ბუჩქის თესლის ფხვნილისგან (Goodmen, 2005:20). პრერიის ინდიელები ნარკოტიკებს ამზადებდნენ პეიოტლის კაკტუსისგან, ასევე, მოიხმარდნენ ფლორიდულ „შავ სასმელს“ (*Ilex cassine*) და მარიხუანას (*Canabis sativa* L). გვინეის აბორიგენები აღსა გზნებად იყენებდნენ „ნონდას“ სახეობის სოკოს (Добкин де Риос, 1997).

პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის მკვლევრები არ გამოორიცხავენ, რომ კვამლის შესუნთქვის პრაქტიკას სათავე აელო ცეცხლის გამოყენების ადრეული დროიდან. სავარაუდოდ, ცეცხლი და გაბოლილი გამოქვაბული ერთი მხრივ ათბობდა ადამიანს, ამავე დროს, უშედეგო ნადირობის შემთხვევაში, აწყნარებდა, შიმშილის და ბრაზის გრძნობას უნელებდა მას. პირველყოფილ ადამიანთა გარემოცვაში, კულტმსახურები, სასურველი შედეგის მოლოდინში, ცეცხლში უკვეთებდნენ იმ მცენარეებს, რომელთა წვისგან გამოყოფილი კვამლი უფრო ეფექტურად იმოქმედებდა თანატომელთა გონებაზე, ხოლო აგრესიის შემცირება მათ მიერ აღიქმებოდა, როგორც ბოროტი სულების განდევნის რეალური შედეგი (Kell, 1965:99-100).

მცენარეთა წვის დროს გამოყოფილი კვამლის შესუნთქვის ტრადიციის არსებობა დასტურდება უძველესი დროიდან (Spinden, 1950:13-22). ძველ ნერილობით წყაროებში დაცულია ცნობები სხვადასხვა ხალხ-

ისტვის დამახასიათებელი რიტუალის შესახებ, რომელიც სპეციალურად შერჩეული მცენარეების წვა/ხარშვის შედეგად წარმოქმნილი კვამლის/ორთქლის შესუნთქვით სრულდებოდა (Goodman, 2005:1825). ეს ტრადიცია დასტურდება ეგვიპტესა და ბაბილონში, საიდანაც გავრცელდა სხვა ხალხებში. ჰეროდოტეს ცნობით, ბაბილონელები „ბაალა ქალდის“ დღესასწაულზე სამსხვერპლოებთან ათასი ტალანტის არომატულ ნივთიერებებს წვავდნენ (Тайлор, 1989:470).



მაიას ტომის ტაძრის კედლების რელიეფებზე (პალენკა, ჯვრის ტაძარი, ახ.წ. VII ს.) გამოსახული ადამიანები (აღბათ — ქურუმები) მილის ფორმის საგნებით შესუნთქავდნენ სავარაუდოდ მცენარეთა წვისას გამოყოფილ კვამლს (Gilman, Xun, 2007). მსგავსი მილის ფორმის ნივთები გამოსახულია როგორც ძველეგვიპტურ რელიეფებზე, ასევე, მიკვლეულია ძვ.წ. XXI-XVII საუკუნეების ეგვიპტელი დიდგვაროვნების სამარხების გათხრების შედეგად. ძველინდური ცივილიზაციის ქალაქების — მოჰენჯო-დაროს და ჰარაპას გათხრების დროს, დიდგვაროვანთა ფუფუნების საგნებთან ერთად, მიაკვლიეს თიხის ჭურჭლებს, რომლებშიც სურნელოვან ბალახებს ინახავდნენ.



ჰინდის ენაზე „აგარბატის“ სახელით მოიხსენიებდნენ არომატულ ჩხირებს, რომელთა წვის დროს გამოიყოფოდა სასიამოვნო სურნელი ([www.efymag.com/agarbati](http://www.efymag.com/agarbati)). ინდოელებს მიაჩნდათ, რომ „სურნელებათა შესუნთქვა იდეალური მეთოდი იყო ადამიანის

განწყობის ასამაღლებლად“. ძველი ვედური აგნიხოტრას რიტუალის დროს სპეციალურად შერჩეულ ბალახებს წვავდნენ სამსხვერპლო ცეცხლზე („ჰავანზე“). მათი რწმენით, ასეთი ენერგიით გაჯერებული კვამლი აღწევდა ადამიანის ორგანიზმში სასუნთქი გზების საშუალებით: კვამლი მანტრას („ღვთიური ტექსტის“) - კითხვის თანხლებით,

წმენდდა გონებას, ხელს უწყობდა ადამიანს გარემოსთან ჰარმონიის მიღწევაში და სიკეთის ქმნისთვის განაწყობდა მას.

„ღმერთებს უყვართ სურნელებანი“ — აცხადებდნენ ძველი ეგვიპტელები და მათ პატივსაცემად საკულტო ცერემონიალების დროს სამსხვერპლოებზე აკმევდნენ საკმეველს.<sup>9</sup> საკმეველს აქტიურად იყენებდნენ ძველ საბერძნეთსა და რომშიც.<sup>10</sup> საკმევლის ფასი კი იმდენად მაღალი იყო, რომ მის შემგროვებელ მუშებს ცვლის ბოლოს საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ კიდევც (Gabb, 1990).<sup>11</sup> სურნელებათა „მნიშვნელობა“ კარგად ჰქონდათ გათავისებული სხვა რელიგიის მიმდევრებსაც. ბუდისტური და ინდუისტური ტაძრებიც, ტრადიციულად, არ-

<sup>9</sup> საკმეველი, საკმელი (ძვ.ბერძ. λᾶδανον - ლადანონი) - სურნელოვანი ფისი. გამოიყოფა მცენარის „ბოსველიას“ დასერილი ქერქისგან. საკმევლის კვამლი სიმბოლურად გამოხატავს მლოცველთა ლოცვა-ვედრების ასვლას ზეცაში და იქიდან მადლის გადმოსვლას. ეგვიპტელებს ძალიან უყვარდათ სურნელებანი, მაგრამ, ბუნებრივი პირობების გამო, ისინი იძულებული იყვნენ ის პატარა ქვეყანა პუნტიდან (თანამედროვე ეთიოპია) ჩამოეტანათ (Соколыский, 2008:85). ახალი აღთქმის მიხედვით, მოგვებმა, ახალშობილ მაცხოვარს მიართვეს „ოქრო, მური და გუნდრუკი (საკმეველი)“ (მთ. 2, 11). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მოგვიანებით, ფეხი მოიკიდა თამბაქოს მეტსახელმა „სატანის საკმეველი“, რაც, მკვლევართა აზრით, შესაძლოა უკავშირდებოდეს გადმოცემას, რომლის თანახმად, როდესაც ძველი აღთქმის ეკლესიაში მოსე წინასწარმეტყველის დროს დანესებული იქნა კანონიკური ღვთისმსახურება საკმევლის გამოყენებით („უთხრა უფალმა მოსეს: აიღე სურნელებანი: შტახსი, ონიქსი, სურნელოვანი ხელებანი და სუფთა ლებონა, თანაბრად. დაამზადე მისგან საკმევლე ნაზავი მენელსაცხებელთა ხელოვნებით აზელილი, სუფთა, წმიდა ... წმიდათა წმიდა იყოს ეს თქვენთვის. არ დაამზადოთ ამგვარად შეზავებული საკმეველი მოსახმარად. სინმიდედ ჰონდეთ იგი უფლისათვის. ვინც ამის მსგავსს დაამზადებს საყნოსავად, მოიკვეთება თავისი ხალხისგან“), სატანამ, რომელიც თავისი სიძულვილით ვერასოდეს აღემატება ღვთის საქმეთა კარიკატურულ მიბაძვას, აიძულა მისი მიმდევარი ეშმაკები საკუთარი ბაგეებით ეკმიათ მისთვის (<http://www.orthodox.ge>).

<sup>10</sup> კუნძულ კრეტაზე ლადანონს ცხვრის მატყლზე დაგროვილი ბურთულების სახით აგროვებდნენ, რისთვისაც ცხვრებს აძოვებდნენ იმ მცენარეების ახლოს, რომლებიც სპეციფიკურ ფისს გამოყოფდნენ (Виноградова, 2006:404).

<sup>11</sup> ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით, როდესაც ქრისტიანული სამყარო ჯვაროსნული ლაშქრობებით აღმოსავლურ სამყაროს გაეცნო, საკმეველშიც დაინყეს ჰაშიშის შერევა. სხვათა შორის, მოგვიანოდ, ლაბორატორიულად დადასტურდა, რომ ლადანონი შეიცავს ტეტრაჰიდროკანაბიოლს — იგივე კატალიზატორს, რასაც ჰაშიში. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მკვლევართა დასკვნით, ლადანონს გააჩნია ანტიდეპრესანტიული თვისებები (<http://www.fasebj.org/content>).

ომატული სანდალის<sup>12</sup> სურნელით იყო გაჯერებული.

ბალახების წვის დროს გამოყოფილი კვამლის შესუნთქვის ტრადიცია დასტურდება ამერიკელ ინდიელთა კულტმსახურებაში. თვითმხილველთა ცნობით, ეს რიტუალი გრძელდებოდა შამანის გონების დაბინდვამდე. ექსტაზის დროს ადგილობრივი შამანები „კონტაქტში შედიოდნენ“ დემონებთან, ხოლო შემდეგ თანატომელებს უყვებოდნენ, თუ რა ამცნო მათ დიდმა სულმა (Беляев, 1928).

ინდიელთა ვარაოს ტომის შამანი („ვიშირატუ“) ნარკოტიკულ ტრანსში შესვლამდე მარხულობდა, ხოლო მარხვის შემდეგ ენეოდა თამბაქოს დიდი ზომის ფურცლების ხვეულს (სიგარებს). შამანის მიზანი იყო უმაღლეს სულებთან (ე.წ. „კანობებთან“) მიახლოება, რომლებიც მთაში, სამყაროს ბოლოს ცხოვრობდნენ (Друри, 1988). ორეგონელი შამანები მხოლოდ მეხუთე ნაფაზის შემდეგ იწყებდნენ განწმენდის რიტუალს, რადგან თვლიდნენ, რომ მაღალი ღმერთი ამ დროს იძლეოდა ცერემონიალის დაწყების ნიშანს (Zengraf, 2018:7).

ესპანელი მოგზაურის — ფრანცისკო ლოპეს დე გომარას ცნობით, ინდიელი შამანები გონის დაკარგვამდე ენეოდნენ ბალახებს, ხოლო გონზე მოსვლის შემდეგ ყველას გასაგონად აცხადებდნენ: „ღმერთების ნება ასრულდება“. ინგლისელი ჰერბალისტი ჯონ ჯერარდი აღნიშნავდა: „ცხელი ქვეყნების კულტმსახურები, მონვეისაგან დაბანგულები, სამი-ოთხი საათის შემდეგ უყვებოდნენ ხალხს საოცარი ხილვების შესახებ“ (Kell, 1965:101). იტალიელი ისტორიკოსი და მწერალი ჯიროლამო ბენზონიცი ინდიელთა სამკურნალო პრაქტიკის აღწერისას მიუთითებს, რომ თამბაქოს კვამლის შესუნთქვის შემდეგ გონზე მოსული ავადმყოფები თანატომელებს დაწვრილებით უყვებოდნენ ღმერთების დანაბარების შესახებ (Penn, 1902:4).

ძველი ბერძენი პოეტი ანაკრეონი (ძვ.წ. 570-478 წწ.) ამტკიცებდა, რომ სურნელებანი კეთილ გავლენას ახდენს ადამიანის გონებაზე. ჩინელ პოეტს ვან ვეის (ახ.წ. 669-759 წწ.) მიაჩნდა, რომ არომატი აძლიერებს ადამიანის ენერჯიას და მის ფიქრებს აჯერებს სიმშვიდით. ძველი ჩინელები სპეციალურად არჩევდნენ ისეთ მცენარეებს, რომლებიც წვის დროს სქელ კვამლს გამოყოფდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ სწორედ ასეთი გზით იყო შესაძლებელი ღმერთებთან უშუალო

კონტაქტი. იაპონიაში სურნელოვან მცენარეთა წვის რიტუალი ხელ-ლოვნების დონეზეც კი იყო აყვანილი.<sup>12</sup>

როდესაც ღმერთმა ისრაელი მკრეხელობისთვის შავი ჭირით დასაჯა, მლოცველებმა, გამოსავლის ძიებაში, ტაძრებში სურნელოვანი მცენარეების (ასევე ფიშიამის<sup>13</sup> ფისის) დანვა დაიწყეს იმ მოტივით, რომ წარმოქმნილი კვამლი ღვთის რისხვას სხვა მიმართულებით გადაიტანდა (Бытѣт, 2000:154). X საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-ტაბარი აღნიშნავდა, რომ „ფიშიამი ყველაზე უკეთ აღწევს ზეცამდე“ ბერძენი ფილოსოსოფოსი დიოგენე ამტიკიცებდა, რომ „სუნი ზევით მიემართება“. სურნელებათა ზეცისკენ „სვლაზე“ მიუნიშნებდა ციცერონიც (Чеснов, 2008:106).

სურნელებათა „მნიშვნელობა“ განსაკუთრებით გამოიკვეთა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტისა და მცირე აზიის დაპყრობის შემდეგ. ალექსანდრემ გადმოიღო სპარსელთა ტრადიცია სურნელებათა გამოყენებისა, მაგრამ არა მარტო რელიგიური დღესასწაულების დროს, არამედ დაამკვიდრა ეს პრაქტიკა სასახლის კარზეც და ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებაშიც.<sup>14</sup>

ბიბლიასა და ყურანში არის მინიშნება სარიტუალო, ესთეტიკურ და სამკურნალო არომატულ ნივთიერებებზე. ყურანის განმარტებით: „სუნი საკვებია, რომელიც სულს აღვიძებს“ (bewitch.acad/esoterics). მაჰაბჰარატასა და რამაიანაში ნახსენებია არომატული სანთლები და ჩხირები, რომლებსაც იყენებდნენ შენობის გასაკეთილშობილებლად, რიტუალის შესასრულებლად და ავადმყოფთა სამკურნალოდ.

<sup>12</sup> აღმოსავლური წყაროები მოწმობს, რომ იაპონელი გეიშები „სალამოს“ მომსახურების ღირებულებას ადგენდნენ დამწვარი სურნელოვანი ჩხირების რაოდენობის მიხედვით (<http://asianhistory.about.com>).

<sup>13</sup> ფიშიამი (ძვ.ბერძნ. θυμαμα) სიტყვიდან "θυμάω"— ვწვავ, ვენევი. ანალოგიური ლადანონისა. არომატული სურნელებანის სახეობა.

<sup>14</sup> ეგვიპტელი ქურუმები თვლიდნენ, რომ სურნელებანი ღვთიური ძალის მატარებლები იყვნენ და მას არ უნდა შეხებოდა ადამიანი. როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა გადაწყვიტა არომატიზატორები ტახტისა და პირადი ნივთების „შესამკობა-დაც“ გამოეყენებინა, ადგილობრივმა ქურუმებმა მას კატეგორიული უარი უთხრეს სურნელებათა შესახებ დაგროვებული ცოდნის გაზიარებაზე (Anderson, 1977).

მცენარეთა წვისგან/ხარშვისგან წარმოქმნილი ორთქლით მკურნალობის ტრადიციის არსებობა დასტურდება ძველ ეგვიპტეში. ებერ-



სის პაპირუსში (ძვ.წ.1554წ.) საუბარია ინჰალაციის სარგებლიანობაზე სასუნთქი გზების მკურნალობის დროს (<http://egyptopedia/p/1168-papyrus-ebersa>).

ეგვიპტელების მსგავსად, ძველი ბერძნებიც კარგად იცნობდნენ სხვადასხვა ნივთიერებების გამოყენების წესს ინჰალაციის და ფუმიგაციისათვის. მათ ეს ცოდნა გადასცეს რომაელებს, საიდანაც ის გავრცელდა მთელ არაბულ სამყაროში. ჰომეროსი (ძვ.წ.VIII ს.) საუბრობს გოგირდით ფუმიგაციის შესახებ. პეროდოტე (ძვ.წ.484-425 წწ.) გვანვდის ცნობას სკვითების ტრადიციაზე ჰაშიშ-

ის თესლის წვისგან (ხარშვისგან) მიღებული ორთქლით ინჰალაციის შესახებ. პლინიუს უფროსი (ახ.წ. 23-79 წწ.) ინჰალაციას მიიჩნევს ხველებისგან განკურნების უეფარ საშუალებად (McGuir, 1899: 362).

პირველი საუკუნის რომაელი გეოგრაფის — პომპონიუს მელას დაკვირვებით, თრაკიელები გაბრუებული იყვნენ არა ღვინისგან, არამედ სპეციალურად შერჩეული მცენარეების წვის დროს გამოყოფილი კვამლის შესუნთქვისაგან (Fraikin, 1981:4). ბერძნული წარმოშობის რომაელი ექიმი გალენი (ახ.წ. 130-201 წწ.) აღწერს სხვადასხვა ჯიშის ბალახის წვისგან წარმოქმნილი კვამლის შესუნთქვის სარგებლიანობას სასუნთქი გზების და თავის ტკივილის სამკურნალოდ (Shetata, 2006). ძველი ბერძენი ფარმაკოლოგი პედანიოს დიოსკორიდე (ახ.წ. 40-90 წწ.) ნაშრომში „სამკურნალო ნივთიერებების შესახებ“ (Περὶ ἰσχυρίων) მიუთითებს, რომ ბერძნები ინჰალაციით მკურნალობის დროს ასპირატორად იყენებდნენ სიფონს (σιφόν) და არომატულ ლერწამს (καλαμὸς ἀρωματιστός). დიოსკორიდე, რომელიც კანაბისს ანესთეზიის დროს მოიხმარდა, აღნიშნავდა, რომ ამ მცენარეს შეუძლია გამოიწვიოს „სიამოვნების მიმნიჭებელი წარმოსახვა“ (Dioscorides, 2000). მისი თანამედროვე გაიუს პლინიუს სეკუნდუს უმცროსი

(ახ. ნ. 62-13 ნნ.) „ბუნების ისტორიაში“ ხველის სანინაალმდეგო უებ-არ საშუალებად გვირჩევს კვიპაროსის ფესვის წვით მიღებული კვამლით ინჰალაციას (Fraikin, 1981:4), ხოლო ეპილეფსიის სამკურნალოდ ფრიად სასარგებლოდ მიიჩნევს თხის რქის წვისას გამოყოფილი კვამლის შესუნთქვას (Gabb, 1990; Zentgraf, 2018:6).

ჰიპოკრატეს (ძვ.წ. 460-375 ნწ.), რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მკურნალობის დროს სხვადასხვა ნივთიერებათა წვისგან წარმოქმნილი კვამლის შესუნთქვას, მიზანშეწონილად მიაჩნდა ინჰალაცია ქალური დაავადებების მკურნალობის დროს (Kell, 1965:99). პლუტარქე (ახ.წ. 46-119 ნწ.) „მორალიებში“ მიუთითებს, რომ სურნელოვანი მირას<sup>15</sup> სასიამოვნო და მაცოცხლებელი კვამლი ამზადებს ადამიანის ორგანიზმს ღვთაებრივი ძილისთვის, რის შედეგად დღის თანმხლები წარუმატებლობანი უკვალოდ ქრებიან (Солдатенко, Кашенко, Пидаев, 2002:5).<sup>16</sup> სპარსეთის მეფე ჯამშიდმა, რომელიც საექიმო განათლებას ფლობდა, ნაშრომიც კი დატოვა მცენარეთა წვისას გამოყოფილი კვამლით მკურნალობის თაობაზე (Shetata, 2006).<sup>17</sup> ბალდადელი ექიმი ჰაზესი (ახ.წ. X ს.) სასარგებლოდ თვლიდა დარიშხანის ორთქლით ინჰალაციას. XII საუკუნეში მოღვაწე არაბეთის მეფის — სალადინის ექიმი და ასთმის შესახებ პირველი წიგნის ავტორი მაიმონიდესი, ასთმით დაავადებულ უფლისწულს სპეციალურად შერჩეული ბალახების წვისგან წარმოქმნილი კვამლით მკურნალობდა (Sanders, 2007).

XVI საუკუნის ქართულ სამედიცინო ენციკლოპედიაში „იადიგარ დაუდი“ საუბარია ინჰალაციის, ანუ „კუამლებას“ პროცედურის შესახებ, რომელსაც მიმართავდნენ სასუნთქი ორგანოების სამკურნალოდ, თვალის კონიუქტივური პარკის შებოღვისთვის, საშვილოსნოსა და სწორი ნაწლავიდან შეორთქლებისათვის და სხვა დაავადებათა „აქიმობის“ დროს (ბაგრატიონი, 1985:254).

<sup>15</sup> „მირა“ (ძვ. ბერძნ. μύρα) — აფრიკული და არაბული ხის ფისი, რომელსაც მიიხმარდნენ როგორც მედიცინაში, ასევე იყენებდნენ სურნელოვან საკმევლად.

<sup>16</sup> „პარფიუმერიის“ ეტიმოლოგიაც ლათინურ „per fumum“ (კვამლიდან, კვამლის მეშვეობით) უკავშირდება (Солдатченко, Кашенко, Пидаев, 2002).

<sup>17</sup> სპარსელი ექიმები ახ.წ. VII საუკუნემდე სამართლიანად ითვლებოდნენ ინჰალაციური თერაპიის სპეციალისტებად.

## §2. მითები და თქმულებები თამბაქოს შესახებ

„თამბაქო ღმერთების საჩუქარია ადამიანის მიერ გაღებული მსხვერპლისთვის“<sup>1</sup> — ასე ხსნიდნენ თამბაქოს წარმოშობას ვინებაგოს ტომის ინდიელები და მსხვერპლშენირვის რიტუალის დროს კვამლს ზევით, ღმერთებისკენ მიმართავდნენ, რათა მათი კეთილგანწყობა დაემსახურებინათ (Anthology of traditional tobacco stories, 1992:6).<sup>2</sup>

მაიას ტომელებსაც მიაჩნდათ, რომ თამბაქო ღმერთების ძალისხმევით გაჩნდა მსხვერპლად შენირული პირველი ადამიანის სისხლისგან. ტომის ქურუმთა განმარტებით, ასე გამოხატეს ღმერთებმა მადლიერება მათთვის მირთმეული მსხვერპლისთვის (Kell, 1965:100).

როდის დაინტერესდნენ ადამიანები თამბაქოს თვისებებით? — უცნობია. ასევე, პასუხგაუცემელია კითხვები, თუ როგორ და რატომ გამოარჩიეს თამბაქო სხვა მცენარეებისაგან. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვალიაროთ, რომ თამბაქოს ბუჩქი არც სილამაზით და არც სურნელებით არ გამოირჩეოდა სხვა მცენარეებისგან. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ თამბაქოს ათეულობით სახეობიდან (ამის თაობაზე მომდევნო თავში გვექნება საუბარი) ადამიანებმა მხოლოდ ორ სახეობაზე შეაჩერეს ყურადღება

<sup>1</sup> აცტეკები „ტოკცკატლის“ ფესტივალის დროს სპეციალურად არჩევდნენ წარმოსადეგ ტყვეს, რომელსაც წლის განმავლობაში პატივს მიაგებდნენ, როგორც „ტესკატლიპოკას“ („ღმერთების ღმერთს“). ამ ხნის მანძილზე ეს „გამორჩეული“ ტყვე ლეზულობდა განათლებას, სწავლობდა ფლეიტაზე დაკვრას და თამბაქოს ღვთიური კვამლის შესუნთქვას. წლის ბოლოს ის კანოეთი გადაყავდათ ტბის მეორე ნაპირზე მდებარე პირამიდის ფორმის ლამაზ ტაძართან. ფესტივალის დასასრულს, ტაძრის თავზე „ღმერთების ღმერთს“ გლეჯდნენ გულს და უძღვნიდნენ მზის ღმერთს (Брейн, 2005; Heimann, 1960:20).

<sup>2</sup> ინდიელთა რიტუალში გარე სამყარო წარმოდგენილი იყო ექვსი მიმართულების (ჰორიზონტის ოთხი მხარე, ერთი ც ზევით და ერთი ც ქვევით) ძალებით, რომელთაც მსხვერპლს სწირავდნენ (Paper, 1988:299). იეზუიტი მისიონერის — დე სმიტის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ყოველი მნიშვნელოვანი რელიგიური ცერემონიალის დროს... დიდი ტბების ინდიელები პირველ კვამლს უძღვნიან მსოფლიო მბრძანებელს დიდ „ვაკონდეს“, მზეს — რომელიც მათ აძლევს სინათლეს, მინას, წყალს — რომელიც მათ კვებავს; ამის შემდეგ ინდიელები თამბაქოს კვამლს მიმართავენ ჰორიზონტის ყველა მხარეს“ (Уант, 2007).

და ხელი მოკიდეს მათ კულტივაციას, კიდევ უფრო გაჭირდება არჩევანის საფუძვლიანობაში გარკვევა. ამ და სხვა კითხვებზე პასუხის ძიებაში, კვლავ ემპირიული გამოცდილების მნიშვნელობის აღიარებამდე მივდივართ, როდესაც ადამიანი მოქმედებს მარტივი პრინციპით: „დააგემოვნე და გაიგებ!“

ინდიელთა ლეგენდის თანახმად, უცნობი აბორიგენი შემთხვევით ნაწყდა თამბაქოს ბუჩქს და მხოლოდ და მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით დაიწყო მისი ლეჭვა. ეფექტი იყო წარმოუდგენელი: თამბაქოს პირველმა მომხმარებელმა ჯერ თავბრუხვევა იგრძნო, შემდეგ სიმხნევე და აღფრთოვანება.<sup>3</sup> აბორიგენებმა უცნობი მცენარე მიართვეს ადგილობრივ შამანებს, როგორც ღმერთების საჩუქარი, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ორმხრივი ღვთიური კავშირისათვის.

ვარაიოს ტომის ინდიელებს გულწრფელად სწამდათ, რომ ღმერთები თამბაქოს კვამლით იკვებებოდნენ და ამიტომ სავალდებულოდ მიაჩნდათ თამბაქოს ხშირი მოწევა. ტომის შამანები თვლიდნენ, რომ თუ სულებს თამბაქოთი მოამარაგებდნენ, ისინი მათ ავადმყოფთა განკურნვის ძალას მისცემდნენ (Thomson, 2012:68).

აცტეკთა ქურუმები თვითონ ინტენსიურად ეწეოდნენ თამბაქოს და ღმერთს ("Tezcatlipoca") გამოსახავდნენ ჩიბუხით ხელში. ქურუმების აზრით, რადგან ღმერთები თვითონ ეწეოდნენ თამბაქოს, ამიტომ მათი კერპების ადგილსამყოფელიც მუდმივად უნდა ყოფილიყო გაჯერებული თამბაქოს „საამო“ სურნელით (Burns, 2007:10).

ვიშარატუს ტომელები თამბაქოს ფოთლებს კოცონში ყრიდნენ და ასე მიაგებდნენ პატივს დიდ ღმერთებს. ზულუსების ტომში არომატულ მცენარეებს მოკლული ნადირის ქონთან ერთად წვავდნენ, რომ მსხვერპლი სულებისთვის უფრო გემრიელი ყოფილიყო. ოსაგები რიტუალს იწყებდნენ თამბაქოს შეხვეული ფურცლების მოწევით და სიტყვებით: „დიადო სულო, ჩამოდი და მოწიე ჩემთან როგორც მეგობარმა“. ოსაგების შამანები თამბაქოს ფოთლების წვით ატარებდნენ

<sup>3</sup> სხვა ვერსიით, ადამიანმა ნახანძრალზე სიარულისას ფეხი წამოიკრა და თამბაქოს ბუჩქთან პირქვე დაეხო. დამწვარი მცენარის კვამლმა მას ტკივილი გაუწელა. ამის შემდეგ კვამლის შესუნთქვა მას ჩვევად ექცა (Гейтлин, 2005).

რიტუალს „მაპახოს“ — ორგანიზმის გასანმენდად და ენერჯის აღსადგენად. დიადი ტბების ქვეყნის ინდიელებში, იქური ნესტიანი კლიმატის გამო, ხშირად ვრცელდებოდა ეპიდემია, რომელსაც „ორთქლის აბანოთი“ ებრძოდნენ. ორთქლის მისაღებად წყალში გავარვარებულ ქვებთან ერთად თამბაქოს დიდ ფურცლებს ყრიდნენ (Heimann, 1960:30). საკულტო ცერემონიების დროს ინდიელი კულტმსახურები („ბეიკესები“) თამბაქოს ფურცლების მოწევის და თამბაქოს ფხვნილის ყნოსვის შედეგად „თვრებოდნენ“ (Kell, 1965:100-101). ჰურონები თამბაქოს ლეჭავდნენ და წყლის ღმერთს წყალში უყრიდნენ, რომ მას თევზაობისას დახმარება გაენია (Чечов, 2008).

ნავახოს ტომის ინდიელები თამბაქოს ღვთიურ მცენარეთა ოთხეულში მოიაზრებდნენ. ვენესუელას ვარაიოს ტომის ინდიელები სამყაროს შექმნას ასევე თამბაქოს უკავშირებდნენ.<sup>4</sup> კოლუმბიაში, მდინარე მისურის ნაპირთან მოსახლე ხალხს მიაჩნდა, რომ ამ ადგილას ოდესღაც ლეგენდარული დაბეიდას ქვეყანა იყო. დაბეიდას ქვეყანაში იდგა მუდმივი ზამთარი და მინა ყოველთვის დაფარული იყო თოვლით და ყინულით. ერთხელ მოვიდა ჯადოქარი, მოუკიდა თამბაქოს შეხვეულ ფურცლებს და გამოუშვა პირიდან კვამლი. ეს კვამლი სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას და გადააქცია ყინული მინად (<http://www.purosulloa.com/en/process/legends>).

„ტლალოკს“ — აცტეკების წვიმის ღმერთს, ღრუბლებისა და ცის კამარის შესაქმნელად ზეცაში თამბაქოს კვამლი მიჰქონდა. „სიაკოატლი“ — მინის ღმერთი, ღვთიურ სხეულს თამბაქოს ფოთლებით იფარავდა (Burns, 2007:10). „სინაკუატი“ — აცტეკების ქალი-გველი ასოცირდებოდა „პისიეტლთან“ (თამბაქოსთან) (<http://www.Indiansworld.org>).

ამერიკელ ინდიელთა ყოფის ერთ-ერთი პირველი აღმწერის, პედრო მარტირ დე ანგლერიას ცნობით, ანტილიის ინდიელები თამბაქოს მოწევის რიტუალს ატარებდნენ მათ წარმართულ ღმერთებთან („სემი-ესებთან“) „უშუალო ურთიერთობის“ დროს (Thompson, 1993:189).

<sup>4</sup> ვარაოს ტომის ინდიელთა ლეგენდის მიხედვით, როდესაც „ალიონის ჩიტი“ (მზე) ამოიწვერა, მაშინვე გაჩნდა თამბაქოს თვისებების შესატყვისი შავი, წითელი, ყვითელი და ცისფერი ფუტკარი. ისინი ფრენენ ადამიანთა თავზე, გამორორჩეულ ძალას და ენერჯიას ანიჭებენ მათ (<https://vc.com/wall 2020737 -1101>).

ინდიელებში თამბაქო ითვლებოდა „მამაკაცური სულის“ მცენარედ. ალგონკინების მითის თანახმად, მოუსავლიანობისა და დიდი შიმშილის დროს, ქალმა, რომელიც მიწამ შვა, საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა მიწას. მისი ძვლები ორ ადგილას ჩაფლეს: ერთგან თამბაქო — მამაკაცების მფარველი ამოვიდა, მეორე ადგილას კი სიმინდი — ქალების მფარველი. ალგონკინების მსგავსად, ბანდის ტომის ინდიელებიც თვლიდნენ, რომ თამბაქოს მამაკაცური სული ჰქონდა, ამიტომ მისი მოყვანა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ (Groark, 2010:8).

მაიას ტომში ვარსკვლავთცვენას აღიქვამდნენ, როგორც ფერფლს, ჩამოყრილს ღმერთების სიგარებისგან. ღრუბლები, მათი წარმოდგენით, თამბაქოს კვამლისგან იქმნებოდა, რომელთაც ღმერთები შეისუნთქავდნენ (Robicsek, 1978). კანადელი ჰურონები, ბრძოლის წინ, „დიდი სულის“ მფარველობის მოსაპოვებლად, თამბაქოს ფურცლებს აწყობდნენ წმინდა კლდის ნაპრაღში. აცტეკები თამბაქოს მსხვერპლად სწირავდნენ ომის ღვთაებას „გუიცილოპოჩლის“ (Робишек, 2014). აცტეკთა ქურუმების აზრით, თამბაქოს წვენი მიღება აუცილებელი იყო მეომრული შემართების უზრუნველყოფისთვის. ტონოუპინაბაულტის ტომის დასტაქრები თანატომელებს თამბაქოს სახეში აბოლებდნენ, რომ ისინი მედგრად შეხვედროდნენ მტერს და ბრძოლიდან უცილობლად გამარჯვებული გამოსულიყვნენ. უსაკიტეს და მანიოს ტომელები ნადირობის წინ თამბაქოს ფურცლებს შუბის წვერზე ამაგრებდნენ (Heimann, 1960:30).

კამპას ტომელები თაყვანს სცემდნენ ღვთიურ კლდეს, სადაც ყოველდღე ღვრიდნენ თამბაქოს წვენს. კროუს ინდიელებში თამბაქოს პატივისცემა გამოხატული იყო თამბაქოს დარგვის და მოსავლის აღების სპეციალურ რიტუალში, რომელსაც ადგილობრივი საზოგადოების მხოლოდ პრივილეგირებული წევრები ესწრებოდნენ, რადგან ცერემონიალში მონაწილეობის გადასახადი საკმაოდ ძვირი იყო — ის 50 ცხენს შეადგენდა (Аверкиева, 1970:148).

კრიკის ტომში თამბაქოს საკურთხევლის წინ ალაგებდნენ, საკურთხევლს თიხით შელესავდნენ, ზემოდან გამომშრალ ფურცლებს დააწყობდნენ, რომელთაც ორდღიანი მარხვის შემდეგ წვავდნენ. ზეცაში ასულ კვამლს ხალხის ცოდვების შენდობის თხოვნას ატანდნენ, მხოლოდ ერთი დიდი ცოდვის — მკვლელობის გამოკლებით.

აცტეკების თამაშის, ყვავილების, სიყვარულის, სილამაზის და ცეკვა - სიმღერის ღმერთის — ჰოშიფილის ქანდაკების ბაზა შემკული იყო სხვადასხვა ფსიქოაქტიური მცენარის, მათ შორის, თამბაქოს ფურცლების გამოსახულებით (Брэд, 2005).



თამბაქო უკავშირდებოდა ინიციაციის რიტუალურ პროცესსაც: ინდიელთა ტომებში ის იყო ერთგვარი სიმბოლო მოზარდის ასაკიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლისა. მდინარე ამაზონის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები ტუკანოს ტომის ინდიელები ყმანვილებს ჯერ თამბაქოს ყნოსვის ნებას ძლევდნენ, შემდეგ კი ამცნობდნენ, რომ მათ წარმატებით გაიარეს ინიციაციის პროცედურა. ამაზონის აუზის ხიბაროს ტომის ინდიელები მამაკაცთა ინიციაციის რიტუალის — „კუზურანის“ ცერემონიალის დროს ინტენსიურად ეწეოდნენ თამბაქოს (<http://www.indiansworld>).

ვირჯინიელი ინდიელები გამორჩეულად თაყვანს სცემდნენ თამბაქოს და თვლიდნენ, რომ ის ღმერთების მიერ სპეციალურად ადამიანებისთვის იყო შექმნილი. ინდიელთა ოდჯიბვეს ტომში მიაჩნდათ, რომ გაზაფხული თამბაქოს გარეშე ვერ მოვიდოდა (Моррисо, 2006:47). ხოპის ტომში თამბაქოს კვამლის რგოლები ცაში განფენილ წყლით სავესე ღრუბლებთან ასოცირდებოდა, რომელთა მიწაზე გვალვის დროს გამოგზავნა ღმერთების ნება იყო.

ინდიელთა მითოლოგიურ წარმოდგენებში თამბაქო ასევე უკავშირდება ჩიტი კოლიბრის და შევარდენის სახელს (Матусовский, 2010:235). პუებლოს ტომის ლეგენდის თანახმად, კოლიბრი ფლობდა თამბაქოს საიდუმლოს. არავაკის ტომელებს მიაჩნდათ, რომ სწორედ პატარა ჩიტმა კოლიბრიმ ჩამოიტანა თამბაქო დედამიწაზე (<http://www.flu-bird.com>). ჩეროკის ტომის ლეგენდის მიხედვით, კოლიბრი თავის დროზე თამბაქოს ნექტარით მოიხიბლა და ეს მცენარე მათ მხარეში გაავრცელა (<http://www.teliguah.com/cherokee>).

სამხრეთ ამერიკულ ტომებში გავრცელებული ლეგენდის თანახმად,

შევარდენი კარანშო დაეხმარა ბავშვებს დედა-კაცისმჭამელი იაგუა-ის მოკვლაში. შევარდენმა ბავშვები ხის ფულუროში დამალა, დედა მოკლა და კოცონზე დაწვა. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ფერფლიდან თამბაქო ამოვიდა (Левин-Стросс, 1999:97).

ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ჰურონების ტომის ლეგენდის თანახმად, მათ მინაზე თეთრი ადამიანის მოსვლამდე დიდი შიმშილი იყო. ამიტომ ხალხმა დახმარებისათვის ღმერთ მანიტუს მიმართა. თხოვნის პასუხად, ზეციდან ლამაზი გოგონა ჩამოვიდა, მინდორზე დაჯდა, ხელისგულებით მინას დაეყრდნო და ხალხს განუცხადა, რომ ზეციდან მათ დასაპურებლად იყო გამოგზავნილი. საუბრის შემდეგ გოგონა კვლავ ზეცას დაუბრუნდა. იმ ადგილას, სადაც გოგონა მარცხენა ხელისგულით მინას ეყრდნობოდა — კარტოფილი ამოვიდა, მარჯვენა ხელისგულის ადგილას — სიმინდი, ხოლო იქ, სადაც გოგონა იჯდა — თამბაქო (Leavey, 1996; Vihlene, 2008:17-18; Anthology of traditional tobacco stories, 1992:12).

სენეკას ტომის ლეგენდის მიხედვით, თამბაქო ამოვიდა ზეცის გარდაცვლილი ქალიშვილის თავიდან, რომლის საფლავს მისი ღვიძლი ძმა ყოველდღე რწყავდა. მას შემდეგ, რაც დარდით დამწუხრებულმა ზეცის დედამ საფლავზე მოსაკითხი ძღვენი მიიტანა, თამბაქოსთან ერთად ქალიშვილის მკერდიდან ამოვიდა სიმინდი, მუცლიდან გოგრა, ხელებიდან ლობიო, ფეხებიდან კი კარტოფილი.

ბენჟამენ ფრანკლინის<sup>5</sup> მიერ ინდიელთა სუცეხანაგის ტომში ჩანერილი ლეგენდის თანახმად, თამბაქო (სიმინდსა და ლობიოსთან ერთად) ზეციდან ჩამოსული ახალგაზრდა ქალის დახმარებით ამოვიდა. ღმერთქალს კი დედამინაზე მასპინძლობა მონადირეებმა გაუწიეს. როდესაც ღმერთქალმა მონადირეების მიერ მომზადებული ირმის ენა დააგემოვნა, მადლიერების ნიშნად უთხრა მათ: მოდიეთ ამ ადგილ-

<sup>5</sup> ბენჟამინ ფრანკლინი (1706-1790წწ.) — ამერიკული განმანათლებლობის გამორჩეული ფიგურა, დიპლომატი, მწერალი, გამომგონებელი, უურნალისტი, გამომცემელი. ბენჟამინ ფრანკლინი ეთნოგრაფიული კვლევითაც იყო გატაცებული. ნაშრომში „ჩანაწერები ჩრდილოეთ ამერიკის ველურების შესახებ“ მან დეტალურად აღწერა ინდიელი ტომების ყოფა-ცხოვრება და უარყო მითი ისტორიაში „უხეში“ და „ზრდილი“ ხალხების არსებობის შესახებ (Левшина, 2006:67)

ას ცამეტი მთვარის შემდეგ და თქვენ მიიღებთ ჯილდოს. ასე აჩუქა ზეცამ ხალხს თამბაქო“ (<http://sigarettime.ru>).

ინდიელთა სხვა ლეგენდის თანახმად, უხსოვარ დროში, ღმერთი დასასვენებლად ლამაზ მინდორში წამოწვა, იქვე კოცონი დაანთო და ჩაეძინა. ამ დროს მას მოსისხლე მტერი თავს დაადგა და ბოროტი განზრახვით მძინარეს თავი კოცონისკენ მიუბრუნა. ცეცხლი ღმერთის თმებს მოედო. სიმბურვალით შეწუხებული ღმერთი ფეხზე წამოდგა და ტყისკენ გაიქცა. ქარი ღმერთის გაფანტულ თმებს გზადაგზა აგროვებდა და დედამინაზე ფენდა. თმებმა მინაში ფესვები გაიდგა და მალე თამბაქოს სახით ამოვიდა (Rapaport, 2007).

სამხრეთ ამერიკული პალაგას, ჩაკოს და ტობას ტომების ლეგენდების მიხედვით, ჯადოქარმა ქალმა ქმრის შეჭმა მოინდომა, მაგრამ ქმარი ცოლს გაექცა, იქვე ამოთხრილ ორმოს, რომელიც ხაფანგად ჰქონდა მოწყობილი, გვერდი აუქცია, ცოლი კი შიგ ჩავარდა. ქმარმა ორმო მიწით შეავსო. ამ ადგილას მალე უცნობი მცენარის ფოთლები ამოიზარდა. ქმარმა ფოთლები მზეზე გააშრო, დაახვია და სალამობით მალულად მისი მოწევა დაიწყო (Левин-Строщ, 1999:99).

უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურად განსხვავებული შინაარსისაა „ძველ სამყაროში“ გავრცელებული ლეგენდები თამბაქოს წარმოშობის შესახებ. თითქმის ყველა ლეგენდას ერთი ძირითადი მოტივი გასდევს: თამბაქო ან ეშმაკის მოტანილია, ან საფლავზე (სხვა ვარიანტით — გვამზე) ამოდის. სავარაუდოდ, ძველი სამყაროს ხალხთა წარმოდგენით, სხვა („ახალი“) სამყაროდან შემოტანილი მცენარე, რომელიც გონებას უბინდავდა მის მომხმარებელს, მხოლოდ ეშმაკისეული უნდა ყოფილიყო და აღმოცენებულიყო საფლავიდან, მეტწილად კი ცოდვიანი ადამიანის (სისხლის აღმრევთა, მეძავთა) გვამიდან. ფოლკლორულ მასალაში თამბაქოს წარმოშობის განსხვავებული ვერსიებიც არის დადასტურებული. კერძოდ, სლავურ ფოლკლორში თამბაქოს წარმოშობა-გავრცელება განიხილება საღვთო ისტორიის, ან ესქატოლოგიური წარმოდგენების კონტექსტში.

ჩინური ლეგენდის თანახმად, უხსოვარ დროში ჩინეთის უკიდურეს ნაწილში ცხოვრობდა ქალი — სახელად ტამბე. ტამბე ოცნებობდა,

რომ ყველა მამაკაცი შეეცნო. სამწუხაროდ, მან ოცნება ვერ აიხდინა, რადგან ადრე გარდაიცვალა. ტამბეს საფლავზე თამბაქო ამოვიდა, რომელსაც მის პატივსაცემად „ტამბე“ დაარქვეს. „ტამბე-თამბაქომ“ არათუ შეიცნო ყველა კაცი, არამედ მონებად გაიხადა ისინი. ეს უკანასკნელნი ჭირშიც და ლხინშიც არ შორდებიან თამბაქოს. ამიტომ ძნელი მოსაძებნია არამწვეელი მამაკაცი. აი, რატომ არ უყვართ ქალებს თამბაქო. ისინი ეჭვიანობენ ტამბეზე და სთხოვენ ქმრებს დააწებონ თამბაქოს მონევას თავი (<http://www.Fairy-tales.su>).

სხვა ხალხთა ლეგენდებისგან განსხვავებით, დადებით კონტექსტში განიხილავს საფლავზე ამოსულ თამბაქოს ძველი სპარსული ლეგენდა: შირაზის თამბაქო უცნობმა მოხუცმა გააცნო ახალგაზრდა კაცს, რომელიც მეუღლის გარდაცვალებას გლოვობდა. მოხუცმა ურჩია: „მიდი მეუღლის საფლავთან, იქ ამოსული თამბაქო ჩადე ლერწმის ლეროში, ცეცხლი მოუკიდე და შეისუნთქე. ის იქნება შენთვის ცოლი, დედა, მამა, ძმა და მრჩეველი, რომელიც სიბრძნეს გასწავლის და სიხარულს მოუტანს შენს სულს“ (Billings, 1875).

საინტერესოა უკრაინული ლეგენდა თამბაქოს წარმოშობის შესახებ: „როდესაც ღმერთი ეშმაკებზე გაბრაზდა, ნელ-ნელა მათი ციდან ჩამოყრა დაიწყო. ერთმა ეშმაკმა იფრინა, იფრინა და გამოედო ერთ გამხმარ მუხას. ეკიდა ეშმაკი მუხაზე მანამ, სანამ მისმა ნაწილებმა არ დაიწყეს ცვენა. ეცემოდა ნაწილები მიწაზე და იმ ადგილზე თამბაქოს ჩითილები სწრაფად იზრდებოდა. ხალხი კრეფდა თამბაქოს, ეწეოდა და და ყნოსავდა, შემდეგ კი საკუთარ ბოსტნებში დაიწყეს მისი მოყვანა“ (Мискин, Цаплин, 2005).

ლიტერატურის ისტორიკოსის ა. ვესელოვსკის მიერ ბუკოვინაში ჩანერილი ლეგენდის თანახმად, ეშმაკებმა გადანყვიტეს ცოლად შეერთოთ ბოიარის ქალიშვილი, მაგრამ ადგილობრივმა მღვდელმა უარი უთხრა მათ ჯვრისწერაზე. მაშინ უფროსმა ეშმაკმა თავი ჩამოიხრჩო ალვის ხეზე, მაგრამ ალვის ხემ ეშმაკი ძირს მოისროლა. მიწაზე დავარდნილი ეშმაკი იქცა გვარჯილად და დენთად. ამის შემდეგ მის გვამზე ბევრი თამბაქო ამოვიდა (Веселовский, 1883:88).

რუსული ლეგენდის თანახმად: „ერთხელ ეშმაკებმა ბერის ცოდვაში

ჩაყენება გადაწყვიტეს. მათი ყველა მცდელობა ბერის სენაკიდან გამოყვანისა უშედეგოდ დამთავრდა — ბერი მათ ყურადღებას არ აქცევდა და ლოცულობდა. მაშინ ეშმაკებმა სენაკის ახლოს მდებარე გახლეჩილი მუხა დანვეს იმ იმედით, რომ ბერი ცეცხლის ჩასაქრობად გარეთ გამოვიდოდა. მაგრამ ბერმა შეულოცა მუხას, ცეცხლი ჩაქრა და ორად გახლეჩილი მუხა შეერთდა, იქ მჯდომი ეშმაკი კი გაიჭყლიტა. ეშმაკის სისხლი ნელ-ნელა შეერია მუხის ფოთლებს და იქიდან აღმოცენდა თამბაქო. ამიტომ არის ეშმაკის სისხლიდან შექმნილი თამბაქოს მოწევა დიდი ცოდვა და ვინც მაინც მოწევს, სამოთხეში ვერ მოხვდება“ (Левкиевская, 2000).

მსგავსი შინაარსისაა ძველი რუმინული ლეგენდაც: „ორი ეშმაკი დაძრწოდა დედამიწაზე. ერთ-ერთ მათგანს გათხოვილი ქალი ძალიან მოეწონა და მისი ცდუნება დააპირა, მაგრამ ქალი ქმრის ერთგული დარჩა. შენუხებულმა და იმედგაცრუებულმა ეშმაკმა ამის გამო თავი ჩამოიხრჩო და ნეხვის გროვად იქცა. ნეხვის გროვაში ქარმა გოგრის თესლი მოაბნია და იქ დიდი და მახინჯი ფორმის გოგრა გაიზარდა. მეორე ეშმაკმა ეს გოგრა ჯოჯოხეთში წაიღო, ნახვრეტი გაუკეთა და შიგ ჰაერი გააფუჭა. შემდეგ გოგრიდან თესლი გამოფერთხეს და დედამიწაზე მოაბნიეს. ასე გაჩნდა თამბაქო“ (Игошев, 2000).

რუსული ლეგენდის თანახმად, ეშმაკი ხშირად ახერხებდა ეკლესიაში შეძვრომას, მაგრამ ვერ იტანდა გალობას, განსაკუთრებით, „რომელთა ქერუბიმთას“ და მის გაგონებისთანავე ეკლესიიდან გარბოდა. ერთხელ მღვდელმა, ეშმაკის ხელში ჩასაგდებად, ჩარაზა ეკლესიის ყველა ფანჯარა და კარი. წირვის შემდეგ ტაძარში გამომწყვდეული ეშმაკი მღვდელმა და მრევლმა დანვეს, მაგრამ ფერფლის ნაცვლად ეშმაკისგან თესლის გროვა დარჩა. ვილაცამ ეს თესლი სახლში წაიღო და დათესა. იქ თამბაქო ამოვიდა (Волкова, Бешкарев, 2000:132).

უკრაინული ლეგენდის მიხედვით, სატანამ ერთი ლოთის გვამზე ამოსული დანყველილი ხის ნაყოფი შეაგროვა. შემდეგ მსახურებს უბრძანა: „გადაიფრინეთ დედამიწაზე და ეს ნაყოფი ადამიანთა ცოდვით დამძიმებულ ადგილებში ჩამოაგდეთ. კარგად დაიმახსოვრეთ: სადაც ეს ნაყოფი დაითესება — ყველგან მას აღიდებენ. ეს მცენარე ფოთლების სახით ამოვა, ხალხი დაინყებს მის შეგროვებას, გაშრობას, დანვას და მისი კვამლის ყლაპვას. მათი შინაგანი ორგანოები ჩვე-

ნსავით გაშავდება“. ხალხმა დაიწყო თამბაქოს ფურცლების კრეფა და მონევა. ასე გაჩნდა დედამიწაზე თამბაქო (<http://rudocs.exdat.com>).

პოლონური ლეგენდის თანახმად, შერცხვენილმა იუდა ისკარიოტელმა თავი ჩამოიხრჩო ცირცელის ხეზე. იუდას სისხლი მოხვდა მურყანზე (თხმელაზე), ამიტომაც აქვს ამ ხეს მონითალო ფერი. იუდას სიკვდილის შემდეგ მის გვამზე ამოვიდა თამბაქო, ნიორი და ხახვი.

სლავური ლეგენდის თანახმად, იუდამ თავის ჩამოხრჩობა გადაწყვიტა. ის ჯოჯოხეთში მოხვედრას ქრისტეს მკვდრეთით აღდგომამდე ცდილობდა, რომ ქრისტეს, სხვა ცოდვილებთან ერთად, იქიდან გამოეყვანა. მაგრამ დაიგვიანა: მოხვდა დაცარიელებულ ჯოჯოხეთში. ზის იუდა ჯოჯოხეთში სატანასთან ერთად, ხელში უჭირავს ვერცხლით სავსე ქისა, ხოლო მისი სხეულისგან მიწაში იზრდება უწმინდური მცენარე – თამბაქო (Белова, 2000:344-353).

თურქოლოგ ვ. გორდლიევსკის მიერ XX საუკუნის დასაწყისში მცირე აზიაში ჩაინეროვებულ თქმულებაში საუბარია თამბაქოს ეშმაკის ექსკრემენტებისგან წარმოშობის შესახებ (Куландя, 2005:147). სხვა აღმოსავლური ლეგენდის თანახმად, თამბაქო იქ ამოვიდა, სადაც ღმერთისგან შეშინებულმა იბლისმა (ეშმაკმა) უნებლიეთ მოშარდა. გაბრაზებულმა ეშმაკმა განაცხადა, რომ განკითხვის დღემდე აიძულებდა ადამიანებს ელეჭათ ეს ბალახი ისე, რომ მათ არ ეცოდინებოდათ მისი მომაკვდინებელი ძალა (Ortiz, 1947:231).

ოსმალური ლეგენდის მიხედვით, მუჰამედ წინასწარმეტყველი ტყეში გველგესლამ დაკბინა. მან ჭრილობა პირით გამოიწოვა და იქ, სადაც ნერწყვი გადააფურთხა — თამბაქო ამოვიდა (Penn, 1902:232).

აკუტაგავას ნოველაში „თამბაქო და ეშმაკი“ მოჰყავს იაპონური ლეგენდა, რომლის მიხედვით, თამბაქო იაპონიაში ეშმაკმა შემოიტანა. ლეგენდის თანახმად, ეშმაკს მოგზაურობაში თან ახლდა კათოლიკე პატრი, სავარაუდოდ, წმინდა ფრანცისკი (Акутагава, 1974:70).<sup>6</sup>

<sup>6</sup> აღმოსავლეთში გავრცელებული ვერსიის თანახმად, მუსლიმანურ და ბუდისტურ სამყაროში თამბაქოს შემოტანა ქრისტიანული შეთქმულების ნაწილი იყო (Grehan, 2006:1362).

ლეგენდებში თამბაქოს შესახებ ერთი თემაა გამორჩეულად აქცენტირებული: თამბაქო მსუბუქი ყოფაქცევის ქალის საფლავზე, ან გვამზე ამოდის.<sup>7</sup> რუსული ლეგენდის მიხედვით: „იყო მეძავი ქალი, რომელიც გარდაიცვალა და მის საფლავზე ამოვიდა თამბაქო“ (Асанова, 1998). სხვა ლეგენდის თანახმად, თამბაქო ამოვიდა იმ ქალის საფლავზე, რომელიც შემჩნეული იყო ცხოველებთან თანაცხოვრებაში. კიდევ ერთი რუსული ლეგენდის მიხედვით, თამბაქოს ბუჩქი ამოვიდა მეფე ჰეროდეს ქალიშვილის გვამზე, რომელიც ცეკვის სანაცვლოდ მამისგან იოანე ნათლისმცემლის თავს ითხოვდა (Левкиевская, 2000).

გურიაში, ჩოხატაურში, გიორგი ლომთათიძის მიერ ჩანერილი ლეგენდის მიხედვით: „ერთ კაცს ბოზი ქალი უყვარდა. უშლიდნენ მას, მაგრამ მაინც ბოზობდა. ბოლოს აი ქალი მოკტა. მისმა საყვარელმა ძაან მეიწყინა. ერთ დღეს ამ კაცმა მისი საყვარლის სამარხთან მივიდა და ნახა, რომ საფლავზე რაცხა ფართო ფურცლებიანი ბალახი ამოსულა. მოკრიფა ფურცლები, გაახმო, დაშქრა, ჩაყარა ჩიბუხში, მუუკიდა ცეცხლი და დუუნყო სმავი. აი აქნია ბოზი ქალის უზომო სიყვარულმა. ბოლოს მიეჩვია და ველარც კი უიმისობა. მას მერე გაჩენილა თურმე თუთუნი“ (<http://gebi.com>).

რუს ძველმორწმუნეთა ლეგენდის თანახმად: „იყო ორი ძმა: ქრისტე და სატანა. თავიდან ისინი ერთად აწყობდნენ ზეცას, დედამიწას და ცხოვრებას. მოგვიანებით, როგორც ჩვენთან არის ომები, ისევე დაიწყო განხეთქილება მათ შორის. ქრისტეს ჰქონდა საკმეველი, რომელსაც დროდადრო ანთებდა და დედამიწაზე აკმევდა. სატანამ კი ასე უთხრა ქრისტეს: მე თამბაქოს გავავრცელებ და ის ხალხს უფრო შეუყვარდებათო. მართლაც, თამბაქო ჩვენ უფრო შეგვიყვარდა, საკმეველი გვაქვს თუ არა — არც კი ვნუხვართ, თამბაქოს გარეშე კი გვიჭირს“ (Бахтин, Молдавский, 1958:422). თამბაქოზე, როგორც აპოკალიფსის წინაპირობაზე, საუბარია ძველ რუსულ ლეგენდაში: „წარღვნამდე წყალს სვამდნენ, წყალი მოვიდა და წარღვნაც მოხდა. ახლა ყველაფერს ეწევინან: ცეცხლს პირში ინთებენ და ცეცხლიც მოვა“ (Асанова, 1998).

---

<sup>7</sup> მონღოლური ზღაპრის მიხედვით, თამბაქო ამოვიდა და-ძმის სისხლის აღრევის ადგილას (Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, 1904).

### §3. *Nicotiana tabacum* L და *Nicotiana rustica* L



*Nicotiana Tabacum*



*Nicotiana Rustica*

მსოფლიოში თამბაქოს სამოცამდე სახეობა არსებობს, რომელთაგან შვიდი ავსტრალიის, ხოლო დანარჩენი ამერიკის კონტინენტზეა წარმოდგენილი. მიუხედავად სახეობათა ასეთი სიმრავლისა, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად ორი სახეობაა კულტივირებული: მონიტალო/მოვარდისფრო ფურცლოვანი თამბაქო (*Nicotiana Tabacum*) და მოყვითალო ფურცლოვანი წეკო (*Nicotiana Rustica*). პირველის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა, ხოლო მეორე ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული (Billings, 1875).<sup>1</sup>

თამბაქო მგრძნობიარე კულტურაა. ბუნებრივი პირობების ან მოვლის ცვლილებების შედეგად, ის განიცდის არა მარტო გარეგნულ, არამედ შინაგან ცვლილებებსაც, რაც აისახება მოსავლიანობის მაჩვენებელზე. თამბაქოს მოსაყვანად კარგია ზომიერი ტენიანობა (მაგრამ არა ზედმეტად ცხელი კლიმატი), ნოყიერი და დაბალმჟავა ნიადაგი.

თამბაქოს ნორმალური განვითარების ოპტიმალური ტემპერატურა 25-30<sup>0</sup>-ია (15<sup>0</sup>-ზე დაბალ ტემპერატურას თამბაქო ცუდად იტანს, ხოლო 3<sup>0</sup>-ზე ქვემოთ კვდება) (ჯაფარიძე, 1971:419). როგორც აღვნიშნეთ, თამბაქოს მოსაყვანად ყველაზე სასურველი ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატია. კლიმატური პირობების მიხედვით განი-

<sup>1</sup> "Nicotiana tabacum" ნაკლებად ტოქსიკურია, ვიდრე "Nicotiana rustica". ეს უკანასკნელი დაბალი ხარისხის თამბაქო იყო, ამიტომ ევროპელებს (განსაკუთრებით, ფრანგებს) არ მოსწონდათ და მას "amer fort" („მწარე-მაგარი“) შეარქვეს. რუსეთში ეს სახეობა გავრცელდა ჯერ «американский табак» - ის სახელით, შემდეგ მას «мерхорный табак»-ს უწოდებდნენ, ხოლო საბოლოოდ, ყოფით მეტყველებაში დამკვიდრდა «махорка»-ს სახელით. საქართველოში "Nicotiana rustica" უფრო ცნობილი იყო წეკოს სახელით (გრიშაშვილი, 1997).

საზღვრება თამბაქოს თესვის დრო. კუბაში ეს პერიოდი ოქტომბერია, ევროპის სამხრეთით — მარტი-აპრილი, ფლორიდაში — იანვარი (კინწურაშვილი, 2006:9).

"*Nicotiana tabacum*" და "*Nicotiana rustica*" ერთნლიანი მცენარეებია. პირველად რბილი და ტკბილი "*Nicotiana tabacum*" და მწარე და უხეში "*Nicotiana rustica*" ერთმანეთისგან გამოყო ესპანელმა მისიონერმა და ინდიელთა ყოფის ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა ბერნარდინო დე სააგუნმა ნაშრომში „ახალი ესპანეთის ნივთთა საყოველთაო ისტორია“ (Бернардино де-Саагун, 2013).<sup>8</sup> სახეობათა გამიჯვნის დროს მკვლევარი ინდიელთა შეფასებასაც დაეყრდნო, რომლებიც სიმაგრის მიხედვით განასხვავებდნენ თამბაქოს და კონკრეტულ სახეობებს მამაკაცთა და ქალთა თამბაქოს უწოდებდნენ (Heimann, 1960:23).

"*Nicotiana tabacum*" გაჩნდა ბოლივიის ანდეებში, ტიკიტაკის ტბის სანაპიროზე, ველური ჯიშების "*Nicotiana glauca*" და "*Nicotiana glauca*" შებენიანი ფორმების შეჯვარების შედეგად. მომთაბარე ტომებთან ერთად თამბაქომ ბოლივიიდან ჩრდილოეთით გადაინაცვლა და სწრაფად გავრცელდა ბრაზილიასა და კოლუმბიაში, ხოლო შემდეგ — კარიბის აუზის კუნძულებზე (Neimann, 1960:23). კუბაში ის უფრო გვიან გამოჩნდა, მაგრამ აქ საუკეთესო პირობები დახვდა გაშენებისთვის (მოგვიანებით, კუბაში სიგარებისთვის გამოიყვანეს თამბაქოს სპეციალური ჯიში, რომელიც ცნობილია "*Nicotiana Tabacum Habanensis*"-ის სახელით). კოლუმბამდელ პერიოდში თამბაქო გაშენებული იყო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე: კანადის აღმოსავლეთიდან სამხრეთ არგენტინამდე, ატლანტისა და წყნარი ოკეანედან ჩრდილო-აღმოსავლეთით ალუუტის ინდიელებამდე.

თამბაქოს პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ მის კულტივირებას იმ რეგიონებშიც კი ცდილობდნენ, სადაც შედარებით ცივი კლიმატი იყო. უფრო მეტიც, იუროკის ტომის ინდიელები საერთოდ არ მისდევდნენ მინათმოქმედებას, მაგრამ „გარკვეული მოსაზრებით“

<sup>8</sup> ეს ნაშრომი, რომელიც ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის დავალებით დაინერა და XVI საუკუნის აცტეკთა ყოფის გამოკვლევას წარმოადგენს, ასევე ცნობილია „ფლორენტიის კოდექსის“ სახელით. აღსანიშნავია, რომ სააგუნის ეს ნაშრომი ინერებოდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში — 1547-1577 წლებში.

მაინც მოჰყავდათ თამბაქო (Goodmen, 2005:22).<sup>9</sup>

სხვადასხვა კლიმატურ გარემოში თამბაქოს განსხვავებულად მოიხმარდნენ. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელდა თამბაქოს მოწევა ჩიბუხის საშუალებით, ხოლო სამხრეთ ამერიკაში უპირატესობა მიანიჭეს თამბაქოს მოწევას დახვეული ფოთლების სახით. იმავდროულად, ანდების გაუხშობებულ მშრალ ჰაერზე, სადაც მოწევა ძნელი იყო, თამბაქოს ყნოსავდნენ (ბურნუთი), ხოლო ამაზონის ტაობებში მას სითხის სახით ლებულობდნენ (სვამდნენ) (Rapaport, 2007).

ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებით ვგებულობთ, რომ ყველაზე ძველი მეთოდი თამბაქოს მოხმარებისა — ლეჭვა გახლდათ.<sup>10</sup> თამბაქოს ლეჭვის „მოყვარულები“ მცენარის ფოთლებს აყრიდნენ მარილს ან ფერფლს, აძლევდნენ ბურთის ფორმას და იღებდნენ ლოყის უკან, ან ტუჩის ქვეშ. თამბაქოს ლეჭავდნენ როგორც დასვენების უამს, ასევე მაგიური რიტუალის შესრულების დროსაც (Houdalieh, 2008:456).

თამბაქოს ისტორიის მკვლევართა აზრით, თამბაქოს ფურცლის ლეჭვის ტრადიცია დამკვიდრდა იმ მომთაბარე ხალხებში, რომლებიც სისტემატურად გადაადგილდებოდნენ და რომელთათვის ცეცხლის გაჩაღება გარკვეულ პრობლემას წარმოადგენდა (Shechter, 2006:19).

სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილშიც ჩრდილო-დასავლეთის კუნძულების ინდიელები თამბაქოს არ ეწეოდნენ, ისინი თამბაქოს ფურცლებს მეტწილად ლეჭავდნენ. იტალიელი ვაჭარი, მკვლევარი და კარტოგრაფი ამერიგო ვესპუჩი ადასტურებს, რომ 1499 წელს, ვენესუელაზე, კუნძულ მარგარიტაზე, ადგილობრივი „ველურები“ საქონელივით ლეჭავდნენ მისთვის უცნობი მწვანე ფერის მცენარის ფურცლებს (Fraikin, 1981:7; Neimann, 1960:8).

<sup>9</sup> კროუსა და კომანჩის ტომელებს პრინციპულად არ მოჰყავდათ თამბაქო, რადგან მას ღვთიურ მცენარედ მიიჩნევდნენ. მათ სწამდათ, რომ თამბაქოს ფოთლის მომჭრელს თავს ღვთის სამართლიანი რისხვა დაატყდებოდა. მიუხედავად ამისა, ისინი თამბაქოს მოწევას სასარგებლოდ თვლიდნენ, ამიტომ მეზობელ ტომელებს სხვა პროდუქტში უცვლიდნენ (Липс, 1954).

<sup>10</sup> თამბაქოს ლეჭვის (ჭამის) ტრადიცია დასტურდება ინდიელთა ტომებში: ჩუკანსი, გაშოვუ, ტაჩი, ვუკუამი, იაუდანჩი და იაუდელმანი.

ინდიელები თამბაქოს წვენის სახითაც მოიხმარდნენ: თამბაქოს ფურცლებს ხარშავდნენ და ერთხანს წყალში აჩერებდნენ, მიღებულ ნაყენს კი სვამდნენ. ინდიელებში თამბაქოს „დაღვევა“ მიღებული იყო მაგიური რიტუალის შესრულების დროსაც.

თამბაქოს მოხმარების ადრეულ ეტაპზე გავრცელებული იყო პუდრის ფრაქციამდე დაფშვნილი თამბაქოს ფხვნილის ყნოსვა. ასეთი პრაქტიკა მიღებული იყო ამაზონის აუზში, მექსიკისა და პერუს ინდიელებთან (Kell, 1965:100). თამბაქოს ყნოსვა დამახასიათებელი იყო ინკებისათვისაც, რომლებიც საყნოსი თამბაქოს სატარებლად პატარა ზომის გოგრებს იყენებდნენ (Neimann, 1960:8).

ისტორიკოს ალან გეიტლის ცნობით, ზოგ აფრიკულ ტომში თამბაქოს ყნოსვა გამორჩეულობის ნიშნადაც კი ითვლებოდა. მაგალითად, კენიაში ბინადარი მეცხოველეობით ცნობილი მასაის ტომელები, რომლებიც ამაყობდნენ თავიანთი აღნაგობით, მაგრამ რატომღაც ატანა არ ჰქონდათ მეზობლების, სწორედ გამორჩეულობის გამო არ ენეოდნენ თამბაქოს, თუმცა ყნოსავდნენ ბურნუთს. მასაიელები, ინკების მსგავსად, თამბაქოს შესანახად, კისერზე ჩამოსაკიდ ხის ყუთებს ამზადებდნენ და ასე გადაადგილდებოდნენ (Гейтлин, 2005).

დიდი ხნის მანძილზე მკვლევრები ვერ თანხმდებოდნენ იმის თაობაზე, თუ საიდან მოდიოდა თამბაქოს მოწვევის ტრადიცია. ერთნი თვლიდნენ, რომ ის შემოვიდა ამერიკაში იმ კულტურული ოიკუმენებიდან, რომლებიც ცნობილი იყო ევროპელებისათვის ამერიკის აღმოსავლეთით (აზია, აფრიკა) (Lindblom 1947), სხვები კი იზიარებდნენ ვერსიას, რომ თამბაქოს მოწვევა (მათ შორის — ჩიბუხებით) ამერიკელი ინდიელების „გამოგონება“ გახლდათ (Липс, 1954).

თამბაქოს მოწვევის თაობაზე არაფერია ნათქვამი ძველ ბერძნულ და ლათინურ წყაროებში, თუმცა ზოგი მეცნიერი „ასაბუთებდა“, რომ რომაელები აქტიურად მოიხმარდნენ თამბაქოს (Corti, 1932:25).

ფრანგი მკვლევარი ჯერომე კარკოპინო 1968 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც საფრანგეთსა და ესპანეთში აღმოჩენილ თიხის ჩიბუხებს ეხებოდა, ამტკიცებდა ჩიბუხების რომაულ წარმომავლო-

ბას და მხარს უჭერდა ვერსიას ჯერ კიდევ რომაულ ხანაში თამბაქოს მოხმარების შესახებ (Carcopino, 1968:9-18). მკვლევარი მიუთითებდა, რომ ჩიბუხები დაფიქსირებული იყო რომაულ ფენაში, და მეტი დამაჯერებლობითვის, ხაზს უსვამდა ჩიბუხების ვიზუალურ მსგავსებას რომაულ საყოფაცხოვრებო კერამიკასთან.<sup>11</sup> არქეოლოგიური მასალის შემდგომმა ანალიზმა დაადასტურა, რომ კარკოპინოს მიერ რომაულად მიჩნეული ჩიბუხები, არც მეტი, არც ნაკლები, XVIII საუკუნის ესპანური და თურქული ნაკეთობანი იყო (Hayes, 1980:3).

ჯოვანი კარკოპინოს მსგავსად, თამბაქოს, როგორც მოსაწევი საშუალების, „დაძველების“ სურვილი უფრო ადრე და მოგვიანებითაც არაერთ ევროპელ მეცნიერს თუ მოგზაურს გაუჩნდა.


თამბაქოს ისტორიის მკვლევარი ჯეიმს ლივიც კი აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რომაელები აშენებდნენ ანტონიუსის კედელს, სამხრეთ მექსიკის აბორიგენი მოსახლეობა ეწეოდა პალმისა და სიმინდის ფურცლებში გახვეულ თამბაქოს (Leavey, 1996:52-54).<sup>12</sup>

მოგზაური ლეიტენანტი უოპოლი აცხადებდა, რომ ძველ არაბულ ხელნაწერში, რომელსაც მან ქალაქ მოსულში (ერაყი) სტუმრობისას მიაკვლია, გარკვევით ეწერა, რომ ბაბილონის სამეფოს დამაარსებელი

<sup>11</sup> ჩიბუხების აღმოსავლური ვარიანტები ძალიან ჩამოგავს რომაულ სასადილო "Terra Sigillata"-ს ტიპის კერამიკას. ზოგჯერ სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური მასალა ერთ დონეზეა განთავსებული, რაც ადრეული ფენის მოგვიანო ეპოქაში ხელოვნურად ჩაჭრის შედეგად ხდება. ბულგარეთის ტერიტორიაზე მრავალფენიანი ძეგლების გათხრების დროს მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით, პროფესორი მაგდალენა სტანჩევა მიუთითებს ციხესიმაგრეებში ოსმალთა მიერ სანაგვე ორმოების ამოთხრის პრაქტიკის შესახებ. ორმოებში მოხმარებული კვების პროდუქტის ნარჩენებთან ერთად იყრებოდა დაზიანებული ჭურჭელი, ასევე, თიხის ჩიბუხებიც. სწორედ ასეთი გზით ოსმალური მასალა ხშირად რომაული ხანის კერამიკის განთავსების დონეზე ხვდებოდა (Станчева, 1972:81). საბჭოთა არქეოლოგიურ ლიტერატურაშიც შეიძლება დავიმომოთ ნაშრომები, სადაც სტრატოგრაფიული შეცდომის გამო ჩიბუხები (თანხლები მასალით) დათარიღებულია უფრო ადრეული პერიოდით, კერძოდ, VIII-XIII და XIV საუკუნეებით (Кудрявцев, 1977:74-103; Исмишзаде, 1966: 281-282; Гаринян, 1970:17 და სხვ.).

<sup>12</sup> ისტორიკოსთა აზრით, ეს ინფორმაცია უფრო ჯეიმს ლივის ფანტაზიის ნაყოფია, რადგან ამ ფაქტს მატერიალური დასაბუთება არ ეძებნება.

ნებროთი თამბაქოს მწვეელი იყო. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ეს ხელნაწერი XVII საუკუნეში იყო შესრულებული (Penn, 1902:18).



1659 წელს, დოქტორი იეტსი ამტკიცებდა, რომ ძველევგვიპტურ საფლავის ქვაზე თამბაქოს მწვეელი მამაკაცები იყვნენ გამოსახულნი. რელიეფის შემდგომი ანალიზით დადასტურდა, რომ ე.წ. თამბაქოს „მწვეელი მამაკაცები“ უბრალოდ „მინამბერები“ იყვნენ.

ნიკოტინის კვალი დაფიქსირდა ეგვიპტური მუმების თმის ანალიზის დროს. რადგან ფარაონების ხანის ეგვიპტეში თამბაქოს გაშენების კვალი ჯერჯერობით არ დასტურდება, ეს აღმოჩენა შესაძლოა მიუთითებდეს ადრეულ ეპოქაში კონტინენტებს შორის გარკვეული ფორმის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე. ეგვიპტოლოგები ვარაუდობენ, რომ ნიკოტინის შემცველი მცენარეები გამოიყენებოდა ბალზამირების პროცესში მუმის სახვევების ანტისეპტიკური ხსნარის დასამზადებლად, ან დასაკრძალი ოთახის დამუშავებისთვის (Buckland, Panagiotakopul, 2001:549). თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელებიც აცხადებდა, რომ თამბაქოს მოსაწევი ჩიბუხები ჩაშენებულები ნახა მუჰამედ წინასწარმეტყველის დროს (დაახლოებით ახ.წ. 570/571-632 წწ.) აგებული შენობის კედელში. მეტი დამაჯერებლობისათვის, ჩელები მიუთითებდა, რომ აღნიშნულ ჩიბუხებს „თამბაქოს სუნი ასდიოდა“ (Penn, 1902:18,19).

XV საუკუნის ჩათვლით, ამერიკასთან უშუალო კონტაქტამდე, ევროპაში არ დასტურდება თამბაქოს მოწევის ტრადიცია. უფრო მეტიც, ადრეულ ეპოქაში არც კონცეპტი „მოწევა“ არსებობდა. თამბაქოსთან მიმართებით უფრო გავრცელებული იყო ტერმინები „დალევა“, „სმა“ (Vince, Peacey, 2006:12),<sup>13</sup> რაც, შესაძლოა, განპირობებული იყო

<sup>13</sup> რუსული წყაროებიდან: «В Тобольску и в иных сибирских городах и острогах приезжие и тутошние Сибирские служилые и всяких чинов люди покупали меж себя и пили табак» (Малинин, 2007); ინგლისური წყაროებიდან: "The Indian weed withered quite, green at morn, cut down at night, shows thy decay; all flesh is hay:thus think, then drink tobacco" (Collings, 1927:192). ქართული წყაროებიდან: „მამ თუთუნიც მასვი ერთი მოწევა, ჩემო ბესო“ (მგალობლიშვილი, 1982: 62).

იმ გარემოებით, რომ ზოგ რეგიონში, თამბაქოს ჩიბუხით ან დახვეული ფურცლების სახით მოწევაზე უფრო ადრე, გავრცელებული იყო წყლისფილტრიანი ყალიონით მოწევა. ტერმინი „დალევა“ მოგვიანებით ჩაანაცვლა ტერმინებმა „მოწევა“, „გაბოლება“. ევროპაში გამოთქმა „თამბაქოს დალევა“ დასტურდება XVII საუკუნემდე, ეგვიპტეში, ინდოეთსა და ბალკანეთში თამბაქოს მოწევას ასე მოიხსენიებდნენ XIX საუკუნის ჩათვლით (Penn, 1902:18; Fotić, 2011:96). ევლია ჩელეები „მოგზაურობის წიგნში“ წერს: „ყირიმელი თათრები სიამოვნებით ენაფებიან თამბაქოს, მოწევის დროს ისინი ბოლს არ უშვებენ, მხოლოდ ისუნთქავენ დიდი გატაცებით, თან ამბობენ: დავთვერით“ (Зайцев, 2011:16). ნივხები და აინები თამბაქოს მოწევას აღიქვამდნენ, როგორც საკვების ან სასმელის მიღებას და ამიტომ ამბობდნენ: „შევსვათ თამბაქო“ (Воронина, 2009:169). მკვლევართა აზრით, მოწევის შესატყვისი ზმნა „დალევა“ წარმოადგენს კალკირებას თურქული "içmek" (დალევა) "tütün içmek" (კვამლის დალევა). ჩერქეზთა მეტყველებაშიც თამბაქოს მოწევა „დალევადა“ («тутынעהи») მოიხსენიება (Жемухов, 2011). თამბაქოს მოწევას დღესაც „თამბაქოს დალევას“ უწოდებენ ალბანელებიც ("pij duhan") (Петрова, 2000:427) და ჩინელები (Ernst, 1889:141). ნიკოლაი კოსტომაროვის ცნობით, რუსეთში ადრე თამბაქოს ეწეოდნენ არა ტრადიციული ჩიბუხით, არამედ ძროხის რქით, რომელშიც თამბაქოსთან ერთად წყალს ასხამდნენ. რუს მკვლევართა აზრით, სავარაუდოდ, სწორედ აქედან დამკვიდრდა რუსეთში გამოთქმა „თამბაქოს დალევა“ (Богданов, 2011).<sup>14</sup>



ევროპელების მიერ თამბაქოს კულტურის გაცნობა ქრისტეფორე კოლუმბის სახელს უკავშირდება. 1492 წელს კუნძულ გუანაჰანზე, რომელსაც კოლუმბმა მოგვიანებით სანსალვადორი („წმიდა მაცხოვარი“) უწოდა, ადგილობრივმა ინდიელებმა კოლუმბს მოწინებით მიართვეს მისთვის მანამდე უცნობი მწვანე ფერის მცენარის გამომშრალი ფურცლები, რომლის მიმართ ლეგენდარულმა

<sup>14</sup> რუსეთში თამბაქოს „მსმელებს“ დამამცირებელი სახელებით «пропойцы» და «питухи» მოიხსენიებდნენ (Пусь, Ещенко, 2008).

მოგზაურმა მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოიჩინა და ინდიელთა „ძვირფასი ძღვენი“ გემბანიდან მოისროლა (Gately, 2001:23).<sup>15</sup>

ინდიელების მორთმეული თამბაქოს ფურცლები, ალბათ, ყველას დაავიწყდებოდა, რომ არა მეზღვაურები — როდრიგო დე ხერესი და ლუის დე ტორესი, რომლებიც კუნძულ კუბაზე მოწმენი გახდნენ, თუ როგორ ახვევდნენ ადგილობრივი ინდიელები თამბაქოს ფოთლებს და ცეცხლის მოკიდების შემდეგ როგორ უშვებდნენ კვამლს ცხვირის ნესტოებიდან (Vihlene, 2008:17; Heimann, 1960:6). სწორედ კოლუმბის ხომალდის „სანტა მარიას“ მეზღვაური როდრიგო დე ხერესი გახლდათ პირველი ევროპელი, რომელიც სამშობლოში, ესპანეთის ქალაქ აიამონტეში დაბრუნების შემდეგ, ალბათ, თანამემამულეების „განათლების“ მიზნით, თამბაქოს ხალხთა თავშეყრის ადგილებში ეწეოდა, რისთვისაც ეკლესიის „სამართლიანი“ რისხვა დაიმსახურა. თამბაქოს მოწვევის ნოვატორს, სამაგალითოდ და სხვისთვის ჭკუის სასწავლებლად, ფორმალურად კი ხალხის გონების დაბინდვის მცდელობის ეშმაკისეული სურვილის ბრალდებით, სამი წლით დილეგში მიუჩინეს ადგილი (Fraikin, 1981:7).<sup>16</sup>

1518 წელს, ესპანელი კონკისტადორი ხუან დე გრიხალვა, ბიძის, კოლუმბის მეორე ექსპედიციის წევრის, დიეგო ველასკეს კუელიარის დავალებით, ჩადის იუტაკანში და მოწმე ხდება, თუ როგორ ეწევიან ინდიელები თამბაქოს (McGuire, 1899:369; Heimann, 1960:27).<sup>17</sup>

<sup>15</sup> კოლუმბის გემის ჟურნალში ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „ინდიელებს — კაცსაც და ქალსაც, ხელში ეკავა ცეცხლმოკიდებული რომელიღაც ბალახის მცირე ზომის ხვეული ფურცლები, რომლის არომატს დროდადრო შეისუნთქავდნენ ადგილობრივი წესის მიხედვით“ (Burns, 2007:18).

<sup>16</sup> მიუხედავად საჩვენებელი დასჯისა, ესპანეთში, სულ მცირე ხანში, თამბაქო, განსაკუთრებით, მოსახლეობის დაბალ ფენებში, საკმაოდ პოპულარული გახდა. როდრიგო დე ხერესის გაკვირვებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც საპრობილედან გამოსვლის შემდეგ დაინახა, რომ უკლებლივ ყველა, ვინც მას მშობლიურ ქალაქ აიამონტეში თამბაქოს მოწვევისათვის სასტიკად კიცხავდა და ამუნათებდა — ურცხვად თამბაქოს ეწეოდა (Gabb, 1990).

<sup>17</sup> კონკისტადორმა ხუან დე გრიხალვამ ვერ გამოახა საერთო ენა ინდიელებთან, რადგან უარი განაცხადა თამბაქოს ფურცლების საჩუქრად მიღებაზე, რითაც აბორიგენი მოსახლეობის გულსწყრომა დაიმსახურა (Гейтли, 2005).



კარიბის ზღვის კუნძულ ესპანიოლას სამხედრო გუბერნატორის გონზალო ფერნანდეს დე ოვიედო ვალდესის (1515-1556 წწ.) ცნობით, ადგილობრივი ინდიელები თამბაქოს მოსაწევად Y ფორმის ჩიბუხის გაშლილ ბოლოებს ცხვირის ნესტოებში იყრიდნენ და კვამლს ასე შეისუნთქავდნენ (Billings, 1875:18; Emst, 1889: 133).<sup>18</sup> თამბაქოს მოწვევის მსგავსი მეთოდი აღწერა თავის ქრონიკებში რომანო პანემ, რომელიც უშუალოდ რომის პაპის დავალებით ახლდა კოლუმბს მეორე ექსპედიციაში (Fraikin, 1981:7).<sup>19</sup>

კონკისტადორი ხუან პონსე დე ლეონი, რომელმაც 1513 წელს აღმოაჩინა ფლორიდა, აღნიშნავდა, რომ იქ დიდიც და პატარაც თამბაქოს შეხვეულ ფურცლებს ეწეოდა (Авадьяева, Зданович, 2000). 1521 წელს, მსგავსი სურათის მომსწრენი გახდნენ კონკისტადორ ერნან კორტესის მხლებლები მექსიკაში, თუმცა, განსხვავებით ფლორიდელებისგან, მექსიკელები „გურმანები“ იყვნენ და თამბაქოს სხვადასხვა სხვა სურნელოვან ბალახებს ურევდნენ (Богданов, 2007:7).

1514 წლით დათარიღებულ ჩანაწერებში, ჩიაპის ეპისკოპოსი (დომენიკანთა ორდენის წევრი), ინდიელთა უფლებების დამცველი და ახალი სამყაროს ისტორიკოსი ბართლომეო დელას კაზასი, რომელიც, ამავე დროს, კოლუმბის გემის ჟურნალის ჩანაწერების რედაქტორიც გახლდათ,<sup>20</sup> დაწვრილებით აღწერს კუბის ინდიელთა მაგიურ რიტუალს:

<sup>18</sup> ჯ. ფრაიკინი თვლის, რომ ეს ოვიედოს ინტერპრეტაციაა, რადგან იმ ჩიბუხით, რომელიც პანეს ნაშრომში გრაფიკულადაა მოტანილი, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ჩიბუხის ბოლოების ცხვირის ნესტოებზე მორგება. რაც შეეხება მცენარის სახეობას, ფრაიკინის აზრით, ოვიედოს აღწერა უფრო მიესადაგება "piptadenia"-ს ჯგუფის მცენარეს, ვიდრე თამბაქოს (Fraikin, 1981:8).

<sup>19</sup> მკვლევართა აზრით, რომანო პანემ, რომელმაც 1518 წელს თამბაქოს თესლი გაუგზავნა ესპანეთის მეფე კარლ V-ს, ფაქტობრივად, სათავე დაუდო ევროპაში თამბაქოს გაშენებას (Burgen, 2005:577-589).

<sup>20</sup> ქრისტეფორე კოლუმბის პირველი მოგზაურობის გემის ჟურნალი დაიკარგა. ბართლომეო დელას კაზასის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჟურნალი ნაწილობრივ აღადგინა, თან საინტერესო კომენტარებიც დაურთო.


„კუბაში უხუცესი პირველი შეისუნთქავს „კოჰობას“ (თამბაქოს), შემდეგ წარმოთქვამს რალაც სიტყვებს, ალბათ, იქაური ღმერთის მისამართით. იქ დამსწრე ხალხი პასუხობს ისე, როგორც ჩვენ ლოცვის დროს ვამბობთ: „ამინ“ (Kell, 1965:101). ბართლომეო დე ლას კაზასი ასევე დაწვრილებით საუბრობს მექსიკელ ინდიელებში თამბაქოს მონევის ტრადიციაზე: „ინდიელებს ერთი მცენარე აქვთ, რომლის წვისგან გამოყოფილ კვამლს დიდი სიამოვნებით ისუნთქავენ. მცენარის გამომშრალ და დახვეულ ფოთლებს ერთი ბოლოდან ცეცხლს უკიდებენ, მეორე ბოლოდან კი კვამლს შეინოვენ თუ შეისრუტავენ, რაც მთელი სხეულის მოდუნებას იწვევს. ყოველივე კი შემდგომ თრობაში გადადის. მათი მტკიცებით, ისინი ამ დროს დალლასაც კი არ გრძნობენ“ (Burns, 2007:18). კაზასი ერთგვარი გულისტკივილითაც კი აღნიშნავს, რომ თამბაქოს მწველ ინდიელებს მიმბაძველები მის თანამემამულეებშიც გამოუჩნდა: „მე ვიცნობ ესპანელებს, რომლებიც ბაძავდნენ ინდიელებს ამ ჩვეულებაში. როდესაც მე მათ შენიშვნა მივეცი ამ ველური საქციელისთვის, მათ მიპასუხეს, რომ აღარ ძალუძთ ამ ჩვევისთვის თავის დანებება. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მეზღვაურები ძალზე გააკვირვა ველურთა ქცევამ, მათ მაინც ჩაიტარეს ექსპერიმენტი საკუთარ თავზე და იმდენად დიდი სიამოვნება მიიღეს, რომ დაიწყეს მათი მიბაძვა“ (Lewin, 1931:288).<sup>21</sup> მეზღვაურთა ასეთი საქციელი გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ეს უკანასკნელნი, ზღვაოსნობის დროს, როგორც წესი, სხვებზე უფრო მონდომებით ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევ გონების დამბანგველ თუ ტკივილის გამაყუჩებელ ახალ-ახალ საშუალებებს (Kell, 1965:101).<sup>22</sup>

---

<sup>21</sup> ეპისკოპოს ბარნაბა ბელიაევის სიტყვებით: „სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დემონებმა, რომლებიც ინდიელებს თამბაქოს რიტუალური მონევის დროს ეწურჩულებოდნენ, ნააქეხეს მეზღვაურები გაეცნოთ ევროპელებისთვის ეს „ახალი სიამოვნება“. სწორედ დემონების ნაქეხებით მთელ ევროპასა და აზიაში დაიწყო თამბაქოს საყოველთაო ციებ-ცხელება. საერო და საეკლესიო ხელისუფლების ყველა ცდა, რომ აღეკვეთათ ეს ბოროტება, უშედეგო აღმოჩნდა“ (<http://rocor-library.info/books/vamava/2-tom-text.htm>).

<sup>22</sup> ანთროპოლოგ კარლოს კასტანედას აზრით, ევროპელები, რომლებიც ამერიკის კონტინენტზე ხვდებოდნენ, მეტწილად არაკანონმორჩილი ადამიანები იყვნენ. ამ ხალხს, რომლებიც მხოლოდ იარაღის ძალას აღიარებდნენ, ესპანეთის (მოგვიანებით, ინგლისის) სამეფო კარი გადაისროდა ხოლმე ახალი ქვეყნების „დასაპყრობად“, რომ ზედმეტი ხარჯი არ გაეღო ამ საეჭვო პირთა დაპატიმრებაზე, ციხეში შენახვაზე, ან კიდევ ჯალათის გასამრჯელოზე. მკვლევრის აზრით,

ბრეტონელ მეზღვაურს ჟაკ კარტიეს, რომელიც 1534 წელს ეწვია ახალ სამყაროს, დღევანდელი კანადის მიწაზე მცხოვრებმა იროკეზებმა ჩიბუხის მოწვევა შესთავაზეს. როგორც ჩანს, ჩიბუხის მოწვევის შემდეგ კარტიე დაინტერესდა თამბაქოს მოყვანა-მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხებით და ასეთი ჩანაწერი დაგვიტოვა: „აქ ხარობს მცენარე, რომლის წლის მარაგს ზაფხულში ამზადებენ. მას მოიხმარენ მხოლოდ მამაკაცები. ისინი ფურცლებს თავიდან აშრობენ მზეზე, შემდეგ ცხოველის ტყავისგან შეკერილი პატარა ტომრებით ყელსაბამივით ატარებენ ქვისა და ხის ჩიბუხთან ერთად: როდესაც სჭირდებათ, გამხმარ ფურცლებს ფხვნილივით ფშენიან, შემდეგ ჩი-



ბუხის ერთ ბოლოში ტენიან და ცეცხლს უკიდებენ. შემდეგ მეორე ბოლოდან მოქაჩავენ ჩიბუხს და სხეულს ივსებენ კვამლით მანამ, სანამ ის პირიდან და ცხვირის ნესტოებიდან საკვამურივით არ გამოვა. ისინი ამბობენ, რომ ჩიბუხის მოწვევა მათ უნარჩუნებთ სითბოს და ჯანმრთელობას“ (Gemet, 1988:21).

ერთ-ერთი უძველესი ცნობა, სადაც საუბარია სამხრეთ ამერიკელ ინდიელთა ტომებში თამბაქოს მოწვევის ტრადიციაზე, ეკუთვნის ესპანელ იეზუიტ მისიონერს ხოსე დე აკოსტას, რომელმაც პერუში მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა თავის ერთ-ერთ ნაშრომში: "De Natura Novi Orbis Libri duo et de Promulgatione Evangelii apud Barbaros (Salamanca, 1588-1589)".<sup>23</sup>

ხოსე აკოსტას ნაშრომიდან ვგებულობთ, რომ თამბაქოს მოწვევა სამხრეთ ამერიკის ინდიელებში დიალოგის პროცესის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა („მშვიდობის ჩიბუხი“). ინდიელთა რწმენით, თამბაქოს მოწვევა აგრესიას აქრობდა და მოქიშპე მხარეებს შორის

სწორედ ისინი იყვნენ თამბაქოს პირველი შემომტანები და გამავრცელებლები ევროპაში (Игошев, 2000).

<sup>23</sup> ინდიელების მიერ თამბაქოს მოხმარების შესახებ მოგვითხრობს ხოსე დე აკოსტა სხვა ნაშრომშიც "Historia natural y moral de las Indias" (1590).

მტრობის დასრულებას უზრუნველყოფდა (Кулиева, 2012:59).<sup>24</sup>



1535 წელს სახელი "tobacco" პირველად მოიხსენია ესპანელმა მწერალმა ხუან ვალდესმა ნაშრომში "Diálogo de la lengua". 1570 წელს, ევროპაში პირველად, ფლორიდის კოლონიზაციის მონაწილე ფრანგმა მხატვარმა ჟაკ ლე მუან დე მორგმა გრაფიკულად აღბეჭდა თამბაქოს მწვევლი ინდიელები. 1576 წელს დაბეჭდილ სამკურნალო და საკვები მცენარეებისადმი მიძღვნილ წიგნში "Nova stirpium adversaria" არის მინიშნება თამბაქოზე, როგორც მოსანევ საშუალებაზე.<sup>25</sup> რაც შეეხება თამბაქოს

სახელების "tobacco" და სხვათა წარმომავლობას, ამის თაობაზე მკვლევართა შორის დღესაც გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს (Charlton, 2004:292; Ernst, 1889:133-142).

ერთ-ერთი ვერსიით, სახელი "tobacco" ასოცირდება კუნძულ ტობაგოსთან, რომელიც კოლუმბმა აღმოაჩინა. ამ ვერსიის მონინაალმდეგეები აღნიშნავენ, რომ კუნძულ ტობაგოს კოლუმბმა მხოლოდ მესამე ექსპედიციის დროს (1497 წ.) მიაღწია, მაშინ, როდესაც თამბაქოს ფურცლები მას პირველი ექსპედიციის დროს (1492 წ.) მიაერთვეს.

<sup>24</sup> ინდიელთა ლეგენდის თანახმად, ღმერთმა მანიტუმ ხალხს ურჩია, რომ მშვიდობის დასამყარებლად, მტრებთან ერთად მოენიათ თამბაქო (Кулиева, 2012:59). როდესაც ინდიელი დათვის მოკლავდა, ის ცხოველთა სულებთან ე.წ. „სამშვიდობო“ რიტუალს ასრულებდა: ხის ნაგრძელელებული მილის ერთ ბოლოს დათვის პირში ჩაუდებდა, ხოლო მეორე ბოლოდან მისკენ თამბაქოს კვამლს მიმართავდა. ამით ცხოველთა სულებს დათვის მოკვლისთვის ერთგვარ პატიებას თხოვდა და მომავალი წარმატებული ნადირობისთვის საფუძველს იმზადებდა (Rapaport, 2007). მსგავს რიტუალს ასრულებდნენ ლაბრადორის ტომის ინდიელები: ისინი ჩიბუხებით კვამლს უშვებდნენ მოკლული დათვის გარშემო (Липс, 1954).

<sup>25</sup> თამბაქოს გავრცელების მასშტაბის ზრდის მიუხედავად, XVI საუკუნეში თამბაქოს მოწვევის „წესი“ ევროპელთა დიდი ნაწილისთვის მაინც უცნობი იყო. თანამედროვეთა ცნობით, ევროპელ წიგნის გრავიორ-ოსტატებს, რომლებიც, როგორც წესი, მცენარეებს ნატურიდან ხატავდნენ, თამბაქოს მოწვევის პროცესის გადმოსაცემად დიდი ფანტაზიის მოხმობა სჭირდებოდათ (Гейтли, 2005).

რომანო პანეს ცნობით, ინდიელები "tobaco"-ს უწოდებდნენ ჩიბუხს, თამბაქოს კი "cohoba"-ს (Billings, 1875). გონზალო ოვიდეო წერს, რომ ინდიელები ჩიბუხს უწოდებენ "tahaco"-ს (Chatto, 2013), "taboca"-ს — თამბაქოს წვისაგან გამოყოფილ კვამლს, ხოლო "tobaccos" — ლერწმის გრძელ ღეროებს, რომლითაც ცხვირის ნესტოებიდან შეისუნთქავდნენ თამბაქოს ბოლს (სურათი - გვ.41) (Rapaport, 2007; Малинин, 2007). ბართლომეო დე ლას კაზასი პირიქით მიუთითებს, რომ კუნძულ კუბის აბორიგენი მოსახლეობა, მათ შორის, კარიბის ზღვის არავაკის ინდიელები, "tobaco"-ს უწოდებდნენ არა ჩიბუხს და თამბაქოს ზოგადად, არამედ თამბაქოს გამომშრალი ფურცლების ერთგვარ ხვეულს (თანამედროვე სიგარის წინაპარს), ხოლო თამბაქოს ის მოიხსენიებს "cohoba"-ს სახელით (Burns, 2007:18). ჰაიტისა და კისკეიას ტომის ინდიელებში დაფუძნული თამბაქო ცნობილი იყო „კოიბას“ სახელით. იულის, მარტინეკის, გვადელუპის და ოიამპოს აბორიგენები თამბაქოს უწოდებენ „პეტუნს“, გუარანელები „კუმპაის“,<sup>26</sup> აცტეკები კი „პისიეტლს“ (Stewart, 1967:233). ერთ-ერთი ვერსიით, თამბაქოს სახელი უკავშირდება კუბელთა მეტყველებაში დამკვიდრებულ სიტყვას "dattukupa" („ჩვენ ვენევით“) (Гейтши, 2005).

ჯიროლამო ბენზონი, რომელიც 1541- 55 წლებში მექსიკაში ცხოვრობდა, აღნიშნავს, რომ ადგილობრივები თამბაქოს "tabaco"-ს უწოდებენ (Murray, 1876:13; Burns, 2006:38). ფრენსის დრეიკის ცნობით, ვირჯინიელები თამბაქოს უწოდებენ "tobah" (Billings, 1875). გერმანელი ორიენტალისტი ადამ ოლეარიუსი სპარსულ დღიურებში თამბაქოს მოიხსენიებს „ტანბაკუს“ სახელით (Mathee, 2000: 753).

ფრანგი მისიონერი და განმანათლებელი ანდრე ტევე,<sup>27</sup> რომელმაც 1556 წელს სამხრეთ ამერიკიდან ჩამოიტანა თამბაქოს თესლი, ინდი-

<sup>26</sup> გუარანის ტომელები "taboca" - უწოდებდნენ ბამბუკის მცენარეს, რომლისგან, სავარაუდოდ, ამზადებდნენ კვამლის საქაჩ ღეროებს (Ernst, 1889:134-135).

<sup>27</sup> ზოგი მკვლევრის აზრით, პირველობა თამბაქოს პოპულარიზაციის საქმეში ანდრე ტევეს ეკუთვნის, რომელიც კატეგორიულად არ იზიარებდა ვერსიას, რომ ინდიელები თამბაქოს მხოლოდ სამკურნალოდ იყენებდნენ (Kell, 1965:104). მიუხედავად განუვლი საქმიანობისა, ანდრე ტევეს შრომა მხოლოდ იმით დაფასდა, რომ მას სამეფო კარის კოსმოგრაფის ნოდება მიანიჭეს, რითაც ხაზი გაუსვეს მის ღვაწლს ახალი მიწების შესწავლის კუთხით (Thoreau's Journal, 1857).

ელთა იულის ტომის მსგავსად, თამბაქოს უწოდებდა "Petun"-ს (Gernet, 1988:24).<sup>28</sup> ფრანგი ადმირალი გასპარ კოლინი 1555 წელს ბრაზილიაში ექსპედიციის დროს მოწმე გახდა, თუ როგორ შეისუნთქავდნენ ტოპინამბუს ტომის ინდიელები რომელიღაც მცენარის წვესგან მიღებულ კვამლს. გასპარ კოლინი მიუთითებს, რომ ამ ბალახს ბრაზილიაში, პარაგვაელი ინდიელების (გუარანის ტომი) მსგავსად, „პეტუნს“ ("petun") უწოდებდნენ.

ქათიბ ჩელების ცნობით, ინგლისელები თამბაქოს მოიხსენიებდნენ "tabac"-ის სახელით (Bakla, 1985). თომას ჰარიოტი, რომელმაც 1585 წელს იმოგზაურა ამერიკის კონტინენტზე და ინგლისელებიდან პირველმა აღწერა ინდიელთა თამბაქოს მოწვევის რიტუალი, წერს, რომ ვირჯინიის ინდიელები თამბაქოს "uppowoc"-ს უწოდებენ (Stewart, 1967:233).<sup>29</sup> უილიამ პენი მიუთითებს, რომ ამერიკის კონტინენტზე თამბაქოს იცნობდნენ "yoli" და "piecelt"-ის სახელით (Penn, 1902:3,8).

ეტიმოლოგი ხუან კორომინასი ხაზს უსვამს "tabaco"-ს არაბულ წარმომავლობას. მისი მტკიცებით, სახელები "tabacco" და "atabaca" გამოიყენებოდა ესპანეთში ჯერ კიდევ ამერიკის აღმოჩენამდე და ასე მოიხსენიებდნენ საძინებელი ეფექტის ბალახებს. პერუს, ბრაზილიის და ეკვადორის რეგიონებში თამბაქოს სხვადასხვა სახელით — pagári-mulé, lukux-ri, a'-li, mu-lu' kherm'-ba, dé-oo-wé — იცნობდნენ.

ბალკანეთის სლავური მოსახლეობა თამბაქოს მოიხსენიებდა "duvan/duhan/tutun" სახელით. "tutun"-ის სახელით გავრცელდა თამბაქო ბულგარეთში, რუმინეთში, მაკედონიასა და მოლდავეთში, პოლონეთში მას "tytoń"/"tutun"-ს (Olbromska, 2006:28), ბელორუსიაში «тытунь»-ს უწოდებდნენ. ბალკანეთის ჩრდილო რეგიონებში თამბაქოს იცნობდნენ "tabac"-ის სახელით (Fotić, 2011:91). იტალიელი თამბაქოს მოიხსენიებდნენ "tabauco"-ს, უნგრეთში "duhan"-ის სახელით. არაბულ სამყაროში თამბაქოს ლოკალური სახელი იყო "tittun"/"dokhân" (Bouzigard, 2010:17). ირანში თამბაქოს უწოდებდნენ "tabḡ/tobuḡ". იაპონიაში

<sup>28</sup> "petun" თამბაქოს ბრაზილიურ-პორტუგალიური სახელია (Mathee, 2000:753).

<sup>29</sup> თომას ჰარიოტი იყო პირველი ევროპელი, რომელიც 1621 წელს გარდაიცვალა თამბაქოს წვესიდან განვითარებული ფილტვის კიბოთი (Clusas, 2009).

თამბაქოს სახელია "tabako", მალაიზიაში "tambacco" (Penn, 1902:40), თურქეთში გავრცელებულია "tütün"-ის სახელი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თამბაქოს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: ქართლურად — თამაქო; კახურად — თამბაქო; მოხევეურად, ჯავახურად — თუთუნი; ინგილოურად — თამბაქუდ; ქანურად, მეგრულად — თუთუმი; სვანურად — თუთვინ, თუთუნ (მაყაშვილი, 1961:8; ანდრონიკაშვილი, 1996:206).

ეტიმოლოგიური მიმოხილვის დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ ევროპაში თამბაქოს კულტივირებულ სახეობებსაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ. სამეცნიერო ცნობარებში ყველაზე გავრცელებული სახელების "Nicotiana tabacum" და "Nicotiana rustica" დამკვიდრება კი XVI საუკუნის ფრანგი დიპლომატისა და სწავლულის ჟან ნიკო დე ვილემანის სახელს უკავშირდება.<sup>30</sup>



ჟან ნიკოს საქმიანობა, როგორც დიპლომატის, შეიძლება დიდი "გამარჯვებებით" არ მოიხსენიება, მაგრამ, როგორც მოვლენების შედგომმა განვითარებამ ცხადყო, ფრიად წარმატებული გამოდგა ჟან ნიკოს მოღვაწეობა თამბაქოს კულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

1559 წელს, ჟან ნიკო მივლინებული იყო ქალაქ ლისაბონში პორტუგალიის მეფის 6 წლის ვაჟის სებასტიანის (რომელიც მეფე გახდა 1577 წელს 3 წლის ასაკში) და საფრანგეთის მეფის 5 წლის ქალიშვილის მარგარიტა ვალუას ქორწინების საკითხის მოსაგვარებლად. როგორც ჩანს, ნიკომ ეს დავალება ჯეროვნად ვერ შეასრულა. მაგრამ, ლისაბონში ყოფნისას, ჟან ნიკომ მეგობრის, პორტუგალიის მეფის არქივარიუსის, ბოტანიკოს დამიანო დე გიოსისგან შეიტყო თამბაქოს გამორჩეული სამკურნალო თვისებების შესახებ (Burns, 2007:29).

<sup>30</sup> ჟან ნიკო ჰენრი II-ს დროს გახლდათ საფრანგეთის ელჩი პორტუგალიაში 1559-1561 წლებში. ნიკო სამეცნიერო საქმიანობითაც იყო დაკავებული. კერძოდ, 1606 წელს, მან გამოსცა ფრანგული ენის პირველი ლექსიკონი ("Thresor de la langue françoise, tant ancienne que moderne").

ჟან ნიკომ, რომელსაც შაკიკი აწუხებდა, თამბაქოს ფოთლების კომპრესიით წარმატებით იმკურნალა (Narchi, 2012). იცოდა რა საფრანგეთის დედოფლის — ეკატერინე მედიჩისა და მისი შვილის, მომავალი მეფის — ჩარლზ IX ავადმყოფობის შესახებ, ჟან ნიკომ დედოფალს თამბაქოს ფხვნილი გაუგზავნა (Gabb, 1990). როგორც ჩანს, დედოფალმა მკურნალობით შვება იგრძნო და ელჩსაც სამსახური დაუფასა: მცენარეს მის პატივსაცემად "Nicotiana" ეწოდა. დედოფალმა ჟან ნიკოს მამულებიც უბოძა ვილემანში, ბრი-კომპე-რობერტის ახლოს და გამოსცა ბრძანება სამეფო ბაღებში თამბაქოს გაშენების შესახებ.<sup>31</sup> ეკატერინე მედიჩის გარდა, თამბაქოს თვისებებით მოიხიბლა მალტის დიდი ორდენის მაგისტრიც, რომელმაც, ასევე, ხელი შეუწყო მის პოპულარიზაციას ([http://history-illustrated.ru/article\\_8848.html](http://history-illustrated.ru/article_8848.html)).

XIX საუკუნიდან, თამბაქოსგან მიღებული ალკალოიდი სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა „ნიკოტინის“ სახელით.<sup>32</sup> 1586 წელს წელს ფრანგმა ბოტანიკოსმა ჟაკ დალემანმა პირველმა აღწერა თამბაქო წიგნში „მცენარეთა ისტორია“ და მას "Nicotiana" უწოდა. 1753 წელს ნაშრომში "Species Plantarum" თამბაქო "Nicotiana"-ს სახელით მოიხსენია მცენარეთა და ცხოველთა უნივერსალური სისტემის ავტორმა, შვედმა ბოტანიკოსმა კარლ ლინეიმ (Linskens, 1997:107).

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ვინაიდან საერთაშორისო ბოტანიკური ნომენკლატურის კოდექსის განმარტებით, მცენარეთა სამეცნიერო სახელები, რომლებიც გაცხადებული იყო 1752 წლის 1 მაისამდე, არ ითვლებოდა ჭეშმარიტად, ამიტომ, ფორმალურად, მცენარის ამ სახეობის ავტორად აღიარებულია კარლ ვან ლინეი. შესაბამისად, თამბაქოს სრული სამეცნიერო სახელია "Nicotiana Linnaeus" (<http://www.britannika/biography/Jean-Nicot>).

<sup>31</sup> ეკატერინე მედიჩის პატივსაცემად თამბაქოს "herbe reginae", "herbe Catharinae", "herbe Medicie" სახელით მოიხსენიებდნენ (Chatto, 2013:6). 1570 წელს ბოტანიკოსმა მათიას ლობელმა "herbe reginae" ჟან ნიკოს საპატივცემულოდ პირველად მოიხსენია "Nicotiana herbe Nicot"-ის სახელით (Charlton, 2004: 292).

<sup>32</sup> 1828 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ნიკოტინის ალკალოიდი პირველად გამოიყვეს ექიმმა ჰენრიხ პოზელტმა და ქიმიკოსმა კარლ რეიმანმა (Linskens, 1997:104), ხოლო ნიკოტინის ქიმიური ფორმულა აღწერა ლუის მელსენსმა 1843 წელს (Myers, 2007:191-193).

#### §4. "De herba panacea"<sup>1</sup>

ჟან ნიკო დე ვილემანის დამსახურება თამბაქოს პოპულარიზაციის საქმეში მართლაც გამორჩეულია, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ახალი სამყაროს“ სხვადასხვა რეგიონში ნიკოს „საგანმანათლებლო“ მოღვაწეობამდეც თამბაქო უნივერსალურ სამკურნალო საშუალებად იყო მიჩნეული (Nichols, 1942; Burns, 2007:3).

ცენტრალური ამერიკის ინდიელებში თამბაქო ითვლებოდა გამწმენდ და ნაყოფიერების ხელშემწყობ საშუალებად, ამიტომ ქალიშვილები მის წვენს ქორწილის ღამეს სვამდნენ (Kell, 1965:100). კოსტარის ინდიელები თამბაქოს კვამლით აჯერებდნენ მშობიარე ქალის სანოლ ოთახს. ამაზონის პირას მცხოვრები ინდიელი ჯადოქრები თამბაქოს სითხის სახით მოიხმარდნენ, რაც მათ წინასწარმეტყველებაში ეხმარებოდა. ანდების ჩრდილოეთ რეგიონებში საყნოს თამბაქოს იყენებდნენ სახსრების ამოვარდნის დროს ორგანიზმის მოსადუნებლად. სამხრეთ ამერიკის ინდიელები თამბაქოს წვენიტ ტანს იზელდნენ და ამით მკბენარებს ებრძოდნენ (Groark, 2010:6).

ბრაზილიელი ინდიელები მკურნალობის პროცედურის დაწყებამდე ასრულებდნენ თამბაქოს ფურცლების დანვის რიტუალს. ავადმყოფებს ჯერ შემალღებულ ადგილზე აწვენდნენ, შემდეგ თამბაქოს ფოთლების ერთ ნაწილს იქვე წვავდნენ, სპეციალურად შერჩეულ ფოთლებს კი ავადმყოფს ჭრილობაზე ადებდნენ, რათა ტომის მფარველ სულებს „ავადმყოფობა შეესვათ“ (Тайлор, 1989:470).

<sup>1</sup> 1587 წელს ჰოლანდიელმა ექიმმა ჯილ ევერარდმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით "De herba panacea seu medicina tabac" (Kell, 1965:101). თვალსაჩინოა, რომ წიგნის სათაურიც კი ნათლად ასახავდა ამ ეპოქის დასტაქართა დამოკიდებულებას თამბაქოს სამკურნალო თვისებების მიმართ. თამბაქოს მოიხსენიებდნენ სხვა „აღმატებული“ სახელებითაც: «Indorum Sana Sancta», «herbe propre à tous maux», «herba sancta», «herbe sainte», «herba sacra», «herbe divine», «panacée antatcti que», «heilkraut», «Indianisch wunderkraut». საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე მედიცინა ყოველთვის ეძებდა უნივერსალურ საშუალებას ყველა ავადმყოფობის სამკურნალოდ. ძიების გარკვეულ ეტაპზე, არჩევანი თამბაქოზე გაკეთდა. საბოლოოდ კი შეჯიბრი თამბაქო-წამალსა და თამბაქო-სიამოვნებას შორის, უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა (Ponep, 2005).

აცტეკებთან წითელი ქარის მკურნალობის დროს ავადმყოფები ფეხებს თამბაქოს წვენიტ სავსე ჭურჭელში აწყობდნენ. გარკვეული მოსაზრებით, ამ პროცედურისთვის შერჩეულ თამბაქოს ფურცლებს ინახავდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ჭიანჭველები ბუდობდნენ. მაშკოს ტომის ინდიელები თამბაქოს წვენს თვალში ინვეთებდნენ, რომ სიბნელეში კარგად დაენახათ (იგივე პროცედურას ძალღებსაც უტარებდნენ) (Гейтли, 2005).

კანადისა და პატაგონიის ინდიელები თამბაქოს იყენებდნენ ექსტაზის მისაღწევად (Wilbert, 1972:55). ამერიგო ვესპუჩის ცნობით, ვენესუელელი ინდიელები თამბაქოს ფხვნილს ხმარობდნენ კბილების მათეთრებლად (Charlton, 2004:292). 1500 წელს პორტუგალიელი მეზღვაური პედრო ალვარეს კაბრალი პირად დღიურში წერდა, რომ ინდიელები მცენარე "betum"-ით (თამბაქო) წყლულს, ჩირქგროვებს, პოლიპებს და სხვა დაავადებებს მკურნალობდნენ (Stewart, 1967:232; Neimann, 1960:8). რომანო პანეს ცნობით, კარიბელი ექიმები ("bubuitihus") ორგანიზმის გასაწმენდად თამბაქოს ("cohoba") ანიჭებდნენ უპირატესობას (Kell, 1965:101).

რალფ როისი, გამოკვლევაში იუკატეკის მაიას ეთნობოტანიკის შესახებ, გვამცნობს, რომ ადგილობრივები თამბაქოს იყენებენ ისეთი ავადმყოფობის სამკურნალოდ, როგორიცაა: ასთმა, ცხელება, ნანლავების ჩივილი, თვალის ტკივილი, კრუნჩხვა, კანის დაავადებები, საშარდე ინფექციები, ნაკბენები, ციება. ცენტრალური მექსიკის აღწერილას, ესპანელი მწერალი და მოგზაური რუის დე ალარკონი მიუთითებს, რომ ადგილობრივები თამბაქოს იყენებდნენ მორიელის ნაკბენის, ნემსისებრი ჩხვლეტის, ყურის და კბილის ტკივილის და მშობიარობის დროს (Робишек, 2014).

მაიას და პერუელ ინდიელებს თამბაქოს წვენი ოყნიტაც შეჰყავდათ ადამიანის ორგანიზმში. ამ პროცედურის დროს თამბაქოს ნაყენს ფერმენტირებულ თაფლს ურევდნენ (Furst, 1978:28).

რაც შეეხება თამბაქოს და ოფიციალური მედიცინის ურთიერთმიმართების საკითხს. თამბაქოს, როგორც სამკურნალო საშუალების, გამოყენება ოფიციალური სამედიცინო მეცნიერების მიერ პოპულარულია თითქმის XVII საუკუნის შუა ხანებამდე და მხარდაჭერილია

ამ ეპოქის წამყვანი სამედიცინო ჰუმორალური თეორიის ("Humoral theory") მიერ (Zentgraf, 2018:14). ამ თეორიის სამედიცინო პარადიგმა ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების ბალანსის განმაპირობებელი ოთხი სტიქიის (ჰაერი, ცეცხლი, მიწა და წყალი) ფაქტორს ემყარებოდა (Kell, 1969:102). ეს ოთხი ელემენტი ვლინდებოდა ნესტიანის, ცხელის, მშრალისა და ცივის კომბინაციაში, რაც, თავის მხრივ, წლის ოთხ დროს შეესებამებოდა. დაავადების გამომწვევ მიზეზად სწორედ ამ ფაქტორების დისბალანსი იყო მიჩნეული. თამბაქოს მოწევა გარკვეულად ამ სქემაში თავსდებოდა, რადგან, იდეის ავტორების აზრით, თამბაქოს კვამლს შეეძლო ადამიანის ორგანიზმიდან „ამოეშრო“ ზედმეტი და არასაჭირო „სითხე“, რაც ხელს შეუწყობდა სასურველი ბალანსის აღდგენას (Vihlene, 2008:20).<sup>2</sup>

შეიძლება ითქვას, რომ XVI-XVII საუკუნეების ევროპაში თამბაქო ყველაზე ეფექტურ სამკურნალო საშუალებად, ღვთისგან ბოძებულ სასწაულმოქმედ მცენარედ ითვლებოდა, რომელსაც სახელიც შესაფერისი ჰქონდა — „ინდიელთა საღვთო საკურნებელი, ანუ ნიკოტიანა“.

XVI საუკუნის ფლამანდიელი ბოტანიკოსის პენა ი მათიას დ'ობელის სიტყვებით, „ჩვენს დროში ახალ სამყაროში არ აღმოჩენილა უფრო ეფექტური რამ, რაც შეიძლება სამკურნალო საშუალებად მივიჩნიოთ, ვიდრე ეს მცენარე, წყლულის, ჭრილობის, ყელისა და მკერდის ტკივილის, ასევე, ჭირის სამკურნალოდ“ (Rapaport, 2007).

1553 წელს ესპანელი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი გონზალო ფერნანდეს დე ოვიდეო (რომელსაც მიაწერენ პირველობას თამბაქოს ფურცლების ევროპაში ჩამოტანის საქმეში) თავის ნიგნში "La General y natural historia de las Indias and Las Quinquagenas de la nobleza de España" ხაზს უსვამს თამბაქოს სამკურნალო თვისებებს. საუბრობს რა თამბაქოს გამორჩეულობის შესახებ, გონზალო ოვიდეო ერთგვარი გულისტკივილით აღნიშნავს: „ვიცი, რომ უკვე ბევრი ქრისტიანიც კი

<sup>2</sup> ბართლომეო შიმპერი 1660 წელს წერდა, რომ თამბაქო ხელს უწყობს ტვინის შეკუმშვას, რის შედეგად ზედმეტი სითხე „გამოინურება“ ორგანიზმიდან. ინგლისელი ექიმები მოხუცებს აფრთხილებდნენ, რომ ახალგაზრდებისგან განსხვავებით, მოწევა მათ არ მოუხდებოდათ, რადგან ასაკოვან ადამიანთა ორგანიზმში სითხე უკვე ბუნებრივად „ამომშრალი“ იყო (Kell, 1965:104).

მიეჩვია თამბაქოს მოწევის, განსაკუთრებით ისინი, ვინც სიფილისით დაავადდა, რადგან, მათ თუ დავუჯერებთ, თამბაქოს მოწევის დროს ექსტაზში მყოფნი ტკივილს არ გრძნობდნენ“ (Leavey, 1996).<sup>3</sup>

1571 წელს გამოცემულ ნაშრომში ექიმი ნიკოლას მონარდესი საუბრობს დაავადებებზე, რომელთა მკურნალობა შესაძლებელი იყო თამბაქოს საშუალებით (Ritz, Orth, 1999:3).<sup>4</sup> 1571 წელს, გერმანელმა ექიმმა მიხაელ ბერნჰარდ ვალენტინმა, ნიგნში "Polychresta Exotica" მიუთითა დაავადებებზე (ჭვალი, ნეფრიტი, თიაქარი და დიზენტერია), რომელთა მკურნალობა შესაძლებელი იყო ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი მეთოდით — თამბაქოს წვენი ოყნების საშუალებით (Cherick, 2012:16).<sup>5</sup> ფრანგი აგრონომი ოლივერ დე სერე ნიგნში "Le Théâtre d'agriculture" (1600 წ.) აღნიშნავს თამბაქოს სარგებლიანობას დამწვრობის, ხველების, სხვადასხვაგვარი ჭრილობების და კბილის ტკივილის სამკურნალოდ. ბერნარდო დე სააგუნი, რომელიც უშუალოდ გაეცნო მექსიკელი აცტეკების ყოფას, 1577 წელს გამოცემულ ნიგნში "Historia general de las cosas de la nueva España" საუბრობს თამბაქოს

<sup>3</sup> ვენეციელი ექიმი ჯიროლამო ფრაკასტორო, რომელმაც 1530 წელს მედიცინაში შემოიტანა ტერმინი „სიფილისი“, მიანიშნებდა, რომ, რადგან ცალკეული ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები ვრცელდება ჰაერით, შესაბამისად, შესაძლებელია ამ დაავადებათა მკურნალობა თამბაქოს კვამლით (Tognotti, 2014).

<sup>4</sup> ექიმი ნიკოლას მონარდესი მიუთითებს 36 დაავადების შესახებ, რომელთა მკურნალობა შესაძლებელი იყო თამბაქოს საშუალებით. მათ შორის: თავის ტკივილისა და ასთმის განკურნება, ტკიპისა და მუცლის ჭიის მოშორება და ა.შ. ნიკოლას მონარდესის ნაშრომი მოკლე ხანში ითარგმნა ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე (Gately, 2001:40). ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ მონარდესის ნაშრომის ლათინურ ენაზე მთარგმნელმა — ჩარლზ კლაუზიუსმა შეავსო თამბაქოს მიერ განკურნებად დაავადებათა სია და დაასკვნა, რომ თამბაქო ფაქტობრივად ყველა დაავადებას კურნავდა.

<sup>5</sup> ევროპაში ე.წ. „თამბაქოს ოყნების“ დამწვრებები ჰოლანდიელები იყვნენ. 1661 წელს დანიელი ექიმი თომას ბარტოლინიც თავის ნაშრომში რეკომენდაციას უწევს თამბაქოს ოყნების გამოყენებას. XVIII საუკუნეში, ფრანგი ექიმი ბუკო ასაბუთებდა „თამბაქოს კვამლის შიგავაგინალური ჩაბერვის“ მიზანშეწონილობას ისტერიის სამკურნალოდ (Burns, 2007:7). მოგვიანებით, ამ ჩამონათვალს დაემატა ქოლერა, შეკრულობა, თიაქარი. თამბაქოს ოყნის გამოყენების პროცედურა პირველად 1809 წელს მეცნიერულად აღწერა ინგლისელმა ექიმმა თომას სიდენჰემმა, ხოლო 1811 წელს ინგლისელმა ექიმმა ბენჯამენ ბროდიმ დაასაბუთა ამ მეთოდის მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე (Jones, 1876:44).

სამკურნალო მახასიათებლებზე.<sup>6</sup> თამბაქოს გამორჩეულ სამკურნალო თვისებებზე მიუთითებს იტალიელი ბოტანიკოსი პიეტრო მათიოლი 1586 წელს გამოცემულ ნაშრომში (Linskens, 1997:106).<sup>7</sup> XVI საუკუნის ესპანელ ექიმს ხუან დე კარდენასს მიაჩნდა, რომ თამბაქო სასარგებლო იყო არა მარტო ავადმყოფებისთვის, არამედ ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც (Heimann, 1960:15).

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ევროპელმა ექიმებმა დაიწყეს თამბაქოს რეცეპტით გამოწერა. ექიმთა შორის დავის საგანი თამბაქოს ავკარგიანობა კი არ იყო<sup>8</sup>, არამედ ის, თუ როგორ უნდა მიეღოთ ავადმყოფებს თამბაქო: გამომშრალი თუ ნედლი, ნაყენის სახით, ყნოსვით დაკმაყოფილებულიყვნენ თუ მოენიათ.<sup>9</sup> 1603 წელს ინგლისელმა ექიმებმა პეტიციით მიმართეს ჯეიმს I-ს — აეკრძალა თამბაქოს მიღება

<sup>6</sup> დე სააგუნის რჩევით: „თავზე ჩირქოვანი წარმონაქმნების გაჩენის შემთხვევაში, უნდა დავამუშაოთ კირის და თამბაქოს ნაერთით... თავის ტკივილის შემთხვევაში ასევე კარგია ჯერ კიდევ მწვანე თამბაქოს დაყნოსვა, შემდეგ ნაჭრით თავის მჭიდროდ შეკვრა... ცხვირის ცემინებისა და გაციების შემთხვევაში უნდა მივიღოთ ჯერ კიდევ მწვანე, ან დაფშვნილი თამბაქო“ (Бернандино де Саагун, 2013).

<sup>7</sup> "De plantis epitome utilissima Petri Andreae Matthioli:novis Iconibus et Descriptionibus pluribus nunc primum diligenter aucta" (1586).

<sup>8</sup> თამბაქოს დადებითი და უარყოფითი თვისებების შესახებ დღესაც გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევართა ნაწილი, რომლებიც თამბაქოს მოხმარების პოზიტიურ მხარეზე საუბრობს, აცხადებს, რომ წყლულის ქვალვები არამწველებს ორჯერ მეტად აღენიშნებათ, ვიდრე მწველებს, თამბაქოს ბოლი ანთების საწინააღმდეგო თვისების მატარებელია, ასევე, ნიკოტინი ამცირებს პარკინსონისა და ალცგეიმერის დაავადებების ალბათობას, ენდომეტრიის სიმსივნის განვითარებას და ა.შ. რასაკვირველია, არსებობს აღნიშნულ საკითხებზე დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები (Baron, 19996:52:58-73). ექიმი რონალდ ჰარპერი 1938 წელს გამოცემულ ნაშრომში „თამბაქოს მოხმარების ზოგიერთი მორალური და სოციალური შედეგების შესახებ“ აცხადებს, რომ მწვეელ მშობლებს უფრო მეტად გოგონები ჰყავთ, ვიდრე ბიჭები. ექიმი დელტონ ოჩსნერის აზრით, სექსუალური აქტივობის კლება 30-50 წლის მამაკაცებში გარკვეულწილად განპირობებულია თამბაქოს ზედმეტი მოხმარებით. გერმანელი ექიმების დასკვნით, ხუთი ათასამდე ქალის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მწვეელ ქალბატონებში გამოკვეთილია ფრიგიდულობა, უნაყოფობა და სხვა გართულებები. XVI საუკუნეში, ცვილონში, პორტუგალიელმა მეზღვაურებმა კატეგორიული უარი განაცხადეს თამბაქოს მოწვევაზე (ამას დაჟინებით ითხოვდნენ მათგან მეთაურები სხვადასხვა ინფექციისგან თავის დასაცავად), რადგან თვლიდნენ, რომ თამბაქოს მოწვევა იწვევს იმპოტენციას (Kell, 1965:104).

რეცეპტის გარეშე, მაგრამ ჯეიმსმა მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

ინგლისელი ენტონი შუტი, თამბაქოს შესახებ 1595 წელს გამოცემული პირველი ინგლისურენოვანი წიგნის ავტორი, თამბაქოს ერთ-ერთ გამორჩეულ სამკურნალო მცენარედ მიიჩნევდა (Stevart, 1967:238).<sup>9</sup>

XVII საუკუნის პერუელი ისტორიკოსი გარსილასო დე ლა ვეგა საუბრობს ინკების მიერ თამბაქოს საკულტო-სარიტუალო ცერემონია-ლებში გამოყენების შესახებ და მიანიშნებს თამბაქოს გამორჩეულ სამკურნალო თვისებებზე (Torres, 1995:297).<sup>10</sup>


1613 წელს ლონდონში დაბეჭდილ ნაშრომში „რჩევები ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის“ საკმაოდ „დამაჯერებლად“ იყო განმარტებული, რომ „ჩიბუხის მონევა უზმოზე, ნესტიან და წვიმიან ამინდში, წარმოადგენს ერთადერთ და უებარ წამალს ყველა ავადმყოფობისგან თავის დასაცავად“ (Charlton, 2004). XVII საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისში, ელიტარული იტონის კოლეჯის ადმინისტრაციის ბრძანებით, მოსალოდნელ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით, მოსწავლეთა ყოველდღიური კვების რაციონში ერთი ჩიბუხის მონევის აუცილებლობა განისაზღვრა, ბრძანების დამრღვევებს კი სამაგალითო

---

ცნობილი ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი ნაშრომში „ტრაქტატი თანამედროვე აღმგზნების საშუალებების შესახებ“ (1839) ყვება ისტორიას ქალზე, რომელიც ახერხებს მეუღლის ვნებებისაგან თავის დახსნას თამბაქოსადმი მისი მიდრეკილების წახალისების გზით (Балъзак, 1955:301). საკუთარი დასკვნების „გასამყარებლად“ მწერალს „არსებითი გეოპოლიტიკური არგუმენტებიც“ მოჰყავს: „მწველი ხალხი, მაგალითად, ჰოლანდიელები, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს თამბაქოს მონევა, დუნე და აპათიურები არიან, ამიტომ ჰოლანდიის მოსახლეობა ნელა იზრდება. ჰოლანდია პირველივე დამპყრობელს დანებდება. ის მხოლოდ სხვა სახელმწიფოების შურით არსებობს, რომლებიც არ დაუშვებენ, რომ ეს ქვეყანა საფრანგეთმა მიითვისოს“ (Богданов, 2011).

<sup>9</sup> თუმცა, იგივე ავტორი, 1626 წელს, წიგნის მეექვსე გამოცემის დროს, თამბაქოს მონევას გამაჩანაგებელ და სულელურ ჩვევად აცხადებდა.

<sup>10</sup> 1609 წელს გამოცემულ ნაშრომში „ინკების სახელმწიფოს ისტორია“ გარსილასო დე ლა ვეგა წერს: „მცენარეს, რომელსაც ესპანელები თამბაქოს, ხოლო ინდიელები საირის ეძახიან, ზედმეტი ქება არ სჭირდება, რადგან მის სადიდებლად კმარა ის გმირობებიც, რაც საირიმ ძველ და ახალ სამყაროში ბებერებისა და სხვა მძიმე ავადმყოფობების წინააღმდეგ ჩაიდინა“.



დასჯა ემუქრებოდათ (Leavey, 1996)<sup>11</sup>.

XVII საუკუნის ევროპაში თამბაქომ ახალი ფუნქცია შეიძინა. 1614 წელს ლონდონში, 1636 წელს დანიაში და 1665-1666 წლებში დასავლეთ ევროპაში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიის დროს, თამბაქოს მონევა პროფილაქტიკურ საშუალებად ითვლებოდა (Kell, 1965:106).<sup>12</sup>

XVIII საუკუნის დასაწყისში, ინგლისში, წყალში დამხრჩვალთა „მოსაბრუნებლად“ თამბაქოს ოყნების გამოყენება დაიწყეს, რადგან მიაჩნდათ, რომ ექსტრემ-

ალურ სიტუაციაში სწორი ნაწილის შეთბობა სუნთქვის სტიმულაციას შეუწყობდა ხელს.<sup>13</sup> ბრიტანელი ექიმები საბერველის ფორმის თამბაქოს ოყნებს წარმატებით იყებდნენ ე.წ. „რექტალური მონევის“ მეთოდით საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მკურნალობის დროს.

<sup>11</sup> მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისის ინგლისში, ე.წ. „მორალურ საწყისთა ლიგის“ კატეგორიული მოთხოვნით, საკვირაო სკოლის მოსწავლეები ხელმოწერით ადასტურებდნენ, რომ არ ჩაიდენდნენ ამორალურ ქმედებებს. კერძოდ: „არ მონევენ თამბაქოს, არ დალევდნენ ყავას და გაზიან წყალს“ (Brown, 2003:39).

<sup>12</sup> ექიმი იზბარდ ფონ დიმერბროკი 1636 წელს ასე აღწერს უამიანობას ჰოლანდიის ქალაქ ნიიმეგენში: „ჩემი გამოცდილება მკარნახობს, რომ თამბაქო ყველაზე ეფექტური საშუალებაა შავი ჭირისგან თავდასაცავად. ერთხელ ვესტუმრე შავი ჭირის მსხვერპლს და ვიგრძენი ამ დაავადების ყველა სიმპტომი: თავბრუსხვევა, ლებინება, შიში. მე შევწყვიტე ვიზიტი და სწრაფად დავბრუნდი სახლში, სადაც მოვნიე ექვსი თუ შვიდი ჩიბუხი. მაშინვე მოვედი აზრზე და კვლავ შევძელი გასვლა სახლიდან“ (Гейтли, 2005). ცნობილი ინგლისელი მწერალი დანიელ დეფო ისტორიულ რომანში „უამიანი წლის დღიური“ („A Journal of the Plague Year“), სადაც მოქმედება 1665 წლის ლონდონში, დიდი უამიანობის დროს ხდება, ყველა ისტორიას მესაფლავე ჯონ ჰეივარდზე, რომელიც ეპიდემიას გადაურჩა იმიტომ, რომ ჭამდა ნიორს და ეწეოდა თამბაქოს. დოკუმენტური წყაროებით დასტურდება, რომ XVIII საუკუნის ინგლისში თამბაქოს მონევა ერთგვარი შვევა იყო პროზექტურის თანამშრომლებისთვისაც (Kell, 1965:105-106).

<sup>13</sup> XVIII საუკუნის ინგლისში, მდინარე ტემზაზე სამამველო რგოლებთან ერთად სპეციალურ კომპლექტში თამბაქოს ოყნებიც შედიოდა ([www.bcmj.org/special](http://www.bcmj.org/special)).

XVII საუკუნის ინგლისში თამბაქოს შენობების გამწმენდ საშუალებად – ფუმიგატორადაც იყენებდნენ. 1652 წელს, ინგლისში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიის დროს, თამბაქოს კვამლის გამოყენება დაიწყო მსხვილფეხა ცხოველების საჯინბოების დამუშავების დროს (Blancou, 1995:36). 1822 წელს, ექიმები ლონდონელებს, ქოლერის ეპიდემიის დროს, სიგარის მოწევას ურჩევდნენ. 1882 წელს, ბოლტონში, ყვავილის ეპიდემიის დროს, ყველა ოჯახს პროფილაქტიკისთვის თამბაქოს ფხვნილი დაურიგეს. ევროპაში ეპიდემიის გავრცელების კვალობაზე ასევე მოიქცნენ საფრანგეთშიც (Jagielski, 2009:4).

1761 წელს, გაცილებით ადრე ზემოთ ნახსენებ მოვლენებამდე, გამოქვეყნდა პირველი მეცნიერული ნაშრომი ადამიანის ორგანიზმზე თამბაქოს ნეგატიური ზემოქმედების შესახებ. ინგლისელმა ექიმმა ჯონ ჰილმა, კლინიკური ექსპერიმენტების საფუძველზე, დაასკვნა, რომ საყნოსი თამბაქოს არანორმირებული მოხმარება ხელს უწყობს ცხვირის კიბოს განვითარებას (Proctor, 2001). 1795 წელს, გერმანელმა ექიმმა სამუელ ფონ ზომერინგმა პირველად დაასაბუთა თამბაქოს ჩიბუხით მოწევის კავშირი ტუჩის კიბოს განვითარებასთან.<sup>16</sup>

დროთა მანძილზე, თამბაქომ დაკარგა მნიშვნელობა, როგორც უებარმა სამკურნალო საშუალებამ. ელიტარულ საზოგადოებაში მან მხოლოდ მატონიზებელი ფუნქცია შეინარჩუნა. თუმცა, XVIII საუკუნეში, ისეთი ცნობილი ექიმები, როგორიც იყვნენ ბუკო, ვან სვიტენი, ბორხოვი და ბარტოლინი, რეკომენდაციას უწევდნენ თამბაქოს რევმატიზმის, წითელი ქარის, ნევრალგიის, ეპილეფსიის, წყალმანკის და ისტერიის სამკურნალოდ (Charlton, 2004:294). XIX საუკუნის დასაწყისშიც კი, ექიმი ტრუსო და სხვებიც, ავადმყოფებს ურჩევდნენ თამბაქოს ნაყენის საფენების გამოყენებას თვალის დაავადებათა მკურნალობის დროს (Stewart, 1967:243; Richardson, 1864:394).<sup>17</sup>

<sup>16</sup> 1851 წელს ბელგიელმა ქიმიკოსმა ჟან სტასმა დაასაბუთა თამბაქოს ექსტრაქტის სანამლავად გამოყენება. საქმე ეხებოდა ბელგიელ გრაფ იპოლიტ ვისარ დე ბოკარმეს, რომელმაც ფულის მითვისების მიზნით, თამბაქოს ექსტრაქტით მონამლა საკუთარი სიძე. ეს იყო ალკალოიდების პირველი დადასტურება სასამართლო მედიცინაში (<https://caasbrey.com/nicotine-and-the-chemistry-of-murder>).

<sup>17</sup> 1920 წელსაც კი ევროპაში ჯერ კიდევ გაყიდვაში იყო ანტისეპტიკური მალამო, რომელიც მზადდებოდა ლანოლინისა და თამბაქოს მოხალული ფურცლისგან (<https://medlib.xyz>).

## §5. თამბაქოს ტრიუმფალური სვლა ძველ სამყაროში

როგორც აღვნიშნეთ, ევროპაში ინფორმაცია თამბაქოს შესახებ მის გამოჩენამდე გავრცელდა. დოკუმენტური წყაროებიდან ჩანს, რომ კოლუმბს და მის მხლებლებს თამბაქოს თესლი ევროპაში არ ჩამოუტანიათ, რადგან მისი გაშენების სურვილიც კი არ ჰქონიათ. ერთ-ერთი ვერსიით, თავიდან ეს საქმე პორტუგალიელმა მეზღვაურებმა ითავეს და 1512 წელს, პირველად ამერიკის კონტინენტს გარეთ, თამბაქოს პატარა პლანტაციას ჩაუყარეს საფუძველი. 1550 წლისთვის თამბაქო ლისაბონის სამეფო ბაღს ამშვენებდა, ხოლო 1558 წელს უკვე ლისაბონის ბაზარზეც გამოჩნდა (Gabb, 1990).<sup>1</sup>

1559 წელს, ესპანეთის მეფის ფილიპე II-ს დავალებით, ექიმი ფრანსისკო ჰერნანდეს დე ტოლედო მიემგზავრება მექსიკაში იქაური საკვები პროდუქტების შესასწავლად. თუ წყაროებს ვენდობით, სამშობლოში დაბრუნებულმა ექიმმა დე ტოლედომ, სხვა პროდუქტებთან ერთად, თამბაქოს თესლიც ჩამოიტანა (Borio, 2010:4). ესპანელი კოლონისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პირველებმა დაიწყეს თამბაქოს მოყვანა კუნძულ სანტა-დომინგოზე (ჰაიტი). სულ მოკლე ხანში თამბაქოს კულტივაციით დაინტერესდნენ ესპანეთში მოღვაწე არა მარტო საერო, არამედ სასულიერო პირებიც. როგორც ჩანს, მათ საკმაოდ კარგი შემოსავალი გაუჩნდათ საეკლესიო მიწებზე მოყვანილი თამბაქოს მოსავლით (ზოგმა ფერმერულ მეურნეობასაც კი ჩაუყარა საფუძველი).<sup>2</sup> XVI საუკუნის 60-იანი წლებისთვის, ესპანეთში თამბაქო უკვე ექსპორტის საგანი გახდა.

<sup>1</sup> თამბაქოს ისტორიის მკვლევრები თანხმდებიან, რომ პირველად, 1552 წელს, ევროპაში შემოიტანეს *Nicotiana Rustica*. ერთ-ერთი ვერსიით, ეს საქმე ფლამანდიელი ჰერბალისტის რობერტ დოდონის სახელს უკავშირდება (Charlton, 2004).

<sup>2</sup> XVII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს იტალიის და ესპანეთის ეკლესიის მსახურთა დიდი ნაწილი ბურნუთის მომხმარებელი იყო. რომის პაპის ურბან VIII-ს ამკრძალავი ბულების მიუხედავად, თამბაქოს მოყვარულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. პაპი ბენედიქტე XII ბურნუთის მომხმარებელი გახლდათ. წყაროებიდან დასტურდება, რომ, როდესაც თამბაქოს ბიზნესმა სავარაუდოზე უკეთესი შედეგი მოიტანა, ვატიკანის გადაწყვეტილებით, თამბაქოს ამკრძალავი ლიტერატურის გავრცელება კი დასჯადი გახდა (Brown, 2003:6).

1556 წელს ფრანგმა კალვინისტმა ბერმა ანდრე ტრევემ, რომელიც კაპელანად ახლდა საფრანგეთის სამეფო ფლოტს ბრაზილიაში, პირველმა ჩამოიტანა თამბაქოს თესლი საფრანგეთში და როგორც დეკორატიული მცენარე, გააშენა საკუთარ ბაღში ანგულემში. XVII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთიდან თამბაქოს კულტურა გავრცელდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში (Musil, 1982:3-9).

1561 წელს სანტა კროჩეს კარდინალმა პროსპერო პუბლიკოლამ, რომელიც პაპის ნუნცია გახლდათ ესპანეთში, გერმანიასა და საფრანგეთში, პორტუგალიიდან ჩამოიტანა თამბაქოს თესლი და ვატიკანის ბაღში გააშენა (Heimann, 1960:2). კარდინალის პატივსაცემად მცენარეს "Herba Santa Croce" უწოდეს (Penn, 1902:14). მოგვიანებით, ფლორენციის ელჩმა საფრანგეთში ნიკოლა ტორნაბონიმ თამბაქო ტოსკანაში გააშენა (Brown, 2003:6). იტალიაში, პირველ ხანებში, მსგავსად სხვა ევროპული ქვეყნისა, თამბაქო მხოლოდ სამკურნალო საშუალებად განიხილებოდა.<sup>3</sup> აპენინის ნახევარკუნძულზე თამბაქოს გაშენებისთვის ფრიად ხელსაყრელი პირობები არსებობდა, მაგრამ XIX საუკუნემდე აქ მისი აქტიური კულტივაცია არ დაწყებულა.

მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობებისა, თამბაქოს კულტურამ სწრაფად მოიკიდა ფეხი ალბიონის ქვეყანაში. ინგლისში თამბაქოს გავრცელება ვირჯინიის პირველი გუბერნატორის — რაღფ ლეინის სახელს უკავშირდება (Thoreau's Journal, 1857). სხვა წყაროებით კი, ამ საქმეში პირველობა კორსარსა და მეზღვაურს — ფრენსის დრეიკს ეკუთვნის, რომელმაც 1586 წელს ინგლისში თამბაქო ვესტ-ინდოეთიდან შემოიტანა (Богданов, 2007:12).

<sup>3</sup> შესაძლოა ირიბად, მაგრამ ამას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში გამოცემულ პაპის დეკრეტებშიც, სადაც მარხვასთან დაკავშირებით მკაცრად იკრძალებოდა ხორცის კერძები, მინიშნებაც კი არ იყო თამბაქოს შესახებ (Brown, 2003:5).

<sup>4</sup> XVI საუკუნის ბოლოს თამბაქოს ფასი იმდენად მაღალი იყო, რომ ფრენსის დრეიკმა ესპანურ დასახლებებზე — სანტა-დომინგოზე, კარტახენასა და სან-ავგუსტინზე თავდასხმის შემდეგ, ხომალდი „გააესო“ თამბაქოს ფურცლებით, რადგან ხვდებოდა, რომ ეს საქონელი ფასით ოქროსაც კი არ ჩამოუვარდებოდა. იმ დროისათვის ერთი ფუნტი თამბაქო 4 ფუნტი და 4 პენსი ღირდა. შედარებისთვის: ერთი კათხა ლუდი ერთი პენსი ღირდა, ხოლო „მსუბუქი ყოფაქცევის“

1580 წელს უოლტერ რეილიმ, რომელიც ჯონ ჰოუკინსთან ერთად, ითვლება ინგლისში თამბაქოს გამავრცელებლად, თამბაქო პლანტაციები გააშენა ამერიკის კონტინენტზე.<sup>5</sup> ერთ-ერთ პლანტაციას მან დედოფოფალ ელისაბედ I-ს პატივსაცემად „ვირჯინია“<sup>6</sup> დაარქვა და საფუძველი ჩაუყარა თამბაქოს ახალი ჯიშის ისტორიას. „ჩვენ ავანთეთ სანთელი ინგლისში, რომელიც, ღვთის შენევნით, არასდროს ჩაქრება, – განაცხადა თამბაქოს გაშენებით გატაცებულმა ინგლისელმა არისტოკრატმა“ (Apperson, 1914:15).<sup>7</sup>

1618 წელს, მეფე ჯეიმს I-ის მმართველობის პერიოდში, უოლტერ რეილი, სამეფო კართან ახლო ურთიერთობის მიუხედავად, ინგლისსა და ესპანეთს შორის დიპლომატიური კონფლიქტის პროვოცირებაში დადანაშაულებს და სიკვდილი მიუსაჯეს (Burns, 2007:55).<sup>8</sup> თვითმხილველთა ცნობით, უოლტერ რეილი ეშაფოტზე ჩიბუხის წევით ავიდა

---

ქალბატონის მომსახურება შილინგზე ნაკლები. ინგლისელმა ვაჭარმა რობერტ ჰარკორტმა, რომელმაც 1608 წელს იმოგზაურა გვინეაში, იწინასწარმეტყველა: „თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ თამბაქო მოუტანს იმდენ შემოსავალს კოლონიალურ სანარმოებს, რაც ესპანელებს არ მიუღიათ ინდიელთა კოლონიებში ყველაზე საუკეთესო ვერცხლის მალარობიდან“ (Гейтли, 2005).

<sup>5</sup> 1586 წელს, ევროპელთაგან ჩიბუხის პირველ მწველად აღიარებულმა ვირჯინიის გუბერნატორმა რალფ ლეინმა, უოლტერ რეილის ჩიბუხი აჩუქა და მისი მოხმარების წესიც კი ასწავლა (Robinson, 1985:150). ერთ დღეს, სახლში დაბრუნებულმა უოლტერ რეილის ერთგულმა მსახურმა დაინახა, რომ ბატონს „კვამლი ასდიოდა“ (რეილი უბრალოდ ჩიბუხს ეწეოდა) და თავზე კასრით წყალი (სხვა ვერსიით – ლუდი) გადაასხა (Gabb, 1990).

<sup>6</sup> "virgin" – (ინგლ. „ქალწული“). ფაქტია, რომ დედოფალი ელისაბედ I 45-წლიანი მმართველობის შემდეგ ქალწულად გარდაიცვალა. „ბოროტი ენები“ იმასაც ამბობდნენ, რომ "დიადი მიზნით" მოტივირებული უოლტერ რეილი თვით დედოფალ ელისაბედსაც აცდუნებდა თამბაქოს მოსანეევად.

<sup>7</sup> ელისაბედ I-ს ეკუთვნის ფრაზა, გამოთქმული უოლტერ რეილის მისამართით: „მე მინახავს ბევრი მამაკაცი, რომელმაც საკუთარი ოქრო კვამლს გაატანა, მაგრამ თქვენ ხართ პირველი, ვინც კვამლი ოქროდ აქცია“ (Burns, 2007:24).

<sup>8</sup> როდესაც უოლტერ რეილი ამერიკიდან თამბაქოთი დატვირთული ბრუნდებოდა, მას შებრძოლება მოუხდა ტვირთის ექსპროპრიაციის მსურველ ესპანეთის ფლოტის ესკადრასთან. რეილიმ მოწინააღმდეგე დაამარცხა და ინგლისის პორტში გამარჯვებული შემოვიდა. მაგრამ მეფე ჯეიმსმა სწორედ იმ დღეებში მიიღო გადაწყვეტილება ესპანეთთან სამშვიდობო დეკრეტის ხელმოწერის შესახებ. ამ აქტს ზვარაკად შეენირა უოლტერ რეილი (Anderson, 1998:159).

და ბოლო ნამწვი იქვე გამოფერთხა (Vihlene, 2008:19). რეილის ერთ-ერთ ჩიბუხზე, რომელიც ლონდონის მუზეუმშია დაცული, შემორჩენილია ნარწერა: "Comes meus fuit illo miserimo tempo" („ჩემი საუკეთესო მეგობარი ძნელბედობის ჟამს“) (Богданов, 2007). უოლტერ რეილის გარჯას უშედეგოდ არ ჩაუვლია. XVII საუკუნის 20-იან წლებში ფერმერმა ჯონ როლფმა ვირჯინიაში უკვე კომერციული მიზნით გააშენა თამბაქო (Sherrick, 2012:17).<sup>9</sup>

დიდ ბრიტანეთში თამბაქოს პოპულარობის ზრდა არაერთგვაროვნად აღიქმებოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. განსაკუთრებულ შეშფოთებას ელიტარული წრის წარმომადგენლები გამოხატავდნენ. XVII საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი უილიამ კემდენი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ბოლო ხანს მოქალაქეები, ზოგი სიდუხჭირის გამო, ზოგიც ჯანმრთელობის გასაკაჟებლად, დიდი მონდომებით ჩიბუხებით შეისუნთქავენ საზიზღარ კვამლს და უშვებენ ცხვირიდან. თამბაქოს დახლები ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ინგლისში, როგორც ტავერნები და სალუდეები“ (Гейтли, 2005). ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი 1610 წელს წერდა: „ინგლისში თამბაქოს მოხმარება იზრდება. ვფიქრობ, რომ ძნელი იქნება ამ მავნე ჩვევისთვის თავის დანებება“ (Randall, 1999).

როგორც ჩანს, ინგლისელ თამბაქოს მწვევლებზე ვერც თხოვნამ გაჭრა და ვერც შეგონებამ. პირიქით, მათ კიდევ უფრო დახვეწეს თამბაქოს მოხმარების წესები. ცოტა ხანში მწვევლთა ფანტაზია ტანსაცმელს გადაწვდა. თამბაქოს მოყვარული მამაკაცებისთვის სპეციალური სამოსიც შეიქმნა, რომელიც „სმოკინგის“ (ინგ. smoking- მოწვევა) სახელით დამკვიდრდა ევროპაში.<sup>10</sup> ათვითცნობიერებდნენ რა იმ რეალობას, რომ თამბაქოს სუნი შესაძლოა ყველასთვის სასიამოვნო არ ყოფილიყო, ინგლისელ არისტოკრატთა წვეულებებზე მოყვარული მამაკაცები თამბაქოს მოსაწვევად საცერემონიო დარბაზის გვერდით

<sup>9</sup> ჯონ როლფს თამბაქოს გაშენება ინდიელთა ტომის ბელადმა ურჩია. „მადლიერების ნიშნად“ როლფმა ბელადის ქალიშვილი პოკახონტასი ცოლად შეირთო და იქვე, ინდიელებთან დასახლდა (Heimann, 1960:48).

<sup>10</sup> „სმოკინგის“ ერთ-ერთ „შემოქმედად“ ინგლისის პრემიერ-მინისტრს — ბენჯამენ დიზრაელს (1804-1881) მიიჩნევენ. სხვა ვერსიით, ეს პატივი ინგლისელ მწვერალს — ედვარდ ბულვერ ლიტონს მიენერება (<http://dandyism.ru/clothing>).

განლაგებულ ამ საქმისათვის მონყობილ ოთახებში მარტოვდებოდნენ. დარბაზში დაბრუნებულებს კი თამბაქოს „სურნელი“ რომ არ შემოჰყოლოდათ, ამიტომ, მოსანევ ოთახში შესვლისას ისინი სპეციალურ უაკეტებს („სმოკინგებს“) იცვამდნენ.



სმოკინგის ერთ-ერთი და ფრიად „მნიშვნელოვანი“ დეტალი ატლასით განყოფილი ლაცკანი იყო. ჭეშმარიტ ჯენტლმენს სიგარის მონევის დროს ფერფლი ხელით არ უნდა მოცილებინა (ეს ცუდ ტონად ითვლებოდა) — ის თავისით უნდა ჩამოყრილიყო. სიფრთხილის მიუხედავად, ფერფლი ხშირად ეცემოდა კოსტიუმზე, ხოლო ატლასის ლაცკანზე დაცემული ფერფლი არ ჩერდებოდა, ან კიდევ მისი ჩამოფერთხვა ადვილად და უკვალოდ იყო შესაძლებელი.

საშუალო სტატისტიკურ ჯენტლმენს თამბაქოს მოსანევად იმდენად მრავალფეროვანი აქსესუარი სჭირდებოდა (თამბაქოს შესანახი ყუთი, დანა, მაშა, ჩიბუხი და ა.შ.), რომ იძულებული იყო ამ საქმისთვის სპეციალურად მოსამსახურეც კი აეყვანა (Гейтли, 2005). XVII-XVIII საუკუნეების ინგლისში თამბაქო და ჯენტლმენი ისე მჭიდროდ ასოცირდებოდა ერთმანეთთან, რომ ჩიბუხის სუნს „ჯენტლმენის“ სუნს უწოდებდნენ (Jagielski, 2010:4). თანამედროვეთა მოგონებებით, ინგლისელი ჯენტლმენები თამბაქოს მონევის „შესასწავლად“ ხშირად რეპეტიტორებსაც კი ქირაობდნენ (Gilman, Xun, 2004).

ჩიბუხის მოყვარული ინგლისელი არისტოკრატები ბურნუთზეც არ ამბობდნენ უარს. მონარქიის აღდგენის შემდეგ პარიზის ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ჩარლზ II-მ „ჩამოიტანა“ ბურნუთის ყნოსვის ჩვევა და ცოტა ხანში ის ინგლისის არისტოკრატთა ყოფის ორგანული ნაწილი გახდა (Zentgraf, 2108:10).<sup>11</sup> მოგვიანებით, თამბაქოს ყნოსვის

<sup>11</sup> დიდი ბრიტანეთის მეფის გეორგ III-ს (1738-1820) მეუღლე შარლოტა მეკლენბურგი ისე იყო გატაცებული თამბაქოს ყნოსვით, რომ მას „ბურნუთიანი შარლოტა“ („Snuffy Charlotte“) შეარქვეს. XVI-XVIII საუკუნეებში ბურნუთის ქონა ოჯახის შეძლების ნიშნადაც ითვლებოდა. ბურნუთის ძირითადი მომხმარებლები იყვნენ დიდგვაროვნები და მდიდარი მოხელეები.

პრაქტიკამ დიდგვაროვანთა ბუღუარებიდან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გადაინაცვლა.<sup>12</sup>

1601 წლით თარიღდება პირველი ცნობა ბავარიაში თამბაქოს გამოჩენის შესახებ. ნიურნბერგელი ექიმი ბენჰარდ დოდლიუსი მეგობრისადმი მიწერილ წერილში გაკვირვებითაც აღნიშნავს, რომ მისმა ინგლისელმა სტუმრებმა ნიურნბერგში ჩასვლისთანავე მოითხოვეს თამბაქო და მიიღეს კიდევ. როგორც ჩანს, ექიმი დოდლიუსი არ იყო ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ ამ დროისათვის ნიურნბერგელები თამბაქოს ქუჩაშიც კი ეწეოდნენ (Mehler, 2009:267). XVII-XVIII საუკუნეების გასაყარზე პრუსიის მეფე ფრიდრიჰ I სამეფო კარზე აწყობდა ე.წ. „თამბაქოს დღესასწაულებს“, ხოლო მისმა მემკვიდრემ ფრიდრიჰ-უილიამ I-მა შექმნა ე.წ. „თამბაქო-კოლეგია“, სადაც მისი აღმატებულება ჩვეული მოღბენითა და თამბაქოს მოწვევით „განიხილავდა“ მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებს (Heimann, 1960:63).<sup>13</sup>

XVII საუკუნის 20-იან წლებში ევროპის სახელმწიფოებმა საფუძველი ჩაუყარეს თამბაქოს გავრცელების ახალი პოლიტიკის ფორმირებას. დაიწყო თამბაქოს აქტიური კომერციალიზაციის პროცესი. XVII საუკუნის პირველ ნახევარში გამოიკვეთა სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი თამბაქოს ექსპორტ-იმპორტის რეგულაციის და წარმოების გაფართოებაში (Brown, 2003:27). ამ პერიოდში თამბაქოს პლანტაციების აქტიური გაშენება დაიწყო ესპანეთსა და პორტუგალიაში,

<sup>12</sup> თამბაქოს (ბურნუთის) ყნოსვის „თეატრალური დებიუტი“ 1665 წელს შედგა მოლიერის „დონ ჟუანის“ პირველი აქტის პირველ სცენაში. სგანარელი საბურნუთეთი ხელში ხოტბას ასხამს თამბაქოს: „რაც უნდა თქვას არისტოტელემ და ყველა ფილოსოფოსმა მასთან ერთად, ამქვეყნად ვერაფერი შეედრება თამბაქოს: თამბაქო – გატაცებაა ყველა პატიოსანი ადამიანის, ხოლო მათ, ვინც თამბაქოს გარეშე ცხოვრობს — ცხოვრების უფლება არ აქვთ. თამბაქო არათუ აძლევს შვებას ადამიანის ტვინს, არამედ განაწყობს სულს კეთილი საქმისთვის და აჩვევს წესიერებას“ (Гейтлин, 2005). თამბაქოს ქება-დიდებას კონტექსტში გერმანელი კომპოზიტორი იოჰან სებასტიან ბახიც უნდა გავიხსენოთ, რომელიც აღნიშნავდა, რომ თამბაქომ მას ლექსის წერაც კი დააწყებინა: „თამბაქოსგან ჩემი გონება ნათდება, ჩიბუხი კი ჩემი ერთგული მეგობარია“ (Богданов, 2007).

<sup>13</sup> პრუსიის მეფე ფრიდრიჰ-უილიამი და მისი უახლოესი მეგობარი, პოლონეთის ექს-მეფე სტანისლავი სალამოს ხუთი საათიდან დილის ორ საათამდე „დიდ პოლიტიკაზე ფიქრში“ ოცდაათამდე ჩიბუხს ეწეოდნენ (Leavey, 1998).

1618 წელს — ჰოლანდიაში,<sup>14</sup> 1620 წელს — გერმანიაში,<sup>15</sup> 1626 წელს — საფრანგეთში. მოკლე ხანში თამბაქოს კულტივაცია დაიწყო ბელგიაში, პოლონეთში,<sup>16</sup> უნგრეთში (Kovacs, 2004:121), შვეიცარიაში (Billings, 1875:110) და ბალტიის ქვეყნებში (Reinfelde, 2005).

XVII საუკუნის დასაწყისში თამბაქო პოპულარული გახდა ჯარისკაცებში, რომელთათვის ის წარმოადგენდა ერთგვარ სიმხნევის სტიმულატორს, „დამცველს“ დაღლილობისგან და „დამვიწყებელს“ შიმშილისა, რაც ასე დამახასიათებელი იყო სამხედროთა ყოფისთვის (განსაკუთრებით, საველე პირობებში) (Zejnihadžić, 2012:164).<sup>17</sup>

თამბაქოზე მოთხოვნის ზრდის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ევროპის ზოგ ქვეყანაში თამბაქოს ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდნენ და ნაკლებად მოიხმარდნენ კიდევ. მაგალითად, შვედეთში, დედოფალ ქრისტინეს მმართველობის დროს (1626 - 1689), პატარა ზღვისპირა ქალაქის მცხოვრებლებმა ჩაძირული გემის ტრიუმფში თამბაქოს დახვეული ფურცლები აღმოაჩინეს, მაგრამ ის უბრალო ბანრის ნარჩენებად მიიჩნიეს და ზედმეტი ფიქრის გარეშე ისევ წყალში გადაყარეს (Пусь, Ещенко, 2008:166).

<sup>14</sup> ჰოლანდიაში თამბაქოს მოწვევის ჩვევის დამკვიდრება ლეიდენის უნივერსიტეტის ინგლისელ სტუდენტებს მიეწერება. თამბაქო იმდენად პოპულარული გახდა ჰოლანდიაში, რომ ვაჭარმა ვან კლაასმა დაიბარა, ჩაესვენებინათ სიგარების ყუთებისგან შეჭედნილ კუბოში, ხოლო ქონება დაუტოვა თავისი ქვეყნის „საუკეთესო მწვევლებს“ (Богданов, 2007).

<sup>15</sup> XVI საუკუნეში გერმანიაში თამბაქო გავრცელდა, როგორც სამკურნალო საშუალება და მას "heilige Kraut" („წმინდა ბალახი“) უწოდებდნენ (Богданов, 2007:7).

<sup>16</sup> ერთ-ერთი ვერსიით, XVI საუკუნის ბოლოს თამბაქო თურქეთის გზით გავრცელდა პოლონეთსა და ბელორუსიაში. ვარაუდი ეფუძნებოდა წყაროს, რომლის მიხედვით პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III-ს ელჩმა პავლე უხანსკიმ თამბაქოს თესლი გაუგზავნა მეფის დას ანას (Малинин, 2007). ჩვენი აზრით, აქ საუბარი უნდა იყოს თამბაქოს ფხვნილის, როგორც სამკურნალო საშუალების, მიწოდებაზე და არა თამბაქოს გავრცელება-გაშენებაზე.

<sup>17</sup> ევროპულ ჯარში თამბაქო პირველად XVII საუკუნეში შვედეთში დანერგეს. ჯარისკაცები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ თამბაქოს მოწვევა მათ ძალას მატებდა. XVII საუკუნის პოლონეთის ჯარში რიგითი ფეხოსნებისათვის შავი ნაქსოვი ქუდები — „მაგერკები“ იყო შემოღებული. ამ ქუდებს ორივე მხარეს ჭრილი ჰქონდა დატანილი, სადაც ჯარისკაცები ჩიბუხებს ინახავდნენ (Шаменков, 2012).

თუ 1604 წელს, ესპანეთის მეფე ფილიპე III-ს ბრძანებით, შეიზღუდა თამბაქოს გაშენება, უკვე 1614 წელს, მისივე ბრძანებით, სავალდებულო გახდა ესპანეთის კოლონიებში მოწეული ნამატი პროდუქციის სევილიაში ჩამოტანა. სევილია გადაიქცა სიგარების მწარმოებელ უმნიშვნელოვანეს ცენტრად. 1676 წელს სევილიაში დაიწყო სიგარის წინაპრის — „პუროსის“ დამზადება (Gataly, 2001:147). ესპანეთის მეფემ ფილიპე V-მ 1717 წელს გამოსცა ახალი დეკრეტი "Estanco del Tabaco"-ს სახელით, რომელიც აცხადებდა სახელმწიფო მონოპოლიას კუბაში მოწეულ თამბაქოზე. რაც შეეხება თამბაქოს შეხვევას, ეს პროცესი კვლავ ქალაქ სევილიაში ხდებოდა და მზა პროდუქტი, ქალაქის საპატივცემულოდ, „სევილებად“ იწოდებოდა.



1758 წელს, ქალაქ სევილიაში გაიხსნა სამეფო თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ითვლებოდა ევროპაში პირველ და მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს თამბაქოს გადამამუშავებელ ფაბრიკად.<sup>18</sup> 1954 წელს, ამ ისტორიულ შენობაში განთავსდა ესპანეთის ერთ-ერთი უძველესი

უმადლესი სასწავლო დაწესებულების — სევილიის უნივერსიტეტის რექტორატი და ოთხი ფაკულტეტი (<https://wikivoyage.org/wiki/Seville>).

ნაპოლეონ ბონაპარტეს ჯარშიც, მწველთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. მისი გენერალიტეტის დამოკიდებულებას თამბაქოს მონევისადმი კარგად გამოხატავს გენერალ ლასალის სიტყვები: „პუსარი აუცილებლად უნდა ეწეოდეს, რადგან არამწვეელი კავალერისტი ცუდი ჯარისკაცია“ (Tate, 1999:67).

<sup>18</sup> ქალაქ სევილიის სამეფო თამბაქოს ფაბრიკა იყო ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენის“ მოქმედების ადგილი (სურათი-გვ.64), სადაც მუშაობდა ათასობით „სიგარერასი“ — სიგარეტების მკეთებელი ქალბატონი (მათ შორის, კარმენი). უილიამ პოუ დაუნსის სიტყვებით, ისინი „უდავოდ ლამაზები იყვნენ, თუმცა არ გამოირჩეოდნენ უმანკოებით“. დიდ დარბაზში, სადაც ქალბატონები სიგარებს ახვევდნენ, მამაკაცები პოლიციის სპეციალური სამსახურის გარეშე ვერ შედიოდნენ, რადგან დიდი სიციხის გამო სიგარერასები ზედმეტი ტანსამლის გარეშე, „შილიფად“ მუშაობდნენ. თვით სიგარერასები ეწეოდნენ არა სიგარებს, არამედ ე.წ. "papelotes" — ქალაქში გახვეულ წვრილად დაფშვნილ თამბაქოს, რომელიც ესპანეთის ღარიბი მოსახლეობის საყვარელი მოსანევი იყო (Meyer, 2009:237).

XVII საუკუნეში ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ შექმნა თამბაქოს სავაჭრო მონოპოლიები. მათ შორის უნდა გამოვყოთ: ავსტრია, ესპანეთი, სიცილია, სარდინია, პოლონეთი, ვატიკანი, პორტუგალია, ტოლსკანა, პარმა, სან-მარინო, ლიხტენშტეინი. ინგლისსა და ესპანეთში შეიქმნა პირველი მონოპოლიური კომპანიები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდა და დიდი შემოსავალიც მოჰქონდა.

XVII საუკუნის შუა წლებისთვის თამბაქოს მონევა ევროპაში იწყებენ ქალბატონები (თუმცა, საზოგადოდ, ენეოდნენ მხოლოდ პარიზელი „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალები).<sup>19</sup> მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისამდე საზოგადოებაში ქალბატონების მიერ თამბაქოს მონევა მაინც ვულგარულობის მაჩვენებლად ითვლებოდა.

ევროპაში თამბაქოს პოპულარობის ზრდის კვალობაზე, სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან ნელ-ნელა გამოიდევენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კულტურები, რაც ქმნიდა რეალურ საშიშროებას ამა თუ იმ ქვეყნის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის. ესპანელმა, პორტუგალიელმა და ჰოლანდიელმა კოლონისტებმა აქტიურად დაიწყეს თამბაქოთი ვაჭრობა ახალ რეგიონებში, კერძოდ, ინდოეთსა და ჩინეთში (Brook, 2004:91; Screech, 2004:92-99).

ჩინეთში თამბაქოს იმპორტი XVI საუკუნის II ნახევრითა და XVII საუკუნის დასაწყისით თარიღდება და ჰოლანდიელების სახელს უკავშირდება. სხვა ვერსიით, ჩინეთში თამბაქო პორტუგალიის სავაჭრო ანკლავ მაკაოდან შემოვიდა (Matthee, 1995:26).<sup>20</sup> გავრცელების ადრეულ ეტაპზე, თამბაქო ელიტარული წრების ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. თამბაქოს მონევა სასარგებლოდ და საპატიოდ ითვლებოდა,

<sup>19</sup> XIX საუკუნის სერბეთში ქუჩაში ენეოდნენ მხოლოდ ბოშები (Гачић, 2009:18). თუმცა, გამონაკლისებიც არსებობდა. სიგარას სახალხო ენოდა ფრანგი მწერალი ქალი ჟორჟ სანდი (Hajdu, Vadman, 2010:179). ევროპელ ქალბატონებში თამბაქოს პოპულარობის მიზეზად თელიდნენ მეზღვაურთა „არაკებს“ ნიკარაგუელი ქალების შესახებ, რომლებიც თამბაქოს ენეოდნენ და ამიტომ გამორჩეულად ვნებიანები იყვნენ (Emboden, 1979:38). შესაძლოა, ეს იყო ირიბი მინიშნება თამბაქოს, როგორც ერთგვარი აფროდიზიაკის, შესახებ.

<sup>20</sup> მინის დინასტიის მატეიანეში არის ჩანანერი, რომ 1550 წელს ჩინეთში თამბაქო შემოიტანეს კუნძულ ლუსონიდან (ფილიპინები) (<http://wan-shi-ru-yi.com/>).

ხოლო თამბაქოს მწველის სოციალურ სტატუსს ჩიბუხის ზომა განსაზღვრავდა. ჩინელი მწერალი ცუან ცზუვანი (1705-1755) წერდა: „თამბაქოს არსი ის კი არ არის, რომ გაგვათბოს, არამედ ის, რომ სიმოვნება მოგვანიჭოს და სულიერად აგვამაღლოს. როდესაც ადამიანი დათრგუნულია, თამბაქო ახალისებს, სწორად მიმართავ „ცის“ ენერჯიას, ახსნის ენერგეტიკულ არხებს. ის მთვრალსაც კი აფხიზლებს, ფანტავს მოწყენილობასა და ფაციფუცს, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისთვის“ (Nacano, 1984:19).



თავიდან ჩინელებმა თამბაქო მიიღეს, როგორც მალარიისაგან დამცავი საშუალება. შანიელი ექიმი ჩან ცი-ბინი წერდა: „როდესაც ჩვენი ჯარები შევიდნენ იუნანის პროვინციაში, სადაც მალარია იყო მოდებული, ყველა ჯარისკაცი დაავადდა, ერთი ბატალიონის გარდა. შემდეგ გაირკვა, რომ ისინი თამბაქოს ენეოდნენ. ამის შემდეგ, თამბაქო გავრცელდა მთელ ქვეყანაში. დღეს ახალგაზრდა და მოხუცი ეწევა დილიდან საღამომდე“ (Гейтли, 2005).

ჩინეთიდან თამბაქო გავრცელდა ვიეტნამში, როგორც ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტი. გამოცდილი ვაჭრები, ვიეტნამელი თამბაქოს მომხმარებლის დაინტერესების მიზნით, საიგონში ტვირთის გაგზავნის წინ თამბაქოს ფურცლებს სპეციალურად წითელ ფერად (ვიეტნამელებისთვის — ცხოვრების განახლების, ოჯახური ბედნიერების და წარმატების ფერი) ლებავდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის კოლონია ინდოეთი უკვე მეორე ადგილზე იყო თამბაქოს წარმოების მხრივ, თუმცა მოწეული პროდუქტი მხოლოდ შიდა ბაზრის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. სხვებისგან განსხვავებით, ინდოელებს არ მიაჩნდათ შეუთავსებლად ქალისთვის თამბაქო და ხატოვნად ამბობდნენ: „თამბაქოს და ქალს შორის განსხვავება არ არსებობს: ჩვენ ორივე ერთნაირად გვიყვარს“. ადგილობრივი მოსახლეობა ეწეოდა დაბალი ხარისხის თამბაქოს.

ეკონომიის მიზნით, დაუმუშავებელ თამბაქოს ურევდნენ შავი ხის — ტენდას ფურცლებს და ასე ამზადებდნენ მოსაწევ საშუალებას, რომელსაც „ბიდი“-ს უწოდებდნენ. მას შემდეგაც კი, რაც ინდოეთში თამბაქოს კულტივაციის მასშტაბები გაიზარდა, მოყვანილი თამბაქოს მეტი წილი დაბალი ხარისხის იყო და ის „ბიდის“ დასამზადებლად გამოიყენებოდა (<http://www.nature.com/bdj/html>).

იაპონიაში თამბაქოს შემოტანა ასევე პორტუგალიელი და ჰოლანდიელი მეზღვაურების სახელს უკავშირდება და ის XVI საუკუნის პირველ ნახევარში ივარაუდება (Воронина, 2011:169). დოკუმენტური მასალებით ჩანს, რომ 1542 წელს პორტუგალიელმა მეზღვაურებმა თამბაქო ჩაიტანეს კუნძულ კიუსიუზე და ასწავლეს იქაურებს თამბაქოს მოწევა. ჰოლანდიელმა მეზღვაურები მათ არ ჩამორჩნენ და თამბაქო შეიტანეს ნაგასაკსა და კაგოსიმაში.<sup>21</sup> XVI საუკუნის ბოლოსთვის თამბაქოს მოწევა იაპონიის კუნძულებზე ჩვეულებრივი მოვლენა იყო (Brown, 2003:11).<sup>22</sup> XVI საუკუნის მეორე ნახევარში თამბაქოზე მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ იაპონელი ვაჭრები გალიზიანდნენ კიდევ, როდესაც დაინახეს, თუ რა მოგება ჰქონდათ თამბაქოს უცხოელ იმპორტიორებს. ამიტომ ისინი თამბაქოს შემოტანის წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ მანამ, სანამ თვითონ ხელში არ ჩაიგდეს თამბაქოს ვაჭრობის სადავეები.<sup>23</sup> თამბაქოს პოპულარობის ზრდის კვალობაზე, მისი გაშენებით ადგილობრივი საშუალო შეძლების გლეხებიც დაინტერესდნენ და შემოსავლის გარკვეული წყარო გაიჩინეს. ეს საქმე იმდენად მოგებიანი აღმოჩნდა, რომ იაპონიის მმართველი კლასის წარმომადგენლებს საფუძვლიანი შიშიც კი გაუჩნდათ, რომ, ადრე თუ გვიან, თამბაქოს მოყვანით ფინანსურად

<sup>21</sup> 1542 წელს ექიმი საკა ნაგასაკიდან მეგობრებს წერდა: „უკანასკნელ ხანს რაღაც ახალი მცენარე სახელად „თამბაქო“ შემოვიდა მოდაში, რომლის ფურცლებს ჭრიან, ცეცხლს უკიდებენ და კვამლს სვამენ“ (Гейтли, 2005).

<sup>22</sup> უკვე XVI საუკუნეში, იაპონელი სამურაეები სპეციალურად მოწყობილ ადგილებში თამბაქოს ეწეოდნენ ვერცხლით განყოფილი ჩიბუხებით, რომელსაც კიმონოზე ამაგრებდნენ (Gately, 2001).

<sup>23</sup> იაპონელი ბუდისტი პილიგრიმები მომლოცველობის დროს გზისა და საცხოვრებლის ხარჯს თამბაქოს თესლით ისტუმრებდნენ (Penn, 1902:50). იაპონური ხელოვნების „უკიე-ე“-ს ადრეულ ეტაპზე (1650-1765 წწ.) თამბაქოს მოწევა გემების სამყაროს ატრიბუტად ითვლებოდა.

მომძლავრებულ გლეხებს თავისუფლების მოპოვების სურვილი არ გასჩენოდათ (Brown, 2003:11).<sup>24</sup>

1592-1598 წლებში ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა თამბაქო გაავრცელეს კორეაში<sup>25</sup>. როგორც „ბოროტი ენები“ ამბობდნენ, ამ საქმეში გამორჩეული როლი მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონებმა შეასრულეს, რომლებსაც, ტრადიციულად, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ თავგადასავლების მაძიებელ ევროპელ მეზღვაურებთან.

ევროპელი მკვლევრების აზრით, ციმბირში თამბაქო ჩინეთიდან შევიდა (Houdalieh, 2008:456).<sup>26</sup> რუსი მეცნიერების მტკიცებით, თამბაქოს კულტურა ციმბირში რუსმა ვაჭრებმა გაავრცელეს (Шаповалов, 2000:107). თუმცა, რუს მეცნიერთა სხვა ჯგუფი თვლის, რომ ციმბირში თამბაქოს რუსების გამოჩენამდე იცნობდნენ (Купина, 1995: 90).

XVI საუკუნის 70-ან წლებში თამბაქო სავაჭრო-საქარავნო გზებით გავრცელდა ტაილანდში, კამბოჯაში, შრი-ლანკასა და გოაში.

ახლო და შუა აღმოსავლეთში თამბაქოს XVII საუკუნის დასაწყისამდე არ მოიხმარდნენ. აქ მის გავრცელებას ყურანის მოშველიებით ებრძოდნენ. თამბაქოს პოპულარობის ზრდის კვალობაზე, მექაში მო-

<sup>24</sup> მკვლევართა აზრით, თამბაქოს იაპონური სახელი პორტუგალიური ენიდან დამკვიდრდა. იეროგლიფები — 煙草 — ნიშნავს „კვამლიან ბალახს“.

<sup>25</sup> ნიშანდობლივია, რომ თამბაქოს კორეული სახელი "hamp'an kock" ითარგმნება, როგორც „ჰოლანდიელი“ (Penn, 1902).

<sup>26</sup> XVIII საუკუნის ამერიკისპირეთში თამბაქო და ჩიბუხები დაკრძალვის რიტუალის ატრიბუტადაც კი ჩამოყალიბდა (Беликова, Зинченко, 2012:103). აღინა/ჰოპოუელის კულტურის ათასობით თამბაქოს მოსაწევი ჩიბუხი მიაკვლიეს ე.წ. დასაკრძალავ ბორცვებზე. ჩიბუხებს მიცვალებულს ატანდნენ პირადად მოსახმარად, ხოლო თამბაქოს ფურცლებს – სულების გამოსაკვებად (Воронина, 2011:169). ტრადიცია ჩიბუხების სამარხში ჩატანებისა დასტურდება როგორც ევროპაში (Kenzler, 2007:16-27), ასევე, აფრიკის ბარბადოსის კუნძულებზე მოსახლე ტომებში (Handler, 1983:245), საუდის არაბეთში (ისინი ნანახია სამარხების თავზე ე.წ. სააღაპო მოედნებზე) (Bouzigard, Saidel, 2012:122), ჩრდილოეთ კავკასიაში (Виноградов, 1977:66-67). ჩიბუხი ფიგურირებს ციმბირელთა საქორწინო რიტუალშიც: ციმბირელი ნაგასების ტრადიციით, თუ გოგონა ჭაბუკს გაჩაღებულ ჩიბუხს მიანოდებდა, ეს ნიშნავდა, რომ ის მასთან თანაცხოვრებაზე თანახმა იყო.

ღვანე რელიგიურმა ავტორიტეტებმა „მავნებელთა“ ჯგუფში გააერთიანეს თამბაქო, ღვინო, ოპიუმი, ყავა და მათი, როგორც გონების დამბინდველ საშუალებათა გამოყენებაზე, აკრძალვა („ფეთვა“) გამოაცხადეს (Bouzigard, 2010:14).

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ირანში თამბაქოს გავრცელების შესახებ.<sup>27</sup> ერთ-ერთი ვერსიით, აქ თამბაქო ინდოეთიდან შემოვიდა XVII საუკუნის დასაწყისში, დიდი მოგოლების შაჰის ჯალალ ალ-დინ მუჰამედ აკბარის მმართველობის დროს (1556-1605) (Зайцев, 2011:15).<sup>28</sup> XVIII საუკუნეში გამოცემულ სპარსულ ფარმაკოლოგიურ ლექსიკონში ("Makhzanal-adtiah") მითითებულია, რომ ირანში თამბაქო პირველად პორტუგალიელმა მეზღვაურებმა შემოიტანეს.<sup>29</sup> თამბაქოს ისტორიის მკვლევრები ირანში თამბაქოს სწრაფად გავრცელებას ხსნიან იმ მარტივი გარემოებით, რომ მის შემოსვლამდე, აქ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გარკვეული ტრადიცია უკვე არსებობდა (Mathee, 2004:61).

ირანში გავრცელებული იყო ბურნუთი (nešvār/anfiya), რომელსაც აზავებდნენ მინარევებთან, მათ შორის, pachyclada-თან. ისფაჰანში ადგილობრივი სომხები თამბაქოში ურევდნენ ჩინური ჩაის ფოთლებს, რომლებსაც, სხვათა შორის, გზავნიდნენ კავკასიაშიც.

<sup>27</sup> ზოგი ირანელი მკვლევარი თვლის, რომ თამბაქოს მონევის ტრადიცია სპარსეთში უფრო ადრე დამკვიდრდა, რასაც „ადასტურებს“ ერთი შირაზელი პოეტის (რომელიც გარდაიცვალა 1535 წელს) ლექსი, სადაც თამბაქოს მონევაზეა საუბარი (Mathee, 2000:753). გერმანელი მოგზაური ჰენრიხ ფონ პოზერი, რომელიც 1621 წელს ესტუმრა ირანს, ხაზგასმით აღნიშნავდა აქ თამბაქოს ზღვარგადასულ მოხმარებას. გერმანელი ორიენტალისტის ადამ ოლეარიუსის ცნობით, 1636 წელს თამბაქოს მოიხმარდნენ ისფაჰანის მეჩეთებშიც (Süngü, 2014:110)

<sup>28</sup> უილიამ პენი აღნიშნავს, რომ სპარსეთში თამბაქო გავრცელდა თურქეთიდან (Penn, 1902:36). აზერბაიჯანელი მკვლევრების აზრით, სპარსეთში თამბაქო 1634 წელს შემოვიდა (Ахмедов, 1992:79). სხვა წყაროებით, ეს თარიღი 1605 (Floor, 2002:47), 1617 (Mathee, 2004:58), ან 1598 წელია (Elgood, 1970:41).

<sup>29</sup> XVII საუკუნის დასაწყისისათვის თამბაქოს გავრცელებას მუსლიმანური სამყაროს ვრცელ ტერიტორიაზე პორტუგალიელ მეზღვაურებს მიაწერენ (Mathee, 2000:753). ფრანგი მოგზაურის მარსიო ტამისიერის ცნობით (1840 წ.), არაბეთში თამბაქოს უწოდებდნენ "Bortugese", რაც პორტუგალიელთა მოღვაწეობის გამოძახილი უნდა ყოფილიყო (Shetcher, 2006:170).

ირანში თამბაქო გააშენეს შირაზის მიწაზე, საიდანაც დამკვიდრდა თამბაქოს ცნობილი ჯიში „სპარსეთის შირაზი“<sup>30</sup> (Billings, 1875). მცირე დროში პოპულარობა მოიპოვეს თამბაქოს ისეთმა ჯიშებმა, როგორებიცაა: „არომატული ლატაკია“, „ცხვრის ყური“ (Robinson, 1985:152).

დოკუმენტური წყაროების მიხედვით, აზერბაიჯანში თამბაქო XVII საუკუნიდან ჩნდება. აზერბაიჯანელი მკვლევრების მტკიცებით, ის თურქეთიდან უნდა შემოეტანათ (Баширов, 2011).<sup>31</sup>

XVII საუკუნის დასაწყისში ევროპელმა მეზღვაურებმა ხელი შეუწყვეს თამბაქოს კულტივაციის პროცესს აფრიკისა (Gately, 2001:59; Houdalieh, 2008:456) და ავსტრალიის (Kourtney, McNiven, 1998) კონტინენტზე. საქარავნო გზებით თამბაქო გავრცელდა აფრიკის საჰარაში, სპარსეთის გავლით კი — ცენტრალურ აზიაში (შუა აზიაში მოგვიანებით — XVIII საუკუნეში) (Козлов, 2006:121,122). 1607 წლიდან თამბაქოს აქტიური კულტივაცია დაიწყო სიერა ლეონესა და კონგოში.<sup>32</sup> XVI საუკუნის ბოლოს თამბაქო გავრცელდა ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, იემენსა და ჰიჯასში. ევროპელ მოგზაურთა ცნობით, პალესტინაში უკვე XVII საუკუნის პირველ ნახევარში თამბაქოს ეწეოდნენ

<sup>30</sup> ევროპაში „სპარსეთის შირაზის“ პოპულარობა მნიშვნელოვნად განაპირობა თამბაქოს ფურცლების დამუშავების სპეციფიკური მეთოდის (დაპრესვა) დანერგვამ, რაც გამორჩეულ არომატს აძლევდა პროდუქტს.

<sup>31</sup> თუმცა, არსებობს განსხვავებული ვერსიებიც აზერბაიჯანში თამბაქოს გავრცელების თაობაზე, კერძოდ, ინდოეთიდან, ირანიდან და ევროპიდანაც კი მისი შემოტანის შესახებ (Ахмедов, 1979, 78).

<sup>32</sup> აფრიკელი აბორიგენები თამბაქოს ფურცლებს ლეჭავდნენ, ყნოსავდნენ, თან პატარა და დიდი ზომის ჩიბუხით ეწეოდნენ კიდეც (Hill, 1976:109). 1611 წელს აფრიკაში მყოფი შვეიცარიელი ექიმის ცნობით, კონგოს სამეფო კარის ჯარისკაცები შიმშილის გრძნობას „იკლავდნენ“ არა თამბაქოს „კლასიკური“ მონევით, არამედ დაქუცმაცებული ფოთლების წვისგან წარმოქმნილი კვამლის შესუნთქვით (Handler, 2008:1). ევროპელი მოგზაურები მიუთითებდნენ, რომ კალაჰარის უდაბნოში მცხოვრები ბუშმენები თხრიდნენ ორმოს, შიგ წვავდნენ თამბაქოს და მუხლებზე დაჩოქილები ლერწმის ლეროთი ისუნთქავდნენ კვამლს (Гейтлин, 2005). ამგვარ მეთოდს მიმართავდნენ XIX საუკუნის ბუხარაში. თამბაქოს მონევის ანალოგიური პრაქტიკა აღწერილი აქვს ლევ ტოლსტოის რომანში „პაჯი-მურატი“: „ჯარისკაცმა ჯიბიდან დანა ამოიღო და მინის მოჩიჩქნა დაიწყო. პანია ორმო ამოთხარა, მოასწორა და ჩიბუხის მაგვარი ტარი გაუკეთა. შემდეგ ორმოში თუთუნი ჩაყარა, დატყეპნა და ჩიბუხიც მზად იყო“ (Толстой, 1976:603).

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც, ქუჩებსა და ბაზრებში (Grehan, 2006:1355). XVII საუკუნის დასაწყისისათვის თამბაქოს გაშენება დაიწყო მალტაში, მაკედონიაში, ანატოლიაში, ჩრდილოეთ სირიასა და ლიბანში (Simpson, 2000:171).

რუსეთში თამბაქო გავრცელდა მეფე ივანე მრისხანის დროს<sup>33</sup> და ის თავიდანვე პოპულარული გახდა საზოგადოების ზედა ფენებში. თუმცა, უკვე მეფე მიხეილ თევდორეს ძე რომანოვის და მისი შვილის ალექსი მიხეილის ძის მმართველობის პერიოდში, რუსული ეკლესიის წინამძღოლობით, დაიწყო აქტიური მოძრაობა თამბაქოს აკრძალვისათვის (Ковалёва, 2015:23).<sup>34</sup> ეს ბრძოლა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გაგრძელდა XVII საუკუნის ბოლომდე.

დამოკიდებულება თამბაქოს მიმართ რადიკალურად შეიცვალა პეტრე I-ის ტახტზე ასვლისთანავე. ახალგაზრდა იმპერატორმა, ინგლისსა და პოლანდიაში სტუმრობის დროს, დაინახა, თუ როგორი მზარდი მოთხოვნილება იყო თამბაქოზე.<sup>35</sup> გამჭრიახმა მეფემ სწორად შეაფასა თამბაქოს წარმოების მნიშვნელობა სახელმწიფო ხაზინის შევსების საქმეში. 1697 წლის 11 თებერვალს, პეტრე I-ის განკარგულებით, თამ-

<sup>33</sup> ერთ-ერთი ვერსიით, თამბაქო რუსეთში ევროპიდან ინგლისელმა ვაჭრებმა შეიტანეს: 1553 წელს ქარიშხალმა თეთრ ზღვაში მოუსწრო ინგლისელ კაპიტან რიჩარდ ჩენსლერს, ამიტომ ის იძულებული გახდა რუსეთის სანაპიროს მიდგომოდა. გემზე მარილთან, ღვინოსთან და ქალაღთან ერთად, თამბაქოც იყო და ასე მოხვდა ის მოსკოვში (Богданов, 2006:13). სხვა ვერსიით, თამბაქო რუსეთში შემოვიდა ყირიმის სახანოდან, სადაც XVII საუკუნის დასაწყისში მოხვდა თურქეთიდან (Зайцев, 2011:14). სხვათა შორის, XVIII-XIX საუკუნეების რუსულ ლიტერატურაში, თამბაქო ყოველთვის ასოცირდებოდა თურქთან ან ურწმუნოსთან («Эй вы, нехристи, табашники, Карачун приходит вам!...») (Некрасов, 1965:32).

<sup>34</sup> „ღვთის წყალობით, ჩვენ, ხელმწიფე და მეფე ალექსი მიხეილის ძე. ბრძანება. საყოველთაოდ ვაცნობებთ მართლმადიდებელ ქრისტიანებს წყეული თამბაქოს შესახებ. და თქვენთვის ცნობილი იყოს. არქიმანდრიტმა გენადიმ შენიშნა, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანებში წყეული თამბაქო გავრცელებულია არა მართო მამაკაცებში, არამედ ქალებშიც, მომაკვდინებელ ცოდვაში ჩავარდნილებში“. თუმცა, ეკლესიისგან განსხვავებით, მეფე მიხეილ თევდორეს ძე, თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიის დროს, თავიდან აქცენებს აკეთებდა თამბაქოს სიძვირეზე, ანუ მოსახლეობის გაჩანაგების საფრთხეზე (Богданов, 2006:20).

<sup>35</sup> ახალგაზრდა პეტრე ჯერ კიდევ გერმანულ სლობოდაში მიეჩვია თამბაქოს მონევას შვედ მეგობარ ფრანც ლეფორტთან ერთად (Наумов, 2010:26 ).

ბაქოთი ვაჭრობა პრაქტიკულად ლეგალიზებული გახდა და დამტკიცდა მისი მოყვანა-გავრცელების წესი.<sup>36</sup>

1697 წელს ყველას, გარდა უცხოელებისა, მისცეს თამბაქოს მოყვანისა და მოხმარების უფლება, იმის გათვალისწინებით, „რომ ფულის მოსაკრებლით, ხაზინისთვის არ იქნას მიყენებული ზარალი“ (Спиридонова, Рубан, 2006). 1698 წელს თამბაქოს გაყიდვის ნება დართეს უცხოელ ლორდ კარმარტენს, რომელიც პეტრე I-მა ლონდონში გაიცნო და შეუთანხმდა კიდევ რუსეთში თამბაქოს შემოტანის შესახებ.<sup>37</sup>

XVII საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთში თამბაქოს მომხმარებელთა (მწველთა, მყოსველთა) რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. XVIII საუკუნეში რუსები ალკოჰოლზე მეტ თანხას თამბაქოს (უფრო ბურნუთის) შესაძენად ხარჯავდნენ (Кель, 2011).<sup>38</sup> ინგლისის ელჩი რუსეთში კარლაინი აღნიშნავდა: „რუსები ძალიან ეტანებიან თამბაქოს და ექაჩებიან ჩიბუხს გულის შეღონებამდე“ (Богданов, 2006:14)<sup>39</sup>

რუსეთში 1723 წლიდან მოსახლეობას უკვე საკანონმდებლო წესით ავალებდნენ თამბაქოს გაშენებას (Пусь, Ещенко, 2008:168). ეს საქმე

<sup>36</sup> თამბაქო ვინმეს მალულად რომ არ გაეყიდა, დაკონკრეტდა გაყიდვის ადგილიც: «Продавать оный явно в светлицах при кабаках». იმპერატორ პეტრე I-ის 1697 წლის ბრძანებაში კიდევ ერთი „საინტერესო“ მინიშნება იყო: თამბაქოს კვამლის შესუნთქვა და გამოშვება ნებადართული იყო მხოლოდ ჩიბუხების საშუალებით.

<sup>37</sup> რუსი ვაჭარი ორლენკა 15 ათასი რუბლის დახარჯვას აპირებდა რუსეთში თამბაქოს გაყიდვის მონოპოლიის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ კარმარტენმა უფრო მეტი — 48 ათასი რუბლი გაიღო. ლორდ კარმარტენს მოსთხოვეს, რომ წინასწარ გადაეხადა 12 ათასი გირვანქა სტერლინგი, ხაზინისათვის კი ყოველწლიურად 1000 გირვანქა თამბაქო გადაეცა. საბაჟო გადასახადი განისაზღვრა ოთხი კაპიკი გირვანქაზე. ამ ფასად სინდიკატმა უფლება მიიღო შემოეტანა რუსეთში ნელინადში 1500000 ფუნტი თამბაქო (Penn, 1902:45).

<sup>38</sup> 1810 წლამდე მოსაწევ თამბაქოზე უფრო პოპულარული იყო ბურნუთი.

<sup>39</sup> თამბაქოს ჩიბუხით მონევის დიდი მოყვარული გახლდათ იმპერატორი პეტრე III (1728-1762 წწ.). მისი თანამედროვე მწერლის, ანდრეი ბოლოტოვის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „რადგან თვით ხელმწიფე დიდი მოყვარული გახლდათ თამბაქოს ჩიბუხით მონევისა, ძალიან მოსწონდა, როცა სხვებიც ეწეოდნენ. ამიტომ, ყველა ცდილობდა ესიამოვნა და მიეზადა ხელმწიფისათვის. თვით ხელმწიფე კი, ყველგან, სადაც წავიდოდა, ბრძანებდა, რომ მისთვის წამოეღოთ ჰოლანდიური ჩიბუხებით სავსე კალათა“ (<http://az.lib.ru/b/bolotow.0110.shtml>).

თავიდან სასურველი ტემპით და მასშტაბით ვერ განვითარდა, ამიტომ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფის ხელისუფლებამ თამბაქოს მწარმოებელთათვის წამახალისებელი აქტიც კი მიიღო.

თანამედროვენი იგონებენ, რომ თვით რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II არ იყო გულგრილი თამბაქოს მიმართ. დედოფალი ისე შეეჩვია ბურნუთს, რომ მეუღლის, პეტრე III-ს წინააღმდეგობის მიუხედავად, პირადად თხოვდა თავად გოლიცინს სადილის დროს მის გვერდით დამჯდარიყო, რათა ამ უკანასკნელს, მაგიდის ქვევიდან, ფარულად გადაეწოდებინა მისთვის ბურნუთი. ეკატერინე II-ს ცარსკოე სელოდან სპეციალურ სიგარებს უგზავნიდნენ, რომლებიც აბრეშუმის ლენტით იყო შემკული, რომ დედოფალი თამბაქოს ფურცლებს თითებით არ შეხებოდა და მის საამბოროდ განვდილ ხელს თამბაქოს სუნი არ გაჰყოლოდა (Зимин, 2010:336).

1763 წელს გამოცემული მანიფესტით,<sup>40</sup> ეკატერინე II-მ დაავალა შესაბამის უწყებებს მსურველებისთვის უფასოდ გაეცათ ამერიკული თესლი და დაბეჭდილი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოეყვანათ თამბაქო. 1764 წლის 22 მარტის ბრძანებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თამბაქოს წარმოების განვითარებას.<sup>41</sup> ამის თაობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თუ 1634 წელს ერთი ფუთი თამბაქო 100 რუბლი ღირდა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მისი ღირებულება მხოლოდ 6 რუბლსა და 50 კაპიკს შეადგენდა.

თამბაქოს ეტანებოდნენ და მისთვის თანხას არ იშურებდნენ მთიელებიც. ალექსანდრე დიუმას კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთ ჩანაწერს ვხვდებით: „მთიელი კაცის ერთ-ერთი პირველი მოთხოვნილება თამბაქოა. ერთხელ შამილმა ბრძანება გასცა, რომ აღარავის მოენია თამბაქო და მის საყიდლად განკუთვნილი

<sup>40</sup> «О разведении как в Малой России, так и в великорусских краях насаждений разного чужеземного табака».

<sup>41</sup> ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ: „ვინც გააკეთებს აბრეშუმის ქარხანას, თამბაქოს ფაბრიკას, გააშენებს ვენახს და სხვა ამდაგვარს, რაც სახელმწიფოში ცოტა ან საერთოდ არ არის, მას უფლება აქვს 10 წლის განმავლობაში გადასახადის გარეშე საზღვარგარეთ და სახელმწიფოს საზღვრებში გაყიდოს მასთან წარმოებული პროდუქტი“.

ფული მოეხმარათ თოფის წამლის შესაძენად. ბრძანება უსიტყვოდ შესრულდა და ყველამ შეწყვიტა თამბაქოს მოწევა“ (დიუმა, 2014:33).

რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ, უფრო გაიზარდა მწვეველთა რიცხვი. რუს ჯარისკაცებს ნადავლის სახით ჩამოჰქონდათ თამბაქო, ჩიბუხები და ავრცელებდნენ მას იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის სოფლებსა თუ ქალაქებში თამბაქოს მწვეველთა/მცნოსველთა რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა, თამბაქოს მიმართ დამოკიდებულება (გამორჩეულად — ელიტარულ წრეებში) მაინც არაერთგვაროვანი იყო. მაგალითად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი რუსი ლექსიკოგრაფის — ვლადიმერ დალის ლექსიკონში თამბაქოს ასეთ განმარტებას ვხვდებით: «Табак — растение (никотин табакум) у раскольников: поганое, блудное, антихристовое, сатанинское зелье».<sup>42</sup>

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დასაწყისამდე რუსეთის მაღალ საზოგადოებაში თამბაქოს მოწევა არცთუ კარგ ტონად ითვლებოდა. უფრო „მისაღები“ და პოპულარული იყო ბურნუთი.<sup>43</sup> XVIII საუკუნის რუსეთში ყველაზე მოდურ აქსესუარად ითვლებოდა ე.წ. „საბურნუთი“ («табакерка»). მოდის მიმდევარი ქალბატონები მალე შეეჩვივნენ

<sup>42</sup> რუსული ეკლესიის დამოკიდებულება თამბაქოს მწვევლებისადმი არც მოგვიანო პერიოდში შეცვლილა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში წმიდა მართალი იოანე კრონშტადტელი წერდა: „ადამიანმა დაამახინჯა თვით ხორციელი სიამოვნებაც კი ... მან გამოიგონა და თითქმის განუწყვეტლივ უშვებს მძაფრსა და სუნთან ბოლს, მოაქვს იგი როგორც მუდმივი შესანიშნავი სხეულში მცხოვრები დემონისათვის, ამ ბოლით მსჭვალავს თავისი საცხოვრებლის და მის გარეთ არსებულ ჰაერსაც, უწინარეს ყოვლისა კი, თავად იმსჭვალება იმ ბილნი სურნელით“. ღირსი ამბროსი ოპტინელი აღნიშნავდა, რომ: „თამბაქო ადუნებს სულს, ამრავლებს და აძლიერებს ვნებებს, აბნელებს გონებას და ანგრევს ჯანმრთელობას ნელი სიკვდილით. გალიზიანება და სევდა – ესაა შედეგი თამბაქოსაგან ავადმყოფურად განცდილი სულისა“ (О грехах сквернословия и курения, 2008:16).

<sup>43</sup> რუსული ლეგენდის თანახმად, როდესაც ეშმაკს დედა მოუკვდა, მან გასვენებაში ყველა ეშმაკს მოუყარა თავი: მათ, ვინც თამბაქოს ეწეოდა და მათაც, ვინც თამბაქოს ყნოსავდა. ვინც ეწეოდა, ისინი იფურთხებოდნენ და ეშმაკის დედა თავიდან ფეხებამდე წერწყვით მოსვარეს. ვინც თამბაქოს ყნოსავდა, მათ შესუნთქვის დროს თვალზე ცრემლი ადგებოდათ და ისე ჩანდა, რომ ეშმაკის დედას გულით გლოვობდნენ. ეშმაკმა თამბაქოს მწვევლები სახლიდან გაყარა. მას შემდეგ ხალხმა დაიწყო თამბაქოს ყნოსვა (Левкиевская, 2000).



ბურნუთს და მისი აქტიური მომხმარებელები გახდნენ.<sup>44</sup> ჭაბუკმა პუშკინმა ლექსიც კი მიუძღვნა თამბაქოს მყნოსველ ლამაზმანს, სადაც „სინანულით“ აღნიშნავდა: «Судьба завистливая, злая! Ах, отчего я не табак» (Пушкин, 2013:121).<sup>45</sup>

XIX საუკუნის რუსეთში თამბაქოს მოწვევა წვეულების შემადგენელი ნაწილი გახდა. ის დიდგვაროვანთა ერთგვარ პრივილეგიადაც კი ითვლებოდა. „აბა რა დიდგვაროვანია ჩიბუხის გარეშე. თუ ბოძების სიგელში არ არის მინიშნება თამბაქოს წევის უფლებაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავისთავად დიდგვაროვნები იგულისხმება“, — წერდა მეგობრებს პეტრე-პავლეს ციხეში დატყვევებული დეკაბრისტი.

რუსეთში თამბაქო ძირითადად მოჰყავდათ მალოროსიაში, აზოვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თამბაქოს ექსპორტზე ხორციელდებოდა მკაცრი კონტროლი, მაგრამ ის მაინც ყველგან იყიდებოდა.<sup>46</sup> მალოროსიაში სულ 1 კაპიკად ნაყიდი თამბაქო მოსკოვში შეიძლებოდა 8 კაპიკადაც კი გაყიდულიყო (Костомаров, 2009:478). ადგილობრივი წარმოების განვითარების მიუხედავად, რუსეთში თამბაქოს დიდი წილი მაინც თურქეთიდან შემოდის. თურქეთი თამბაქოს და ჩიბუხებსაც კონსტანტინეპოლიდან ოდესაში აგზავნიდა (გამბა, 1987:49). გასაგები მიზეზების გამო, რუსეთში მეტი მოთხოვნა იყო დაბალხარისხიან თამბაქოზე — წეკოზე, ვიდრე ძვირადღირ-

რუსეთში თამბაქო ძირითადად მოჰყავდათ მალოროსიაში, აზოვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თამბაქოს ექსპორტზე ხორციელდებოდა მკაცრი კონტროლი, მაგრამ ის მაინც ყველგან იყიდებოდა.<sup>46</sup> მალოროსიაში სულ 1 კაპიკად ნაყიდი თამბაქო მოსკოვში შეიძლებოდა 8 კაპიკადაც კი გაყიდულიყო (Костомаров, 2009:478). ადგილობრივი წარმოების განვითარების მიუხედავად, რუსეთში თამბაქოს დიდი წილი მაინც თურქეთიდან შემოდის. თურქეთი თამბაქოს და ჩიბუხებსაც კონსტანტინეპოლიდან ოდესაში აგზავნიდა (გამბა, 1987:49). გასაგები მიზეზების გამო, რუსეთში მეტი მოთხოვნა იყო დაბალხარისხიან თამბაქოზე — წეკოზე, ვიდრე ძვირადღირ-

<sup>44</sup> ბურნუთი განსაკუთრებით პოპულარული იყო იყო ახალგაზრდა გოგონებში. პეტრე I-ს შვილიშვილი ნატალია აღექსევენა გარდაიცვალა 1728 წელს, 14 წლის ასაკში. მისი ქონების აღწერის დროს, სხვა ნივთებთან ერთად, დაფიქსირებული იყო 10 ძვირფასი ქვებით განწყობილი საბურნუთე.

<sup>45</sup> ცნობილია, რომ პუშკინის დედა და მეუღლე ბურნუთის მოყვარულები იყვნენ.

<sup>46</sup> XIX საუკუნის რუსეთში თამბაქოს ეწოდნენ და ყნოსავდნენ ბავშვებიც. შო - რეული აღმოსავლეთის მკვლევარი ვ. არსენიევი ასე აღწერს უსურის მხარეში მცხოვრები უღებების ყოფას: "თამბაქოს ეწვეა ყველა, პატარა ბავშვებიც კი. მე არაერთხელ მინახავს ბავშვები, რომლებმაც ჯერ სიარულიც არ იცოდნენ და დედის ძუძუს ნოვდნენ, მაგრამ ჩიბუხს ეწოდნენ" (Кобняков, 1965).

ებულ იმპორტულ, ან თუნდაც ჩერქეზულ თამბაქოზე.<sup>45</sup>

დოკუმენტური წყაროებით, უკრაინაში თამბაქო XVII საუკუნის დასაწყისში ჩნდება. მისი პირველი მომხმარებლები ზაპოროჟიელი კაზაკები იყვნენ (Куштан, 2009:66). უკრაინაში ეკლესია თამბაქოს „ეშმაკის მიერ დაგებულ მახედ“ წარმოაჩენდა. მიუხედავად ამისა, თამბაქომ საკმაოდ მტკიცედ მოიკიდა ფეხი და ტრადიციულ ჩიბუხთან (Пухка) ერთად უკრაინელი მამაკაცების ყოველდღიური ყოფის განუყოფელი ნაწილი გახდა.<sup>46</sup> თამბაქოს მოსაწევად ძირითადად ჩიბუხებს ხმარობდნენ, თუმცა, ასაკოვანი მამაკაცები, დროს მოგების მიზნით, უპირატესობას ბურნუთს ანიჭებდნენ.<sup>47</sup>

ყველა კაზაკი ცდილობდა საკუთარი ორიგინალური ჩიბუხი ჰქონოდა და თამბაქოც გემოვნებით შეეზავებინა.<sup>48</sup> ჩიბუხის დაკარგვას კაზაკები ცუდის მომასწავებლად თვლიდნენ (Пусь, Ещенко, 2008). კაზაკების თამბაქოსადმი გამორჩეულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელიც გვამცნობს, რომ ისლამგირეი ხანის მეთაურობით გამართული კაზაკებისა და ყირიმელების ერთობლივი ლაშქრობის დროს, როდესაც პოლონეთიდან წამოსხეს 200 ათასამდე ებრაელი ტყვე, კაზაკები ყირიმელ თათრებს ერთ ჩიბუხ თამბაქოში ერთ ტყვეს უცვლიდნენ (Куштан, 2009:69).<sup>49</sup>

<sup>45</sup> ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც სწავლობდა მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში, თამბაქოს მწვეელი იყო. დედისადმი გაგზავნილ წერილში ის აღნიშნავდა: „მე აქაურს მყრალ თამბაქოსა ვწევ. უნდა იცოდე, რა საძაგლობა არის“ (<http://lib.ge>).

<sup>46</sup> იაკობ მანსვეტაშვილი ხარკოველ უკრაინელებს ასე ახასიათებს: „აბოლებდნენ ჩიბუხს და პირიდან აღარ იშორებდნენ, გაუთავებლად წუნნიდნენ“. 1612 წელს გეტმან პეტრე საგაიდაჩნის მიერ თურქული ქალაქის — კაფას აღებისადმი მიძღვნილ სიმღერაში საუბარია იმის თაობაზე, რომ გეტმანმა ომში წასვლის წინ ცოლი ჩიბუხსა და თუთუნში გაცვალა (Малинин, 2007).


<sup>47</sup> ამის თაობაზე უნდა მიახიზნებდეს უკრაინული ხატოვანი გამოთქმა: «Покіїй наложеш, покіїй запалиш, покіїй накрієш та покіїй насмокчєшєя, єретичої душі, а то смикдьорг! Утер нос атай готов!» (Мискин, Цаплин, 2009).

<sup>48</sup> უკრაინელ მწვეელთა აღნიშნულ ტრადიციას უნდა ესადაგებოდეს მალგოროსული ანდაზა: «кали ты курєц, имєй своєю люлькუ и тютюнєц».

<sup>49</sup> ახმედ იბრაჰიმ რემი-ევენდი ყირიმელ თათრებზე წერდა: „თათრები ერთი ჩიბუხი თამბაქოსთვის მზად არიან ხუთი საათი მთებში იბობლონ“ (Зайцев, 2011:18).

თამბაქოს ისტორიის საინტერესო ფაქტები დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობასთან და „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მიღებასთანაც.

XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე 13 ინგლისური კოლონია იყო, რომლებიც მეურნეობის ხასიათის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფოდა: ჩრდილოეთის კოლონიებში მეთევზეობას, მონადირეობას და გემთმშენებლობას მისდევდნენ, ცენტრალურ კოლონიებში ხორბალი, ბოსტნეული, სიმი-



ნდი მოჰყავდათ და მეცხოველეობითაც იყვნენ დაკავებულნი. სამხრეთის კოლონიებში მოჰყავდათ თამბაქო, ბრინჯი და ბამბა. 1759 წელს ჯორჯ ვაშინგტონი მეუღლის — მარტა დანდრიჯ კუსტისის მზითევის სახით ლეზულობს 17 ათას აკრ მიწას მაუნტ-ვერონში, 286 მონას და გადწყვეტს თამბაქოს მოშენებას. ვაშინგტონის საქმიანობა ამ მიმართულებით ნარუმატებელი აღმოჩნდა. ბრიტანული ბაზარი ვერ დააკმაყოფილა აქაური თამბაქოს ხარისხმა და 1761 წლისთვის ჯორჯ ვაშინგტონი ვალებში ჩაეფლო (Heimann, 1960:73).<sup>50</sup>

როცა დაიძაბა ურთიერთობა ინგლისის კოლონიებსა და ბრიტანეთის სამეფო კარს შორის, კოლონისტებმა დაიწყეს მუშაობა თვითმმართველობის კონცეფციაზე, რისი საფუძველიც იყო მკაფიოდ გაცხადებული იდეა, რომ ქვეყანას თავისუფლად შეუძლია იარსებოს მეფის გარეშეც. ინგლისის ცამეტმა კოლონიამ შეადგინა თავისუფლების

<sup>50</sup> მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ სწორედ ეს გახდა რეალური მიზეზი მისი მონაწილეობისა ამერიკის რევოლუციაში. თუმცა, როგორც დოკუმენტური წყაროები მოწმობს, ჯორჯ ვაშინგტონის ძირითადი კომერციული თუ სამეურნეო საქმიანობა არა თამბაქოსა და ხორბლის, არამედ კანაფის მოყვანას უკავშირდებოდა. კანაფი იმ კონკრეტულ ეპოქაში გამოიყენებოდა არა ნარკოტიკის, არამედ ქსოვილის, ბანრის და ქალაღის დასამზადებლად.

დეკლარაცია, რომლის მიხედვით, ისინი თავის თავზე იღებდნენ ქვეყნის მართვას. ისტორიკოსი აიან გეიტლი აღნიშნავს: „რომ იყოს საჭირო რალაც საერთოს მოძებნა იმ ორმოცდათექვსმეტ ადამიანს შორის, რომლებმაც დაადასტურეს მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი ქვეყნის დაბადება, ეს არის ღმერთის რწმენა და თამბაქოს ბიზნესი“ (Гейтли, 2005). დეკლარაციის პრეამბულაში საუბარია იმ პრეტენზიებზე, რაც გააჩნდათ კოლონისტებს დიდი ბრიტანეთის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ძირითადი აქცენტი თამბაქოზეა გაკეთებული.

1861-1865 წლების სამოქალაქო ომის დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოიღეს პირველი ფედერალური გადასახადი თამბაქოზე. შედეგად, ხაზინაში 3 მილიონი დოლარი შევიდა.<sup>51</sup> კოლონისტები ინგლისელების წინააღმდეგ ომში ფრანგული კრედიტით სარგებლობდნენ, რაც 5 მილიონი ფუნტი თამბაქოთი იყო გამყარებული.<sup>52</sup>

XVIII საუკუნის დასასრულს, ფაქტობრივად, ყველა ევროპულმა ქვეყანამ, ბოლოს და ბოლოს, შეიგნო თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივობა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის თამბაქოთი ვაჭრობა გახდა სახელმწიფო ხაზინის შევსების არსებითი წყარო.

<sup>51</sup> აშშ-ში საყნოსი თამბაქოს პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სენატის შესასვლელში ბურნუთით სავსე ყუთები იდგა, რომ სენატორებს, საჭიროების მიხედვით, შენობიდან გაუსვლელად შეეცსოთ საკუთარი საბურნუთეები.

<sup>52</sup> თამბაქოს თემა განსაკუთრებით აქტუალური იყო ომების და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. 1766 წლის რევოლუციის დროს ჯორჯ ვაშინგტონმა კონგრესს მიმართა: „თუ ფული არ გაქვთ—გამოგზავნეთ თამბაქო“ (Vihlene, 2004:30). პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც თამბაქო შედიოდა ჯარისკაცის ყოველდღიურ ულუფაში, ანტანტის მხარეზე მეომარი ამერიკელი გენერალი ჯონ ჯოზეფ პერშინგი წერდა: „თქვენ მეკითხებით რა არის საჭირო ომში გამარჯვებისთვის? მოგახსენებთ: თამბაქო და ტყვია! თამბაქო საჭიროა ყოველდღიურად. ჩვენ გვჭირდება ათასობით ტონა თამბაქო დაყოვნების გარეშე“. იოსებ სტალინმა გენერალი რუმინაცევი, რომელმაც ვერ უზრუნველყო პარტიზანებისათვის თამბაქოს მიწოდება, თანამდებობიდან გადააყენა: „გენერალი, რომელსაც აღარ ახსოვს, რას ნიშნავს ჯარისკაცისთვის, მით უმეტეს — ტყეში პარტიზანისთვის თამბაქო, დროა დამსახურებულ პენსიაზე გავიდეს“ (კარანაძე, 2012). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზეველტმა II მსოფლიო ომის დროს თამბაქო სტრატეგიულ საქონლად გამოაცხადა. სავალდებულო სამხედრო განვევისაგან თავისუფლდებოდნენ ისინი, ვინც თამბაქოს მოყვანით იყო დაკავებული (Гейтли, 2005).

## §6. ბრძოლა თამბაქოს წინააღმდეგ

თამბაქოს მოყვანის თუ მოხმარების საწინააღმდეგო კამპანია საუკუნეებს ითვლის. ეს გაცხადებული თუ გაუცხადებელი ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტებით არის გაჯერებული და ისეთი საინტერესო კუთხით წარმოაჩენს კონკრეტულ ეპოქას, ქვეყანას, საერო თუ სასულიერო ხელისუფლებას, რომ საჭიროდ ვთვლით ამ საკითხზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

პირველი სერიოზული დაპირისპირება თამბაქოს მოყვარულებსა და მონინააღმდეგეებს შორის ევროპელების მიერ ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციის ადრეულ ეტაპს უკავშირდება. როგორც მოგახსენეთ, ამერიკის კოლონიზაციის პროცესში თავისი ფუნქცია კათოლიკურმა ეკლესიამაც გამოკვეთა. ამერიკის „ათვისება“ ეკლესიის მიერ განიხილებოდა, როგორც ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა, რომლის მიზანს ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის გაქრისტიანება წარმოადგენდა. კოლონიზაციის პირველ ეტაპზე ევროპელი მისიონერები ებრძოდნენ არა მარტო ინდიელთა წეს-ჩვეულებებს, არამედ დაუნდობლად ანადგურებდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებსაც.<sup>1</sup> მოგვიანებით, ეკლესიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აბორიგენ მოსახლეობასთან ურთიერთობის ოდნავ შერბილება და კომუნიკაციის რთულ პროცესში ინდიელთა ტრადიციული ცხოვრების წესის მიმართაც აგრესიული დამოკიდებულება შეცვალა. მიღწეული კომპრომისი შეეხო თამბაქოს მოყვანა-მოხმარებასაც. მაგრამ, უკვე ჭეშმარიტების გზაზე შემდგარი ინდიელი „ახალი კათოლიკეები“, თამბაქოს ყნოსვას ეკლესიაში მესის დროსაც უხერხულად არ მიიჩნევდნენ, რაც ნაკლებად გამაღიზიანებელი აღმოჩნდა კოლონისტი მრევლისთვის. უფრო მეტიც, ისინი თამბაქოს აქტიური მომხმარებლებიც კი გახდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ თამბაქოს მყნოსველთა რიგებში საეკლესიო პირებიც გამოჩნდნენ. რასაკვირველია, მოვლენების

<sup>1</sup> იუკატანის ეპისკოპოსმა დიეგო დე ლანდამ, XVI საუკუნის მეორე ნახევარში, მაიას ტომის ყველა ძველი ხელნაწერის და საერთოდ, ხალხის ისტორიული მემკვიდრეების განადგურება დაისაზა მიზნად. მექსიკელი ეპისკოპოსი სუმარაგა აღნიშნავდა, რომ ესპანელების მიერ განადგურდა ინდიელთა 500 ტაძარი და 20 ათასი კერპის ქანდაკება (Григулевич, 1977).

ასეთი განვითარება მიუღებელი აღმოჩნდა კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობისთვის და დაიწყო ღია ბრძოლა თამბაქოს მომხმარებლების წინააღმდეგ (Buescher, 2012).



პირველი აკრძალვა თამბაქოს მოხმარებაზე მექსიკის ეკლესიამ შემოიღო. აკრძალვა ეხებოდა როგორც მექსიკის, ასევე, კარიბის ზღვის ესპანური კოლონიების ეკლესიებსაც. XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან რომის კათოლიკური ეკლესია იწყებს აქტიურ პროპაგანდას თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ. 1583 წელს ქ. ლიმის (პერუ) სინოდმა მღვდელმსახურებს აუკრძალა თამბაქოს მოწვევა და ყნოსვა (სამკურნალო დანიშნულებითაც)

წირვის დასრულებამდე.<sup>2</sup> პაპმა ურბან VII-მ 1590 წელს მოასწრო გამოცხადება დეკრეტი, რომლითაც აკრძალა თამბაქოს მოხმარება სალოცავ ადგილებში და წესრიგის დამრღვევებს ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა.<sup>3</sup> 1634 წელს საბერძნეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ განაცხადა, რომ სწორედ „თამბაქოს კვამლით ბილწავდა ეშმაკი ნოეს“ და ამიტომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მას (Penn, 1902:36).<sup>4</sup>

<sup>2</sup> როგორც აღვნიშნეთ, გავრცელების ადრეულ ეტაპზე თამბაქოს, უფრო ხშირად, მოიხმარდნენ, როგორც სამკურნალო საშუალებას. სწორედ ამ მიზნით, ერთმა ნეაპოლემა მღვდელმა ზიარების დასრულებისთანავე ბურნუთი დაყნოსა. როგორც ჩანს, ის არ იყო „გამოცდილი მყოსველი“, რის გამოც საკურთხეველში ჯერ ხველება ვერ შეიჩერა, შემდეგ კი პირღებინება დაეწყო, რამაც მრევლის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (Buescher, 2012).

<sup>3</sup> პაპი ურბან VII მხოლოდ 13 დღე იყო ვატიკანის ტახტზე. ის მალარიით დაავადდა და გარდაიცვალა კორონაციის გარეშე. ურბან VII-ს „საინტერესო დაკვირვებით“, თამბაქოს ყნოსვით მიღებული ექსტაზი ახლოს იყო სექსუალურ ექსტაზთან.

<sup>4</sup> თამბაქოს მიმართ საბერძნეთის ეკლესიის ნეგატიური დამოკიდებულება მომდევნო საუკუნეებშიც არ შეცვლილა. წმიდა ნიკოდიმოს მთანმინდელის (XVIII ს.), „უხილავი ბრძოლის“ ავტორისა და „ფილოკალიის“ რედაქტორის, განმარტებით, თამბაქოს მოწვევა ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ ზნეობის პრინციპებს. ათონელ ბერებს საინტერესო ისტორიას უყვება ეპისკოპოზი ქრიზომოსტოსი: „მეოცე საუკუნის დამდეგს, როდესაც თურქებმა მცირე აზიიდან მართლმადიდებელ ბერძენთა უმეტესობა გაასახლეს, სმირნასთან ახლოს ასეთი რამ მოხდა:

1629 წელს ინკვიზიტორმა ბართლომეო დე კამარამ აუკრძალა ესპანელ ღვთისმსახურებს თამბაქოს (ბურნუთის) მოხმარება წირვის დანყებამდე ერთი საათით ადრე და წირვის დასრულების შემდეგ ორი საათის განმავლობაში (Popper, 2005). 1642 წელს რომის პაპი ურბან VIII ახალი დეკრეტით თამბაქოს მოხმარებლებს კვლავ ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა. პაპი აღნიშნავდა, რომ ბალახს, რომელსაც თამბაქოს სახელით მოიხსენიებენ, უკვე აქტიურად მოიხმარენ ორივე სქესის წარმომადგენლები და რაც ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია — ეკლესიის მსახურებიც (Heimann, 1960:38). 1650 წელს პაპმა ინოკენტი X-მ ეკლესიიდან განკვეთის მუქარით აკრძალა თამბაქოს მონევა წმიდა პეტრეს ბაზილიკაში. უფრო პრაგმატული აღმოჩნდა პაპი ალექსანდრე VII, რომელმაც შემოიღო გამოსყიდვის პრაქტიკა თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების მონოპოლიაზე, რითაც შემოსავლის კარგი წყარო შეიქმნა.<sup>5</sup> 1690 წელს აკრძალვა თამბაქოზე (დასჯის გაცილებით მკაცრი მეთოდებით) განაახლა რომის პაპმა ინოკენტი XII-მ.<sup>6</sup> 1725 წელს რომის პაპი ბენედიქტე XIII აუქმებს პაპის ურბან VIII-ს დეკრეტს და თამბაქოს მყნოსველებს აძლევს მისი მოხმარების ნებას წმიდა პეტრეს ეკლესიაში (Corti, 1931:199-200).<sup>7</sup>

---

თურქ ყასაბს ჰქონდა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ხორცის დასაჭრელად იყენებდა. ერთმა მართლმადიდებელმა კაცმა ეს რომ დაინახა, გადანყვიტა ალექვეთა სინმინდის საშინელი შეურაცხყოფა და ხორცთან ერთად ხატიც იყიდა, ისე, როგორც ჩვეულებრივი ფიცარი. სახლში მან ხატი საგულდაგულოდ განმინდა და სასტუმრო ოთახის კედელზე ჩამოკიდა. ეს კაცი თამბაქოს მწვეველი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მას ძილში ყოვლადწმიდა ქალწული გამოეცხადა და გააფრთხილა: თუ ის არ შეწყვეტდა თამბაქოს კვამლით მისი ხატის შებილწვას, სჯობდა, ისევე თურქისთვის დაებრუნებინა: უმჯობესი იყო თურქ ვაჭარს ხატზე ხორცი დაეჭრა, ვიდრე ქრისტიანს იგი „ეშმაკის საკმევლის“ სიმყრალით დაეხრჩოლა. როგორც ჩანს, ქრისტიანმა სრულად გაიაზრა ცოდვა და მოწევას სამუდამოდ დაანება თავი“ (<http://martlmadidebloba.ge/>).

<sup>5</sup> ამავე პერიოდში ვენეციის რესპუბლიკამ, მანტუამ, პიემონტმა და ლომბარდიამ გადასახადები დაანესეს თამბაქოს იმპორტზე. შესაბამისად, თამბაქოს ვაჭრობა მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა (Corti 1931:151).

<sup>6</sup> 1692 წელს ესპანეთში, სენტ ჟაკ დე კომპასტელოში, ხუთი ბერი ცოცხლად ჩააშენეს კედელში იმიტომ, რომ ღვთისმსახურების დროს ეკლესიის სტოასთან ეწეოდნენ თამბაქოს (Шаповалов, 2000:108).

<sup>7</sup> პაპი ბენედიქტე XIII აკვირდებოდა, რომ თამბაქოს მოყვარულები მონევის ან ყნოსვის სურვილით ხშირად ტოვებდნენ მესას. ამიტომ, მან მოუწოდა მღვდელ-

ეკლესიასთან ერთად (თუ ეკლესიის მოწოდებით), თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიაში აქტიურად ჩაერთო ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის საერო ხელისუფლებაც.

1603 წელს გარდაიცვალა ელისაბედ I და ინგლისელი თამბაქოს მწველებისათვის რთული ხანა დაიწყო. 1604 წელს მარიამ სტიუარტის შვილმა, ინგლისის მეფემ ჯეიმს I სტიუარტმა გაილაშქრა თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ დევიზით „პროტესტი თამბაქოს“ (Anderson, 1998:137-138).<sup>8</sup> ჯეიმს I აცხადებდა, რომ ყველა სიავესთან ერთად, თამბაქოს მოხმარება ასუსტებდა ინგლისის ჯარის ბრძოლისუნარიანობას. მეფე ჯეიმსის მეცადინეობით, ინგლისში თამბაქოს მოწვევის გაროზგვა შემოიღეს, ზოგჯერ კი სასჯელის უფრო მკაცრ ზომებსაც მიმართავდნენ (Robinson, 1985:150).

მეფე ჯეიმს I ეკონომიკურ ანალიზსაც აკეთებდა და საჯაროდ აცხადებდა, რომ თამბაქოს ექსპორტი მხოლოდ ესპანელი ვაჭრებისათვის იყო ხელსაყრელი. ამიტომ ჯეიმსმა თამბაქოს იმპორტზე გადასახადი

---

მსახურებს, რომ ბურნუთის ყნოსვაზე მაინც თვალი დაეხუჭათ, რადგან ამ შემთხვევაში მრეელი ლიტურგიის დროს ტაძარს არ დატოვებდა (Buescher, 2012). თამბაქოზე უარის თქმა რომ ადვილი არ იყო, ამას მონშობს ერთ-ერთი ეპისკოპოსის გულწრფელი აღსარება, რომელმაც პაპს ასე მიმართა: „კარგად ვხვდები თამბაქოს მავნე ბუნებას, სულითა და გულით ვგმობ ამ ჩვევას... მაგრამ მაინც ვერ ვანებებ თავს“.

<sup>8</sup> პამფლეტი ცნობილია "Counterblaste to Tobacco" სახელით. მცირე ამონარიდი აღნიშნული პამფლეტიდან: „...ჯერ თუ არ დაგიკარგავთ სინდისი და ნამუსი, თავი დაანებეთ თამბაქოს მოწვევის მავნე ჩვევას, რომელიც ვნებს ჯანმრთელობას, არყვეს ოჯახის სიმყუდროვეს და ინვეს ღვთის რისხვას. თამბაქო — ეს არის გენა მისი ნამდვილი სახით, რადგან ის ისევე ყარს და საძაგელია, როგორც თვით ჯოჯოხეთი“ (Robicsek, 1978:8). მეფე ჯეიმს I აცხადებდა, რომ მისთვის ემმაკის გამასპინძლება რომ დაევალებინათ, ის მას მიართმევდა ღორის ხორცს, გამხმარ ვირთევზას მდოგვით და თამბაქოს (Chatto, 2013:21). თანამედროვეთა ცნობით, მეფე ჯეიმს I ყოველთვის გამოირჩეოდა სინმინდისათვის ბრძოლის „ეფექტური“ ხერხებით. როდესაც ჯეიმს I ჯერ კიდევ შოტლანდიის მეფე ჯეიმს VI იყო, ყოველწლიურად კოცონზე 400-მდე „ჯადოქარს“ წვაავდნენ (Feitsh, 2005). პარადოქსია, მაგრამ მეფე ჯეიმს I -მა შეუნყო ხელი ინგლისელების მიერ ამერიკის კოლონიზაციას. სწორედ მის პატივსაცემად დაერქვა კოლონიტების ერთ-ერთ პირველ ფორტს ჯეიმსთაუნი, საიდანაც დაიწყო ინგლისელებმა თამბაქოს აქტიური ექსპორტი (Penn, 1902:34).

ორმოცჯერ გაზარდა: ერთ ფუნტზე 2 პენსიდან — 6 შილინგსა და 10 პენსამდე (Penn, 1902:33). როგორც ჩანს, მეფე ჯეიმსმა თამბაქოს სანინაალმდეგო პამფლეტის გამოცემით თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა და სხვა უფრო მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებზე გადაერთო. მიუხედავად იმისა, რომ ჯეიმს I საკმაოდ განსწავლული პიროვნება იყო და ისტორიკოსები მას ბრიტანელი სოლომონის სახელითაც კი მოიხსენიებდნენ, ის ხალხში დიდი პოპულარობით მაინც არ სარგებლობდა. შესაძლოა, ამიტომ, მის მიერ თამბაქოს მოყვანა-მოხმარების წინააღმდეგ შემოღებული აკრძალვები სულ რამდენიმე წელში გაუქმდა კიდეც (Vihlene, 2004:22).<sup>9</sup>

თავის დროზე ჯეიმს I-ს ოპონენტი გამოუჩნდა შოტლანდიელი უილიამ ბარკლაის სახით, რომელმაც 1614 წელს დანერილ პამფლეტში გამორჩეულად ხაზი გაუსვა თამბაქოს სასარგებლო თვისებებს<sup>10</sup> და განაცხადა, რომ „ღმერთმა გამოარჩია ამერიკა და დალოცა ამ ღვთაური და მშვენიერი მცენარის მოყვანისათვის“ (Gately, 2001:21).<sup>11</sup>

XVII საუკუნის დასაწყისისთვის საფრანგეთში თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის ინიციატორად გვევლინება კარდინალი არმან რიშელიე.<sup>12</sup>

<sup>9</sup> პამფლეტის გამოცემიდან ათი წლის შემდეგ, ლონდონში 7000-მდე თამბაქოს გამყიდველი იყო, რომელთაც ამდენივე დახლი ჰქონდათ გახსნილი.

<sup>10</sup> უილიამ ბარკლაი მომხრე იყო თამბაქოს სამკურნალოდ გამოყენების, თუმცა, წინააღმდეგობოდა მის ყოველდღიურ მოხმარებას.

<sup>11</sup> ბრიტანეთში, შოტლანდიელების მგავსად, თამბაქოს აქტიურ მომხმარებლებად უელსელებიც მოგვევლინენ. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისელები ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს პერმანენტულად ომობდნენ ესპანელებთან და ჰოლანდიელებთან. სავარაუდოდ, ამიტომ, ხელისუფლებამ კარიბის ზღვაზე გარკვეული სამხედრო-საზღვაო ფუნქციები მეკობრეებს გადასცა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ უელსელები. ეს უკანასკნელნი თამბაქოს აქტიური, თუმცა „წინდახედული“ მომხმარებლები იყვნენ. უელსელებმა მეზღვაურთა კოდექსს სპეციალური მუხლი დაამატეს, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ: „... ყველა, ვინც მოწვევს ტრიუმში, ისე, რომ ხელს არ დააფარებს ჩიბუხს, ან აანთებს სანთელს ფარნის გარეშე, დაისჯება 40 წკეპლით“ (Гейтли, 2005).

<sup>12</sup> 1621 წელს ჯერ კიდევ მინისტრმა არმან ჟან დიუ პლესი რიშელიემ ნება დართო მსურველებს მოეშენებინათ თამბაქო (Богданов, 2007:7). 1629 წელს თამბაქოს იმპორტზე გადასახადის დაწესების ავტორადაც გვევლინება ისევ ის, ოლონდ უკვე

1606 წელს, ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის დეკრეტით, თამბაქოს მოყვანა ნებადართული იყო მხოლოდ რამდენიმე კოლონიაში: კუბაში, სანტა-დომინგოში, ვენესუელასა და პუერტო-რიკოში. 1612 წელს ჩინეთის იმპერატორმა აკრძალა თამბაქოს მოყვანა და მოხმარება (Proctor, 2001:82). 1632 წელს კრისტიან IV-მ კარის ექიმის დაჟინებული თხოვნით დანიის სამეფოშიც აკრძალა თამბაქოს მოხმარება (Попер, 2005).<sup>13</sup> ტიმოთი ბრუკი აღნიშნავს, რომ, როდესაც 1635 წელს მანჯურის ხანმა ხონგტაიჯიმ აღმოაჩინა, რომ ჯარისკაცები იარაღს თამბაქოში ცვლიდნენ, სასწრაფოდ აკრძალა თამბაქოს მოწევა.

რუსეთში მიხეილ თევდორეს ძის დროს დაიწყო მოძრაობა თამბაქოს აკრძალვისთვის. კონტრაბანდულ საქონელს წვავენ, შემოტანებს და მოხმარებლებს მკაცრად სჯიდნენ, თამბაქოს კი ეშმაკის საკმევლად («чертовый ладан») მოიხსენიებდნენ (Волков, 2010). თამბაქოს საწინააღმდეგო ზომები გამძაფრდა 1634 წლის მოსკოვის ხანძრის შემდეგ, რომლის მიზეზად თამბაქოს ნამწვი დასახელდა. მეფის ბრძანება თამბაქოს მოხმარებლებისთვის სხვადასხვა სასჯელს ითვალისწინებდა (Фёдорова, Ткаченко, Фёдоров, 2015: 539).

1646 წელს, მეფე ალექსი მიხეილის ძე შეეცადა ოდნავ შეერბილებინა სასჯელი, მაგრამ ვერაფერი გააწყო პატრიარქ ნიკონთან ბრძოლაში და იძულებული გახდა სასჯელი კიდევ უფრო გაემკაცრებინა. პატრიარქი ფილარეტიც, რომელიც რომანოვების დინასტიის პირველი

---

კარდინალი რიშელიე (Von Gemet, 1988:83). მისი რჩევით, ლუი XIII ერთი ფუთი თამბაქოს შემოტანაზე 30 სუს გადასახადს აწესებს. მოგვიანებით, ლუი XIV-მ არ ჩათვალა მიზანშეწონილად თამბაქოს შემოტანის შეზღუდვა. 200 წლის შემდეგ იმპერატორი ნაპოლეონ III განაცხადებს: „თამბაქოს იმპორტზე დანებსებული გადასახადის შედეგად სალაროში ყოველწლიურად ასი მილიონი ფრანკი შედის. მე შემიძლია აკრძალო თამბაქოს იმპორტი, ოღონდ მიმითითეთ – სხვა რა გზით შეიძლება სალაროში მეტი თანხის შემოტანა“ (The Tobacco Almanac, 1998:310). უფრო მეტიც, ქვეყნის მმართველთა მცდელობა — შეეზღუდათ თამბაქოს იმპორტი — ხელს უწყობდა თამბაქოს კონტრაბანდული გზით შემოტანას.

<sup>13</sup> აკრძალვების შერბილების შემდგომაც, XVII საუკუნის მეორე ნახევარში, შვედეთის ფლოტში ოფიცრებს თამბაქოს მოწევა მხოლოდ კაიუტაში შეეძლოთ. ბრძანების დამრღვევ ოფიცრებს ხელფასს უქვითავდნენ, ხოლო მატროსებს წყალში „კიდებდნენ“. ნორვეგიის ფლოტში, ანალოგიურ დანაშაულზე წასწრებულ მებრძოლებს გემის კილის ქვეშ ატარებდნენ (Петрова, 2000:427).

მეფის — მიხეილის მამა გახლდათ, არწმუნებდა შვილს, რომ თამბაქოს მოწევა მდაბიობა და საზიზღრობაა და ამიტომ მწვევლების მიმართ მეფის დამოკიდებულება გამორჩეულად მკაცრი და დაუნდობელი უნდა ყოფილიყო (Brown, 2003:16).



მეფის რუსეთში თამბაქოს შემოტანისთვის სასჯელი სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებდა, მაგრამ ყველაზე გავრცელებულ და აპრობირებულ ფორმას მაინც ჩვეულებრივი და ტრადიციული „ცემა-ტყეპა“ წარმოადგენდა.<sup>14</sup>

თუ თამბაქოს მოხმარებაზე აკრალვების ადრეულ ეტაპზე არსებული შეზღუდვები ძირითადად ქალაქ მოსკოვს ეხებოდა, 1649 წელს გამოცემული «Соборное Уложение»-ს მიხედვით, ეს აკრძალვა პრაქტიკულად მთელ რუსეთის იმპერიაზე გავრცელდა (Аксёнов, 2005:241).<sup>15</sup>

მიუხედავად მკაცრი აკრძალვებისა, ევროპელები, გამორჩეულად — ჰოლანდიელები, რომლებსაც მოჰყავდათ თამბაქო თავიანთ კოლონიებში, კონტრაბანდული გზით მაინც ახერხებდნენ რუსეთში თამბაქოს შემოტანას (Brown, 2003:16). ამიტომ, მეფე თევდორე ალექსის ძის პერიოდში, 1683 წელს გამოცემული ბრძანების საფუძველზე, არა მარტო უცხოელებს, არამედ მალაოროსებსაც კი, რომლებიც თამბაქოს გასაყიდად მიემგზავრებოდნენ დიდი რუსეთის სოფლებსა და

<sup>14</sup> რუსული დოკუმენტური წყაროები მოწმობს, რომ ბრძანების არშემსრულებლებს მეტწილად ფიზიკურად უსწორდებოდნენ: როზგებით მრავალჯერ და უმონწყალოდ სცემდნენ, ცხვირის ნესტოებს აგლეჯდნენ, ან მთლიანად ცხვირს და ყურებს აჭრიდნენ, დამატებით კიდევ — შორეულ ქალაქებსა თუ დაბებში ასახლებდნენ (Пусь, Ещенко, 2008:167). რუსეთში ჰოლშტეინის ჰერცოგის ელჩები უშუალოდ მოწმენი გახდნენ, თუ როგორ უმონწყალოდ გაროზგეს 18 მამაკაცი და ერთი ქალი მხოლოდ თამბაქოს გაყიდვისათვის (Penn, 1902:37).

<sup>15</sup> „ის სტრელეცები ან მოქეიფე ადამიანები, რომლებიც თამბაქოთი იქნებიან მოყვანილი ორჯერ ან სამჯერ, უნდა დაისაჯონ და არაერთხელ იცემონ მათრახით (დილეგში ან საჯაროდ მოედანზე) ...ის რუსები ან უცხოელები, ვისაც ექნებათ თამბაქო, ან ვინც დაიწყებს თამბაქოთი ვაჭრობას, უმონწყალოდ დაისაჯონ (სიკვდილით დასჯამდე)...“ (Соборное Уложение (1649) (Ковалева, 2015:23).

ქალაქებში, აბრუნებდნენ უკან, უმეტეს შემთხვევაში კი თამბაქოს ართმევდნენ და უწვავდნენ.<sup>16</sup>



სოფიოს რეგენტობის პერიოდში თამბაქოს მოხმარებამ რუსეთში ინტენსიური ხასიათი მიიღო. მეფე თევდორეს მმართველობის დროს კი ახალი მოდის მიმდევართა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მწველთა რიგებში ეკლესიის მსახურებიც გამოჩნდნენ. პატრიარქი იოაკიმე დიდად ნუხდა ევროპული წესით ჩაცმა-დახურვის, წვერის გაკრეჭის, ასევე, თამბაქოს მოხმარების გამო (<http://www.pravoslavie.ru>).

აკრძალები თამბაქოს მოხმარებაზე, ფაქტობრივად, გრძელდებოდა პეტრე I-ს ტახტზე ასვლამდე. პეტრე I თვითონაც თამბაქოს მოყვარული გახლდათ, ამიტომ მისი მმართველობის პერიოდში, რუსეთის იმპერიაში თამბაქოს მწველეებს შეზღუდვა არ შეხებიათ. მაგრამ, უკვე მოგვიანებით, როდესაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ქალაქებში გაჩენილი ხანძრის მიზეზად კვლავ თამბაქოს ნამწვი დასახელდა, პოლიციის ბრძანებით, თამბაქოს მოწვევა პრაქტიკულად ყველგან აიკრძალა.<sup>17</sup>

<sup>16</sup> აკრძალებების პერიოდში რუსეთის იმპერიაში თამბაქო მოჰყავდათ მხოლოდ მალოროსიაში (თანამედროვე უკრაინის ტერიტორია) (Пусь, Ещенко, 2008:167).

<sup>17</sup> ბრძანებაში იყო მითითებული ადგილები, სადაც იკრძალებოდა თამბაქოს მოწვევა: „ქუჩებსა და მოედნებზე, აგრეთვე საჯინიბოებში, სათივებში, სხვენებზე და სხვა ასეთ საშობ ადგილებში“. პოლიციის შიში ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ რუსეთის ქალაქებში შენობები და ხიდები მეტწილად ხისგან იყო ნაგები და ხანძრის კერის გაჩენის შემთხვევაში ცეცხლი ახლომდებარე შენობებზე ადვილად გადადიოდა. თამბაქოს მოწვევა კი არა, რუსეთის ქალაქებში 1849 წელს გახშირებული ხანძრის შემთხვევების გამო, ქუჩაში ასანთის ხმარებაც კი იყო აკრძალული. ამიტომ, როდესაც 1850 წელს მდ. ნევაზე აიგო ბლაგოვე-შჩენსკის ქვის ხიდი, პეტერბურგელ მწველთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ხიდი ქვის იყო, შესაბამისად, იქ მოწვევა არ იკრძალებოდა. 1865 წელს ალექსანდრე I-მა გააუქმა აკრძალვა თამბაქოს ქუჩაში მოწვევაზე (Зимин, 2010: 338).

XVII საუკუნის შუა წლებში ამერიკის კონტინენტზეც შემოიღეს თამბაქოს მოხმარების შემზღუდავი რეგულაციები. როდესაც 1630 წელს ნიუ-ამსტერდამში გაცხადდა აკრძალვა თამბაქოზე, გაღიზიანებული მწველთა ჯგუფი შინ მიუვარდა გუბერნატორს და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა საკუთარ სახლში ჩაკეტილიყო. თომას ჰუკერის მიერ დაარსებულ კონეკტიკუტის კოლონიაში 1647 წელს აიკრძალა მოწვევა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. დღეს შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ დროს კოლონიაში მოწვევა ნებადართული იყო დღეში მხოლოდ ერთხელ და ისიც არა ჯგუფურად, არამედ მხოლოდ ინდივიდუალურად. 1650 წელს, კოლონიის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 21 წლამდე პირებს ექიმის ცნობის გარეშე ეკრძალებოდათ თამბაქოს მოწვევა. 1683 წელს მასაჩუსეტსის კოლონიაში პირველად შემოიღეს აკრძალვა ქუჩაში თამბაქოს მოწვევაზე. თუმცა, როგორც ვახეთებში წერდნენ, ჯარიმებით ამოღებული თანხა მიმართული იყო არა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, არამედ სახანძრო ეკიპირების შექენაზე.

1652 წელს თამბაქოს აკრძალვის დეკრეტი გამოსცა ბავარიის რეგენტმა მარია-ანამ. მისმა მემკვიდრემ ფერდინანდმა 1669 წელს ეს აკრძალვა სასწრაფოდ გააუქმა და თამბაქოს ვაჭრობით დამატებითი შემოსავალიც მიიღო (Mehler, 2009:319).

1654 წელს, ინგლისში, პარლამენტის პურიტანული კოალიციის ლიდერის — ოლივერ კრომველის ძალისხმევით, მომზადდა დეკრეტი, რომელიც კატეგორიულად კრძალავდა თამბაქოს გაშენებას სახელმწიფოს სპეციალური სანქციის გარეშე. ოლივერ კრომველის ბრძანებით, ჯარისკაცები გულმოდგინეთ ეძებდნენ და პირნმინდად ანადგურებდნენ თამბაქოს ნათესებს (Billings, 1875; Chatto, 2013:30). XVII საუკუნის დასასრულს, ინგლისის და შოტლანდიის მეფე უილიამ III იძულებული გახდა გაეუქმებინა აკრძალვა თამბაქოზე. თუმცა, მისივე დაკვირვებით, თამბაქოს მოწვევამ ინგლისელები ჩაფიქრებული და მელანქოლიური გახადა (Fairholt, 1968:125).

1701 წელს ინგლისელი ექიმი ნიკოლას ანდრიდ ბოისრეგარდიც აფრთხილებდა ახალგაზრდა მამაკაცებს, რომ თამბაქოს დიდი რაოდენობით და ინტენსიურად მოხმარება გამოიწვევდა არა მარტო ხელ-

ფეხის კანკალს, არამედ მათი „კეთილშობილი ნაწილების ჭკნობას“.

1661 წელს, ბერლინის პოლიციის დეკრეტით, მოწვეა აიკრძალა ქუჩაში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მხოლოდ 1831 წელს, როდესაც ევროპაში ქოლერის ეპიდემიამ იმძლავრა, აკრძალვა დროებით გაუქმდა, რომ ყველას ინდივიდუალურად მისცემოდა საშუალება „ინფექციისგან თავის დასაცავად“.<sup>18</sup>

თამბაქოს მოგებიანობა გაიაზრა საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკო XIV-მ. მან უარით გაისტუმრა სასახლის კარის ექიმი გი კრესან ფაგონი, რომელმაც თამბაქოს მოწვეა პანდორას ყუთს შეადარა და მოითხოვა მისი აკრძალვა. მოგვიანებით, ლუდოვიკო XIV ნაწილობრივ დათანხმდა მოთხოვნას და 1680 წელს გამოსცა დეკრეტი თამბაქოს რეცეპტით გამოწერის თაობაზე. გი ფაგონი კი, რომელიც ლუდოვიკო XIV-ს პირველი ექიმი და სამეფო ბალების მთავარი მეთვალყურე

<sup>18</sup> ბერლინში, მიუნხენსა და ვენაში ოფიცრებს და ჯარისკაცებს ეკრძალებოდათ თამბაქოს მოწვეა იმ ქუჩებში, სადაც სამეფო ოჯახის წევრები გადაადგილდებოდნენ (Penn, 1902:46). ეს აკრძალვა გაუქმდა მხოლოდ 1848 წლის რევოლუციის შემდეგ (Linskens, 1997:107). ფაქტობრივად, დიდი გოეთეს შეგონება, რომ „განათლებული ადამიანი თამბაქოს არ ეწევა“, მალე დავიწყებას მიეცა. დროს გავესწროთ და აქვე აღვნიშნოთ, რომ რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა თამბაქოს მიმართ არამწველ ადოლფ ჰიტლერს: „თამბაქო — ეს არის წითელკანიანთა შურისძიება თეთრ ადამიანზე“ (Aboul-Enein, 2012). ჰიტლერმა ასე განმარტა აღმოსავლეთში საოკუპაციო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი: „მათთვის, სლავებისთვის, არავითარი აცრები, არავითარი ჰიგიენა, მხოლოდ არაყი და თამბაქო.“ ნაცისტების რეპროდუქციის პოლიტიკა თამბაქოს სანინალმდეგო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო (Bachinger, McKee, 2007:1034-1036). 1934 წელს, პირველად თანამედროვე ისტორიაში, გერმანიაში მიიღეს სახელმწიფო პროგრამა თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. 1938 წელს ლიუფტვაფეს და ფოსტის სამსახურის ხელმძღვანელობამ აუკრძალა თანამშრომლებს თამბაქოს მოწვეა (სახლშიც). იმავე წელს ჰაინრიხ ჰიმლერმა აკრძალვა გაავრცელა თავის „დამცველ რაზმებზე“ ("Schutzstaffel"). 1939 წელს ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამაც მკაცრად აუკრძალა თამბაქოს მოწვეა პარტიის წევრებს. ვერმახტის ჯარისკაცებს და ოფიცრებს ეკრძალებოდათ თამბაქოს მოწვეა ქუჩაში, სამხედრო ოპერაციებისა და შესვენების დროსაც. 1941 წელს, გერმანიის 60 ქალაქში აიკრძალა თამბაქოს მოწვეა მანქანის სალონშიც. იენის უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა „თამბაქოს რისკების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, რომელსაც უშუალოდ ჰიტლერის ფონდი აფინანსებდა (Proctor, 1996:1450).

იყო, არ მონაწილეობდა თამბაქოს გარშემო გამართულ დისკუსიაში, თუმცა აქტიურად მხარს უჭერდა ვინმე ბუდენს დისერტაციის დაცვის დროს. ბუდენის ნაშრომის სათაური იყო: „ამოკლებს თუ არა სიცოცხლეს თამბაქოს რეგულარული მოხმარება (Ponep, 2005).<sup>19</sup>

ჰანს იაკობ გრიმელსჰაუზენი, 1669 წელს გერმანულ ენაზე გამოცემული პირველი მნიშვნელოვანი პიკარესკული რომანის "Simplicissimus" ავტორი, თამბაქოს მწველთა მიერ მოწვევის განსხვავებულ მოტივაციაზე ხუმრობით შენიშნავს: „ერთი ენევა იმიტომ, რომ ის აძლევს საშუალებას უკეთ დაინახოს, მეორე იმიტომ, რომ ტვინში წყალს უფანტავს, მესამე იმიტომ, რომ კბილის ტკივილს იყუჩებს, მეოთხე იმიტომ, ყურში შიშინს უჩერებს, მეხუთე ამბობს, რომ მოწვევა ძილისთვის კარგია, მეექვსეს წყურვილს უკლავს, მეშვიდეს უნეიტრალებს ზედმეტ სითხეს, მერვეს ორგანიზმიდან სითხეს უდევნის, მეცხრე ენევა დროის მოკვლის მიზნით, მეათე კი ენევა მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდა თეთრ ყვავად გამოჩნდეს“ (Nichols, 1942:280).

1661 წელს შვეიცარიის აპენელის მაგისტრატმა თამბაქოს ვაჭრობისთვის, როგორც ღმერთის მიერ აკრძალული ცოდვისათვის, ფაქტობრივად, სასჯელის იგივე ზომა განსაზღვრა, რაც მკვლევლობისთვის იყო დანესებული. 1662 წელს ტრანსილვანიის პრინცმა მიხაი აპაფმა მხოლოდ მას შემდეგ შემოიღო აკრძალვა თამბაქოზე, როდესაც მოწვევის შედეგად თვითონ გახდა ინტოქსიკაციის მსხვერპლი (Kopieczny, Dincă, 2012:168). 1670 წელს უნგრეთში შემოიღეს აკრძალვა თამბაქოზე და მომხმარებლებს 200 ვერცხლით აჯარიმებდნენ.<sup>20</sup> 1675 წელს შვეიცარიაში განსაკუთრებული სასამართლო პალატაც კი შეიქმნა, რომლის „ძირითად ფუნქციას“ თამბაქოს აქტიურ მომხ-

<sup>19</sup> თამბაქოს გავრცელების ადრეულ ეტაპზე, საფრანგეთში თამბაქოს მოყვარულებს საკმაოდ მკაცრად უსწორდებოდნენ. ალექსეი ტოლსტოი მოთხრობაში «Рукопись, найденная под кроватью» აღწერს XX საუკუნის საფრანგეთს, სადაც პოლიციელები პატიმართა ცემას „თამბაქოში გატარებას“ ("passer a tabac") უწოდებდნენ. ეს იყო გამოძახილი იმ ეპოქისა, როდესაც საფრანგეთში თამბაქოს მწვევლები იდევნებოდნენ. ფრანგულ მეტყველებაში დღესაც შემორჩენილია ზმნა "tabasser", რაც „გალახვა“/„დათეთქვა“-ს ნიშნავს.

<sup>20</sup> მოგვიანებით (1683 წელს), უნგრეთში გამოცემული ბრძანებით, თამბაქოს მომხმარებაში შემჩნეულ ქალბატონებსაც საკმაოდ დიდი თანხით — 12 ფორინტით აჯარიმებდნენ (Kopieczny, Dincă, 2012:168).

მარებელთა დევნა წარმოადგენდა (Богданов, 2006:11). მოლდოვეთის პრინცი ნიკოლაე მავროკორდატი, სავარაუდოდ, 1709-1715 წლებში, გამოდის თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ და მის უარყოფით თვისებებს უსვამს ხაზს (Gruia, 2013:21).

ჩინეთში თამბაქოს აკრძალვის მცდელობა ჯერ კიდევ XVII საუკუნის პირველ ნახევარში დასტურდება (Burns, 2007:41). 1634 წელს იმპერატორ მინგის მიერ გამოცემული დეკრეტი მკაცრი იყო: თამბაქოს გაშენება და მოხმარებაც კი თავის მოკვეთით ისჯებოდა. 1638 წელს დეკრეტი უფრო შერბილებული სახით გამოიცა: პირი, შემჩნეული თამბაქოს ვაჭრობაში, კარგავდა თანამდებობას. ცინის დინასტიის პირველმა იმპერატორმა ტაი ცზიმ 1644 წელს აკრძალვა შემოიღო თამბაქოზე. მისმა შვილიშვილმა კანსიმ, რომელიც შვიდი წლისა უკვე თამბაქოს მწველი იყო, სხვა პოლიტიკა გაატარა და თამბაქოზე დიდი გადასახადების შემოღებით მნიშვნელოვნად შეავსო სახელმწიფო ხაზინა. ჩინეთის იმპერატორმა, მინის დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა ჩიუიუ ცზიანმა (1727-1644) კვლავ აკრძალა თამბაქოს მოწევა. იმპერატორის ბრძანების დამრღვევი „უბრალო მომკვდავიც“ ისევე უნდა დასჯილიყო, როგორც სამშობლოს მოღალატე.

შიიტურ სამყაროში საკმაოდ ხშირი იყო დებატები თამბაქოს ავკარგანობის შესახებ. ირანელი სჯულის მსახურები ტრაქტატებს უძღვნდნენ თამბაქოს რელიგიურ მიუღებლობას და ჯანმრთელობისთვის მავნებლობას. პოლემიკა ძირითადად მართლმადიდებლებს (რომელთაც უარყვეს თამბაქო) და სუფიზმის მიმდევრებს (რომლებმაც მიიღეს თამბაქო) შორის წარმოებდა. ირანში თამბაქოს მოწინააღმდეგეები ასევე ახბარიზმის სკოლის მიმდევრებიც იყვნენ. ირანის სეფევიდი მმართველები თამბაქოს მოხმარების აკრძალვას „ჭეშმარიტი რწმენის დაბრუნების“ მოტივით ხსნიდნენ (Mathee, 2004:66).<sup>21</sup>

სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი შაჰ-აბას I (1571-1629) მმართველობის პირველ პერიოდში უმოწყალოდ სჯიდა თამბაქოს მწვე-

<sup>21</sup> ყველაზე რადიკალური პოზიცია ცნობილმა ეგვიპტელმა სწავლულმა იბრაჰიმ ალ-ლაკანმა დაიკავა, რომელმაც 1631 წელს განაცხადა, რომ თამბაქოს შემოტანა, ფაქტობრივად, იყო ქრისტიანების შეთქმულება მუსლიმანთა წინააღმდეგ (Grehan, 2006:1362).

ლებს. გერმანელი მოგზაურის ადამ ოლფარიუსის ცნობით, როდესაც შაჰმა შეიტყო, რომ ჯარისკაცები ხელფასის დიდ ნაწილს თამბაქოს შესაძენად ხარჯავდნენ, აკრძალა თამბაქოს მოხმარება, უჩრებს კი ცხვირისა და ტუჩების მოგლეჯით სჯიდა (Mathee, 2004:58). სპარსული წყაროებიდან ირკვევა, რომ შაჰ-აბასის ბრძანებით თამბაქოს ერთ-ერთი მოვაჭრე საკუთარ პლანტაციიაში ცოცხლადაც კი დაწვეს (Penn, 1902:37). მოგვიანებით, შაჰი იძულებული გახდა ნება დაერთო მოენიათ თამბაქო ხალხთა თავშეყრის ადგილებში.<sup>22</sup> უფრო მეტიც, თუ წყაროებს ვენდობით, შაჰი, მოცალეობის უამს, თვითონაც სიამოვნებით ეწეოდა თამბაქოს (Penn, 1902:40). შაჰ-აბასის მემკვიდრემ — შაჰმა საფიმ (1629-1642) ტახტზე ასვლისთანავე გააუქმა აკრძალვა თამბაქოზე, რაც მას, მკვლევართა აზრით, მეტწილად საკუთარი ლეგიტიმაციისა და მოსახლეობის კეთილგანწყობის დამსახურებისთვის სჭირდებოდა (Зайцев, 2011:15).

მიუხედავად იმისა, რომ ირანელი ექიმები და უღემები მუდმივად ხაზს უსვამდნენ, რომ თამბაქოს მოწევა ჯანმრთელობისთვის მავნებელი და სარწმუნოებრივადაც მიუღებელი იყო, რატომღაც მუსლიმანური რელიგიის არცერთ ლიდერს არ გაჩენია სურვილი ფეთვა გამოეცა.<sup>23</sup> უფრო მეტიც, როდესაც XVIII საუკუნეში ირანი თამბაქოს ერთ-ერთი წამყვანი იმპორტიორი ქვეყანა გახდა, ამ დროიდან მოყოლებული, მხოლოდ ბაბიდები და ზოროასტრელები უკრძალავდნენ თავიანთ მიმდევრებს თამბაქოს მოწევას და ყნოსვას.<sup>24</sup>

<sup>22</sup> შაჰი იძულებული იყო ანგარიში გაენია ირანის ცნობილი ადამიანებისთვისაც. ერთ-ერთი მათგანი მუჰამედ ბაქირ მაჯლისი იყო, რომელიც ისფაჰანის შეიხულ-ისლამი და თავისი დროის უდიდესი ღვთისმსახური გახლდათ. მაჯლისი ეწეოდა თამბაქოს და ამაში დიდ ცოდვას ვერ ხედავდა: ის მოწევისაგან მხოლოდ მარხვის დროს იკავებდა თავს (Mathee, 2004: 66).

<sup>23</sup> მხოლოდ 1891 წლის ბოლოს, საერო ხელისუფლებასა და სამღვდლოებას შორის არსებული უთანხმოების გამო, თეირანში ცირკულირებდა ფეთვა, რომელიც კრძალავდა თამბაქოს მოხმარებას და ამ მოვლენას აიგივებდა იმამის საწინააღმდეგოდ ფარული ომის დაწყებასთან (სანიკიძე, 2009:105).

<sup>24</sup> თამბაქოს თემა გამოიყენა ირანის სამღვდლოებამ, როდესაც 1890 წელს შაჰმა ბრიტანელ ჯერარდ ტალბოტს 50 წლით მიანიჭა თამბაქოს კულტურაზე მონოპოლია გასაღებისა და ბრიტანეთში ექსპორტის უფლებით. 1890 წელს აითოლა მირზა მუჰამედ ხასან ჰუსეინ შირაზიმ გამოსცა ფეთვა, რომელშიც თამბაქოს მოწევა შიიტი იმამის მაჰდის წინააღმდეგ ბრძოლას შეადარა. საპროტესტო მოძ-

თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანია ასევე დაკავშირებულია ვაჭაბიტების სახელთან. ვაჭაბიტების სულიერი წინამძღვრები მკაცრად მოითხოვდნენ ისლამის პურიტანულ წესების დაცვას, თამბაქოს მწველებს დევნიდნენ, საჯაროდ კიცხავდნენ, ხოლო ჩიბუხებს ხშირ შემთხვევაში კოცონზეც კი უწვავდნენ (Grehan, 2006:1355).

XVIII საუკუნეში აკრძალვა თამბაქოს მოხმარებაზე არაბულ პროვინციებშიც დასტურდება. 1743 წელს მექის შარიფმა, რომელსაც ხაჯის დროს მომლოცველთა უსაფრთხოებაზე ზრუნვაც ევალებოდა, თამბაქოს მოწვევა აკრძალა ხალხთა თავშეყრის ადგილებში. მას მხარი დაუჭირა ეგვიპტის მმართველმაც. ბრძანების დამრღვევებს აიძულებდნენ ჩიბუხში ნანახი თამბაქოს ჭამას.<sup>25</sup> 1749 წელს დამასკოს გუბერნატორმა ასად ფაშა ალ-აზმმა კვლავ გამოსცა დეკრეტი თამბაქოს აკრძალვის შესახებ, მაგრამ იმავე წელს იძულებული გახდა გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება.

1789 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი შემადგენელი თამბაქოს ფაქტორი გახლდათ. მოსახლეობა აღშფოთებული იყო თამბაქოზე სახელმწიფო მონოპოლიით, რაც მის ღირებულებას საგრძნობლად აძვირებდა. მონარქიის დამხობის შემდეგ მონოპოლია თამბაქოზე გაუქმდა (Gatelay, 2001:143-145).

თამბაქოს აკრძალვის თემა აქტუალურია XIX საუკუნეშიც.<sup>26</sup> მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები პირველი

---

რაობამ მთელი ქვეყანა მოიცვა. დაიწყო თამბაქოს, ყალიონის, ჩიბუხების მასობრივი განადგურების კამპანია. თამბაქოს მოწვევას თითქმის ყველამ თავი დაანება. შაჰის ჰარემში მოსამსახურეებიც კი უარს ამბობდნენ, რომ შაჰის ცოლებისთვის ჩიბუხები თამბაქოთი შეეცნოთ. შაჰი იძულებული გახდა 1892 წელს კონცესია გაეუქმებინა. ამის პასუხად, იმავე წელს, უკვე ახალი ფეთვით, აიათოლა შირაზიმ მოსახლეობას თამბაქოს მოხმარების უფლება მისცა და ამით ბოიკოტიც დასრულდა (სანიკიძე, 2009:106).

<sup>25</sup> ალ-ჯაბარტის ცნობით, კაიროში მუჰჰამედ ფაშა ალ-იედექშის დროს (ჰიჯრით 1156-1156 წწ.), პირს, შემწნეულს ჩიბუხით ხელში, აიძულებდნენ მოკიდებული თამბაქოს ჭამას (Лавин, 1982).

<sup>26</sup> ხორვატიაშიც, კერძოდ, დუბროვნიკში, რესპუბლიკის დასასრულსაც (1808 წელს), ამორალურად ითვლებოდა თამბაქოს მოწვევა ხალხთა თავშეყრის ადგილებში (Fotić, 2011:94).

მწვეელი მონარქი გახლდათ, 1848 წლის რევოლუციამდე მწვეელები ავსტრიაშიც იდევნებოდნენ. 1846 წელს ვენაში კონფლიქტი სტუდენტებსა და პოლიციას შორის დიდ დაპირისპირებაში მამინ გადაიზარდა, როდესაც ერთ-ერთი სტუდენტი თამბაქოს მოწვევის გამო დააკავეს. 1848 წლის რევოლუციის შემდეგ მოწვევის ნება მისცეს მხოლოდ მამაკაცებს და კატეგორიულად აუკრძალეს ქალებს.<sup>27</sup>

იტალიაში, XIX საუკუნეში, თამბაქო პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში მოხვდა. იტალიის რეგიონებში: ლომბარდიაში, ვენეციასა და პიემონტში, რომლებიც ავსტრიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდნენ, თამბაქოს პროდუქციის იმპორტი ხორციელდებოდა ავსტრიის სახელმწიფო მონოპოლიის ქვეშ და ამიტომ ჩაგვრის სიმბოლურ გამოხატულებად იქცა. იტალიელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ავსტრიულ საქონელს. ყველაზე მძაფრად პროტესტი გამოხატეს 1848 წელს მილანში, სადაც სიგარებს პირიდან ართმევდნენ მწვეელებს, მათ შორის, ჯარისკაცებს. ავსტრიელები ოცკაციან ჯგუფებს აგზავნიდნენ რესტორნებში, რომ იქ დემონსტრაციულად მოენიათ თამბაქო. ჯარისკაცებს თამბაქოს მოწვევას ავალდებულებდნენ პატრულირების დროსაც. როდესაც მლელვარება გავრცელდა ლომბარდიასა და ვენეციაში, ხოლო პიემონტში საბრძოლო მოქმედებაშიც კი გადაიზარდა, ავსტრიელები იძულებული გახდნენ ჯარები გამოეყვანათ მილანიდან და დაეთმოთ ქალაქი. თუმცა, მოგვიანებით იტალიაში აჯანყება სისხლში ჩაახშვეს (Brown, 2003:7-8).

XIX საუკუნის დასასრულს, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ბრძოლა თამბაქოს წინააღმდეგ, ფაქტობრივად, დასრულდა. თამბაქოს გამარჯვების სიმბოლურ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს დიდი ბრიტანეთის თამბაქოს მოძულე დედოფლის ვიქტორიას მემკვიდრის, უელსის პრინც ედუარდ VII-ს სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1911 წელს, დედის სიკვდილის შემდეგ, ბუკინჰემის სასახლეში შეკრებილთა წინაშე: „ბატონებო, ამიერიდან თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად მოწიოთ თამბაქო“ (Гейтли, 2005).

<sup>27</sup> 1867 წელს 18 წლის ავსტრიის ერცჰერცოგინია მათილდა სიგარეტის მოწვევის დროს დაიწვა, რადგან იმის შიშით, რომ მამას არ დაენახა (სუსტი ფილტვების გამო ერცჰერცოგინიას აკრძალული ჰქონდა თამბაქოს მოწვევა), ცდილობდა ანთებული სიგარეტი ტანსაცმლის სახელოში დაემალა (<http://www.habsburger.net>).

## §7. თამბაქო ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს გავრცელების საკითხს ჩვენ უფრო ვრცლად შევეხებით, რადგან საქართველოში თამბაქოს მოხმარების ტრადიციის დამკვიდრება უშუალოდ ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება. საკითხის აქტუალობა იმითაც არის განპირობებული, რომ დღესაც ქართველ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილი ოსმალური თიხის ჩიბუხების გავრცელების საწყისი ეტაპის შესახებ.

დავინწყით იმით, რომ ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს შემოტანა-გავრცელების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ფრედერიკ ჰიტცელი თვლის, რომ თამბაქო ოსმალეთში XVI საუკუნის ბოლოს ინგლისელებმა შემოიტანეს (Хитцель, 2006:318). ამ ვერსიას ემხრობიან უზი ბარამი (Baram, 2000:149) და უილიამ პენი (Penn, 1902:36). არჟან დე ჰაანის მტკიცებით, ეს „მისია“ XVI საუკუნის ბოლოს გენუელმა და ვენეციელმა ვაჭრებმა იკისრეს (Haan, 2011). რებეკა რობინსონის ვერსიის თანახმად, თამბაქო ოსმალეთში ეგვიპტიდან გავრცელდა, სადაც ეს კულტურა XVII საუკუნის პირველ ათწლეულში შემოვიდა (Robinson, 1985:151).<sup>1</sup> არსებობს ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს უფრო მოგვიანებით (Quataert, 2000:422) და ადრეც (Corti, 1931:102) გავრცელების ვერსიებიც. უზი ბარამი მიუთითებს წყაროზე, რომლის მიხედვით, სტამბოლში თამბაქო ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1590 წლისათვის (Baram, 2000:151). ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ ოსმალეთის იმპერიის ახალ ენციკლოპედიაში ეს თარიღი XVI

<sup>1</sup> ამერიკელი მკვლევარი რებეკა რობინსონი არ გამორიცხავს, რომ თამბაქოს ოსმალეთში ჯერ კიდევ XVI საუკუნის ბოლოს იცნობდნენ. მას მოჰყავს 1599 წლით დათარიღებული ცნობა, სადაც საუბარია იმის თაობაზე, რომ დარდანელის სრუტეში თურქეთისა და ინგლისის ფლოტის გემების შეხვედრის დროს ორი ქვეყნის მეთაური გემების კაპიტნებმა საჩუქრები გაუგზავნეს ერთმანეთს (Robinson, 1985:151). წყაროს მიხედვით არ ჩანს, თუ რა სახის საჩუქარი მიართვა ინგლისის გემის კაპიტანმა, მაგრამ საპასუხოდ თითქოს მიუღია თამბაქოს მოსაწვევი ჩიბუხი. სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით, რობინსონი გამოთქვამს ვარაუდს, რომ XVI საუკუნის მიწურულს თურქებისათვის შესაძლოა უცხო არ იყო თამბაქოს მოწვევა (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გემის კაპიტანს არ ჰქონდა საშუალება როგორც თამბაქო, ასევე, ჩიბუხი ევროპიდან ჩამოეტანა).

საუკუნის შუა პერიოდით არის განსაზღვრული, ხოლო შემოტანის გზად ირანი და არაბეთის ნახევარკუნძული სახელდება (Ágoston, Masters, 2009:564). ჯონ სიმპსონი, თურქ ისტორიკოსებზე დაყრდნობით, კონსტანტინოპოლსა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში თამბაქოს შემოტანას ინგლისელ მეზღვაურებს მიაწერს და თარიღად 1590-1606 წლებს უთითებს (Simpson, 1990:14). ბოლო წლებში გამოცემულ თურქ ისტორიკოსთა ნაშრომებში ოსმალეთში თამბაქოს შემოტანის ზოგად თარიღად XVII საუკუნეა მიჩნეული (Birdal, 2010:129).

ოსმალეთში, თამბაქოს გავრცელების ადრეულ ეტაპზე, აქცენტი ძირითადად მის სამკურნალო თვისებებზე კეთდებოდა<sup>2</sup> (Ágoston, Masters, 2009:565). იბრაჰიმ ფეჩევი თავის „ისტორიაში“ მიუთითებს, რომ 1600 წელს ინგლისელმა „გიაურებმა“ თამბაქო ოსმალეთის იმპერიაში შემოიტანეს, როგორც სამკურნალო საშუალება (Findik, 2016:374; Зайцев, 2011). ადგილობრივი ექიმები თამბაქოს ფურცლებისგან სპეციალურ საფენებს ამზადებდნენ და დამწვრობის წინააღმდეგ იყენებდნენ, თამბაქოს წვენს კი ურჩევდნენ პირღებინების და მონამვლის შემთხვევაში, ასევე, ჩასახვის საწინააღმდეგოდ (Grehan, 2006:1355).

ოსმალეთის იმპერიის ვრცელი ტერიტორია ვარგისი აღმოჩნდა თამბაქოს კულტივაციისათვის. თამბაქოს თესლი პირველად მაკედონიაში, იენიჯესა და ქირჯალში ჩამოიტანეს და გააშენეს (Süngü, 2014:73). თუმცა, თავიდან თამბაქოს დიდი წილი მაინც იმპორტზე მოდიოდა.

ოსმალეთში თამბაქოს გავრცელების კონტექსტში და არსებული რეალობის უკეთ წარმოსაჩენად, გვერდს ვერ ავუვლით აღმოსავლურ სამყაროში ამავე პერიოდში შემოსულ ყავას, რადგან საზოგადოების დამოკიდებულება ახალი პროდუქტებისადმი, განსაკუთრებით, ადაპტაციის ადრეულ ეტაპზე, მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი იყო, მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების ცვალებადი ბალანსით.

<sup>2</sup> დოკუმენტური წყაროები მოწმობს, რომ 1570 წელს თამბაქო, როგორც სამკურნალო საშუალება, ოსმალეთში შემოიტანა ინგლისელმა ვაჭარმა გილმა (ეს თარიღი მისაღებად მიაჩნია თურქ მკვლევარს ფეჰმი ილმაზს) (Süngü, 2014:31). სხვა წყარო გვამცნობს, რომ 1580 წელს სულთანმა მურად III-მ თამბაქო მოაშენა სწორედ სამედიცინო მიზნით. იმავე წყაროში მითითებულია, რომ მურად III თამბაქოს ფოთლებს პოლონეთის მეფესაც უგზავნიდა (Brown, 2004:13).



ოსმალეთის იმპერიაში ყავა უფრო ადრე შემოვიდა, ვიდრე თამბაქო.<sup>3</sup> ოსმალთა ტრადიციულ ყოფაში ყავის სმის დამკვიდრება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ივარაუდება, როდესაც მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ე.წ. ყავახანები ("kahve-hane") ჩნდება (Fotic, 2011:90). 1554 (ან 1555) წელს სტამბულში, სულეიმან ბრწყინვალეს მმართველობის დროს, ვინმე ჰაკიმმა ალეპოდან და შემსმა დამასკოდან გახსნეს პირველი ყავახანა, რომელიც მცირე დროში

საკმაოდ პოპულარული გახდა (Tocman, 2011:6). იმამები და მუეძინები შეშფოთებით აღნიშნავდნენ კიდეც: „ხალხი მეჩეთს გვერდს უვლის და ყავახანებში მიიჩქარის“ (Collaço, 2011:64).<sup>4</sup>

ისლამურ სამყაროში ღვინის აკრძალვამ მნიშვნელოვნად განაპირობა ყავის პოპულარობა, რაც აისახა კიდეც აღმოსავლურ ლეგენდებში.<sup>5</sup>

<sup>3</sup> როგორც ჩანს, თავიდან ყავა დასალევს არ წარმოადგენდა. ეთიოპელები და ბერბერები თავს იქცევდნენ ყავის მარცვლებით, რომელთაც ფშვიდნენ და აქლემის ქონთან ერთად მიირთმევდნენ. მოგვიანებით მათ ისწავლეს ყავის მარცვლებისაგან სპეციალურ ჭურჭლებში დადუღებული სასმელის „ყავახ“-ის (ეთიოპ. "kawah"-გამამხნევებელი ნაყენი) დამზადება (Koz, Kuzuchu, 2013:21).

<sup>4</sup> იმამების მეცადინეობის მიუხედავად, ყავახანების დახურვის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში, მუფტი მეჰმედ-ეფენდი ბოსტანზადეს ფეთვის შემდეგ, ყავაზე აკრძალვა გაუქმდა. სელიმ II-ის მმართველობის დროს (1566-1574 წწ.) სტამბულში 600-მდე ყავახანა იყო გახსნილი. როგორც ჩანს, ყავახანებს ბევრი სტუმარი ჰყავდა. ინგლისელი მწერალი ჯონ ჰოუტონი წერდა: „ყავახანაში ხალხი უფრო გახსნილია, აქ ერთმანეთს ხვდება მდიდარი და ღარიბიც. უცოდინარი ცოდნას ენაფება, ყველას საშუალება ეძლევა გაერკვეს ვაჭრობაში, ხელოვნებასა და სხვა დარგებში. კაცი ყავახანაში ერთ საღამოს სტუმრობისას იმდენ ინფორმაციას იღებს, რასაც სხვა შემთხვევაში ალბათ თვეები დასჭირდება“ (Houghton, 1699:314). ინგლისელი მოგზაური ჩარლზ მაკ-ფარლანი, რომელმაც გარკვეული ხანი იცხოვრა XVI საუკუნის სტამბულში, ასე ასრულებს თავის გზამკვლევს: „თურქებს ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება ყავის გარეშე“ (<http://www.Turkishcoffee./history/social-history>).

<sup>5</sup> აღმოსავლური ლეგენდის თანახმად, მუჰამედ წინასწარმეტყველს ყავა გაბრიელ მთავარანგელოზმა მძინარობის დასაძლევად ურჩია (Brown, 2003:8).

ერთ-ერთი ვერსიით, ყავის გავრცელება სუფიზმის მიმდევრებს მიენერება, რასაც, ვფიქრობთ, გარკვეული საფუძველი გააჩნია.<sup>6</sup> ფაქტია, რომ სუფიურ ტრადიციაში დაშვებული მრავალი ელემენტი ყურანში გამართლებას ვერ პოულობს. მკვლევართა აზრით, სუფიზმი გვევლინება მუჰამედის სწავლების ყველაზე მოქნილ ფორმად, რადგან სუფისტები უფრო შემწყნარებლები იყვნენ წინაისლამური და არაისლამური ელემენტების მიმართ (Collaço, 2011:61).

„თამბაქოს მოწევა განუყოფელია ყავის დაღევასთან. მათში არის რაღაც თანაზიარი, თითქოს ბუნებამ თვითონ განსაზღვრა, რომ ისინი ყოფილიყვნენ განუყოფელნი“ — წერდა სტამბულში ბრიტანეთის საკონსულოს წარმომადგენელი რობერტ უელში (Куландა, 2005:147). მსგავსი შინაარსის ჩანაწერებს ვხვდებით სხვა ევროპელ მოგზაურთა დღიურებშიც. უილიამ პენი აღნიშნავს, რომ ირანში ხატოვანი გამოთქმაც დამკვიდრდა: „ყავა თამბაქოს გარეშე იგივეა, რაც ხორცი — მარილის გარეშე“ (Penn, 1902:40).<sup>7</sup> ყავა და თამბაქო, განურჩევლად მომხმარებელთა სოციალური სტატუსისა, წარმოადგენდა აუცილებელ პირობას აღმოსავლური „კეიფისა“ (Еремеев, 1980:93).<sup>71</sup>

ყავახანებში ყავის და თამბაქოს მოყვარულების სტუმრობა დროში და თემატურად შეზღუდული პროცესი რომ არ იყო, ამას მოწმობს ფრანგი მოგზაურის შარლ დე ვალის ჩანაწერები: „ცილისწამებაში თუ არ ჩამეთვლება, ვიტყვი, რომ თურქები უფრო ხალისით სტუმრობენ ყავახანებს, ვიდრე მეჩეთებს. მათი ხასიათი სძლევს ღვთისმოსაობას, იქ კი სიამოვნებით მიეცემიან განცხრომას. დივანზე მუხლმოყრით მჯდომნი, როგორც ჩვენი მკერავები, ისინი საათობით მსჯელობენ რელიგიაზე, პოლიტიკაზე, ხშირად კი კონკრეტულად არაფერზე. ამავე დროს ეწევიან ჩიბუხებს ან ნარგილეს“ (Шарль Де Валь, 1828:63).

<sup>6</sup> ყავა ისლამურ სამყაროში ასევე იწოდებოდა „ისლამის ღვინოდ“ (Brown, 2002: 48). წყაროები მოწმობს, რომ სუფისტებიც ყავას, როგორც სტიმულატორს, ისე იყენებდნენ. ყავა ეხმარებოდა მათ საღამო ჟამს, ღმერთის სადიდებელი ლოცვების დროს, უფრო მხნედ ყოფილიყვნენ.

<sup>7</sup> სხვა ვერსიით — „ყავა თამბაქოს გარეშე იგივეა, რაც წვნიანი მარილის გარეშე“ (Matthee, 2004 :61).

<sup>71</sup> ჟარგონული გამოთქმით, არაბული სიტყვა “kayf” წარმოითქმება, როგორც „კაიფი“ (Куландა, 2005:147).

ყავახანების მეპატრონეები დღენიადაგ ზრუნავდნენ, რომ მომსვლელთათვის ყველა პირობა შეექმნათ დასვენებისთვის და დროის გასატარებლად. ქალაქებსა და სოფლებში ყავახანები კლიენტებს შინ მიტანითაც ემსახურებოდნენ. ყავასთან ყველაზე სასურველ შეთავაზებად ჩიბუხი ან ყალიონი ითვლებოდა (Shechter, 2006:18).<sup>8</sup>

ევროპელი მეცნიერები აღმოსავლეთში თამბაქოს მონევის ტრადიციის დამკვიდრებას სხვა სტიმულატორებთან კონტექსტში განიხილავენ. თამბაქოს „ადვილად მიღებასა“ და იმავე პერიოდში ყავის სმის დამკვიდრებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის ძიებამ მკვლევრები მიიყვანა დასკვნამდე, რომ კოფეინის მეტაბოლიზმი მწვევლებში უფრო სწრაფი იყო, ვიდრე არამწვევლებში, ამიტომ არამწვევლები უფრო მეტ ყავას სვამდნენ იგივე ეფექტის მისაღებად (Matthee, 2004:61; Süngu, 2014:73).

ოსმალეთში თამბაქო და ყავა საზოგადოების საშუალო და დაბალ ფენებში სიდუხჭირის ტალკვესადაც გვევლინება. ინგლისელი ქირურგი უილიამ ვიტმანი, რომელიც თან ახლდა ბრიტანელ და ოსმალთა ჯარისკაცებს თურქეთის, სირიისა და ეგვიპტის ექსპედიციაში, ასე ახასიათებს თურქებს და აღწერს მათ ყოფას: „თურქები უდავოდ მამაცი ხალხია. სამწუხაროდ, ცრურწმენა და მმართველობის უვარგისობა ამ ძვირფას თვისებებს ყოვლად გამოუყენებელს ხდის. თურქები ფხიზლები, მომთმენნი და სავაჭრო გარიგებებში უაღრესად პატიოსანნი არიან. ღარიბ ხალხს საკმაოდ მძიმე ცხოვრება აქვს და ამიტომაც კარგად ესადაგებიან ჯარისკაცულ ყოფას. თურქები იშვიათად მიირთმევენ ხორცს. მათი საყვარელი საჭმელი ფლავია, თუმცა ყველა ჯარისკაცს ფლავის ჭამის საშუალებაც კი არ აქვს. ხშირად თამბაქო და ყავა ცვლის მათ საჭმელს“ (Виттманн, 1804:145).<sup>9</sup>

<sup>8</sup> პუბლიცისტი სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის ცნობით, სოფ. მარადიდში ყავახანიდან თამბაქოს/ჩიბუხის მოთხოვნა ადგილზე მოტანით ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო: „ჰასანა, ერთი გაირბინე ყავახანაში და სულეიმანას უთხარი, ჩიბუხი და თუთუნი გამომიგზავნოს, — უთხრა მოხუცებულმა მასთან ახლოს მწოლიარე ყმანვილს“ (ასლანიშვილი, 2008: 92).

<sup>9</sup> XIX საუკუნის ბულგარული ქალაქ რუსას მოსახლეობის ფრიად დუხჭირი ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალიდან ჩანს, რომ ხშირად ადგილობრივ მკვიდრთა ერთადერთ „საკვებს“ თამბაქო და ყავა შეადგენდა (Попова, 2010:167).

მზარდი პოპულარობის გამო, ყავის და თამბაქოს მოხმარების პერსპექტივა მიუღებელი დარჩა საერო და სასულიერო ხელისუფლებისთვის. მუსლიმანური რელიგიის მცველები თამბაქოს, ყავას, ღვინოსა და ოპიუმს „სიამოვნების დივანის ოთხ ბალიშს“ უწოდებდნენ, რაც, მათი მტკიცებით, ეშმაკის მიერ ხალხის გასარყვნელად იყო მოგონილი (Mijatović, 2006:11). ღვთისმსახურები თამბაქოს „ყველა საზიზღრობის სუბსტანციად“ განიხილავდნენ (Houdalieh, 2008:257).

საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ვარაუდი, რომ თამბაქოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განაპირობა საწყის ეტაპზე ყავის გარშემო დაწყებულმა დისკუსიამ. უფრო მეტიც, თუ შემდგომ პერიოდში თამბაქოს პოპულარობა გაიზარდა, ამ მიმართებითაც ის ყავას უნდა უმადლოდეს, რომელმაც „აღმოსავლელ საშუალო მომხმარებელს ახალი გემოს და სიამოვნების შეგრძნება გაუღვიძა“ (Grehan, 2012). თამბაქოს და ყავის „თანაზიარობის“ მიუხედავად, მუსლიმანთა ინტელექტუალურ წრეებში თამბაქო უფრო ხშირად იყო გმობის და კრიტიკის საგანი, ვიდრე ყავა (Fotić, 2011: 93; Inanan, Şahin, 2017:40).<sup>10</sup>

1612 წელს სულთანმა ახმედ I-მა შეზღუდა თამბაქოს მოხმარება (Simpson, 2004:14), რაც მეტ-ნაკლები სიმკაცრით შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. 1617 წელს ბელგრადში (სერბეთი) დაიბეჭდა პირველი პამფლეტი ღვინის, ოპიუმის და თამბაქოს წინააღმდეგ (Fotić, 2011: 90). მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, 1622 წლის დასაწყისისთვის, ბალკანეთის ქვეყნებში თამბაქოს არა მარტო ეწეოდნენ, არამედ მისი გაშენებითაც იყვნენ დაკავებულნი (Fotić, 2011:91).

მას შემდეგ, რაც 1633 წელს თამბაქოს ნამწვისაგან გაჩენილი ხანძრისგან თითქმის მთლიანად დაიწვა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქ სტამბულის სიბალის, ზეირექის, ვეფას, ფატიჰისა და სარიგიუზელის უბნები, მურად IV-მ განსაკუთრებით გაამკაცრა კონტროლი თამბაქ-

<sup>10</sup> სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აღმოსავლურ სამყაროში რეპრესიები, თამბაქოსთან ერთად, არც ყავის მომხმარებლებს დაკლებიათ. XVI საუკუნის ქაიროში ყავის სმაში შემჩნეულ პირს ვირზე სვამდნენ და ქუჩებში დაატარებდნენ. ამავე პერიოდში, მექაში, ყავას დემონსტრაციულად წვავდნენ, ყავის გამყიდველებს კი სცემდნენ (Brown, 2003:11).

ოს მონვევაზე.<sup>11</sup> აკრძალვის შედეგად, ფაქტობრივად, დაიხურა ყავახანები, რადგან მას შემდეგ, რაც თამბაქომ ღრმად შეაღწია ოსმალთა ყოფაში, ყავახანები ასოცირდებოდა თამბაქოს მოსაწევ, ზოგადად კი — საექვო რეპუტაციისა და „საშიში აზრების“ ადამიანთა თავშეყრის ადგილებთან (Koz, Kuzucu, 2013:59-60; Fotić, 2011:90).



მურად IV-ის თამბაქოს სანინალმდეგო კამპანია მისთვის ჩვეული სისასტიკით გამოირჩეოდა. ოსმალური წყაროების თანახმად, მურად ფაშა თამბაქოს მონვევაში შემჩნეულ მასთან დაახლოებულ პირებსაც კი არ ინდობდა.<sup>12</sup> მისი ბრძანებით, ჯარისკაცთა სპეციალური ჯგუფები დღისით და ღამით მკაცრად ამონმედნენ საექვო შენობებს და

ზოგ შემთხვევაში საკვამურიდან ამოსული კვამლის მიზეზის დასადგენადაც კი იჭრებოდნენ მათ კერძო სახლებში. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეს აკრძალვა უფრო „თვალსაჩინო“ რომ ყოფილიყო, ერთ-ერთ ურჩ მწველს მოკიდებული ჩიბუხი ცხვირში გაურჭვეს, ხელები ზურგსუკან შეუკრეს, ვირზე შესვეს და ყველას დასანახად

<sup>11</sup> ამ ვერსიის მონინალმდეგეები მიიჩნევენ, რომ თამბაქოსთან ხანძრის კავშირი თვით სულთან მურად IV-ის მოგონილი იყო. 1633 წლის 7 აგვისტოს, სულთნის შვილის დაბადების დღეს, ფაიერვერკებიდან გადმოსული ცეცხლი სწრაფად მოედო ნავსაყუდელში მყოფ გემებს, გავრცელდა ნაპირზე და დაიწვა 20 ათასამდე ხისგან ნაგები სახლი (Gabb, 1990; Brown, 2003:14). ოსმალეთის ისტორიის მკვლევართა აზრით, მურად IV მხოლოდ საბაბს ეძებდა, რადგან სხვა მიზანი ამოძრავებდა. მას სურვილი ჰქონდა დაეხურა ყავახანები, რომლებიც ქორების გავრცელების, საექვო პირებისა და მემამბოხე ჯარისკაცების შეკრების ადგილად მიაჩნდა (Sarianis, 2007:314; Brown, 2003:15). XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცის აზრით, მურად ფაშამ რეალურად ჯავრი იყარა მამის მკვლელებზე, რომლებმაც ახმედ I-ის მოკვლის მზაკვრულ გეგმა სწორედ სტამბულის ყავახანებში შეკრებების დროს, თამბაქოს მონვევის თანხლებით დაგეგმეს (Даврижеци, 1978:566).

<sup>12</sup> მურად ფაშამ ედირნეს საზაფხულო ბანაკში თამბაქოს მონვევის დროს შეუსწრო პირად მასაჟისტს, რომელსაც სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ დიდი გამოსასყიდი მოსთხოვა. მასაჟისტმა სიცოცხლე კი შეინარჩუნა, მაგრამ სრულიად გაღატაკდა (Mossensohn, 2009:44).

ქალაქის მთავარი ქუჩები დემონსტრაციულად შემოატარეს (სურათი — გვ. 100) (Brown, 2003:14; Гудвин, 2012).<sup>13</sup>

ქათიბ ჩელების ცნობით, მურად ფაშასვე ბრძანებით, თხუთმეტი ჯარისკაცი სასტიკად დასაჯეს მხოლოდ თამბაქოს მოხმარებისთვის.<sup>15</sup> ამავე პერიოდში, სტამბულისა და ოსმალეთის სხვა დიდი ქალაქების მეჩეთებში, რელიგიურმა პირებმა დაიწყეს აქტიური ქადაგება თამბაქოს მავნებლობისა და მიუღებლობის შესახებ (Kermeli, 2014:121).<sup>14</sup>

<sup>13</sup> ქათიბ ჩელები აღნიშნავენ, რომ თამბაქოსთან ბრძოლის ყველაზე მძიმე პერიოდის დროსაც კი სულთნის ჯარში თამბაქოს მოყვარულები, სამხედრო ჩინოვნიკების თვალსმოფარებულები, მოკლე ჩიბუხებს ტანსაცმლის სახელოში მაღავდნენ და ასე მაღულად ენეოდნენ (Grehan, 2006:1358). ჩელები ხაზს უსვამს, რომ ამავე პერიოდში თამბაქოს მწვევლთა რაოდენობა აშკარად სჭარბობდა არამწვევლების რიცხვს (Simpson, 2013:254). ქათიბ ჩელები ლიბერალური პოზიციების გამომხატველი იყო და ამიტომ აკრიტიკებდა რელიგიური პირების ხისტ დამოკიდებულებას ცალკეულ საკითხთან, მათ შორის, ყავასა და თამბაქოსთან მიმართებით (Celebi, 1957; Kermeli, 2014:122). ბედის ირონიით, ქათიბ ჩელები გარდაიცვალა 1657 წელს სწორედ ყავის სმის დროს.

<sup>14</sup> მმართველობის თოთხმეტი წლის მანძილზე მურად IV-მ სიკვდილით დასაჯა 20 ათასამდე თამბაქოს მწვეელი (Гейрши, 2005). თვით სულთან მურად IV-ს გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად ღვიძლის ციროზს ასახელებენ, თუმცა, მკვლევართა აზრით, სულთნის სიკვდილი უფრო ალკოჰოლისადმი მიდრეკილებით იყო განპირობებული. რუსი დიპლომატის, ანტიოქ კანტიემირის ცნობით, ცხოვრების ბოლო წლებში, ალკოჰოლიზმით დაავადებული მურად IV არაადეკვატურად იქცეოდა: ფეხშიშველი და პერანგის ამარა გიჟივით დარბოდა ქუჩებში და გართობის მიზნით სასიკვდილოდ იმეტებდა ყველა შემხვედრს. ხშირად, სასახლის ფანჯარასთან მდგომი მურად ფაშა ისარს ესროდა შემთხვევით გამვლელსაც კი (Гудвин, 2012). მურად IV-მ თამბაქოს აკრძალვის ბრძანებასთან ერთად გამოსცა ბრძანება, რომლითაც ლეგალიზებული გახადა ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა და მოხმარება, მათ შორის, მუსლიმანური სარწმუნოების წარმომადგენლების მიერაც კი. მკვლევართა აზრით, ეს იყო უპრეცედენტო კანონი ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში (Фриш, 2013).

<sup>15</sup> მუსლიმი სასულიერო პირები თამბაქოს მწვევლებს მკაცრად აფრთხილებდნენ, რომ განკითხვის დღეს ისინი უფლის წინაშე წარსდგებიან შავად გამურული სახეებით და კისერზე ჩამოკიდებული ჩიბუხებით. მანამდე კი ისინი ისევე დაინვებიან საფლავებში, როგორც იწვის თამბაქო მათ ჩიბუხებში (Grehan, 2006:1360). ამ კონტექსტში საინტერესოა ფრანგი მოგზაურის და ბუნებისმეტყველის, ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის მიერ XVII საუკუნის ბოლოს ერზერუმში მოგზაურობის დროს ჩანერილი ანდაზა: „თუ გსურს ეშმაკს საუზმე მიართვა, მიეცი უშაქრო ყავა, ხიზილალა და თუთუნი“ (ტურნეფორი, 1988:32).

არქეოლოგი ფილიპ სილვესტერ დუფორი ნაშრომში "The natural history of coffee, chocolate, tea and tobacco" (1682) აღნიშნავს, რომ ოსმალეთის ქალაქებში თამბაქოს მოწინააღმდეგეები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ბევრ სხვა ცოდვასთან ერთად, „თამბაქო მამაკაცურ ინსტიქტებს კლავს, უვარგისს ხდის კაცებს ბრძოლისა და გამრავლებითვის“ (Simpson, 1999:14).

XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრის მიმოხილვისას, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სულთან მურად IV-ს მმართველობის დროს იმპერიის სამხედრო ძლიერების დაცემა (განსაკუთრებით, ევროპელებთან განცდილი სამხედრო მარცხის გამო) ოსმალეთის ინტელექტუალურ წრეებში შეფასდა, როგორც გადაცდომა ძველი მსოფლწესრიგისგან ("Nizam-i alem"). კერძოდ, არსებული რეალობის მიზეზად ისინი მიიჩნევდნენ კულტურული და რელიგიური ცხოვრების დაკნინებას, ტრადიციების ღალატს, მორალურ გახრწნილობას და მოითხოვდნენ ძველი კანონების დაბრუნებას ("Kanun-i adim"), ამის საფუძველზე — განათლების რეფორმას.

ქათიბ ჩელების ცნობით, XVII საუკუნის შუა ხანებში ოსმალურ საზოგადოებაში გაიშალა ფართო პოლემიკა თეოლოგიისა და მორალის გარშემო. გამოიკვეთა ერთმანეთისგან განსხვავებული ლიბერალური და მკაცრი ტენდენციები შარიათის განმარტებებთან დაკავშირებით (Bouzigard, 2010:14). ოსმალეთის ისტორიის მკვლევრებიც მიუთითებენ, რომ გვიან შუა საუკუნეებში მუსლიმი ღვთისმსახურების და სამართალმცოდნეთა (ფაკიჰების) ნაშრომებში ძირითადად რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილი სქოლასტიკა იყო გამეფებული. ტრადიციული მუსლიმანური მეცნიერების წარმომადგენლები წერდნენ ნაშრომებს უკვე გაცვეთილ თემებზე, ამავე დროს, აკეთებდნენ უსაგნო კომენტარებს ძველ ნაშრომებსა და კომენტარებზე (Kermeli, 2014:124; Gruia, 2013:23).

მუსლიმ სქოლასტებში ერთადერთი ახალი თემა, რომელსაც, ერთი შეხედვით, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და ინვევდა ცოცხალ დისკუსიას, იყო საკითხი თამბაქოს მოწევის შესახებ. თამბაქოს მოხმარების მოწინააღმდეგე მუსლიმანი რელიგიური პირებისთვის ფრიად ხელისშემშლელ წინაპირობას წარმოადგენდა ის გარემოება,

რომ ყურანში არ იყო საუბარი კონკრეტულად თამბაქოს დადებითი თუ უარყოფითი თვისებების შესახებ, რაც განპირობებული იყო იმ მარტივი მიზეზით, რომ ალაჰის უკანასკნელი მოციქულის — მუჰამედის დროს თამბაქო არ იყო ცნობილი და ბუნებრივია, ისლამში ვერ იქნებოდა მინიშნება მისი ავკარგიანობის თაობაზე (Керимов, 2007: 259; Kermeli, 2014:124; Houdilieh, 2008:457).

ისლამში არ არის გათვალისწინებული და განერილი ყველა მოცემულობა ადამიანთა ქცევისა შესახებ. მუსლიმანის ქცევის ნორმა ზოგადად შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „მოიქეცი ისე, როგორც მოიქცეოდა (ან გირჩევდა) მუჰამედ წინასწარმეტყველი.“ „თქვი: ჭეშმარიტად, აკრძალა ღმერთმა ჩემმა მხოლოდ შეუფერებელი საქციელი ჩემი, როგორც ცხადი, ისე საიდუმლო“ (სურა „ალ-არაფი“ 33). „ნუ მოიკლავთ თავს. ალაჰი კეთილგანწყობილია თქვენდამი“ (სურა „ან-ნისაა“ (4):29), „ნუ გაინადგურებთ თავს საკუთარი ხელით“ (სურა „ალ-ბაქარაჰი“ (2):195) (Muhammad bin Ibraaheem Aal-ish-Sheikh, 2000:31).

წინასწარმეტყველი ჰაკიმ იბნ ჰიზამის სიტყვებით: „მანამ ვერ დატოვებს ადამიანი ღვთის სამყაროს, სანამ ანგარიშს არ ჩააბარებს ოთხი საქმისათვის. პირველი: მან უნდა უპასუხოს, რაში დახარჯა მისთვის გამოყოფილი დრო დედამიწაზე. მეორე: მან უნდა უპასუხოს, თუ რა ცოდნა შეიძინა და რას მოახმარა ეს ცოდნა. მესამე: მან უნდა უპასუხოს, რაში დახარჯა თავისი ქონება და საშუალება და მეოთხე: მან უნდა უპასუხოს, თუ როგორ უფრთხილდებოდა თავის ჯანმრთელობას“ (Керимов, 2007:248). „მუსლიმანი, რომელიც თავის ჯანმრთელობაზე ზრუნავს, ალაჰისთვის უფრო სასურველი და საყვარელია, ვიდრე მუსლიმანი, რომელიც დაუძღურდა იმის გამო, რომ ჯანმრთელობას ყურადღება არ მიაქცია. ანუ, ადამიანებმა უნდა მოარიდონ თავი ყველაფერს, რასაც შეუძლია ზიანი მოუტანოს ორგანიზმს. თამბაქოს მწვევლი კი იწამლავს თავს და წამლავს გარშემო მყოფთაც“ (Озязичы, 2008:2).<sup>16</sup> აბუ მუსა ალ-შარის ჰადისის მიხედვით, მუსლიმანი უნდა მოერიდოს ისეთ ადამიანთან ურთიერთობას, რომელიც ჩადის ცუდ საქციელს, არ ლოცულობს, ეწევა თამბაქოს და ა. შ.

<sup>16</sup> „ალაჰის შუამავალმა აკრძალა ყველაფერი, რაც აბრუებს და ადუნებს“ (აჰმედ ბინ ჰანბელ, ებუ დაუდი) (<https://islamulgarib.wordpress.com/>).

ულემთა<sup>17</sup> ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ცეკვა, სიმღერა, თამბაქო, ყავა, ხელის ჩამორთმევა, თავის დახრა პატივისცემის ნიშნად, რელიგიური სწავლებისა და მომსახურებისათვის ანაზღაურების მიღება დასაშვები იყო შარიათის მიხედვით, თუმცა გარკვეული რელიგიური შეზღუდვების ფარგლებში. სხვა ულემები, რომელთაც თავიდან ბირგილი მეჰმედ ეფენდი, მოგვიანოდ კი მეჰმედ ეფენდი კადიზადე ედგა სათავეში, აცხადებდნენ, რომ ისლამის მიხედვით ეს კატეგორიულად იყო აკრძალული (Çelebi, 1957). მკვლევართა აზრით, მურად IV-ის თამბაქოს საწინააღმდეგო განწყობა კადიზადელთა მოძრაობამ გაამძაფრა (Sarianis, 2007:314). მეჰმედ ეფენდი კადიზადე, ისლამის მოძღვრების განუხრელი დამცველი და ამ მოძრაობის თავკაცი, ყავას და თამბაქოს ძლიერ ინტოქსიკანტებად განიხილავდა (Mathee, 2004:68). სწორედ კადიზადეს რჩევით, მურად IV-მ 1633 წელს შემოიღო აკრძალვები თამბაქოს მოხმარებაზე. მეჰმედ ეფენდი კადიზადეს თანამოაზრე, ყავისა და თამბაქოს დაუძინებელი მტერი, ნაჯმ ალ-დინ ალ-ჰაზი ყავახანას „ეშმაკის ნავსაყუდლად“ მოიხსენიებდა (Grehan, 2006:1363; Inanan, Şahin, 2017:39).

თურქეთის რელიგიის საქმეთა სამმართველოს („დიანეთი“) დადგენილებაში ვკითხულობთ: „ისლამი კრძალავს (ჰარამი) უყაირათობას და საკუთარი თავისა და სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენებას. ითვალისწინებდნენ რა ამ გარემოებას, ზოგი მუსლიმანი მეცნიერ-კანონმცოდნე მუსლიმანისათვის თამბაქოს მოწევის სრულად აკრძალვის (ჰარამი) მომხრე გახდა. სხვები კვლავაც თამბაქოს მოწევას მიიჩნევდნენ მუსლიმანისათვის არასასურველად (მაკრუჰი). შესაბა-

<sup>17</sup> ულემი (არაბ. - მცოდნე, მეცნიერი) - ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში კრებსითი სახელი ისლამის თეორიული და პრაქტიკული მხარეების მცოდნე ავტორიტეტებისა. ულემები ისწავლავდნენ გაემყარებინათ გავლენა სახელმწიფო სტრუქტურებზე, რადგან საკუთარ თავს მიიჩნევდნენ თვით ღმერთის წარმომადგენლებად. ულემები შედიოდნენ „მეცნიერთა გაერთიანებაში“, რომელსაც შეიხ-ულ ისლამი ედგა სათავეში. შეიხ-ულ ისლამები ნაკლებად ერეოდნენ საერო საკითხებში. ხშირად ისინი იღებდნენ პასუხისმგებლობას (ფეთვის გამოცემით) ომის გამოცხადებაზე. შეიხ-ულ ისლამი იყო მთავარი მცველი და განმმარტებელი წმინდა კანონისა (სვანიძე, 1999:166). მას მიმართავდნენ იმ კანონის ექსპერტიზისათვის, რომელიც სულთანს უნდა შემოეტანა შარიათის ნორმებზე დაყრდნობით. XVI საუკუნიდან ოსმალეთში შეიხ-ულ ისლამი სულთნის მიერ ინიშნებოდა (Льюис, 2004:32).

მისად, ისლამში თამბაქოს მოწევა ითვლება არასასურველად და აკრძალულადაც<sup>18</sup>. საჰიჰ ალ ბუჰარის ჰადისის მიხედვით, „ყველა ინტოქსიკანტი, დიდი თუ პატარა დოზით მიღებული, რომელიც აბრუებს ადამიანს — ჰარამია“ (Muhammad bin Ibraaheem Aal-ish-Shei..., 2000:30). ჩელები თამბაქოს მოწევას მოიხსენიებს არაბული სიტყვით "makruh", რაც კანონიკური სამართლის მიხედვით არა „აკრძალულს“, არამედ „არასასურველს“ ნიშნავს (Gamm, 2013).<sup>18</sup>

1646 წელს, შეიხ-ულ-ისლამის ბაჰაი ეფენდის ფეთვის<sup>19</sup> შემდეგ, თამბაქო, ფაქტობრივად, ლეგალიზებული გახდა. თურქი მკვლევარი მურად ბირდალი მიიჩნევს, რომ თამბაქოს ლეგალიზაციის პროცესს გარკვეული წრეები (მათ შორის, თამბაქოს გადასახადის ამკრეფნი – "mültezims") აქტიურად ლობირებდნენ (Birdal, 2010:206). როდესაც ოსმალეთს 1648 წელს მმართველად მეჰმედ IV მოევლინა, აკრძალვები თამბაქოზე სრულად გაუქმდა (Kia, 2011:243-244; Uçur, 2019:121).<sup>20</sup>

ეგვიპტელი მეცნიერი ალ-ბარზალი XVII საუკუნის დასაწყისში საფუძვლიან შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თამბაქოს მწევ-

<sup>18</sup> ადრე სიტყვა "makruh" თურქულად „საზიზღარს/ამაზრზენს“ ნიშნავდა. შარიათის პრინციპებზე საუბრისას, მკვლევართა ნაწილი დიდ სხვაობას ვერ ხედავს ჰარამს (აკრძალულს) და მაკრუჰს (მიუღებელს) შორის. ხაზს უსვამენ იურიდიულ მხარესაც: ჰარამის დარღვევა დასჯადია, ხოლო მაკრუჰის — გასაკიცხი. სხვა სიტყვებით, მკვლევლობა და ქურდობა — ჰარამია, ხოლო თამბაქოს მოწევა — მაკრუჰი (Kemeli, 2014:123). შეიხ მუჰამედ სინდის ნაშრომში ("Ghiyat -ut-tahqiq") გაცხადებული პოზიციით: „მიუღებელია მოწევა უფროსის (ასაკით ან თანამდებობით) თანდასწრებით, მეჩეთში ლოცვისას. არც ისაა მისაღები, რომ ნამონვე უფროსის თანდასწრებით, ან ფეხები დაანყო ქაბის მიმართულებით, ან ხილი მიირთვა ლოცვისას. ასევე ბევრი რამ არ არის მისაღები ზოგ ადგილას ან ზოგიერთების თანდასწრებით, თუმცა ბევრი რამ არ არის მაკრუჰი, ან ჰარამი. მაკრუჰია, როდესაც ხმამალა ილაპარაკებ ან სისხლს დაღვრი მეჩეთში, მაგრამ მეჩეთის გარეთ სისხლის დაღვრა სუნათის აქტია და არა მაკრუჰი“. შარიათის ტერმინოლოგიით, ადამიანი, რომელიც ალაჰის რწმენით არ ჩაიდენს მაკრუჰს — დაჯილდოვდება, ხოლო ვინც ჩაიდენს — არ დაისჯება (ფეთვა № 9084).

<sup>19</sup> ფეთვა (არაბ. فتوى) — დასკვნა/მოწოდება, რომელსაც მუსლიმანური სამყაროს მხოლოდ დიდი ავტორიტეტები (კანონმცოდნეები) აკეთებდნენ ამა თუ იმ მოვლენის ყურანთან ან შარიათთან შესაბამისობის შესახებ.

<sup>20</sup> მეჰმედ IV თვითონ თამბაქოს მომხმარებელი იყო. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ის არც ოპიუმზე ამბობდა უარს (Brown, 2003:15).

ველ ქალბატონებს ფერ-ხორცი (buxomness) ჰქონდათ დაკარგული (Grehan, 2006:1355). 1682 წელს, ალ ნაბულსის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომითაც დასტურდება, რომ უკვე XVII საუკუნის დასასრულს ისლამურ სამყაროში თამბაქოს მოიხმარდა პრაქტიკულად ყველა — კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა და ბავშვი.

XVII საუკუნის ბოლოს, მუსლიმან მეცნიერთა შორის ნაწილობრივ შეიცვალა ნეგატიური დამოკიდებულება თამბაქოსა და ყავის მიმართ.<sup>21</sup> ერთი და მეორეც უფრო ნაკლებ ცოდვად ჩაითვალა, ვიდრე ღვინითა და ოპიუმით გატაცება, რაც, შარიათის მიხედვით, კატეგორიულად იყო აკრძალული. უფრო მეტი, ყავის მიმართ ნეიტრალური პოზიციის მქონე პირები აცხადებდნენ, რომ ყავას გარკვეული სარგებლობაც კი მოჰქონდა ისლამისთვის, რადგან ძილის სურვილს დევნიდა და მორწმუნე ადამიანს საშუალებას აძლევდა შეესრულებინა ღამის სავალდებულო ლოცვები (Линн, 1982).



არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, XVII საუკუნეში ოსმალეთის ვრცელ ტერიტორიაზე თამბაქოს მასიური გაშენება დაიწყო და მალე ეს სექტორი ოსმალეთის იმპერიის სოფლის მეურნეობის ყველაზე მოგებიანი დარგი გახდა (Birdal, 2010:129). ფრედერიკ ჰიტცელის შეფასებით, XVII საუკუნეში თამბაქოს კულტივირება დიდი სტიმული იყო არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ შიდა და საგარეო ვაჭრობის სწრაფი განვითარებისთვის (Хитцель, 2006:317).

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, თვით ისლამის მიმდევართა შორის თამბაქოს მოხმარების თაობაზე განსხვავებული აზრი არსებობდა. მუფტი და სუნიტური ისლამის მოძღვრების მკვლევარი ალ-შაიკ აბ

<sup>21</sup> რეალურად, თამბაქოსა და ყავის ლეგალიზაციის პროცესს მხოლოდ მუჰამედ იბნ აბდ ალ ვაჰჰაბის მიმდევრები ეწინააღმდეგებოდნენ, რომლებიც გამოდიოდნენ თამბაქოს მოწვევის წინააღმდეგ, თუმცა ნაკლებ აგრესიას ამჟღავნებდნენ ყავის მიმართ (Ágoston, Masters, 2009:565).

დალ ჰანი ალ ნაბულსი 1720 წელს დანერილ პამფლეტში თამბაქოს მოწვევას საკვების მიღებას ადარებდა და ერთგვარ რიტორიკულ შეკითხვას სვამდა: „თამბაქოს მოწვევა თუ მავნებელია — ავკრძალოთ, თუ არა — რატომ არ უნდა მოვწიოთ?“ ალ ნაბულსის ირონიანარევი მტკიცებით, თამბაქო ზიანის მომტანია მხოლოდ მაშინ, თუ მას გადაჭარბებული დოზით მივიღებთ, ან, თუ ის მოიხმარს, ვისი ორგანიზმიც მიც ვერ იტანს მას (Bouzigard, 2010:15).

მიუხედავად ახალი რეალობებისა, ოსმალური დოკუმენტური წყაროები მიუთითებს, რომ იმპერიის მმართველები პერიოდულად აახლებდნენ კიდევ ბრძოლას თამბაქოს წინააღმდეგ. კერძოდ, სულთანმა ოსმან III-მ (1754-1757 წწ.), რომელიც ტახტზე ასვლამდე 50 წელი თოფქაფის სასახლეში იზოლაციაში იმყოფებოდა, კვლავ შემოიღო აკრძალვები თამბაქოზე.<sup>23</sup> როგორც ჩანს — უშედეგოდ, რადგან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთში სტუმრად მყოფი ევროპელი მოგზაურები მიუთითებენ, რომ ამ პერიოდში საერო თუ რელიგიური პირები აქტიურად მოიხმარდნენ თამბაქოს და პატივისცემის თუ ყურადღების ნიშნად, სტუმრებსაც სთავაზობდნენ მას. ფრანგი მოგზა-

<sup>22</sup> ალ შაიკ აბდალ ჰანი ნაბულსი აქტიურად გამოდიოდა სიახლის მოწინააღმდეგეების კრიტიკით: „... ისინი კრძალავენ და უკანონოდ აცხადებენ ყველაფერს, რასაც თვითონ ჩათვლიან მიუღებლად. ისინი გარეგნულად ცხვრებს ჰგვანან, მაგრამ შინაგანად ნამდვილი მელიები არიან (Kermeli, 2014:128).

<sup>23</sup> ოსმან III-ს განსაკუთრებით არ უყვარდა მუსიკა და მუსიკოსები, ამიტომ გაყარა ისინი სასახლიდან საჭურისებთან ერთად. მან სასახლიდან მოიშორა ყველა „გიაურული“ წარმოშობის ნივთი (სურათები, საათები, ფაიფურის ნაკეთობები, გობელენები). გამორჩევით არ წყალობდა სულთანი ქალთა საზოგადოებას, ამიტომ, პრევენციულად, სპეციალური ნალიანი ფეხსაცმლით დადიოდა, რითაც აფრთხილებდა სასახლის მოსამსახურე ქალთა პერსონალს, რომ შემთხვევით არ გადაყროდნენ მას. ამავ დროს, ოსმან III-ს რთული დამოკიდებულება ჰქონდა ქრისტიანებთან და იუდეველებთან. ის მათ აიძულებდა ტანსაცმელზე სპეციალური განმასხვავებელი ნიშნები მიემარებინათ (Meiser, 1991:193). ევროპელ მოგზაურთა ცნობით, თურქებს, ზოგადად, არ მოსწონდათ ევროპელთა არც ჩაცმულობა და არც სხვა „ატრიბუტიკა“ (მაგალითად — ე.წ. შლაპები). თუ სახელმწიფო მოღვაწეს სახლის კარზე შლაპა დახვდებოდა მიჭედებული, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მას „ქვეყნისა და სარწმუნოების“ ლალატში ედებოდა ბრალი (Куланд, 2004:104). მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს, ისლამის ეგვიპტელმა რეფორმატორმა შეიხმა მუჰამმად აბდომ გამოსცა ფეთვა, სადაც ნათქვამი იყო, რომ მუსლიმანს არ ეკრძალება ევროპული ტანსაცმლის ტარება, რადგან ჩალმა და აბა არ წარმოადგენს რწმენის სიმბოლოს (Керимов, 2009:137).

ურის, ჟილბერ რომის ცნობით, 1786 წელს, როდესაც ის სტუმრობდა ქარასუ-ბაზარის მუფტს, მუფტის შვილი დაჟინებით თხოვდა მას მიერთვა ყავა და მოენია თამბაქო (Зайцев, 2011:17).

თამბაქოს დამკვიდრებას ოსმალეთის სავაჭრო ბაზარზე, სხვადასხვა ეტაპზე, გარკვეული ტიპის წინააღმდეგობა ხვდებოდა, რაც ოსმალეთის იმპერიის მმართველთა ტრადიციული მონოპოლისტური ნებასურვილით იყო განპირობებული (Мейер, 1991:26). XVIII საუკუნის დასაწყისისთვის ოსმალეთის ბაზარი ძირითადად ადგილზე (მაკედონია, ანტალია, ჩრდილოეთ სირია) მოყვანილი თამბაქოთი იყო გაჯერებული, თუმცა ასევე შემოჰქონდათ ირანული თამბაქოც (Mathee, 2004:66). XVIII საუკუნის დასაწყისისთვის თამბაქოს ფასი წონასთან მიმართებით სამჯერ გაიზარდა (Bouzigard, Saidel, 2012:123). სულეიმან II-ს მმართველობის დროს თამბაქოს შემოსატანი ბაჟი განსაზღვრული იყო ერთ ოყაზე (1283 გრ) 8-10 ახჩით. სულ მცირე დროში ბაჟი ე.წ. "Resm-i duhan"-ის გადასახადის სახით გაიზარდა 12-16 მონეტამდე, ხოლო 1686 წლისთვის — 55 მონეტამდე (Quataert, 2000:422). გადასახადების ზრდის მიუხედავად, მსხვილმა სანარმოებმა გააფართოეს თამბაქოს წარმოება ანატოლიასა და თრაკიაში. თამბაქოს შემოტანა/გაშენებაზე გადასახადი გაიზარდა მაჰმუდ II-ის (1785-1839) მმართველობის დროს, რომელიც შემოსული თანხებით აპირებდა ახლად შექმნილი სამხედრო უწყებისათვის საჭირო თანხების მოზიდვას. ახალი რეგულაციებით, პლანტაციების პატრონები ვალდებული გახდნენ გადაეხადათ 2,5 ყურუში და 12 ფარა ყოველ აკრზე.<sup>24</sup> XVIII-XIX საუკუნეების გასაყარზე, თამბაქოს მოყვანა-გაყიდვაზე დაწესებული გადასახადების გაზრდის შედეგად, სახელმწიფომ მიიღო 7,8 მილიონი ახჩა შემოსავალი, საერთო შემოსავალმა 13 მილიონი ახჩა შეადგინა (Мейер, 1991:79). 1855 წლის ყირიმის ომის დროს ეს გადასახადები კიდევ უფრო გაიზარდა, ხოლო 1861 წლისათვის საერთოდ აიკრძალა თამბაქოს იმპორტი.

XX საუკუნის დასაწყისისთვის, თამბაქო ოსმალეთის იმპერიაში ექს-

<sup>24</sup> ალ. ფრენკელი ნაშრომში „ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე“ აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის II ნახევარში ბათუმის კაზას მოსახლეობას თურქეთის მთავრობა ახდევინებდა „არა სარგო“ გადასახადს, მათ შორის, თამბაქოზეც. თუ ის გაჰქონდათ სხვა მხარეში, ოყაზე ახდევინებდნენ სამ ყურუშს (ფრენკელი, 2012:105).

პორტის უმნიშვნელოვანეს საგანს წარმოადგენდა. „თურქული თამბაქო“ მალალი ხარისხის თამბაქოს სინონიმი ხდება (Agoston, Masters, 2009:564). აღნიშნულ პერიოდში მეთამბაქოეობა ეკონომიკის წამყვან დარგად გვევლინება (Nacar, 2004:12; Findik, 2016:374).

XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ევროპის ქვეყნებმა ოსმალეთში თავიანთი ვაჭრებისათვის საკმაოდ დიდ შეღავათებსაც მიაღწიეს. ოსმალეთის მმართველი წრეები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ კრედიტორების მოთხოვნები. სახელმწიფოს შემოსავლის 40% ხმარდებოდა ვალების და პროცენტების გასტუმრებას. ოსმალეთის ვალის მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც წარმოადგენდა ევროპელ სესხის მიმცემთ, განკარგავდა ქვეყნის შემოსავლის მთავარ წყაროს, მათ შორის, თამბაქოს (Бацаши, 2009:112).

თუ ჰუსეინ კოჯაბაშს ვერწმუნებით, თამბაქოს გავრცელებამ ოსმალეთის იმპერიაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ხელოვნების ახალი დარგის — მეჩიბუხეობის განვითარებას (Kocabaş, 1963). ოსმალეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თამბაქოს მოსაწევად თიხის ჩიბუხები აირჩია, სხვებმა ტრადიციულ ყალიონს მიანიჭა უპირატესობა, რომლისთვისაც საკმაოდ მაგარ სპარსულ თამბაქოს timbeki-ს იყენებდნენ (Vincenz, 2016:113). ოსმალური წყაროები მოწმობს, რომ იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხები ასევე მოიხმარდნენ საყნოს და სალექ თამბაქოსაც (Birdal, 2010:129).

ოსმალეთში თამბაქოს (ბურნუთის) ყნოსვის ტრადიცია XVIII საუკუნეში დამკვიდრდა.<sup>25</sup> საყნოსი თამბაქო მოიხსენიებოდა არაბული სიტყვით "enfiye". XVIII საუკუნეში ბალკანელთა მეტყველებაში შემოვიდა ტერმინი ბურმუთი (burmut), ან ბურნუთი (burnut), სავარაუდოდ, თურქული სიტყვის — "burun" („ცხვირი“) საფუძველზე. ოსმალეთის იმპერიაში, განსხვავებით ევროპის ქვეყნებისგან, თამბაქოს ყნოსვა მკვეთრი სოციალური დიფერენციაციის მანიშნებელი ნამდვილად არ იყო, რადგან თამბაქოს მყნოსველები იყვნენ მდიდრებიც და ღარ-

<sup>25</sup> თამბაქოს მყნოსველი თანამემამულეების შესახებ იბრაჰიმ ფეჩევი ერთგვარი ირონიით წერდა, რომ ისინი, ვინც ვერ ბედავდნენ ხალხში გამოჩენას ჩიბუხით ხელში, გამოსავალს პოულობდნენ თამბაქოს დაქუცმაცებული ფოთლების ყნოსვაში (Simpson, 2013:254).

იბებიც, თუმცა ეს უკანასკნელი მოიხმარდნენ განსხვავებული ხარისხის თამბაქოს (Fotić, 2011:97).

ოსმალეთში, მამაკაცების მსგავსად, თამბაქოს აქტიური მომხმარებლები მანდილოსნები იყვნენ. ამერიკელი ისტორიკოსის ფანი დევისის ცნობით, XVIII საუკუნის ოსმალეთში თამბაქოს მოწევა მანდილოსნების ერთ-ერთ ყველაზე სასიამოვნო გასართობად ითვლებოდა (Davis,



1986:22). როგორც წესი, ქალბატონები თამბაქოს მოსაწევ ადგილებად, ძირითადად, აბანოებს არჩევდნენ. ისტორიკოსი ე.რ. ბილინგსი აღნიშნავდა, რომ XIX საუკუნის ბოლოსკენ თოთხმეტი-თხუთმეტი წლის გოგონა თავისუფლად ეწეოდა თამბაქოს. შედეგად: „ქალი, რომელსაც ახალგაზრდობაში მუკუსის სუნი ასდიოდა, ორმოცი წლის ასაკში თამბაქოს ხშირი მოხმარების გამო ისეთ სურნელს „აფრქევდა“, რომ მასთან ახლოს დგომაც კი ძნელი ასატანი იყო“ (Billings, 1875).

დროთა განმავლობაში, თამბაქოს მოწევა ოსმალთა ყოფის განუყოფელი ნაწილი გახდა.<sup>26</sup> ევროპელ მკვლევართა დაკვირვებით, ახალი რეალობის ინდიკატორად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტიც, რომ თუ XVIII საუკუნემდე ოსმალურ მხატვრობაში თამბაქოს მწვევლები მხოლოდ ყავახანების ან სადალაქოების ფონზე გვხვდებიან (Gruia, 2012:202), მოგვიანებით, როდესაც ჩიბუხით (ასევე ყალიონით) თამბაქოს მოწევა დროსტარების თუ სხვა აქტივობის რესპექტაბელურ ფორმად ჩამოყალიბდა, თამბაქოს მწვევლთა პორტრეტები ჩვეულებრივ პრაქტიკად დამკვიდრდა აღმოსავლურ (მათ შორის — ოსმალურ) ხელოვნებაში (Shechter, 2006:17).

<sup>26</sup> ჩარლზ უაიტის ცნობით, 1844 წელს ქალაქ სტამბოლის დიდ სახლებში ყოველდღიურად 3-4 ფუნტამდე თამბაქოს მოიხმარდნენ. სავარაუდოდ, ამ რაოდენობაში უნდა ვიგულისხმოთ შედარებით დაბალი ხარისხის თამბაქოს წილიც, რომელიც, ძირითადად, დიდგვაროვანთა მოსამსახურე პერსონალისთვის იყო განკუთვნილი (White, 1845:142).

## §8. თამბაქო საქართველოში

როგორც ქართული და ევროპული წყაროები მოწმობს, XVII საუკუნეში (მეორე ნახევარში მაინც) საქართველოში თამბაქოს იცნობდნენ და მოიხმარდნენ კიდევ.<sup>1</sup> გავრცელების ადრეულ ეტაპზე, ჩვენში თამბაქოს, როგორც საყნოს საშუალებას, ისე იყენებდნენ. სულხან-საბას მიერ XVII-XVIII საუკუნის გასაყარზე შედგენილ „სიტყვის კონაში“ ვკითხულობთ: „თამბაქო (ბალახი). სხვა ენაა, ქართულად გლარჯა ქვიან“<sup>2</sup> (ორბელიანი, 1991:299). იქვე, გლარჯა განმარტებულია, როგორც „(ბალახი) თამბაქო, საცხვირე თამბაქო, თამბაქო ცხვირს-აყარი“ (ორბელიანი, 1991:162).

იოანე ბაგრატიონის მიერ 1814 წელს გამოცემულ „საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში“ დანვრილებითაა საუბარი თამბაქოს შესახებ, კერძოდ, მისი გამოყენების წესსა და საშუალებებზე: "Nicotiana tabacum" – გლარჯი, თამბაქო. ბალახსა ამას ერთი წლისა-სა, რომელსაცა დაჰთესენ მინდორსა ზ(ედ)ა, ძირი აქუს ფესვებიანი. ღერო ორი ფუტის სიმაღლე და უმეტესიცა, სწორე, გურგალი და განუყოფელი. ფოთოლთ მოისხამს ცვლილებით, დიდთა, ერთის ფუტის ოდენ და უმეტესთაცა, გარდაშლილთა, მოგურგალოთ გრძელთა, შუბისპირის სახედ ქმნილთა, წვერმწვეტთა, ქუცნოდგან შევიწროე-

<sup>1</sup> ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ თამბაქოს შემოსვლამდე ქართველი მეფეები თრიაქის (ოპიუმის) მომხმარებლები იყვნენ. სიმონ მეფე, რომელიც სპარსელებს ერთხანს ალამუტის ციხეში ჰყავდათ გამომწყდელი, ტყვეობაში მიეძალა თრიაქს („რაჟამს დაეტყუევებინა ყაენსა სვიმონ მეფე ციხესა ალამუტისა, მაშინ გასწყობოდა თრიაქის ჭამასა და ღვინის სმასა და მიერთგან ეწეობოდა თრიაქსა“ (ქართლის ცხოვრება, 1959:378). ალბათ, ნაწილობრივ, ამის შედეგიც იყო საბრძოლო მოქმედებების დროს სიმონ მეფის გაუაზრებელი ბრძანებები (გორის ალყის დროს მისი ბრძანება გორისჯვრიდან მწვანე ხახვის მოტანის თაობაზე, რომელსაც ასეულობით ქართველი მებრძოლი შეეწირა).

<sup>2</sup> თამბაქოს მოწვევას/ყნოსვას „გლარჯის ხუმევად“ მოიხსენიებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია: „უფალო! ლოცვითა სათნო-მყოფელთა შენთათა – ნიკოდიმოს, ამბროსი და სილოვანესითა განწმინდე ბაგენი მონისა შენისა, უბინოყავ გული მისი და განაძლე იგი სურნელებითა სულისა შენისა წმინდისათა, რადთა შორს ივლტოდეს მისგან ბოროტი ვნებად გლარჯის ხუმევისაჲ, მუნ, სადაჲთ მოსრულ არს, წიალსა მას შენა ჯოჯოხეთისასა“

ბულთა, მსხდომარეთა, ორსავ გვერდით გატკეცილთა, ჩაჭირებულ მწუანეთა, გამომჯდარის ღეროთურთ და ღია მწვანე ბუსუსიანის მომცრო ძარღვებითურთ. ზემო ფოთოლნი იქნებიან უფრორე მცირედნი. წვერებსა ბალახისა ამისათა გარემოცავენ ყუავივლი წკეპლის კონისაებრ დაწყობილნი. ყუავილის ბუდე აქუს მოგურგალოდ და მოგრძედ ზარის სახედ ქმნილი, თივთიკითა მწებებელითა დაფარული, ხუთკუთხი, ხუთად განკვეთილი და განკვეთილებანი ესე არიან გრძლად და მოგურგალოდ, წვერმწვეტნი, ყუავილი აქუს ერთფოთლოსანი ძაბრის სახედ ქმნილი და წებოდი ანუ წებოიანი. მილი აქუს ქუცმოხრილი, მკქრაღად მწუანე, ცილინდრული, გრძელი, მჭავლიანი. ნაპირი გაგანიერებული. საკუთარი მამული მცენარისა ამის არს ამერიკა. დაფქვილსა შეიქმონენ ბურნუთად და მოსწვევენ საყნოსელებითა და დაჭრილსა ყალივანითა და ჩიბუხითა. ძალი აქუს თავბრუდამსხმელი, მალეზინებელი, ტანში მასაქმებელი და დამცემინებელი ცხვირისა“ (ბაგრატიონი, 1985: 196).

ნიკო ჩუბინაშვილმაც თავის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ საჭიროდ ჩათვალა თამბაქოს წარმოშობის თაობაზე უფრო ვრცელი განმარტება გაეკეთებინა: „ეს ბალახი უპოვიათ ამერიკის კუნძულსა შინა, რომელსა ჰქვიან თაბაგო ანუ ტაბაგო და მისგან დარქმევია სახელიცა, ხოლო შემდგომად გაუჩენიათ სხუათაცა ადგილთა. არამედ ქართულად თამბაქოს უხმობენ ჩიბუხით მოსაწვევ თუთუნსა, табак курительный, таμπάκος, ხოლო ცხვირით მოსაწვესა — ბურნუთი და გლარჯი, нюхательный“ (ჩუბინაშვილი, 1961).<sup>3</sup>

თუ ისტორიულ წყაროებს დავიმოწმებთ, საქართველოში თამბაქოს კულტურის გავრცელება XVII საუკუნის დამლევსა და XVIII საუკუნის დასაწყისისთვის უნდა ვივარაუდოთ (ჯაფარიძე, 1971: 139).<sup>4</sup> XVII საუკუნის ხორვატიელი ღვთისმეტყველი იური კრიჟანიჩი, რომელიც მეფე ალექსი მიხეილის ძის დროს (1629-1676 წწ.) მოღვაწეობდა რუსეთში, ნაშრომში „პოლიტიკა“ მიუთითებს, რომ: „პოლონეთის, ლიტვის,

<sup>3</sup> ქართველი ლექსიკოგრაფის, არქეოლოგის და მთარგმნელის — ნიკოლოზ (ნიკო) ჩუბინაშვილის (1788-1845 წწ.) ლექსიკონი დაიწერა 1812-1825 წლებში.

<sup>4</sup> საქართველოში ჯერ შემოვიდა დაბალი ხარისხის ნეკო, ხოლო მაღალი ხარისხის თამბაქო გავრცელდა XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან.

შვედეთის, დანიის, ინგლისის, კესარიის, ბრაბანტიის, სპარსეთის, საქართველოს, ჩერქეზეთის და ყალმუხეთის ელჩები რუსეთში თამბაქოს გარეშე არ ჩამოდიოდნენ“ (Дерико, 2014). ვახუშტი ბატონიშვილი ბორჩალოს მაზრის აღწერისას სხვა კულტურებთან ერთად მოიხსენიებს თამბაქოს.<sup>5</sup> XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ხონში თამბაქოს მოყვანის თაობაზე ცნობას გვანვდის გერმანელი ნატურალისტი იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში.<sup>6</sup> უკვე XVIII საუკუნის ქართულ საბუთებში, ხელოსნობის სხვა დარგებთან ერთად, „მეთუთუნეებიც“ არიან მოხსენიებულნი (Месхия, 1955:125).

XIX საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა თამბაქოს თაობაზე აღნიშნავს, რომ: „ეს უკანასკნელი მშვენივრად ეგუება სამეგრელოს ჰავას და თავისი თვისებებით ვირჯინიის პირველხარისხოვან თუთუნს გაუტოლდებოდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მის მოშენებასა და დამზადებას ისევე კარგად დაეუფლებოდა, როგორც ამერიკელები“ (გამბა, 1987:123). იგივეს იმეორებს „რუსეთის შესასწავლად“ სამეგრელოში 1843 წელს ჩამოსული გერმანელი მოგზაური და აგრარული ურთიერთობების მკვლევარი ბარონი აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენი: „თამბაქო საუკეთესო მოდის სამეგრელოში, მაგრამ მისი მოვლა აქ არ იცინა“ (ჰაქსტჰაუზენი, 2011:42). როგორც ჩანს, ბარონ ჰაქსტჰაუზენის კრიტიკულად შეფასების შემდეგ, სამეგრელოში თამბაქოს მოყვანის საქმე შედარებით მაინც გაუმჯობესდა, რადგან უკვე 1852 წლით დათარიღებულ „უსტარში“, რომელზეც შედგენილია თვით თავად დავით დადიანის მიერ, დაწვრილებითაა აღწერილი, თუ სამეგრელოში, უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სად და რა რაოდენობით მოიწეოდა თამბაქო: „თამბაქოს თესვა მცხოვრებელთა შორის მიღებულია ოსმალეთიდან

<sup>5</sup> „...მდინარეებიდან გაჰყავთ არხები და აქეთ და იქეთ ირწყვება ველები, სადაც ხარობს ყოველგვარი მარცვლის თესლი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი. ბამბა, თამბაქო, სელი, ნესვი, საზამთრო, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა, ხოლო კანაფი – ველურად მოდის“ (ბატონიშვილი, 2012:232).

<sup>6</sup> „...ხონი არის დიდი სოფელი, დაახლოებით 200 ოჯახით, აქაური ბალები შეიცავენ ყურძენს, კაკალს, შავი და თეთრი თუთის ხეებს, სხვა ხილი ნაკლებადაა. ბალებში აგრეთვე სთესენ ლობიოს, კანაფს, თამბაქოს, ბოლოკს, კიტრს, ბოთლისებრ კვახს“ (გიულდენშტედტი, 1962:151).

სათათრეთაგან მთავრის კაცის ბატონობაში და ან ჟამთა ჟამად ვრცელდების. საუმჯობესო თამბაქო მოდის მხარეთა წალენჯიხისა და ჯგალისათა და გაისყიდების წელიწადში ვიდრე თხუთმეტის ათასიდან ოც ათას ფუთამდე; ეხლა წესდება სიგარის ფაბრიკა ზუგდიდსა შინა ზედამხედველობასა ქვეშე გრაფის როზმორდუქისა” (მეუნარგია, 1939:48).

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მეთამბაქოეობის მასშტაბი საგრძნობლად გაიზარდა და მან სასაქონლო ხასიათი მიიღო. 1850 წლიდან საქართველოში თამბაქოს გავრცელების საქმე ითავა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნიდან იწერდა თამბაქოს თესლს და გამოსაცდელად გზავნიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ თუ XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებამდე, მეთამბაქოეობის განვითარების თვალსაზრისით, აღმოსავლეთ საქართველო (გამორჩეულად კი სიღნაღის რაიონი) პირველობდა, შემდგომ უკვე დასავლეთ საქართველო დანინაურდა (თურმანიძე, 2004:64).

მეფის რუსეთის მთავრობა ცდილობდა თამბაქოს კულტურის ფართოდ გაშენებას, რომ ადგილობრივი ნედლეულით უზრუნველყო მეტროპოლიაში თამბაქოს მრეწველობა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:45). XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის მთავრობამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მემამულეებს თამბაქოს საუკეთესო ჯიშის თესლი დაურიგა, ხოლო 1873 წელს თამბაქოზე სააქციზო გამოსაღები საქართველოშიც შემოიღო. არსებული წესის თანახმად, თამბაქოს გაშენება, ნაწარმის დამზადება და მისი გასაღება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვით შეიძლებოდა, რომელიც სპეციალური მონუმობით ფორმდებოდა. პასუხისგებაში აძლევდნენ ყველა იმ მეურნეს, ვინც თამბაქოს სახელმწიფოს ნებართვის გარეშე აწარმოებდა (თურმანიძე, 2004:61). 1883 წელს გამოცემული კანონით გადაწყდა საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი თურქული (ტრაპიზონისა და სამსუნის) ჯიშების გავრცელება, რომლებიც თავიდანვე წარმატებით იქნა კულტივირებული დასავლეთ საქართველოში (შალუტაშვილი, როსი, ჰილბორნი, ბახტურიძე, კობეშავიძე, გრიგალაშვილი: 2007).

აღნიშნული პერიოდიდან ფართოდ მოიკიდა ფეხი თამბაქოს კულტურამ შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კერძოდ, აჭარასა და აფხაზეთში. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნისათვის საქართველოში ჩამოყალიბდა მეთამბაქოეობის ორი მთავარი ცენტრი: შავი ზღვის სანაპირო რაიონები და კახეთი (თელავის და სიღნაღის ყოფილი მაზრები) (ჯაფარიძე, 1971:139-140).

ბათუმის ოლქში სასაქონლო მეთამბაქოეობის განვითარება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დასტურდება. მეთამბაქოეობის რაიონებიდან გამოიყოფა ქვემო და ზემო აჭარა, გონიოს უბნის ნაწილი, არტანუჯი, ლივანა და შავშეთ-იმერხევი (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:137-138).

XIX საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა მხოლოდ ოთხი დარგის: მევენახეობა-მელვინეობის, მარცვლეულის, მეაბრეშუმეობისა და მეთამბაქოეობის პროდუქციის გაყიდვით ყოველწლიურად ლეზულობდა 11 მილიონი მანეთის შემოსავალს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:414).<sup>7</sup>

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთში თამბაქოს მოსაყვანად ვარგის მიწებს თურქეთიდან გადმოსული სომხები ყიდულობდნენ. ეს უკანასკნელნი დესეტინაში წლიურ იჯარას 25-30 მანეთს იხდიდნენ და საკმაო მოგებას ნახულობდნენ. თედო სახოკიას ცნობით, აფხაზეთში თამბაქოს მოყვანით ოთხი ათასი სომეხი მოსახლე იყო დაკავებული: „სოხუმში, ვინ იცის, რამდენმა მოიკიდა ქონი თუთუნის ვაჭრობით, რამდენმა შეიძინა ქონება, ძვირფასი მამულები! სამწუხაროა, რომ აქეთ წამოსულ მეგრელებს არავითარი წილი უდევთ ამ სიმდიდრეში“ (სახოკია, 1950:299).<sup>8</sup> რაც შეეხება უშუალოდ თამბაქოს

<sup>7</sup> XVIII საუკუნის ბოლოსა XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს იმერეთში შემოდინდა ოსმალური თამბაქოც. ქუთაისელ ვაჭრებს ცალკე უბანი ჰქონდათ (ე.წ. „კათოლიკეთა უბანი“) შერჩეული, სადაც იყიდებოდა ოსმალეთიდან, სპარსეთიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელი: ღვინო, შაქარი, ბამბა, ჩაი, თამბაქო და ა.შ. (კვარაცხელია, 1999; აიხვალდი, 2005:47).

<sup>8</sup> იგივეს აღნიშნავს ფრანგი არქეოლოგი და ეთნოგრაფი ბარონი დე ბაი: „აფხაზეთში ... თამბაქოს მოყვანას მისდევენ ძირითადად ბერძნები და სომხები, იშვიათად მეგრელები“ (ბარონი დე ბაი, 2011:123).

გასაყიდ წერტებს, ბარონ დე ბაის ცნობით, აფხაზეთში თამბაქო ძირითადად დუქნებში იყიდებოდა.<sup>9</sup>

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თამბაქოს მოყვანა აჭარელი გლეხის ძირითად შემოსავლის წყაროს შეადგენდა. მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი ივანე ჯაიანი გაზეთ „ივერიაში“ 1893 წლის 6 ივნისს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „თუთუნის მოყვანას ეტანებიან აქაურები, მომეტებულად ართვინის ოლქში მცხოვრებნი: და მართალი უნდა ვსთქვათ, მარტო ამ ოლქიდან შარშან გაუტანიათ ოცდაათი ათას ფუთამდე თუთუნი რუსეთის ფაბრიკანტებს, როგორც ამბობენ კარგი ჯიშის თუთუნიც მოჰყავთ. თუმცა ძალიან იაფად იყიდება, მაგრამ ერთადერთი სახსარი ეგ არის აქაურებისათვის“ (ჯაიანი, 1999:4).<sup>10</sup> როგორც ჩანს, ამ სოფლებში (ავტორი ჩამოთვლის ათეულობით სოფელს, მაგრამ ძირითადად საუბრობს სოფელ ბორჩხაზე, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული — გ.თ.) თამბაქოს მომხმარებელი იყო კაცი და ქალიც, დიდი და პატარაც.

კიდევ ერთი ამონარიდი ივანე ჯაიანის მიერ „ივერიაში“ 1893 წლის 1 ოქტომბერს გაგზავნილი წერილიდან: „...იქაური ქართველი მაჰმადიანები ძალიან ენევიან თუთუნს, ათი წლის ბავშვიდან დაწყებული, ყველა ეწევა, მაგრამ მოწევაც არის და მოწევაც. დილით სალამომდე ლოგინშიაც კი თუთუნს უნდა აბოლებდეს აქაური კაცი, თორემ დასაძრახისი შეიქმნება. სულ ნაკლები რომ ვიანგარიშოთ, აქაურ კაცს დღეში 1/4 გირვანქა თუთუნი არა ჰყოფნის“ (ჯაიანი, 1999:62-63). „აქაური კაცი უთუთუნოდ ვერ გასძლებს ისე, როგორც თევზი უწყლოდ“ (ჯაიანი, 1999:44).<sup>11</sup> ივანე ჯაიანის ცნობით, ართვინელი გლეხე-

<sup>9</sup> „...გზატყეცილის გასწვრივ ინტერვალებით გვხვდება სამიკიტნოს მსგავსი დუქნები, სადაც მეგრელები ყიდნიან დასალევს, დასანაყრებელსა და მოსანევს“ (ბარონი დე ბაი, 2011:123).

<sup>10</sup> სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის ცნობით, ჭოროხის იქით ქართველები ერთხანს მხოლოდ სიმინდს თესდნენ და თამბაქოს მოყვანაზე უარს ამბობდნენ: „აქნობამდისინ ჩვენი თავისა ჩვენ არ ვიცოდით, კიდევ რომ მოგვეყვანა ჩვენ, არ შეგვარჩენდნენ ჩვენი მამურები – მოხელეები“ (ასლანიშვილი, 2008:89).

<sup>11</sup> აჭარელი კაცის თამბაქოსადმი დამოკიდებულებას (მიდრეკილებას) კარგად აღწერს მწერალი ფრიდონ ხალვაში ნოველაში „ხოჯის ვახშამი“: „გამთენიიდან დაღამებამდე ხომ მარხული ლუკმას არ ჩაიდებდა პირში, რომ გწყურებოდა,

ბი დიდ ხეირს მაინც ვერ ნახულობდნენ თამბაქოს მოყვანით, რადგან მოგება სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ვაჭრებთან რჩებოდათ.

ევროპელ მოგზაურთა ცნობით, თამბაქოს აქტიურად მოიხმარდნენ ოსებიც. ალექსანდრე დიუმა (მამა) კავკასიაში მოგზაურობის ჩანაწერებში, შესაძლოა, არცთუ კორექტულად, მაგრამ აღნიშნავს თამბაქოსადმი მათი მიდრეკილების შესახებ: „ოსები, რომლებიც ბინადრობენ საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად, აკეთებენ ბევრ ფულს, მაგრამ არიან მფლანგველები, მოთამაშენი და ლოთები, ამიტომ ყოველთვის ცუდად აცვიათ, ან უფრორე, სულაც არ აცვიათ. ისინი მინურებში, დანგრეულ კოშკებში ცხოვრობენ და მთელ თავიანთ შემოსავალს ხარჯავენ თამბაქოსა და არაყზე“ (დიუმა, 2009:358).

XIX საუკუნის ბოლოს, თამბაქოს კულტურა გავრცელდა გურიაშიც, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა თურქეთიდან შემოტანილი თამბაქოს სიძვირემ. გურიის ნიადაგი სავსებით მისადაგებული იყო თამბაქოს კულტურის გაშენებისთვის (ჭაქსტჰაუზენი, 2011:152). მიუხედავად ამისა, მეთამბაქოეობას გურიაში ფართო ხასიათი არ მიუღია. ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის აღწერის მასალებით, თამბაქოს გაშენებას გურიაში ძირითადად თავადაზნაურები მისდევდნენ, რისთვისაც მათ საკუთარ მამულებში სპეციალისტები თურქეთიდან ჩამოჰყავდათ და მოსავლის ნახევარს მათ აძლევდნენ (ცეცხლაძე, 1991:52).<sup>12</sup> მოგვიანებით, თავადაზნაურებს გლეხებმაც მიბაძეს,

წვეთ წყალსაც ვერ მიიკარებდა, თუთუნის მოწვევაც კი მარხვის გატეხას ნიშნავდა. მამაჩემს სწორედ ეს უკანასკნელი ანუხებდა, მოუნეველობა უჭირდა, უჭმელობა — იმდენად არა“ (ხალვაში, 1990:8-9). ქართველი გლეხობა რომ თამბაქოს აქტიური მომხმარებელი იყო, კარგად ჩანს XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურიდანაც: „შენ არ იცი, ამბაკო, ჩემ მიერ დახვეული პაპიროსის გემო. ჩემი ხელიდან არ მოგინევიან. სცადე ერთი, შიგ ტვინში იცის შესისინება და გულზე ისე ტკბილად დაგეხვევა, როგორც ფიქრი ჩემს დაფინოზე“ (ქიაჩელი, 2008:71); „მართლა, ბიჭო — უთხრა მორცხვად თავჩალუნულმა გოგიამ შვილსა: თუ მომეტებული გქონდეს ორიოდ შაური, ნუ დაზოგავ, შენს გაზრდას, და ცოტა-ოდენი თუთუნი მიყიდე. აგერ ორი კვირაა, რაც ჩიბუხი არ გამიბოლებია და ლამის გავგიჟდე, პურზე მომეტებულად მომშვივა ხოლმე, ი ტიალი“ (გაბაშვილი, 1987:521); „გოგია... მძიმედ ჩაფიქრებული იჯდა... ჩიბუხი, რომელიც ისე უყვარდა და იმ დღემდე მუდამ პირში ეკავა, ახლა დაფინეებოდა“ (ნინოშვილი, 1988:172).

<sup>12</sup> ამ მიმართებით აჭარელ გლეხებს საყვედურობდა აპოლონ ნულაძე: „ამ ბოლო

რომელთაც ნეკო მოჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, უკვე ბათუმის ოლქში, ფაბრიკანტებმა თამბაქოს საკუთარი პლანტაციები გააშენეს, ეკონომიკის ამ დარგში წარმმართველი მაინც გლეხური მეურნეობა იყო (თურმანიძე, 2004:64).<sup>13</sup>



XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთში მეთამბაქოეობას უფრო სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდა. სამრეწველო მიზნით თამბაქო მოჰყავდათ ადგილობრივი მემამულის — ჩიჯავადის მეურნეობასა და სოფელ ხონში. ქუთაისის გუბერნატორის ცნობით, 1858 წელს სოფელ ხონის მოსახლეობა მთლიანად საბაზრო თამბაქოს წარმოებით იყო დაკავებული (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:45).

საქართველოში თამბაქოს ფართო ინდუსტრიული წარმოება XIX საუკუნის 50-ანი წლებიდან იწყება. სომეხმა, აზერბაიჯანელმა, რუსმა და ბერძენმა მენარმეებმა — ა. ეფეჯიანცმა, ნ. ბოზარჯიანცმა, ა. მირზაბეკოვმა, ლ. ბინიათ-ოღლიმ,<sup>14</sup> ძმებმა დანილოვებმა მყარი საფუძველი ჩაუყარეს თამბაქოს კერძო სერიულ წარმოებას საქართველოს

წლებში თუთუნის მოყვანა დაიწყეთ, მაგრამ თქვენ თითონ არც იმას ამუშავებთ და იმის შემოსავლის ნახევარი ლაზებს მიაქვთ" (წულაძე, 1991:115). შრომის მოყვარეობას უწუნებს ქართველებს ინგლისელი აგრონომი „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილში: „ყოველს, ცოტად თუ ბევრად, ჩახვედრილსა და შრომის მოყვარე კაცს, შეუძლიან იტვირთოს ასეთი საქმე. აი, ოსმალონი... იმათაც-კი მოახერხეს და ახალის წესის მეოხებით უმაღლეს ხარისხამდე აიყვანეს თუთუნის მოყვანის საქმე. მაგრამ, აბა, რა საიმისო განათლება აქვთ ბაფრისა, სამსუნისა და ეპიჯიეს თუთუნის მომყვანთ?" (<http://georgiacenturyxx.vordpes>).

<sup>13</sup> ფაქტობრივად, ერთი დესეტინა თამბაქოს პლანტაციის მოვლა-დამუშავებას 4-5 კაცის მთელი წლის შრომა სჭირდებოდა. ერთ დესეტინაზე მეტი პლანტაციის არსებობის პირობებში, ოჯახის არსებული მუშახელი არ ყოფნიდა და გარკვეული რაოდენობის დაქირავებული მუშახელის მოყვანა ხდებოდა საჭირო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:368)

<sup>14</sup> ლ. ბინიათ-ოღლის ბათუმის ფაბრიკის პროდუქცია იგზავნებოდა თბილისში, ბაქოში, რუსეთში. მას ჰქონდა საკუთარი პლანტაციები არტანუჯსა და ოჩამჩირეში (ბაჯელიძე, 2012:47).

სხვადასხვა ქალაქში (შერვაშიძე, 2011:21). ამავე დროს, ქუთაისში მუშაობდა თამბაქოს ფაბრიკები, რომლებიც ქართველ მენარმეებს — გოკიელებს, ფირალიშვილებს და მეფისაშვილებს ეკუთვნოდათ.<sup>15</sup>

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, საქართველოში მეთამბაქოეობას წარმოების სიძვირის და პროფესიონალი მუშახელის არარსებობის პირობებში, არ შეიძლება განვითარების მაღალი საფეხურისთვის მივლნია. დამზადებული პროდუქციის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გადიოდა ბაზარზე, რადგან ტრაპიზონიდან ექსპორტირებული შედარებით ნაკლებხარისხიანი თამბაქო, ძირითადად, სიიაფის გამო, მყიდველისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყო. 1877 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაზე გავრცელდა საიმპორტო თამბაქოზე დადებული საიმპერიო ბაჟი (ფუთზე 14 მანეთი), საქართველოს მეთამბაქოეობა ფაქტობრივად კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა, რამაც განაპირობა ამ დარგის სწრაფად განვითარება (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:418).

ზოგი ქართული რეგიონის სამეურნეო პროფილის შეცვლა პოლიტიკური რეალიებით იყო განპირობებული. საინგილო, რომელიც ლანდშაფტურად კახეთის გაღმა მხარის გაგრძელებას წარმოადგენდა, განთქმული იყო მევენახეობა-მელვინეობით. ამ მხარის კახეთისგან ჩამოცილებამ, მოსახლეობის რელიგიურმა და ეთნიკურმა ცვლამ, ტრადიციული კულტურა გადააშენა და მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად თამბაქოს წარმოებას შეუწყო ხელი (თოფჩიშვილი, 2009).

საქართველოში თამბაქოს მოყვანა-მოხმარების ტრადიციის დამკვიდრება არაერთგვაროვნად აღიქმებოდა, განსაკუთრებით, საზოგადოების ელიტური ნაწილის მიერ. თამბაქოს (ჩიბუხის) მწველთა ერთ-ერთ ყველაზე „მწარე“ კრიტიკოსად გვევლინება თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე. იუმორით გაჯერებულ ლექსში პოეტი წერდა: „მე ჩიბუხისა წევითა ვერ გადავივლი მთასაო, ასე რომ ბოლი მიყვარდეს, ბუხარში შევყოფ თავსაო“ („ივერია“, 1886 წელი).

<sup>15</sup> ე.წ. „თუთუნის სავაჭრო ქარხანა“ იოსებ გოკიელოვის (ეჯიბიას), ფირალოვის „თამბაქოს ფაბრიკა“, მეფისოვის და პალაშოვის ფაბრიკა კათოლიკეთა ქუჩაზე (კვარაცხელია, 1999).

1890 წელს პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი) აღნიშნავდა: „ვაჭრობისა და ალებ-მიცემის გაძლიერება ჩვენში უეჭველია. თანდათან წინანდელი მეურნეობა ჰკარგავს თავის თვისებას ბუნებურის წარმოებისას. ეს მეურნეობა ნაწილოვნდება და ბევრი ახალი წარმოებაც ჩნდება. ისეთი წარმოება, რომელის ხსენებაც არ იყო წინათ ... ჩვენს წარმოებაზე მოქმედობს ეხლა არა მარტო ახლო- მახლო ბაზრის საჭიროება, არამედ საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნილებაც. აუარებელი მინდვრები გადაიქცა სასიმინდეებათ და სიმინდის მოყვანამ უკან დააყენა სხვა ჭირნახულის მოყვანა; ზოგან აუარებელი თუთუნი ითესება; იქ თუთით გაივსო ბალები და აბრე-შუმის მოყვანას გამოეკიდნენ; აქ ვენახებს ატანენ ძალას; ერთგან ხეხილის ბალებს აშენებენ, მეორეგან ქვა-ნახშირისა და ქვა-გუნდის მეტს არას აწარმოებენ თითქმის“ (მაიაშვილი, 2008).<sup>16</sup>

XIX საუკუნის 90-იან წლებში ამიერკავკასიის მხარეში თამბაქოს საერთო მოსავალში საქართველოს წილი 82%-ს აჭარბებდა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:138).

საქართველოში XX საუკუნის პირველი ნახევარის ბოლოს თამბაქოს ფართობმა 19.9 ათასს მიაღწია, ხოლო წარმოებამ — 10 ათას ტონას. ადგილობრივ ნედლეულზე დამზადებული თამბაქო ბათუმის პორტიდან იგზავნებოდა გერმანიაში, საფრანგეთში, თურქეთსა და ეგვიპტეში (უზუნაძე, 2001:186). გამოიკვეთა რეგიონები, სადაც კარგი პირობები არსებობდა თამბაქოს მოყვანისთვის. თედო სახოკიას ცნობით, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში გამორჩეული იყო სოხუმის ოლქის თუთუნი (სახოკია, 1950:299). მაგრამ, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, მარცვლეულზე მოთხოვნილების ზრდის გამო, თამბაქოს ფართობები საგრძნობლად შეიკვეცა.

<sup>16</sup> XX საუკუნის დასაწყისში ქართველი მწერალი და იმერეთის თავადთა შთამომავალი ნიკო ლორთქიფანიძე მტკივნეულად აღიქვამდა საქართველოს სოფლების ახალ რეალობებს: „შუა ეზოში ერთი ვეებერთელა ცაცხვის ირგვლივ დაშორებით ოთხ კუთხად ჩარგული იყო კოპიტები. აქ იდგა სავარძლები, სუფრები... დიდი ქეიფის დროს იყრიდა თავს ასი-ორასი სტუმარი... მღერა უერთდებოდა შრიალს ფოთლებისას ... ცეკვა ჰგავდა სიოს...სიგრილე იყო მუდამ... პატარა წვიმას, შხუფვლას ვერც კი ამჩნევდა ხის ქოლგის ქვეშ მყოფი კაცი. ვილაცის უღმობელ ხელს გადაუბლავს კოპიტები, მოუჭრია ძირში ცაცხვი და დაუთესია თუთუნი“ (ლორთქიფანიძე, 1994: 282).



ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი თამბაქოს ეწეოდა ჩიბუხის საშუალებით.<sup>17</sup> გავრცელებული იყო, ასევე, თამბაქოს ლეჭვა და ბურნუთის ყნოსვა.

თამბაქოს ლეჭვა განსაკუთრებით მოსწონდათ ხევსურეთში, რადგან ხევსურებს მიაჩნდათ, რომ თამბაქოს ლეჭვა უფრო ნაკლებად ვნებდა ორგანიზმს, ვიდრე მონევა. თამბაქოს აქტიურად მოიხმარდნენ თუშეთშიც. აქაური ქალები უფრო ბურნ-

უთს ეტანებოდნენ. ფშავში მამაკაცები თამბაქოს ეწეოდნენ, ქალების კი მონევა სირცხვილად ითვლებოდა. მოხუცი ქალბატონები ამ კუთხეშიც ბურნუთს ანიჭებდნენ უპირატესობას.<sup>18</sup>

საქართველოს მთის მოსახლეობის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში თამბაქოს გამორჩეულ ადგილზე უნდა მიუთითებდეს ფშავში, თუშეთსა და ხევსურეთში დადასტურებული ტრადიცია, როდესაც ტირილის დღეს ტალავრით, ქამარ-ხანჯლითა და თოფით მორთულ ფარდაგზე დასვენებულ მიცვალებულს ჭირისუფალი თავთან უწყობდა არაყს, სამ მრგვალ კვერს და თამბაქოს (ირემადი, 2009).

საქართველოს მთაში თამბაქოს ასევე იყენებდნენ, როგორც სამკურნალო საშუალებას: ავადმყოფს თამბაქოს ფურცლებს ადებდნენ ჭრილობაზე და ნაკბენზე სისხლდენის შესაჩერებლად, ხოლო თამბაქოს ნახარშს ხმარობდნენ ქეცის სანინაალმდეგოდ (ჯაფარიძე, 1971:137).

<sup>18</sup> „თამბაქოს ხევსურეთში თითქმის ყველა ეწევა. ხშირად ქალები და ბალებიც თუთუნს აბოლებენ. მოხუცები უფრო ბურნუთს ხმარობენ. გავრცელებულია ასევე თამბაქოს...ლეჭვა“ (მაკალათია, 1984:114). „თამბაქოს ფშავში ყველანი ეწვიან. ქალისათვის თამბაქოს მონევა სირცხვილია. მოხუცი ქალები ბურნუთს ხმარობენ“ (მაკალათია, 1985:107). ვაჟა-ფშაველას „გასამართლებული ჩიბუხიც“ გავიხსენოთ: „ღვანლით შემოსილი, დიდებული, სახელოვანი იყო ეს ჩიბუხი. პატრონს, ღვთისუნელს, კიდევ იმიტომ უყვარდა და ეტრფოდა, პირიდან არ იშორებდა, მძინარეს გამოღვიძება უხაროდა, ადგომა ეხალისებოდა – ჩიბუხს მოვნივო...ჰსუტავდა ჩიბუხს და თან თვალეხსა ჰკულავდა“ (ვაჟა-ფშაველა, 1986: 627).

## §9. თამბაქოს მოსაწევი საშუალებები

თამბაქოს მოსაწევი საშუალებების მიმოხილვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისაუბროთ ყალიონზე (ნარგილე), რომელიც გამორჩეულად პოპულარული იყო და არის დღესაც აღმოსავლურ სამყაროში. ზოგადი განმარტებით, ყალიონი (ნარგილე): „აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მონყობილობაა, რომელიც შედგება წყლის ჭურჭლის, ტყავის მილისა და მუნდშტუკისგან“.<sup>1</sup>



პირველადი კონსტრუქციით, ყალიონი წარმოადგენდა ქოქოსის ნაჭუჭში ჩამაგრებულ ღეროს.<sup>2</sup> შემდგომ ყალიონის ფორმამ არსებითი სახეცვლილება განიცადა, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ადრეულ პერიოდში ყალიონს იყენებდნენ ჰაშიშის და ოპიუმის მოსაწევად, მოგვიანებით კი, ყალიონით ეწეოდნენ სველ თამბაქოს.<sup>3</sup>

თამბაქოსთან ერთად, სხვადასხვა ჯიშის ხილის არომატით შეზავებული ყალიონი მოსაღუნებელ და დასამშვიდებელ საშუალებად ითვლება. აღმოსავლეთში გავრცელებული ვერსიით, ყალიონი, სხვა მოსაწევი საშუალებებისაგან განსხვავებით, უფრო „უსაფრთხოდაა“ მიჩნეული, რადგან მასში სპეციალურად სველი თუთუნი გამოიყენება. ყალიონში თუთუნი არ იწვის, ის შრება, მისი კვამლი წყალში იფილტრება და ფილტვებში არომატული

<sup>1</sup> ყალიონი და ნარგილე კონსტრუქციული გადანყვეტის თვალსაზრისით გარკვეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (მაგალითად, ნარგილეს კორპუსი ძირითადად მინისგან კეთდება, ხოლო ყალიონის — მეტალისგან), მაგრამ მოხმარების თვალსაზრისით მათ შორის პრინციპული განსხვავება არ არის.

<sup>2</sup> ეგვიპტელები ყალიონისთვის ქოქოსის ნაცვლად იყენებდნენ კაკლისა და გოგრის ნაყოფს (Лендев, 2006). აქვე აღვნიშნავთ, რომ სამხრეთ ბრაზილიაში ნანახი ჩიბუხები, რომელიც ასევე კაკლის ნაჭუჭის და მცენარის ღეროსგან იყო დამზადებული, მიჩნეულია აღმოსავლური ჩიბუხის წინაპრად (Ucar, 2019:121).

<sup>3</sup> ირანელები თვლიან, რომ თამბაქო თრიაქის მონევის სურვილს მაინც ვერ კლავს: „თამბაქოს შემდეგ თრიაქის მონევა იგივეა, რაც სადილის შემდეგ ტკბილეულის ჭამა“ (ჭელიძე, 1951:20-21).

ორთქლის სახით ჩაედინება.<sup>4</sup>

ყალიონის წარმოშობის შესახებ არსებობს ინდური, ამერიკული, სპარსული, აფრიკული და ევროპული ვერსიები (Kozlov, 2006:117-118). მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ყალიონი ინდოეთიდან შემოვიდა, თუმცა მის თანამედროვე იერსახით ჩამოყალიბებას მაინც თურქეთს უკავშირებენ. სხვები თვლიან, რომ ინდოელებმა ყალიონის დამზადება სპარსელებისგან ისწავლეს, ხოლო სპარსელებმა ეს ცოდნა, თავის მხრივ, ეგვიპტელებს გადასცეს.<sup>5</sup>



ყალიონის (ნარგილეს) სპარსული წარმოშობის ვერსიის მომხრეთა აზრით, ტერმინი „ნარგილე“ მომდინარეობს სპარსული „ნარდშილიდან“ (ქოქოსის პალმა).<sup>6</sup> სხვა ვერსიით კი „ნარგილე“ კომპოზიტია: „ნარ“ (ცეცხლი)+„ჟილი“ (თამაში) — ანუ, ნარჟილი“- ცეცხლის თამაში (Кулиева, 2012:58).<sup>7</sup> რაც შეეხება „ყალიონს“ ("qalyān"), მკვლევართა აზრით ის არაბული (غلیان "ghaliān") (მდულარე, ძირი - āgla - დულილი) უნდა მომდინარეობდეს. არსებობს ვერსია, რომ "قلىان" (ghalyān) პატარა ქოთნის სახელი

იყო, რომელშიც დიდგვაროვანი ქალბატონები ძვირფასეულობობას ინახავდნენ. ყალიონის სპარსულ წარმოშობაზე ნათლად მეტყველებს აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული ყალიონის სახელებიც, რომელთა უმეტესობა სპარსული წარმოშობისაა: „ნარგილ“,

<sup>4</sup> ყალიონის მოყვარულები ამტკიცებდნენ, რომ ყალიონი სიგარეტთან შედარებით არ ვნებს ადამიანის ორგანიზმს. ეგვიპტელი მეცნიერის, აკრამ შაფის გამოკვლევებით დასტურდება, რომ, თუ სიგარეტის ბოლი მოქმედებს სასუნთქი გზების პატარა დაბოლოებებზე (bronchioles), ყალიონის ბოლი ახდენს მომენტალურ ეფექტს სასუნთქ გზებზე (smoking.vsebolezni.com/articles/kalyan).

<sup>5</sup> ყალიონის გამოგონება ინდოეთის იმპერატორ აკბარ I-ის ექიმს ჰაკიმ აბულფატჰს (გარდ. 1588წ) მიენერება (Houdalich, 2008:457).

<sup>6</sup> სანკრისტზე ნარგილე „ნარიყალ“/„ნარიკელა“ ნიშნავს ქოქოსს (Shechter, 2006:18).

<sup>7</sup> კუვეიტში ნარგილეს უწოდებენ „არჟილას“ (Argilla) (Лебедев, 2006). ავღანეთში „ჩელიმ“-ს (გოგრის ბოთლს) (Encyclopædia Iranica), ესპანეთში „კაჩიმბას“.

„შიშა“, „შიშაჰ“, „შეშა“, „ნარგილე“, „ჰუკა“ (Süngü, 2014:88).<sup>8</sup>

ყალიონის წარმოშობის ამერიკული ვერსიის ავტორთა აზრით, ამერიკელი ინდიელები თამბაქოს მოსაწევედ წყლით შევსებულ გოგრას იყენებდნენ. ეს წესი კი ამერიკაში აფრიკელებმა დანერგეს, რომლებიც, მკვლევართა მტკიცებით, ამერიკაში კოლონისტების ჩასვლამდე ცხოვრობდნენ. აფრიკული ვერსიის ავტორები თვლიდნენ, რომ ყალიონის წინაპარს — წყლის ჩიბუხს, ე.წ. „დაკას“, სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ტომები იყენებდნენ, რასაც ადასტურებს კენიის, ტანზანიისა და ზამბიის არქეოლოგიური აღმოჩენებიც.<sup>9</sup> ევროპული ვერსიის მომხრეებს ნაკლებად არაგუმენტირებულად მიაჩნიათ დასკვნები, რომლებიც აფრიკის კონტინენტზე XVII საუკუნემდე თამბაქოს მოწევის არსებობას ამტკიცებს. მათი აზრით, თანამედროვე ყალიონის ფორმა ამერიკული წყლის მილის მსგავსია, რომელსაც ევროპელები XVI-XVII საუკუნეებში ხმელთაშუაზღვისპირეთში იყენებდნენ (<http://www.vipkayan.com/index.php>)

ინგლისელი მოგზაურები აღნიშნავენ, რომ ინდოეთში, სადაც თამბაქოს მოწევა გავრცელდა აკბარის მმართველობის დროს (1556–1605), ყალიონს მოიხსენიებდნენ "hubble-bubble" სახელით. ფრანგი და ჰოლანდიელი მოგზაურების ცნობით, ადგილობრივები მას "sheesha"-ს უწოდებდნენ. მათი განმარტებით, აღნიშნული სახელების დამკვიდრება განაპირობა ყალიონის მოწევის დროს გამოცემულმა ბუყბუყისა და შიშინის ხმამ<sup>10</sup>, რომელიც ხმოვანებით მართლაც ესადაგება

<sup>8</sup> სახელი „ჰუკა“-ს ("hooka") დამახინჯებული ფორმაა არაბული "hukkah"-ს, რომელიც მრგვალ ყუთს ნიშნავს. ჰუკას დამზადებისას გამოყენებული იყო „ბიდრა“-ს ტექნიკა, რაც გულისხმობს ლითონის ინკრუსტაციას ბრინჯაოთი ან ვერცხლით (Sajid, Chaouachi, Mahmood, 2008:1)

<sup>9</sup> სენსაციურ აღმოჩენათა რიგს განეკუთვნება წყლის ჩიბუხების ჰაშიშის ნაწინიანი თიხის ბურთების მიკვლევა ეთიოპიის ერთ-ერთ გამოქვაბულში, რომელმაც საფუძველი მისცა მკვლევრებს გამოეთქვათ მოსაზრება, რომ აფრიკაში (ეთიოპიაში) ყალიონს ჯერ კიდევ XIV საუკუნეში იცნობდნენ.

<sup>10</sup> ყალიონის ბუყბუყის ხმაზე საინტერესო ისტორია არსებობს. თურქ არქიტექტორ სინანს ერთ-ერთი მეჩეთის მშენებლობის დროს არაკეთილმოსურნეებმა ჭორი დაუყარეს, რომ ის მეჩეთში ძირითადად ყალიონის მოწევით იყო დაკავებული. ჭორი სულთან კანუნიმდეც მივიდა და ერთხელაც ის მოულოდნელად თავს დაადგა სინანს, რომელიც მართლაც ყალიონს ეწეოდა. სულთნის შეკითხვაზე:

სიტყვებს "hubble - bubble" და "sheesha".

აღმოსავლეთის ქვეყნებში, ყალიონის გავრცელების ადრეულ ეტაპზე, მისი ძირითადი მომხმარებლები მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ, მათ შორის, დიდგვაროვანი ბატონები და ქალბატონები. XVIII საუკუნის ინგლისელი მწერალი უილიამ ჰიკი თავის მემუარებში წერდა: „ჩემთვის მოამზადეს მდიდრული ყალიონი. მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, მაინც არ მესიამოვნა ყალიონის მონევა და მოკრძალებულად ვიკითხე: აუცილებელია, რომ მეც ყალიონის მწველი გავხდე? მაშინვე მივიღე პასუხი: თუ გსურს, რომ ამ წრეში ავტორიტეტი მოიპოვო – მაშინ უნდა მოახერხო. აქ ყველა ეწევა ყალიონს და მის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერ საქმეში წარმატების მიღწევა“ (Spencer, 1913:229).<sup>11</sup>

სპარსელები ნარგილეს მოიხმარდნენ შინ და გარეთ, ამიტომ ნარგილეს ჭურჭელი ორი სახის იყო: ბროლის, სპილენძის და ფაიფურის – სახლისთვის და ტყავის – გზაში გამოსაყენებლად. გზაში მოსახმარ ნარგილეს ჭურჭელს ხშირად მინანქრით ან ოქროთი ფარავდნენ, ამიტომ ისინი უფრო ძვირად იყიდებოდა (Куланд, 2005:149). XVII-XVIII საუკუნეებში ეგვიპტეში ვენეციიდან მინისკორპუსიანი ყალიონები შემოვიდა. XVIII საუკუნის ბოლოს ყალიონის მინის ტარის ძირითადი იმპორტიორი ბოჰემია იყო (Shechter, 2006:19).

ნარგილეს პოპულარობის კვალობაზე, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მისი ცალკეული კონსტრუქციული ნაწილის დამზადება დაიწყეს და ტრადიციულ ხელობადაც კი აქციეს. მაგალითად, მუნდშტუკი („აგიზლიკი“) მზადდებოდა ქარვის მასალისგან, რომელიც შემოჰქონდათ რუსეთის რეგიონებიდან. საუკეთესო მინის წყლის ჭურჭელს

---

მეჩეთში ყალიონს ეწევიან? სინანმა უპასუხა: „ჩემო სულთანო, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, რომ ჩემს ყალიონში თამბაქო არ არის. მე უბრალოდ ვამონებ, თუ როგორ ნაწილდება შენობაში ყალიონის ხმა. თუ ეს ხმა გასაგონი იქნება მეჩეთის ყველა წერტილში, მაშინ ყურანის წაკითხვისას, მოლას ხმას 60-70 მეტრის რადიუსშიც გაიგონებენ. მე მხოლოდ ვამონებ აკუსტიკას.“ (Kayili, 2005:2).

<sup>11</sup> გერმანელი ნატურალისტი ენგელბერტ კემპფერი სეფევიდების დინასტიის გილიანის პროვინციის ქალაქ რაშტის აღწერისას მიუთითებს, რომ აქ 1683 წელს ყოველი მესამე თუ მეოთხე „ყალიონის სახლი“ იყო (Mathee, 2004).

(„გოვდე“) ამზადებდნენ ბეიქოზში. კვამლის საქაჩი დანნული მილის (ე.წ. „მარპუკი“) ყველაზე ცნობილი ოსტატები იყვნენ მომთაბარე ტომელები, რომლებიც ბაზრობებზე მას საკმაოდ სარფიანად ჰყიდდნენ (Гейтли, 2005).

დროთა განმავლობაში, ყალიონმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა. თანამედროვე ყალიონი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: შახტა — სადაც ხდება კვამლის გაცივება და სხვადასხვა მინარევის კედლებზე დალექვა; წყლის კოლბა — რომელიც აცივებს და წმენდს კვამლს; რბილი და მოქნილი მილი — რომლის ბოლოს მაგრდება მუნდშუკი; თამბაქოს ჩასაყრელი ჯამი — ჩილიმი (Chilum ან kalki) - სადაც თამბაქოსთან ერთად ალაგებენ ნახშირს.

ყალიონები, კონკრეტულ ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, კონსტრუქციულად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეგვიპტური ყალიონებისათვის დამახასიათებელია თიხის ან ლითონის კოლბა, ხოლო შახტა შედარებით გამობერილი ფორმისაა. სირიული შახტები დიდია და თითბრისგან მზადდება, თურქული ყალიონები კი უფრო სიმაღლით გამოირჩევა. კლასიკური ფორმის მაინც სპარსული ყალიონებია, რომლებიც ოთხი ნაწილისგან შედგება: წყლის ჭურჭელი, ღერო, საქაჩი მილი და მუნდშუკი. წყლის ჭურჭელს ამზადებდნენ თიხისაგან, მინისაგან, ან ქოქოსის ნაჭუჭისაგან. ეს უკანასკნელი უფრო პრესტიჟულად ითვლება, რადგან მას ფარავენ ოქროთი და ვერცხლით, ასევე, ამკობენ ძვირფასი თვლებით. ჭურჭლის კორპუსზე მიმაგრებულია ღერძი პატარა ზომის მილით, რომელსაც ამზადებენ თიხისგან, ან ხისგან. ეს მილი შიგნიდან იფარება კირით, ხოლო გარედან — ოქროსა და ვერცხლის ფურცლებით. თიხის მილზე მაგრდება ტყავის მილი, რომელზეც ეცმება ე.წ. ჩუბუკი და მუნდშუკი, რის საშუალებით ხდება დისტილირებული კვამლის შესუნთქვა (Кулиева, 2012:57). თავიდან მილს ამზადებდნენ ცხოველის ძარღვისგან ან გველის ტყავისგან. ამიტომ სპარსელები ყალიონის მილს "marpic"-ს („გველის გორგალი“) უწოდებდნენ.

ყალიონის თამბაქო სამი ჯიშის თამბაქოსგან მზადდება: ხანდაზმული მწვევლები უპირატესობას ანიჭებდნენ მაგარ სპარსულ თამბაქოს "tumbak"/"tolebak"-ს, რომელიც აშკარად განსხვავდება თამბაქოს

სხვა ჯიშებისაგან როგორც ვიზუალურად, ისე გემოთი (Bakla, 2007: 362). ახალგაზრდები ეტანებოდნენ "tobamel"-ს, ან "molasses"-ს, შედარებით უფრო რბილ თამბაქოს, შეზავებულს ვაშლის, ფორთოხლის, ალუბლის ან სხვა ხილის არომატით. აღნიშნული ჯიშების გარდამავალ სახეობას წარმოადგენდა ე.წ. "jurak"-ი. როგორც ჩანს, არომატიზატორების დამატება უფრო მიმზიდველს ხდიდა ყალიონის მონევის და აფართოებდა მომხმარებელთა წრესაც. ფრანგი მოგზაურის და მწერლის შარლ დე ვაალის ოსმალურ დღიურებში ვკითხულობთ: „კვამლი, რომელიც წყალს გამოივლის, საკმაოდ სასიამოვნოა და პირში არავითარ სუნს არ ტოვებს. ალექოში ნარგილეს ხშირად ეწევიან ქალები და შეუძლიათ მთელი დღე გაატარონ ამგვარ განცხრომაში“ (Шарль Де Вааль, 1828:64).

თურქეთში ყალიონი პოპულარული გახდა მურად IV-ს (1623-1640 წწ.) დროს. ამავე პერიოდში სპეციალურად შეიქმნა „ყალიონის გაჩაღების წესთა კრებულიც.“ მოგვიანოდ, ყალიონის პოპულარობამ ეჭვიან მურად IV-ს იმის შიშიც კი გაუჩინა, რომ ის ხალხს მასზე მეტად უყვარდა, ამიტომ მან ყალიონის მოხმარება აკრძალა. თუმცა, როგორც „ავი ენები“ ამბობდნენ, თვით მურად IV საათობით სიამოვნებით ეწეოდა ოპიუმითა და სურნელოვანი ბალახებით გაჯერებულ ყალიონს.

ყალიონი წარმოადგენდა წვეულებებისა და ინტელექტუალური საუბრების აუცილებელ ატრიბუტს. მისი შეთავაზება იყო სტუმრისადმი ნდობის მაჩვენებელი და მასზე უარის თქმა შეიძლება აღქმულიყო, როგორც მასპინძლის დიდი შეურაცხყოფა, არშეთავაზების შემთხვევაში კი — პირიქით, სტუმარი უნდა მიმხვდარიყო მასპინძლის არაკეთილგანწყობას.<sup>12</sup> როგორც წესი, მასპინძელი სტუმარს მისალმების შემდეგ სამჯერ სთავაზობდა ყალიონს. პირველ შეთავაზებას თან ახლდა ყავა ან ჩაი, მეორე შეთავაზებას — ტკბილი ყავა (კომპოზიცია: ვარდის წყალი შაქრით, ან ჩაი), მესამე შეთავაზებას კი მხოლოდ ყალიონი, რაც შეხვედრის დასრულებას ნიშნავდა.<sup>13</sup>

<sup>12</sup> 1841 წელს, ერთ-ერთი თურქი მმართველის გადანყვეტილებას — არ გამასპინძლებოდა ფრანგ დიპლომატს ყალიონით — სკანდალი მოჰყვა (Левчев, 2006).

<sup>13</sup> ირანში ყალიონის დამტარებელ/მიმწოდებელ მსახურს čopoqdār, qalyāndār, ābdār უწოდებდნენ.

ინგლისელი მწერლის — ედუარდ ლირის ცნობით, თურქი ჯერ მოხერხებულად მოთავსდებოდა მუთაქებზე და შემდეგ გააჩალებდა ყალიონს, რომლის მილი რგოლებად ეშვებოდა იატაკზე. ავტორი ხაზს უსვამს თურქთა დახვეწილ მანერებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ოსმალების მოკრძალება მაინც ელიპტიკური ხასიათის იყო: ფაშასთან სტუმრობის დროს მან შემთხვევით ფეხი დაადგა ყალიონის დახვეულ მილს, შეწუხდა და უმალ ბოდიში მოუხადა მასპინძელს. ფაშამ დინჯად, მაგრამ ერთგვარი ირონიით მიუგო: „სხვა დროს ყალიონის გაფუჭება შესაძლოა ძალზედ სანყენი ყოფილიყო ჩემთვის, მაგრამ მეგობრის ყველა საქციელში არის თავისებური ხიბლი“ (Гудвин, 2012: 80).

შეძლებული ირანელები, ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, უპირატესობას ანიჭებდნენ ყალიონს და ბოლომდე მისი ერთგული დარჩნენ, მაშინ, როდესაც ჩიბუხი ძირითადად საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელთა ატრიბუტად დამკვიდრდა (Grehan, 2012). ეგვიპტეში მინისა და ფაიფურის ყალიონს მდიდართა ფენა მოიხმარდა, ხოლო ტრადიციულს — ქოქოსისაგან დამზადებულს (goza) — ღარიბი ფელაქები (Shechter, 2006:19).

ევროპაში ყალიონის შემოსვლა XIX საუკუნისათვის ივარაუდება და აღმოსავლური მოდის დამკვიდრებას უკავშირდება (Кулиева, 2012:58). ელიტული საზოგადოების წევრები ხშირად თავს იწონებდნენ ორიგინალური ფორმის ყალიონით და მისი მოხმარების ცოდნით. პრაქტიკულად, რიგითი წვეულება არ ტარდებოდა ყალიონის შეთავაზების რიტუალის გარეშე.



ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკაში თამბაქოს ეწეოდნენ ე.წ. ჩილიმის ("Chillum") საშუალებით. ჩილიმი საშუალო ზომის კონუსის ფორმის მილს წარმოადგენს, რომელსაც მოიხმარდნენ ვერტიკალურ მდგომარეობაში, ტურჩებთან კონტაქტის გარეშე, ატარებდნენ რა კვამლს ერთმანეთზე მიდებული ხელისგულებს შუა. ინდოეთში ჩილიმის მოწევა დღესაც ითვლება შივასა და ვიშნუსათვის მიძღვნილი რიტუალების შემადგენელ ნაწილად. ჩილიმი უფრო ხშირად გამოიყენებოდა ოპიუმის მოსაწევად.

## §10. ჩიბუხები

„თამბაქოსთან დაკავშირებულ საკითხებს შორის ყველაზე გამორჩეულ ყურადღებას ჩიბუხების ისტორია იმსახურებს. თუ ამ ნივთებს არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული კუთხით შევისწავლით, შევქმნით მყარ საფუძველს ბევრი პრობლემური საკითხის კვლევისთვის“. თამბაქოს ისტორიის მკვლევრის, ე. რ. ბილინგსის ეს სიტყვები მართებულია, რადგან ახალი სამყაროდან თამბაქოს ექსპორტის შემდეგ, ევროპაში XIX საუკუნემდე, ხოლო ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნის ჩათვლით, ჩიბუხით მოწევა თამბაქოს მოხმარების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა.

ქრონოლოგიურად სიგარის ფორმით თამბაქოს მოხმარებას წინ უსწრებდა მისი ჩიბუხით მოწევა. როგორც ბოტანიკური კვლევა ადასტურებს, თამბაქოს ადრეული ჯიშები პატარაფურცლიანი იყო და ისინი არ გამოდგებოდა დასახვევად (Heimann, 1960: 18).



ჩიბუხი ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის რელიგიური და ყოფითი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს წარმოადგენდა. ინდიელებთან ჩიბუხის რიტუალური მოწევა ერთმანეთთან აკავშირებდა არა მარტო ერთ კონკრეტულ ტომს სულების სამყაროსთან, ან პირიქით, სულების სამყაროს მიწიერ სამყაროსთან, არამედ მათ აძლევდა ერთმანეთთან სულიერი კონტაქტის საშუალებას. ჩიბუხი ინდიელთა ტრადიციულ რიტუალში წარმოადგენდა ერთგვარ ხიდს, მშვიდობის მომტანს, საზოგადოების წევ-

რთა ნათესაობის სიმბოლოს (Burns, 2007:12).


ძველ ინდიელთა კოსმოგონიურ წარმოდგენებში ჩიბუხი ასევე უკავშირდებოდა ნაყოფიერების კულტს: ჩიბუხის ჯამი ასოცირდებოდა მდედრთან, ხოლო კვამლის საქაჩი მილი — მამაკაცთან. საქაჩი მილის ჯამთან შეერთება სიმბოლურად აღნიშნავდა რიტუალის დასრულების, ხოლო განცალკევება — დასასრულს (Paper, 1988:301).

სემანტიკურად ეტიმოლოგია და მითოლოგია ერთმანეთთან აახლოებს ჩიბუხს და ჭურჭელს. ორივენი განასახიერებენ უნივერსუმს. ჯოზეფ ბრაუნის დაკვირვებით, სიუს ტომის ინდიელებში თამბაქოს მონევის რიტუალში ჩიბუხი წარმოდგება ერთგვარი სამყაროს მოდელის სახით. ამ რიტუალში გარე სამყარო ექვსი ძირითადი მიმართულებით (ოთხი ჰორიზონტალური და ორი ვერტიკალური) ვრცელდება, რომელსაც (ყველა მიმართულებას) მსხვერპლს უძღვნიან.<sup>1</sup> თამბაქოს ნაფშვენები განასახიერებს ნივთებს, რომლებითაც გაჯერებულია სივრცე. ამიტომ, თამბაქოს მონევის რიტუალში სამყარო, როგორც ყველა ამ ნივთის შემცველი, კონკრეტდება ჩიბუხის ჯამით („სამყაროს გული“). ადამიანი თამბაქოს დებს ჩიბუხის ჯამში და ამით ასახიერებს სამყაროს ცენტრს და მის შემოქმედს. ის თამბაქოს მონევით (კონკრეტულად — კვამლის გამოშვებით) აფართოებს სივრცეს ექვსი მიმართულებით, თვითონ კი რჩება ცენტრში. შედეგად, ადამიანი კარგავს ფრაგმენტულობას, ანგრევს განცალკევების ილუზიას და ხდება ერთი მთლიანი (Brown, 1953:21).<sup>2</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ამერიკის კონტინენტზე თამბაქოს მონევის ორი ძირითადი მეთოდი არსებობდა: ჩიბუხით და შეხვეული ფურცლების სახით. ჩრდილოეთ ამერიკაში უფრო პოპულარული იყო ჩიბუხით მონევა. ინგლისელებმა ჩრდილოეთ ამერიკიდან დაიწყეს ახალი სამყაროს ათვისება. შესაბამისად, მათ გადმოიღეს თამბაქოს მონევის ისეთი მეთოდი, რაც დამკვიდრებული იყო აღნიშნულ რეგიონში.


<sup>1</sup> შიპევას ტომის ინდიელები საკულტო-სარიტუალო ცერემონიალების დროს ჩიბუხს მიმართავდნენ ქვეყნიერების ოთხი მხრისკენ, სადაც, მათი აზრით, კეთილი სულები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი მათგანი – სამხრეთის სული მათ ჩუქნიდა სიმინდს, საზამთროსა და თამბაქოს. ნიშანდობლივია, რომ თამბაქოს კვამლს შიპევას ტომში უძღვნიდნენ ჭექა-ქუხილს — სულების ხმას (Anthology of traditional tobacco stories, 1992:6).

<sup>2</sup> თუ ეთნოგრაფიულ მასალას მოვიშველიებთ, დავრწმუნდებით, რომ ინდიელებში გამორჩეული პატივით სარგებლობდა არა მარტო სათუთუნე ჯამი, არამედ კვამლის საქაჩი ლეროც (Аверкиева, 1970:155-156). ჯეინ ველტფიშის დაკვირვებით, რომელიც ნაწილობრივ ევროპულ მოგზაურთა ჩანაწერებსაც ეყრდნობა, ინდიელები ხშირ შემთხვევაში უფრო მეტად კვამლის საქაჩ ლეროს სცემდნენ თაყვანს, ვიდრე სათუთუნე ჯამს (Велтфиш, 1978:201), რადგან, მათი რწმენით, კვამლი მაშინ იძენდა ღვთიურ ძალას, როდესაც ჩიბუხის საქაჩ მილში გაივლიდა (Фильчиков, 2004:36).



ამერიკის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ინდიელები ეწოდნენ-თამბაქოს დიდი ფურცლებისაგან დახვეულ სიგარებს, ე.წ. „კოიბას“.<sup>3</sup> ამერიკის ამ ნაწილს ესპანელი და პორტუგალიელი მღვდლები და ვაჭრები „სტუმრობდნენ“, რომლებმაც XVII საუკუნის პირველ ნახევარში თამბაქო სიგარის ფორმით გავრცელეს ევროპაში.<sup>4</sup>

ჩიბუხები თამბაქოს გამოჩენამდეც უნდა ყოფილიყო გამოყენებული სხვადასხვა ჰალუცინოგენური საშუალებების მისაღებად. ალფრედ დანჰილი აღნიშნავდა, რომ აფრიკაში, კალაჰარის უდაბნოში, ბუშმენები უხსოვარი დროიდან ჩიბუხებით ეწოდნენ კანაფს (Dunhill, 1929). ჰუგო ობერმაიერის მტკიცებით, ძვ. წ. I საუკუნეში ჩიბუხებით კანაფს ეწოდნენ ძველი გერმანელები და გალები. მკლევრების აზრით, კანაფის მოსაწევი ჩიბუხები უნდა ყოფილიყო უშუალო წინაპარი თამბაქოს მოსაწევი ჩიბუხებისა. ამიტომ, თამბაქოს შემოსვლის შემდეგ ჩიბუხი კარგად მოერგო თამბაქოს, ამავე დროს, კვლავ გამოიყენებოდა ჰაშიშის და ოპიუმის მოხმარებისთვის.<sup>4</sup>



ინდიელები თამბაქოს მოსაწევად ხის და ბამბუკის ჩიბუხებს იყენებდნენ. სამხრეთ ამერიკაში ჩიბუხებს ტროპიკული ხეებისგან ამზადებდნენ (Penn, 1902:10,11). ხის ჩიბუხები პოპულარული გახდა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. თურქეთსა და ირანში ხის ჩიბუხებს „čapūk“/„čapūk“ უწოდებდნენ (სპარსულად: čīb-ხე). ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში მათ „chibouqé“-ს, ხოლო ინგლისში „chibouk“-ის სახელით მოიხსენიებდნენ (Mathee, 2000:753).

<sup>3</sup> კუბელი ინდიელების ენაზე „კოიბა“ ნიშნავს „მონევას“.

<sup>4</sup> ეტიმოლოგების აზრით, მაიას ტომში გავრცელებული თამბაქოს სახელი „zik“-დან ნაწარმოები „zikar“ (მონევა) გახდა საფუძველი ესპანური სიტყვის - „cigarro“ (Heimann, 1960:7).

ფრედერიკ ფაირჰოლტი ნაშრომში "Tobacco: Its History and Associations" (1859) მიუთითებს: „ხის ჩიბუხებმა, რომლებიც ძირითადად ასკილისგან მზადდებოდა, საკმაოდ მცირე დროში დაკარგეს პოპულარობა: ჯერ ერთი, ისინი შედარებით ძვირი (3 შილინგი) ჯდებოდა, ამავ დროს, აქტიური მოხმარების შემდეგ, საკმაოდ „ბინძურად“ გამოიყურებოდა“ (Penn, 1902:231). წვის მიმართ გამძლეობის გასაუმჯობესებლად, ხის ჯამებს შიგნიდან ერთხანს ლითონის ფურცლებსაც აკრავდნენ, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ჩიბუხების დამზადებამ ფართო მასშტაბი მიიღო, ჩიბუხებს ეს დეტალიც მოაშორეს. ასეთი ჩიბუხები შემორჩა მხოლოდ ცენტრალურ ევროპაში XX საუკუნის დასაწყისამდე (Попова, 2010:172).



ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები რბილი წითელი ქვისგან, ე.წ. „კატლინიტისგან“ ამზადებდნენ ჩიბუხებს<sup>5</sup>, რომლებსაც „მოსანვე ქვებს“ უწოდებდნენ (Penn, 1902:164). ყველასთვის კარგად ცნობილი ინდიელთა მშვიდობის ჩიბუხი — „კალუმეტიც“ კატლინიტის მასალისგან მზადდებოდა.<sup>6</sup> როგორც წესი, კატლინიტის ჩიბუხები ინდიელთა ტრადიციულ საბრძოლო იარაღთან „ტომაგაკთან“ იყო კომპოზიციურადაც „გაერთიანებული“. კალუმეტების ტარი, უმეტეს შემთხვევაში, მრავალფეროვანი ნაქარგობითა და სხვადასხვა ფრინველის ფრთებით იყო შემკული (Heimann, 1960:17).

<sup>5</sup> ქვის სახელი „კატლინიტი“ დამკვიდრდა ამერიკელი მხატვრის ჯორჯ კატლინის საპატივცემულოდ, რომელმაც XIX საუკუნეში გრაფიკულად აღწერა დიდი დაბლობის ინდიელთა ყოფა (Catlin, 1857). ინდიელებს წმინდა ადგილად მიაჩნდათ ქვის სამტეხლო პაიპსტოუნში (დღევანდელი მინესოტას შტატი), სადაც მოიპოვებდნენ წითელ საჩიბუხე ქვას. მათი რწმენით, წითელი ქვის კარიერი ღმერთმა მანიტუმ სპეციალურად შექმნა წითელკანიანი ადამიანისთვის. ამიტომ, ომების დროს სამტეხლო ხელშეუხებელი იყო და ნეიტრალურ ტერიტორიად ითვლებოდა (Липс, 1954; Burns, 2007:12).

<sup>6</sup> „მშვიდობის ჩიბუხის“ სახელი „კალუმეტი“, ფრანგი მკვლევრების აზრით, ლექსის ფრანგული სახელისგან "calumet" მოდიოდა და ის ფრანგი ახალმოსახლეების მიერ იყო შერქმეული (Hall, 1997:120).

ქვის მასალის შერჩევის თვალსაზრისით, ინდიელთა თითოეულ ტომს თავისი კრიტერიუმები ჰქონდა შემუშავებული. აქედან გამომდინარე, აპაჩის ტომელები საჩიბუხე მასალად ღია მწვანე კვარციტს ანიჭებდნენ უპირატესობას, უტეს ტომელები — შავ ალაბასტრს. არაპაჰიოს ტომელები ჩიბუხებს ამზადებდნენ შავი ფიქალისგან (Stoyanova, 2008:114), დედოფალ შარლოტას კუნძულზე მცხოვრები ჰაიდას ტომელები — შავი და ყავისფერი არგილიტისგან.



აფრიკელები ჩიბუხს, ე.წ. „კალაბაშს“ ამზადებდნენ ბოთლის ფორმის გოგრისგან (*lagenaria vulgaris*). მოგვიანოდ, გოგრის ჩიბუხებზე დაიწყეს ხვირთქლის მუნდშტუკის გაკეთება. ერთი მხრივ, სათუთუნე ჯამის სივრცე ხელს უწყობდა ორთქლის გაცივებას, თუმცა, ამავე დროს, გოგრის ნაყოფის დიდი ზომა გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა მწველებს ჩიბუხის მოხმარების პროცესში. მიუხედავად ამისა, გოგრის ჩიბუხები დღესაც ყველაზე ძვირადღირებულ ნაკეთობებად ითვლება, რადგან მათი დამზადება საკმაოდ შრომატევად პროცესთან არის დაკავშირებული.<sup>7</sup>

აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში გავრცელებული იყო ბამბუკის ჩიბუხები. ამ ტიპის ჩიბუხების ძირითადი ღირსება ის გახლდათ, რომ ბამბუკის მასალა აღნიშნულ რეგიონში ადვილად მოიპოვებოდა და იაფი იყო. რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებს, მომხმარებებლებს მოსწონდათ, რომ საჭაერო კამერის სიდიდის გამო ჩიბუხში ორთქლი გაცილებით სწრაფად ცივდებოდა.

<sup>7</sup> გოგრის ჩიბუხი ასოცირდება შერლოკ ჰოლმსის სახელთან, თუმცა კონან დოილის ნაწარმოებში არ არის კონკრეტული მინიშნება ამის თაობაზე (Salis, 2010: 175-176). ინგლისელი ისტორიკოსების მტკიცებით, დიდ ბრიტანეთში გოგრისგან დამზადებული ჩიბუხები პოპულარული გახდა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში.



1723 წელს ავსტრიელ დიდგვაროვან კეროლ ანდრასის, თურქეთში სტუმრობის დროს, მხარტვეს ხვრთქლის<sup>8</sup> მოზრდული ნატეხები, რომელიც ანდრასიმ გადასცა თავის ნაცნობ პეშტელ მენალეს კარლ კოვატს. ამ უკანასკნელმა, ძღვნად მიღებული მასალისგან, დაამზადა ორი ჩიბუხი. კარლ კოვატის დაკვირვებით, დამუშავების შედეგად ხვრთქლის მასალა მდიდარ ყავისფერ შეფერილობას ლეზულობდა, რაც გაცილებით მომხიბვლელს ხდიდა საბოლოო პროდუქტს. ხვრთქლის ჩიბუხი მაღალ ტემპერატურაზე უფრო ნაკლებად ცხელდებოდა, თან უზრუნველყოფდა სასიამოვნო მოწვევას. ხვრთქლის მასალა ადვილად ექვემდებარებოდა დამუშავებასაც. ამიტომ ხვრთქლის ჩიბუხებზე ხშირად იყო გამოსახული ბატალური სცენები, ცნობილი ისტორიული პიროვნებები და ა.შ.

ხვრთქლი იდეალური მასალა იყო ჩიბუხისათვის, მაგრამ მისი დამუშავება მაინც დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული.<sup>9</sup> ერთ არსებით გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი: ხვრთქლის ჩიბუხი საკმაოდ მყიფე იყო: ის არა მარტო იატაკზე დაცემისას, არამედ, უბრალოდ, პერიოდულად ნაძვის მყარ სიბრტყეზე გამორეკვის შემთხვევაშიც კი ადვილად ზიანდებოდა და ტყდებოდა. შესაძლოა, ამიტომაც, მწველები ხვრთქლის ჩიბუხებს ძირითადად სახლებში მოიხმარდნენ (Penn, 1902:168). ხვრთქლის ჩიბუხების დამზადების ცენტრები იყო ბუდაპეშტი, ვენა, პარიზი და კონსტანტინეპოლი (Попова, 2010).

<sup>8</sup> ხვრთქლი (meerschaum, sepiolit) — მაგნეზიის წყლის სილიკატი, რომელიც არარეგულარული ნატეხების/კვანძების სახით ჩნდება ალუვიურ დეპოზიტზე. ხვრთქლის დიდი დეპოზიტებია თურქეთში Eskişehir-ის დაბლობზე, საბერძნეთში Thebes-ში, Samos-სა და Euboia-ში.

<sup>9</sup> ხვრთქლის ჩიბუხების მზატვრული გაფორმება შრომატევადი პროცესი იყო, რასაც თვეები სჭირდებოდა. უილიამ პენი მიუთითებს, რომ ხვრთქლის ჩიბუხების მონოპოლია XIX საუკუნეში ავსტრიელების ხელში იყო. ლონდონში ხვრთქლის ოსტატები არა ინგლისელები, არამედ გერმანელები იყვნენ, რომლებიც კვირაში 3-6 ფუნტ სტერლინგს გამოიმუშავებდნენ (Penn, 1902:167).



1840 წელს ფრანსუა კომო იწყებს „ბრიარის“ ჩიბუხების დამზადებას. ფრანგი ოსტატი სამუშაო მასალად იყენებდა მანანას ოჯახის "Erica Arborea"-ს<sup>10</sup> ბუჩქის ძირის ნაწილებს. ეს მცენარე გავრცელებული იყო ესპანეთში, იტალიაში, ალჟირში, მაროკოსა და საბერძნეთში. ბრიარის მასალა სტრუქტურულად შედგება ღია და მუქი ძაფებისგან, რომლებიც ქმნის მტკიცე კაპილარულ სისტემას, რაც გამორჩეულ მომხიბვლელობას ანიჭებს ნაკეთობას. ბრიარის ჩიბუხებისათვის ძირითადად 30-40 წლის მასალას იყენებენ, თუმცა, სპეციალისტთა აზრით, საუკეთესო

ნიმუშები 80-100 წლის ბუჩქებისაგან მზადდება. ბრიარის ჩიბუხის თვალსაჩინო დადებითი თვისებებიდან უდავოდ ხაზი უნდა გაესვას მის ცეცხლმედეგობას, რაც მასალაში კაჟის გარკვეული შემცველობით აიხსნება (Тыщк, 1995).

ბრიარის ჩიბუხები შემკული იყო ძვლის და ქარვის სატუჩრებით, რაც გამორჩეულ სილამაზეს სძენდა მათ. ბრიარის ჩიბუხების დამზადების ცენტრი იყო ფრანსუა კომოს მშობლიური ქალაქი სენ-კლოდი, რომელიც ასევე განთქმული იყო ხის დამუშავების დიდი ტრადიციით.<sup>11</sup> ბრიარის ჩიბუხების დამკვიდრებამ ფაქტობრივად წერტილი დაუსვა თიხის ჩიბუხების წარმოებას (Robinson 1985:152). მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ თვით „ბრიარის ბუმი“ დასრულდა XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ევროპაში დაიწყეს ახალი მოსაწევი საშუალებების — სიგარეტის მასობრივი წარმოება.

<sup>10</sup> „ერიკა ხისმაგვარი“ ("Erica arborea"). ან „მანანა ხისმაგვარი“ ("Tree heath") ერიკას სახეობისა და მანანის ოჯახის მცენარეა. საჩიბუხე მასალად ყველაზე მეტად ფასობდა ფესვების ან ზედაპირთან ყველაზე ახლოს მყოფი ნაწილები ([pipeacademy.org/history.html](http://pipeacademy.org/history.html)).

<sup>11</sup> გადმოცემის თანახმად, ნაპოლეონის მოღვაწეობის ადგილების მოსანახულებლად კორსიკაში ჩასულ ფრანსუა კომოს დაუვარდა და გაუტყდა თიხის ჩიბუხი. სწორედ ამის შემდეგ მას გაუჩნდა იდეა ჩიბუხის უფრო მყარი მასალისგან დამზადებისა. ასე ჩაეყარა საფუძველი ბრიარის ჩიბუხების დამზადებას ფრანსუა კომოს მშობლიურ ქალაქ სენ-კლოდში (Hanna, 2002).



გამორჩეულად ლამაზ ნაკეთობებს წარმოადგენდა ფაიფურის ჩიბუხები, რომლებიც სხვადასხვა ფიგურებით და ორიგინალური ნახატებით იყო გაფორმებული. ფაიფურის ჩიბუხების ავტორებად ავსტრიელი და გერმანელი ოსტატები მოგვევლინენ. ფაიფურის ჩიბუხებზე განსაკუთრებული მოთხოვნა იყო გერმანიასა და ჰოლანდიაში.

პირველად ფაიფურის ჩიბუხები შეიქმნა ქალაქ მეისენის ფაიფურის ქარხანაში,<sup>12</sup> შემდეგ მათი დამზადება დაიწყო დანიის სამეფო ქარხანაში. ადრეულ ნიმუშებზე დატანილი იყო მითოლოგიური სიუჟეტები, ცნობილი ადამიანების პორტრეტები, საბრძოლო ბატალიების და ნადირობის სცენები. უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის ჩიბუხებზე დიდი მოთხოვნა არ იყო, ამიტომ XX საუკუნის დასაწყისისთვის ფაიფურის ჩიბუხების სერიული წარმოება პრაქტიკულად შეწყდა.

ფრიად ორიგინალური ფორმის იყო სიმინდის ჩიბუხი, რომელიც XIX-XX საუკუნეების გასაყარზე შექმნა ჰოლანდიელმა ჰედრიკ ტიბემ. სიმინდის ჩიბუხისთვის სელექციონერებმა სპეციალურად გამოიყვანეს "Collier seed" ჯიშის სიმინდი, რომელიც შედარებით დიდი, თან საკმაოდ მკვრივი იყო. სიმინდის ჩიბუხებს ხის ან ბამბუკის საქაჩ მილს და ძვლის სატურჩეს უკეთებდნენ. თავისი სტრუქტურის გამო, სიმინდის ჩიბუხი მოწვევს დროს მეტ სიფრთხილეს საჭიროებდა. ამიტომ ტიბემ, მასალის მედეგობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაზრდის მიზნით, გამოიგონა მეთოდი შიდა ზედაპირის თაბაშირით დაფარვისა. სიმინდის ჩიბუხი ნაკლებად გამძლე, მაგრამ, სხვა ჩიბუხებისგან განსხვავებით, იაფი და ხელმისაწვდომი იყო.<sup>13</sup>



<sup>12</sup> 1738 წელს მეისენის მანუფაქტურის ოსტატმა-მოდელიორმა იოჰან იოჰიმ კანდლემ დაამზადა პირველი ფაიფურის ჩიბუხი ლომის გამოსახულებით.

<sup>13</sup> მკითხველს შევახსენებთ, რომ სიმინდის ჩიბუხებს მოხიზარდნენ მარკ ტვენის ცნობილი გმირები ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი.



აღმოსავლური სამყაროს ცალკეულ რეგიონში გავრცელებული იყო ლითონის ჩიბუხები, რომლებიც შედარებით ადვილად ცხელდებოდა, ამიტომაც „სერიოზული“ მწვევლები მას არ სწყალობდნენ. ამ ტიპის ჩიბუხების ყველაზე პოპულარულ სახეობას იაპონური „კისერუ“ წარმოადგენდა. კისერუს ჯამი და მუნდშტუკიც ლითონისგან მზადდებოდა, ხოლო მათი შემაერთებელი მილი — ბამბუკისგან. ჩვეულებრივი ჩიბუხისგან განსხვავებით, კისერუს უფრო ხშირ-ხშირად ეწეოდნენ, რადგან მისი სათუთუნე ჯამი გაცილებით მცირე მოცულობის იყო.<sup>14</sup>

ევროპაში ჩიბუხებს ასევე ამზადებდნენ სადა და ფერადი მინისგან. ყველაზე ცნობილი ნიმუშები განეკუთვნება XIX საუკუნის პირველ ნახევარს. მინის ჩიბუხების დასამზადებლად იყენებდნენ გამჭვირვალე თეთრი და ფერადი ტალღებით გაფორმებულ, ან გაუმჭვირვალე რძისფერი, ცისფერი და წითელი ტალღებით შემკულ მასალას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მინის ჩიბუხები მოხმარების თვალსაზრისით საკმაოდ არაპრაქტიკული იყო. ამიტომ ისინი ძირითადად თამბაქოს და ჩიბუხების სპეციალური მაღაზიების თაროების გასაფორმებლად იყო გამოყენებული.

ჩიბუხების დასამზადებლად აფრიკელები იყენებდნენ მამონტის და სპილოს ძვალს და ეშვს. ესკიმოსები ჩიბუხებს ტრადიციულად ამზადებდნენ ჩრდილოეთის ირმის ბარძაყის ძვლისა და რქებისგან, ცენტრალური ევროპის მაცხოვრებლები კი — წითელი ირმის რქებისგან. ძვლის ჩიბუხები, როგორც წესი, შემკული იყო ორიგინალური რელიეფური ორნამენტით.

<sup>14</sup> „კისერუს“ ზოგიერთი ნიმუშის სიგრძე 0,5 მეტრსაც კი შეადგენდა. დღეს კისერუს იყენებენ როგორც მუნდშტუკს სიგარეტის მოსანევად.

## • თიხის ჩიბუხები

არქეოლოგიური მასალით და წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული, XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, როგორც ევროპაში, ასევე, აღმოსავლეთში, თამბაქოს მოსაწივე ჩიბუხების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობას თიხის ჩიბუხები წარმოადგენდა.

თამბაქოს გავრცელების კვალობაზე, თიხის ჩიბუხების ორი ძირითადი ტიპი ჩამოყალიბდა: ევროპული და აღმოსავლური.<sup>15</sup> ევროპული ერთნაწილიანი ჩიბუხები გავრცელდა ევროპის გზით ინგლისსა და პოლანდიაში, ნაწილობრივ — მეზობელ ქვეყნებშიც. აღმოსავლური ტიპის (სამნაწილიანი) ჩიბუხები, ფრანგი და პორტუგალიელი ვაჭრების „დიდი მონდომებით“, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის გზით დამკვიდრდა სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჩრდილოეთ აფრიკიდან და ეგვიპტიდან მოყოლებული, თურქეთისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩათვლით (Show, 1965).<sup>16</sup> ამერიკელი მკვლევრის რებეკა რობინსონის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ეს „ორი ტალღა შეხვდა ერთმანეთს“ ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრის გასწვრივ (Robinson, 1985:153).

<sup>15</sup> აღმოსავლური ჩიბუხები ხშირად მოიხსენიება „თურქულად“, რაც არ ნიშნავს, რომ ისინი თანამედროვე თურქეთის საზღვრებში იყო აღმოჩენილი, ან დამზადებული. ავტორებს მხედველობაში აქვთ ტერიტორია, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიის გამგებლობაში იყო მოქცეული. სხვა სიტყვებით, აღმოსავლური ჩიბუხები იმ ეპოქას განეკუთვნება, როდესაც აღნიშნული ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის სახელით იყო ცნობილი. ამიტომ უფრო მართებულად მიგვაჩნია ამ ტიპის ჩიბუხების მოხსენიება „ოსმალურის“ სახელით.

<sup>16</sup> დასკვნა ეფუძნება ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ჩიბუხების კონსტრუქციული თავისებურების ანალიზს. ინგლისური და პოლანდიური თეთრი თიხის ჩიბუხები ფორმით ძალიან ჩამოჰგავს ჩიბუხებს, რომლებიც გავრცელებული იყო ვირჯინიასა და ატლანტის ოკეანის სანაპიროს შუა ზოლში. სწორედ ამ ტერიტორიაზე ინგლისელ და პოლანდიელ კოლონისტებს ჰქონდათ ადგილობრივ ტომებთან უშუალო კონტაქტი. პატარა თიხის ჩიბუხები, რომლებიც წარმოადგენდა ჩაღრმავებულ ჯამს და უკეთდებოდა ლერწმის ან ხის კვამლის საქაჩი მილი, გავრცელდა ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში. ეს იყო ტრადიციული ტიპი ჩიბუხებისა, რომელთაც მოიხმარდნენ ინდიელები ფლორიდასა და მისისიპის ქვემო დაბლობში. ამ რეგიონში კი ინტენსიურად მოძრაობდნენ პორტუგალიელი მეზღვაურები და ვაჭრები (Robinson, 1985:150; Süngü, 2014:104).

ჩიბუხების განსხვავებული ტიპების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად განაპირობა კლიმატურმა პირობებმა და კულტურულმა ტრადიციებმაც. აღმოსავლელელებმა, რომლებიც ცხელ კლიმატურ პირობებში ცხოვრობდნენ, არჩევანი შეაჩერეს „ცივ მოწვევაზე“ (იგულისხმება საქაჩ მილში გავლის დროს ორთქლის გაცივების მეტი ალბათობა),<sup>17</sup> ხოლო ევროპელებმა, რომელთა საცხოვრებელი გარემო უფრო ცივ კლიმატს უკავშირდება, უპირატესობა „ცხელ მოწვევას“ მიანიჭეს (Bouzigard, 2010:19). ხუმრობით, ევროპელები მოკლე საქაჩლეროიან ჩიბუხებს „ცხვირის გამათბობლებსაც“ („nose warmer“) უწოდებდნენ (Jagielski, 2010:5; Keimann, 1960:19). შესაძლოა, სწორედ ევროპელების მიბაძვით, ჩიბუხებს «носогришки»-ის სახელით მოიხსენიებდნენ ზაპ-ოროჟიელი კაზაკები (Яворницкий, 1990:237).<sup>17</sup> უილიამ პენის მინიშნებით, კლიმატური ფაქტორით უნდა ყოფილიყო განპირობებული ამა თუ იმ რეგიონში არა მარტო ჩიბუხის, არამედ თამბაქოს კონკრეტული სახეობის შერჩევის ძირითადი პრინციპიც. ცხელი კლიმატური სარტყლის ქვეყნებში ადგილობრივები არჩევანს „მსუბუქ“ თამბაქოზე აკეთებდნენ, ხოლო ცივ კლიმატურ პირობებში მცხოვრებნი — „მაგარ“ თამბაქოს ანიჭებდნენ უპირატესობას (Penn, 1902:137).

თავისი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებით, თიხას, სხვა ნედლეულთან (ხე, ქვა, ლითონი, ძვალი) შედარებით, ბევრი უპირატესობა ჰქონდა. საჩიბუხე მასალად თიხის შერჩევის დროს, გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო რამდენიმე ფაქტორი. უპირველეს ყოვლისა, ის, რომ თიხისგან დამზადებული საბოლოო პროდუქტი გამონვით მიიღებოდა და ამიტომ საჩიბუხე ჯამს თამბაქოს წვის პროცესი ვერაფერს დააკლებდა. ამავე დროს, თიხა ადვილად დამუშავებადი და ხელმისაწვდომი მასალა იყო. უდავოდ, ანგარიშგასანევი იყო ის გარემოებაც, რომ თიხის ნაკეთობების ყალიბში დამზადების მეთოდოლოგია პრაქტიკულად აპრობირებული იყო ცივილიზებულ სამყაროში, რასაც არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჩიბუხების მასობრივი წარმოების დაგეგმვის დროს. ჩვენი აზრით, სწორედ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

<sup>17</sup> თუმცა, ბრიტანელი ექიმის ჯორჯ პინკარდის ცნობით, ბარბადოსელი (აფრიკა) მწველები მოკლე ჩიბუხებს ანიჭებდნენ უპირატესობას (Handler, 1983:249).

<sup>17</sup> უკრაინული ჩიბუხის სხვა სახელიც «дурунка» უნდა მომდინარეობდეს თურქული სიტყვისაგან «дурун» («ცხვირი») (Коваленко, 2006).

ფაქტორის გათვალისწინებით, ჩიბუხის ოსტატებმა პირველ ხანებში არჩევანი თიხაზე შეაჩერეს.<sup>18</sup> ვფიქრობთ, რომ მართებული იქნება, აქვე, თიხის ჩიბუხების ზოგიერთი ნაკლიც აღვნიშნოთ: თიხის ჩიბუხი მაინც მყიფე იყო და ფიზიკურ დაზიანებას მეტ-ნაკლებად ექვემდებარებოდა. თიხისგან დამზადებული ჩიბუხები, განსაკუთრებით, ჯამიდან ნამწვის გამორეკვის დროს, ზიანდებოდა და ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად გამოუსადეგარი ხდებოდა.<sup>19</sup> დაბოლოს, ერთ-ერთ ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ თიხის ჩიბუხის ჯამები ადვილად თბებოდა, რაც მწველთათვის მოსახერხებელი და სასიამოვნო ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. ისიც ვთქვათ, რომ ჩიბუხით თამბაქოს მოწვევის „გურმანები“ ზოგჯერ თიხის ჩიბუხებს ინუნებდნენ კიდევ სპეციფიკური, ე.წ. „ჩიბუხის გემოს“ დაკარგვის გამო.

### • ევროპული ჩიბუხები

ევროპული თიხის ჩიბუხი, აღმოსავლურისაგან განსხვავებით, ერთ მთლიან ნაკეთობას წარმოადგენდა და მოხმარების თვალსაზრისითაც გაცილებით მარტივი იყო. ამ ტიპის ჩიბუხების ადრეული ნიმუშები შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ჯონ სიმპსონის აზრით, ევროპული ჩიბუხების არქეოლოგიური დეფიციტი XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში თვალნათლივ მიანიშნებს, რომ კონკრეტულ პერიოდში ევროპელი მწველები ჯერ კიდევ ხის ჩიბუხების მომხმარებლები იყვნენ (Simpson, 2011:83).

ევროპაში პირველი თიხის ჩიბუხი ინგლისელმა ოსტატებმა 1580 წელს დაამზადეს (Higgins, 1995:47). დოკუმენტური წყაროები მოწმობს, რომ ალბიონის ქვეყანაში თიხის ჩიბუხმა მცირე დროში მოიპოვა პოპულ-

<sup>18</sup> თავიდან ევროპელი მოგზაურები გაკვირვებით აღნიშნავდნენ, რომ ინგლისელმა ოსტატებმა საჩიბუხე მასალად თიხა შეარჩიეს. ბრემენელი დოქტორი ნეანდერი კი თავის "Tabacologia"-ში უწონებს ინგლისელებს, რომ ინდიელების მსგავსად, მათ თიხის ჩიბუხებით დაიწყეს თამბაქოს მოწვევა (Penn, 1902:147).

<sup>19</sup> „საბედნიეროდ“, რომ არა თიხის ეს თვისება, შესაძლოა, არქეოლოგიურ მასალაში თიხის ჩიბუხები ასეთი დიდი რაოდენობით არ ყოფილიყო წარმოდგენილი. თურქი მკვლევრის ერდინკ ბაკლას საინტერესო დაკვირვებით, ოსმალეთში არა მარტო გატეხილი, არამედ დაზიანებული ჩიბუხის მოწვევა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დიდ სირცხვილად ითვლებოდა (Bakla, 1985).

არობა. 1598 წელს, გერმანელი მოგზაური პაულ ჰენტიხერი გაკვირვებით აღნიშნავდა, რომ ლონდონში თამბაქოს თითქმის ყველა თიხის ჩიბუხით ეწოდდა (Zajac, Zimmermann, 2011:12).

ინგლისელი ოსტატები ჩიბუხების წარმოების ადრეულ ეტაპზე მხოლოდ თეთრ თიხას იყენებდნენ. კერძოდ, XVI საუკუნეში პოპულარული იყო თეთრი პლასტიკური თიხები, რომელსაც ინგლისელები "ball clay"-ს სახელით მოიხსენიებდნენ (Iagiel-ski, 2010:5)<sup>20</sup> ბრიტანეთში საჩიბუხე თიხა



გახდა სინონიმი თეთრი თიხისა (Vince, Peacey, 2006:13-14). XVI საუკუნის ბოლომდე თეთრი თიხისგან მზადდებოდა ჩიბუხები ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ქვეყნებში, ასევე, მათ კოლონიებში. ჰოლანდიაში, როგორც ჩანს, თეთრი თიხის გამოსაელები პრაქტიკულად არ არსებობდა, ამიტომ მის იმპორტს ახდენდნენ მეზობელი ბელგიიდან და გერმანიის ვესტერვალდის რეგიონიდან.

ინგლისის არისტოკრატია თავიდანვე ფრთხილად მოეკიდა თანამემამულეთა ახალ გატაცებას, რასაც დაემატა ინგლისის მეფეთა აქტიური კამპანია თამბაქოს წინააღმდეგ. საერო და სასულიერო პირთა ერთობლივი და შეთანხმებული „მეცადინეობის“ შედეგად, თამბაქოს მოყვარულები ისე შეავიწროეს, რომ ინგლისელმა მეჩიბუხეებმა სამშობლოდან გაცლა ამჯობინეს.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის ჩიბუხების დამზადების ცენტრმა ჰოლანდიის ქალაქ გაუდაში გადაინაცვლა, სადაც სულ მოკლე დროში ხუთასზე მეტი ჩიბუხის სახელოსნო ამოქმედდა (Перова, 2011). XVII საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიაში ჩიბუხის მოხმარებამ ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ, თანამედროვეთა გადმოცემით, ჰოლანდიელი უკვე წარმოუდგენელი იყო ჩიბუხის გარეშე. ხუმრობდნენ

<sup>20</sup> ინგლისელები თიხის ტრანსპორტირებას 56 ფუნტის წონის ბურთის ფორმის „გუნდების“ (აქედან სახელი - "ball clay") სახით ახდენდნენ (Vince, Peacey, 2006:20).

კიდევ: „ნაართვი ჰოლანდიელს ჩიბუხი და ის სამოთხეზეც კი უარს იტყვის“ (Гейтლი, 2005). ნიშანდობლივია, რომ XVII საუკუნის ჰოლანდიელი მხატვრებიც უფრო ხშირად უბრალო ადამიანებს ხატავდნენ, რომლებიც საყვარელი „გართობით“ — ლოთობითა და ჩიბუხით თამბაქოს მოწევი იყვნენ „დაკავებულნი“ (Pierson, 2010; Gruia, 2012:201).

XVII საუკუნეში ძველი სამყარო მოიცვა ჩიბუხის ბუმმა და ამიტომ ისტორიკოსები ამ საუკუნეს „ჩიბუხების დიდ ეპოქას“ უწოდებენ.

XVII საუკუნის დასაწყისში ევროპული ჩიბუხის ჯამი პატარა ზომის იყო, რადგან თამბაქო „ახალი ხილი“ და, შესაბამისად, საკმაოდ ძვირი იყო (Penn, 1902:147).<sup>21</sup> აქედან გამომდინარე, ინგლისურ პატარა ზომის ჩიბუხებს "cutty" (პატარა კოვზი), "fairy" (ჯუჯა), "elfin" (მინიატურული) და "little ladels" (პატარა ჩაშა) სახელით მოიხსენიებდნენ (Gusar, 2008:137; Jagielski, 2010:5; McMillan, 2010:6). XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს, ჰოლანდიელებმა გააფართოეს როგორც ჩიბუხის ჯამი, ასევე გაზარდეს მუნდშტუკის სიგრძე.<sup>22</sup> ოსტატებმა ჩიბუხებს სახელიც შეურჩიეს და "yard of clay" დაარქვეს.<sup>23</sup>

XVII საუკუნის დასაწყისში, უილიამ II-ს ეპოქაში, გრძელი ჩიბუხები

<sup>21</sup> ევროპული ჩიბუხების ჯამების მოცულობა წლითინლობით იზრდებოდა: თუ 1580 წლისათვის ჯამის შიდა დიამეტრი 6 მმ იყო, უკვე 1640 წლისთვის 9,5 მმ, ხოლო XVII საუკუნის II ნახევარში მან 10-14 მმ. მიაღწია (Auto, 1994:4). ჩიბუხის სიგრძე კი 10-100 სმ ფარგლებში მერყეობდა (Zajac, Zimmermann, 2011:75).

<sup>22</sup> ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით მუნდშტუკის ზომის გაზრდა გერმანელი ექიმის — იოაჰიმ ნეანდერის სახელს უკავშირდება. ნეანდერს ეჭვი არ ეპარებოდა ვინმე ექიმ პარიუსის დასკვნის სისწორეში, რომელმაც ჩიბუხის მწვეელი ჯარისკაცის გვამის გაკვეთის შემდეგ განაცხადა, რომ გვამის თავის ქალის ზედა სივრცე გაჭვარტლული იყო სწორედ თამბაქოს აქტიური მოხმარების გამო. მართალია, სამეცნიერო წრეებში ექიმის დასკვნას სერიოზულად არ მოეკიდნენ, მაგრამ ნეანდერმა რეკომენდაცია მაინც მისცა ჩიბუხის მკეთებლებს, გაეზარდათ მუნდშტუკის სიგრძე, რომ მინიმუმამდე შემცირებულიყო თამბაქოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ტვინზე (Ponop, 2005).

<sup>23</sup> ყველაზე პოპულარულ ჰოლანდიურ ჩიბუხად გრძელი "Gouwenaar"-ი ითვლებოდა. ჰოლანდიელებმა ჩიბუხებს პატარა „ქუსლიც“ დაუმატეს. მოგვიანებით, ჰოლანდიელმა ოსტატებმა კიდევ ერთი სიახლე შემოიტანეს: ისინი ჩიბუხის სატუჩეს ცვილის თხელი ფენით ფარავდნენ (Jagielski, 2010:5).

გავრცელდა "alderman"-ის სახელით. გრძელი და მოხრილმილიანი ჩიბუხი ინგლისელებსაც მოენონათ და მათ „მნათე“ ("churchwarden") შეარქვეს.<sup>24</sup> XVIII საუკუნეში ამ ტიპის ჩიბუხებს ასევე მოიხსენიებდნენ „ტავერნის ჩიბუხის“ სახელით (Malios, 2005:89).

ჰოლანდიის შემდეგ, თიხის ჩიბუხების დამზადება დაიწყო დანიაში, პოლონეთსა და გერმანიაში (Huijsmans, 2012). დროთა განმავლობაში, დამკვიდრდა ტრადიცია ჩიბუხებზე ოსტატის სახელის აღმნიშვნელი შტამპის დატანისა. თუმცა, ბავარიელი მეჩიბუხეები, ინგლისელი და ჰოლანდიელი მეჩიბუხეებისაგან განსხვავებით, ჩიბუხებზე ტვიფრავდნენ არა თავიანთ სახელებს, არამედ კონკრეტული კონსორციუმის დასახელებას შესაბამისი ლიგატურით (Mehler, 2009:268). XVII საუკუნეში, თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში, ჩამოყალიბდა თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების ორიგინალური ვარიანტები (Higgins, 2009; Fresco-Corbu, 1982; Robinson, 1985:153; Mehler, 2009).

ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ხელოსნებმა დაიწყეს თიხის ჩიბუხების ყალიბში დამზადება. ეს პროცესი შემდგომ უფრო დაიხვეწა, ჩიბუხების დამზადება გამარტივდა, ფორმა და შემკულობაც მრავალფეროვანი გახდა. რაც ყველაზე არსებითია, შესაძლებელი გახდა პროდუქციის რაოდენობის მკვეთრი ზრდა.<sup>25</sup> XVII საუკუნის დასაწყისში თიხის ჩიბუხის შექმნა თითო-ოროლა შილინგადაც კი შეიძლებოდა, რადგან სახელოსნოთა მეპატრონეებს სამუშაოდ ძირითადად ლარიბი მოქალაქეები აჰყავდათ, რომლებიც მცირე გასამრჯელოს ფასადაც სრული დატვირთვით მუშაობდნენ (Higgins, 1995:47; Jagielski, 2010:3).

<sup>24</sup> ამ ტიპის ჩიბუხების შემოსვლა დაემთხვა პერიოდს, როდესაც ინგლისში ეკლესიის კარები არ იკეტებოდა. ლამის საათებში სწორედ მნათე იყო ვალდებული დარაჯის ფუნქციაც ეკისრა. როგორც ჩანს, მთელი ლამის გატარება ჩიბუხის მონევის გარეშე საკმაოდ „ძნელი საქმე“ იყო. მწვეელი მნათესთვის მოსახერხებელი აღმოჩნდა გრძელმილიანი ჩიბუხი: თამბაქოს კვამლი თვალს არ უწვავდა, რაც, შესაძლოა, ხელისშემშლელი ყოფილიყო ეკლესიის სივრცის გასაკონტროლებლად. გერმანიაში მსგავსი ჩიბუხები „საკითხავი ჩიბუხის“ სახელით იყო ცნობილი, რადგან გრძელი მილი უზრუნველყოფდა, რომ კვამლი თვალებთან არ დამდგარიყო და წიგნის კითხვის დროს მკითხველისთვის ხელი არ შეეშალა.

<sup>25</sup> 1696-99 წლებში მხოლოდ ერთმა შოტლანდიურმა მსხვილმა სახელოსნომ 250 ათასამდე ჩიბუხი დაამზადა (Horton, Higgins, Oswald, 1987:239).

ერთიანი ფორმა ევროპული ჩიბუხებისა მნიშვნელოვნად განაპირობებდა მცირე დაზიანების შემთხვევაშიც კი მათ პრაქტიკულ გამოუსადეგარობას. დოკუმენტური წყაროები მოწმობს (და ეს დასტურდება ჩიბუხების ფიზიკური და ქიმიური ანალიზითაც), რომ ევროპული თიხის ჩიბუხები აქტიური მოხმარების კვალობაზე მხოლოდ რამდენიმე დღიდან ორ კვირამდე ძლებდა (Gojak, Stuart, 1999:39).

ევროპული თიხის ჩიბუხები ძირითადად ზიანდებოდა თამბაქოს ნამწვის მყარ საფუძველზე გამორეკვის დროს, ნაწილობრივ კი — კვამლის საქაჩი მილის განმენდისას (Метелкина, 2012).<sup>26</sup> ალბათ, ამიტომ, XVII საუკუნიდან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აქტიურმა მწვევლებმა, პრაგმატული თვალსაზრისით, უპირატესობა აღმოსავლური ტიპის ჩიბუხებს მიანიჭეს, რადგან ლოკალური დაზიანების შემთხვევაშიც კი ცალკეული დეტალის შეცვლა უფრო სწრაფად და იაფადაც იყო შესაძლებელი (Bouzigard, 2000:18).

1768 წელს, დანიის მეფის მიერ „თურქული მეჯლისის“ მოწყობის შემდეგ, „თურქულობა“ მოდური მიმართულება გახდა ევროპულ კულტურაში. ესტაფეტა სწრაფად აიტაცეს მუსიკოსებმა, მკერავებმა, არქიტექტორებმა და ა.შ. ევროპელთა ყოფაში შემოვიდა აღმოსავლური ელემენტი: ჩალმის მსგავსი ქუდეები, აზიური ხალათები, ხალიჩები, ყალიონები და სხვ. დოკუმენტური წყაროები მოწმობს, რომ კონკრეტული მოთხოვნა გაჩნდა აღმოსავლურ ჩიბუხებზეც (Eighteenth-Century Studies, 1974:474–488; Quataert, 2000:9; Rapaport, 2009).

ევროპაში აღმოსავლური ტიპის ჩიბუხები აქტიურად გამოიყენებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჩათვლით (Fotic, 2011:96). ევროპუ-

<sup>26</sup> ისტორიკოსების ერთი ჯგუფი ევროპული ჩიბუხების დაზიანებული სახით მიკვლევის ფაქტს ხსნიდა არა მასალის სიმყიფით, ან ნამწვის გამორეკვის შედეგად მიღებული დაზიანებით, არამედ მწვევლთა სანიტარულ-ჰიგიენური „აზიზობით“. ლაურენ იეგიელსკის ნაშრომში, რომელიც ევროპული ჩიბუხების დაზიანების მიზეზების ანალიზს ეძღვნება, დასაბუთებულია ამ ვერსიის უსაფუძვლობა (Jagielski, 2010). რაც შეეხება „მცირედ“ დაზიანებული ჩიბუხების ხელმეორედ გამოყენების ფაქტებს, მკვლევართა აზრით, ეს შესაძლოა კონკრეტული ჩიბუხის ორიგინალური (გაფორმება, წარმოების ცენტრი) და განსაკუთრებული (საჩუქარი, ოჯახის საკუთრება) მახასიათებლით, ან კიდევ მომხმარებელთა გარკვეული მატერიალური შეჭირვებით აიხსნას (Gojak, Stuart, 1999:40).

ლი ჩიბუხების შედარებით დაბალი ფასი, მაღალი კონკურენციის პირობებში, გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა ოსმალური ჩიბუხების ადგილობრივ მწარმოებლებს.

როგორც ფასის, ასევე, შეთავაზებულ ფორმათა მრავალფეროვნების გამო, XX საუკუნიდან ევროპელმა თამბაქოს მწეველებმა არჩევანი კვლავ ევროპულ ქარხნული წარმოების ჩიბუხებზე გააკეთეს, თუმცა მწეველთა გარკვეული (არცთუ მცირე) ნაწილი მაინც აღმოსავლური ჩიბუხის ერთგული დარჩა. ალბათ, ამიტომ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, პრაგმატული ფრანგი ჩიბუხის ოსტატები ამზადებდნენ არა მარტო ევროპულ, არამედ ოსმალური ტიპის ჩიბუხებს და გზავნიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, აღმოსავლეთის ქვეყნებში (Baram, Carrol, 2002:152; De Haan, 2013).

#### • აღმოსავლური (ოსმალური) ჩიბუხები

ცნობილი შოტლანდიელი ისტორიკოსის — ლორდ ჯონ პატრიკ ბალფურ კინროსის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „ოსმალური ჩიბუხები იმდენად მასობრივად იყო გავრცელებული ახლო აღმოსავლეთში, რომ ისინი, ფაქტობრივად, ოსმალეთის იმპერიის ნაციონალურ ემბლემას წარმოადგენდა“ (Ward, Baram, 2006; Findik, 2016:375).

აღმოსავლური ჩიბუხი, განსხვავებით ევროპულისგან, სამი დამოუკიდებელი ელემენტისგან შედგება: სათუთუნე ჯამი,<sup>27</sup> კვამლის საქაჩი მილი<sup>28</sup> და სატუჩე<sup>29</sup>. ჩიბუხის დეტალების აღწერის პრინციპი პოლივარიანტულია. გამოიყენება ტერმინები: ჯამი, ლერო, მილი, გვირგვინი,<sup>30</sup> ტანი, პირი, ბაზა, ძირი, კილი,<sup>31</sup> ლილვაკი, ქობა და ა.შ.

<sup>27</sup> ჩიბუხის სათუთუნე ჯამები სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელით გვხვდება: Bowl (ინგლ.), Foutreau (ფრანგ.), Cassoleta (ესპან.), Чашечка (რუს.), Gavan (რუმინ.), casica (ხორვატ.), Lüle (თურქ.).

<sup>28</sup> კვამლის საქაჩი მილის შესატყვისი ტერმინები: Stem (ინგლ.), Tige (ფრანგ.), Cania (ესპ.), Втулка (რუს.), Tuljac (ხორვატ.), Тръничка (ბულგ.), Çubuk (თურქ.).

<sup>29</sup> სატუჩე: Mouthpiece (ინგლ.), Загубник (რუს.), Mundstück (გერმ.), Bocuilla (ესპ.).

<sup>30</sup> გვირგვინი: wreath (ინგ.), Cordo (ესპ.), Obruc (ხორ.) венчик (რუს.).

<sup>31</sup> კილი: Keel (ინგლ.), Quilla (ესპ.), Киль (რუს.), Greben (ხორვატ.).

თურქი ეთნოგრაფი ჰუსეინ კოჯაბაში, როდესაც საუბრობს ოსმალური ჩიბუხების გენეზისზე, მიუთითებს, რომ ამ ტიპის ჩიბუხს თავიდან "Şubek"-ის ფორმა ჰქონდა (Kocabas, 1963:12).<sup>32</sup> ასეთი კონფიგურაციისა (ჩიბუხების შემთხვევაში: გაერთიანებული ჯამი, ტარი და სატუჩე) კი აშკარად ევროპული ჩიბუხები იყო, რაც თვალნათლივ მიუნიშნებს,



რომ აღმოსავლეთში სწორედ ევროპიდან შემოვიდა ერთიანი ფორმის ჩიბუხები, ხოლო შემდეგ, უკვე ადგილზე, მან გარკვეული კონსტრუქციული სახეცვლილება განიცადა. სხვა საგულისხმო ანალოგებზეც თუ ვისაუბრებთ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლური ჩიბუხების ადრეული ვარიანტები, ევროპული ნიმუშების მსგავსად (აღბათ, მიბაძვის სურვილით), თეთრი თიხისგან არის დამზადებული. მკვლევართა აზრით, ჯამთან მიძერწილი ტარი, რომელიც

ადრეულ (XVII საუკუნე) ეგზემპლარებზე, მოგვიანო ნიმუშებთან შედარებით, უფრო გრძელია, ასევე ევროპული ჩიბუხების მინაბაძს უნდა წარმოადგენდეს.<sup>33</sup>

<sup>32</sup> Şubek-ი (ქართულ ვარიანტში „შიბაქი“) – ხის სადინარი, რომელსაც აკვანში მწოლიარე ბავშვს უკეთებდნენ, რომ შარდვისას საფენები არ დასველებულიყო და ბავშვი არ შენუხებულყო. „ჩვილთ აკვანში ჩასარჭობი ხის სოლონარი შარდის გასადინებლად“ (ჩუბინაშვილი, 1961). „ჩვილთ ჩასაფსმელი“ (ორბელიანი, 1991:300). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შუაფეოდალური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილია მინის შიბაქები, რომლებიც თარიღდება XI-XIV საუკუნეებით (ჩხატარაშვილი, 1978:48).

<sup>33</sup> ოსმალეთის იმპერიის დიდ თუ პატარა ქალაქებში მომუშავე ჩიბუხის ოსტატები დიდი ხნის განმავლობაში ბაძავდნენ ევროპელებს. თუმცა, აღმოსავლური ჩიბუხების რუსი მკვლევრის ვლადიმერ ვოლკოვის საყურადღებო მოსაზრებით, „არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ ჩიბუხების წარმოების შემკვიდრობითობის არსებობა ევროპასა და ოსმალეთს შორის. ჩიბუხების დამზადების ტექნოლოგიას არ შეიძლება ჰქონოდა ადგილობრივი ფესვები. ქრისტიანულ ევროპას არ შეეძლო მიეწოდებინა ოსმალეთისთვის „მზა“ ოსტატები, ხოლო სწავლება ამ დარგში ეფუძნებოდა მხოლოდ ოსტატისა და შეგირდის უშუალო კონტაქტს. თურქი ხელოსნები იძულებული იყვნენ შეექმნათ საკუთარი ტექნოლოგიები, რომლის თაობაზე ევროპელებისგან შესაძლოა მიეღოთ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენები“ (Бонков, 2010).

**სათუთუნე ჯამი.** აღმოსავლური ჩიბუხის ძირითად ელემენტს თამბაქოს ჩასაყრელი ჯამი წარმოადგენს. არქეოლოგიური გათხრების



დროს პრაქტიკულად მხოლოდ ჯამების მიკვლევა ხერხდება, რადგან ისინი თიხისგან არის დამზადებული და ნებისმიერი გრუნტის პირობებში, მართალია დაზიანებული, მაგრამ საკმაო რაოდენობით გვხვდება გვიანი შუა საკუნეების კულტურულ ფენებში. სათუთუნე ჯამები განსხვავდება ერთმან-

ეთისგან როგორც მოცულობით, ფორმით, კეცის ფერით, ზედაპირის დამუშავების წესით (სადა, ანგობიანი), ასევე ორნამენტით. აღმოსავლური ჩიბუხების ჯამების შესწავლის კვალობაზე, შესაძლებელი ხდება გამოიყოს ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ცენტრში დამზადებული ორიგინალური ვარიანტები (Zejnilihodžić, 2012:165).

**თიხა.** აღმოსავლური ჩიბუხების სათუთუნე ჯამები მზადდებოდა სპეციალურად შერჩეული, გარეცხილი და გაფილტრული კარგი ხარისხის თიხისგან. ადრეული აღმოსავლური ჩიბუხები თეთრი ან მონაცრისფრო შეფერილობის იყო (Uçar, 2019:120,121), რაც, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ევროპული ტიპის (ინგლისური და ჰოლანდიური) ჩიბუხების მიბაძვის სურვილით იყო განპირობებული (Rafferty, Mann, 2005:152; Robinson, 1985:153).<sup>34</sup>

XVII საუკუნის ბოლოს თეთრი და ნაცრისფერი თიხა მუქმა ყვითელმა და წითელმა თიხამ შეცვალა. ეს უკანასკნელი მოიპოვებოდა ეგვიპტეში, ვანის ტბასთან, აიდინთან (სამხრეთ-დასავლეთ თურქეთი) (Simpson, 2011:17) და ბულგარეთში (Хараламниева, 1986:142). როგორც ჩანს, წითელი ფერის ჩიბუხები საყოველთაო მონონებით სარგებლობდა და ამიტომ სტამბულელ ოსტატებს სპეციალურად ჩამოჰქონდათ ვანის ტბის მიდამოებიდან ე.წ. "Gülbahar"-ის<sup>35</sup> ჯიშის თიხა, რაც

<sup>34</sup> თუმცა, გამონაკლისებიც იყო. მაგალითად, ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფ ბულგარეთში, კერძოდ, სოფიაში, სადაც წერილობითი ცნობების მიხედვით, XVII საუკუნის დასაწყისში ჩიბუხების მკეთებელ ოსტატთა სერიოზული კორპორაციაც კი არსებობდა, თეთრ და მორუხო ფერის ჩიბუხებს საერთოდ არ ამზადებდნენ (Станчева, 1972; Волков, 2000).

<sup>35</sup> "Gülbahar" (თურქ) – „გაზაფხულის ვარდი“.

აძლევა მზა პროდუქტს მდიდარ ლალისფერ შეფერილობას.<sup>36</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც ხელოსნებისთვის, გასაგები მიზეზების გამო, წითელი თიხა მიუწვდომელი იყო, ჩიბუხები მზადდებოდა მუქი ყვითელი, მოყვითალო, აგურისფერი ან ყავისფერი თიხისგან. ამ შემთხვევაშიც კი ოსტატები ჩიბუხის ზედაპირს სპეციალურად ფარავდნენ მონითალო ფერის წერნაქით, რათა საბოლოო პროდუქტი სასურველი შეფერილობისა ყოფილიყო, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სწრაფადაც გასალეულიყო.<sup>37</sup>

**გამოძერწვა და გამოწვა.** ჰუსეინ კოჯაბაში მიუთითებს, რომ ოსმალური ჩიბუხები იძერწებოდა დასველებული და დანესტილი თიხისგან, თავდაპირველად ხელით, შემდეგ კი მუშავდებოდა საბრუნავ ჩარხზე (Kocabaş, 1963:12). ნამდვილად ვერ ვიტყვით, რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა, მაგრამ ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც პირველადი ფორმის დამზადების პროცესს ქვის, ლითონის ან ხის ყალიბებში ვარაუდობენ<sup>38</sup>, როდესაც თვით ყალიბში იყო მოდელირებული ჩიბუხებს სასურველი კონტურები (Станчева, 1972:82, Хараламбиева, 1986:142, Kovács, 1963:257).<sup>39</sup>

თურქი მკვლევარი მეჰმედ კოსოღლუ აღნიშნავს, რომ ჩიბუხები მზადდებოდა ორნაწილიან ხის ფორმებში. ჩიბუხის გამოწვამდე წვრილი მავთულით კეთდებოდა ხვრელი ჯამსა და საქაჩი ღეროს შეერთების არეს შუაში კვამლის გასასვლელი გზის ("duman yolu") განთავისუფლებისთვის (Kuşoğlu, 1994). სათუთუნე ჯამის თამბაქოს ჩასაყრელი და ღეროს მისაერთებელი ღრმულები იჭრებოდა მას შემდეგ, რაც თიხა გამაგრდებოდა. სათუთუნე ჯამისა და საქაჩი ღეროს მიერთებ-

<sup>36</sup> მონითალო ფერის ჩიბუხების პოპულარობაზე უნდა მიანიშნებდეს ის ფაქტიც, რომ უკრაინაში, კერამიკოსმა ფრიდრიხ ვოლფმა დააპატენტა სწორედ „წითელი ფერის ჩიბუხების“ დამზადება (Коваленко, 2006).

<sup>37</sup> ე.რ. ბლინგსი მიუთითებს, რომ ოსმალური ჩიბუხები მზადდებოდა წითელი თიხის (Nish) და თეთრი მიწის (Rustchuk) ნაერთისაგან (Billings, 1875:124).

<sup>38</sup> ბელა კოვაცს მიაჩნდა, რომ ჩიბუხების პირველადი ფორმის მიღება ხის და თიხის ყალიბებში ხდებოდა (Kovács, 1963).

<sup>39</sup> სტაროდუბშინის მასალების მიხედვით, უკრაინელი მკვლევრები — პუსი და ეშენკო დაბალი ხარისხის ჩიბუხებს ყალიბის გარეშე — მორგვზე დამზადებულად მიიჩნევენ (Пусь, Ещенко, 2008).

ის ადგილში არჭობდნენ ხის სოლებს, რომლებიც წარმოადგენდა ჯამისა და ღეროს შიდა სივრცეს. სოლების ჩარჭობის შემდეგ, ფორმებს აცალკევებდნენ და ილებდნენ გამზადებულ ნაკეთობას (Волков, 2010). ყალიბი შიგნიდან იფარებოდა ბრინჯაოსა და ტყვიის ფენით, რომლის ზედაპირზე იკვეთებოდა ჩიბუხის სასურველი ორნამენტი (Stančeva, 1976:31; Duco, 1980:182).

საჩიბუხე ფორმაში თიხის ჩალესვამდე ყალიბის კედლებს ამუშავებდნენ ნავთის, ან ნავთობპროდუქტის ნაერთით, რაც აადვილებდა ყალიბიდან ჯამის პირველადი ფორმის ამოღებას (Gusar, 2008:180). ყალიბიდან ჯამის ამოღების შემდეგ, საქაჩი ღეროს ხვრელს წმენდდნენ ჩარჩენილი თიხისაგან. მიღებული პროდუქტი საგულდაგულოდ პრიალდებოდა მაუდის ნაჭრით (Kocabas, 1963:12). შემდეგ ჩიბუხს გარკვეული ხნით მზრალად გამოაშრობდნენ და კვლავ შედგამდნენ გამოსანვავ ლუმელში. ტემპერატურის ლავირებით მიიღებოდა ნაკეთობის განსხვავებული (სასურველი) შეფერილობა (Huijsmans, 2011:23). ჩიბუხს შემკვეთის სურვილის მიხედვით გაანყობდნენ ოქროს ან ვერცხლის ფურცლებით, შემდეგ კვლავ გამოწვავდნენ დაბალ ტემპერატურაზე და ჩიბუხიც მზად იყო გასაყიდად. დამატებით, კვლავ კონკრეტული შემკვეთის სურვილის შემთხვევაში, ჩიბუხის ზედაპირი იფარებოდა სხვადასხვა ფერის ანგობით (Robinson, 1985:157).

**ანგობი.**<sup>40</sup> ოსმალური ჩიბუხების გარკვეული ნაწილი ანგობით იყო დაფარული. ჩიბუხების ანგობი მზადდებოდა იგივე თიხისგან: თიხას შეურევდნენ წყალსა და დეფლოკულანტს (მაგალითად, კალცირებულ სოდას). 20 საათის შემდეგ ჭურჭლის ფსკერზე დაილექებოდა თიხის მასა. აორთქლების შემდეგ დარჩენილ მასას იყენებდნენ ანგობად. სანამ უშუალოდ ჩიბუხს წაუსვამდნენ, მასას წყლით კვლავ ათხელებდნენ. ეს პროცესი ძალიან ჩამოჰგავდა რომაული კერამიკის, ე.წ. "terra sigillata"-ს დამზადების პროცესს (De Haan, 2011).

<sup>40</sup> ანგობი ძირითადად თეთრი თიხისგან მზადდება. ის უნდა შეიცავდეს მცირე რაოდენობის რკინას, რომ გამოწვისას ფერი არ იცვალოს. ანგობირების პროცესი მარტივი და იაფია. ანგობისათვის გამოყენებული წერნაქიანი საღებავების პალიტრა მრავალფეროვანია, რადგან ანგობიანი ნაკეთობის გამოწვა ხდება დაბალ ტემპერატურაზე და საღებავებიც ადვილად უძლებს ამ ტემპერატურულ რეჟიმს (კინწურაშვილი, 2011:22).

კვამლის საქაჩი მილი. აღმოსავლური ჩიბუხის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს თიხის სათუთუნე ჯამზე მისამაგრებელი მილი შეადგენდა, რომლის საშუალებით ხდებოდა ცეცხლმოკიდებული თამბ-



აქოს კვამლის ჩიბუხის ჯამიდან გამოქაჩვა. ევროპული ჩიბუხების მიმოხილვის დროს მოგახსენეთ, რომ ამ ტიპის ჩიბუხების ყველაზე მტკრევად დეტალს მონოლითური საქაჩი მილი წარმოადგენდა. აღმოსავლელმა ოსტატებმა შედარებით მარტივი გამოსავალი მოძებნეს — ის ორგანული მასალით ჩაანაცვლეს.<sup>41</sup> აღმოსავლური ჩიბუხის საქაჩი მილზე ვმსჯელობთ წერილობითი წყაროებისა და XVII-XIX საუკუნეების ოსმალური მინიატურების თუ ევროპელ მხატვართა ნამუშევრების მიხედვით, რადგან

სხვადასხვა ჯიშის ხისგან დამზადებული საქაჩი მილი მოხმარების დროს შესაძლოა ნაკლებად ზიანდებოდა, მაგრამ ნესტიან გრუნტში დიდხანს განთავსებულმა — დროთა სიავეს ვერ გაუძლო და ჩვენამდე პრაქტიკულად ვერ მოაღწია (Vincenz, 2016:113).

საჩიბუხე მილები ძირითადად მზადდებოდა ალუბლის, ბლის, ჟასმინის<sup>42</sup>, გარგარის და ვარდის ხისგან, რომლებიც ამ მიზნით სპეცია-

<sup>41</sup> მოგზაური იან ნიპოფი აღნიშნავდა, რომ ორგანული მასალის საქაჩი მილებს სამხრეთ ბრაზილიის ტომები იყენებდნენ და აქედან დამკვიდრდა ის ოსმალეთის იმპერიაში, ირანსა და შორეულ აღმოსავლეთში (Bakla, 2007).

<sup>42</sup> სტამბოლის გარეუბან ორტაკეში ჟასმინის სპეციალური ნესით ზრდიდნენ. იმისთვის, რომ სწორი ღერო მიეღოთ, მცენარეს ზრდის პროცესში პერიოდულად ტანზე ლითონის რგოლებს აცმევდნენ. მზა პროდუქტს ორი წლის განმავლობაში ამრობდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შემდეგ ბურლით გამჭოლ ნახვრეტს უკეთებდნენ (Куланда, 2005:151). რუსეთშიც საქაჩი მილს უფრო ხშირად ჟასმინისგან ამზადებდნენ. ალბათ, ამიტომ, ჟასმინის ლათინური სახელის "philadelphos" გვერდის ავლით, რუსულ ბოტანიკურ ლექსიკონებში ეს მცენარე მოიხსენიება «ყინ-ყინი» სახელით (<http://flower.ru/philadel.html>). ბალკანეთის დასავლეთში ჩიბუხის საქაჩი მილს ევროპული ჯიშის ("Viburnum lantana") ხისგან ამზადებდნენ, რომელსაც ადგილობრივები čibukovina/kamišovina-ს უწოდებდნენ (Fotić, 2011:96). რაც შეეხება ეგვიპტელ მწვევლებს, ისინი ჩიბუხის საქაჩი მილების მასალის შერჩევისას უპირატესობას ნეკერჩხალს (garmashak) ანიჭებდნენ (Shechter, 2006:21).

ლურ ბალებში გამოჰყავდათ (Bakla, 1985). მილის ფორმის გამოკვეთა (გასწორება), სავარაუდოდ, ადგილზე ხდებოდა. მოგზაურთა დაკვირვებით, ალუბლის საქაჩი მილებს უფრო ზამთარში მოიხმარდნენ, უასმინისას კი — ზაფხულში (White, 1845:130). უასმინისა და ალუბლის მასალა ყველაზე მეტად ფასობდა ნიკოტინის შთანთქმის უნარის გამო. მაღალი ხარისხის უასმინით ცნობილი იყო ბოსფორის ორტაქოი, შედარებით დაბალი ხარისხით — ბურსა და ტრაპიზონი (Simpson, 2011:89). ალუბლის ნედლეული ჩამოჰქონდათ ირანიდან და ცენტრალური აზიიდან.<sup>43</sup> ჩარლზ უაიტის ცნობით, 1844 წელს თურქეთში სამიდან ხუთ ფუტამდე სიგრძის ალუბლის მილები 25-30 პიასტრი<sup>44</sup> ღირდა, უფრო დიდი და მთლიანი მილი შესაძლოა 100 პიასტრიც დამჯდარიყო. შედარებისთვის: უასმინის მილები საშუალოდ 40-80 პიასტრი ღირდა, დიდი ზომის და მთლიანი მილის ღირებულება კი 200 პიასტრს შეადგენდა (White, 1845:131).<sup>45</sup>

ოსტატები საქაჩი მილის მასალის შერჩევისას სხვადასხვა მახასიათებელს ითვალისწინებდნენ. მაგალითად, ალუბლის მასალა იმით იყო გამოირჩეული, რომ მას არ ახასიათებს მკვეთრად გამოხატული გემო, რაც ხელს უწყობს თამბაქოს არომატის სრულად შეგრძნებას. ამავე დროს, თვით ალუბალი შეიცავს კამედს (გუმფისს), რომელიც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ორგანული მასალის წვის პროცესს.

ზოგიერთ ქვეყანაში ხის გარკვეულ ჯიშებზე ტრადიციული „აკრძალვები“ ვრცელდებოდა. უკრაინელი კაზაკები საჩიბუხე მასალად არ იყენებდნენ ვერხვს, რადგან, მათი რწმენით, ეს ხე დანყველილი იყო.<sup>46</sup>

<sup>43</sup> ალუბლის ექსპორტი ირანის სავაჭრო ბრუნვაში მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა (Encyclopaedia Iranica, 2009). აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ყალიონის საქაჩი მილისთვის ხშირად ბლის მასალას არჩევდნენ („ბალისტარა ყალიონი სულ უქრობლად პირში სწრია“ — გ. ლეონიძე „ბერძნულა“).

<sup>44</sup> „პიასტრი“- ოსმალეთში ლითონის ფულის (куруш) ევროპული სახელი.

<sup>45</sup> შარლ პეისონელის ცნობით, ყირიმში უასმინისმილიანი ჩიბუხის ყიდვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან ის მხოლოდ საჩუქრად, ან შეკვეთით ჩამოჰქონდათ (Волков, 1994:41).

<sup>46</sup> უკრაინული ლეგენდის თანახმად, ლალატის შემდეგ იუდამ თავი ვერხვზე (უკრ. Осина) ჩამოიხრჩო. რუსული ლეგენდით, ქრისტე ვერხვისგან დამზადებულ ჯვარზე გააკრეს (Воробьева, 2009:23).

აკრძალვა, ასევე, ვრცელდებოდა მუხაზე, ოლონდ, ვერხვისგან განსხვავებით, ამჯერად, როგორც სლავთა წმინდა ხეზე.




უშუალოდ საქაჩი მილის სიგრძე ჩიბუხის მოხმარების ხასიათის მიხედვით (არსებობდა სალაშქრო, სასტუმრო და სახლში მოსახმარი ჩიბუხები) მერყეობდა 1-4 მეტრამდე. საქაჩი მილის სიგრძის მიხედვით, ჩიბუხებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: გრძელლეროიანებს — "Imame/Imanech" სახელით, საშუალო სიგრძისას — "Tirke"-ს სახელით (Gosse, 2007:11). საშუალო სიგრძის ჩიბუხებს ძირითადად მოიხმარდნენ ვეზირები თუ სხვა მაღალი წოდების სახელმწიფო მოხელეები (Bakla, 1985; Süngü, 2014:112).

გრძელი ჩიბუხების შემზადება-მოხმარებისათვის სულ მცირე, ორი მოსამსახურე მაინც იყო საჭირო (Bakla, 1985). ინგლისელი მოგზაურის — ედუარდ ბრაუნის ცნობით, ჩიბუხის გრძელი საქაჩი მილი, როგორც წესი, შეხვეული იყო ქსოვილში, ხოლო ჩიბუხის ჯამი მოსამსახურეს დაჰქონდა ჩანთით. შორიდან ისე ჩანდა, რომ ეს მსახური პატრონის იარაღის დამტარებელი იყო და არა უბრალოდ ჩიბუხის (Billings, 1875:145). მაშინ, როდესაც ჩიბუხის მოყვარულ დიდგვაროვნებს ცხენით მგზავრობის დროს გაუჩნდებოდათ მონევის სურვილი, მსახურები იყენებდნენ ასანყობ კვამლის საქაჩ მილებს, რომლებიც რამდენიმე თანაბარი ნაწილისგან შედგებოდა და ერთმანეთში ლითონის რგოლებით მაგრდებოდა (De Haan, 2004). XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწე რუსი ლიტერატორი პავლე სუმაროკოვი წერს, რომ ყირიმელ თათართა ელიტასაც (მურზებს) სპეციალურად ჩიბუხის დამტარებლები ემსახურებოდნენ (Зайцев, 2011:24).

მიუხედავად იმისა, რომ ძველ მინიატურებსა თუ ევროპელ მხატვართა ტილოებზე ოსმალები გრძელლეროიანი ჩიბუხებით არიან გამოსახული, უფრო ხშირად ხმარებაში შედარებით მოკლელეროიანი ჩიბუხები იყო. მოკლელეროიანი ჩიბუხები, თუნდაც პრაგმატული

თვალსაზრისითაც (მაგალითად, უფროსებისგან მალულად მონევა) განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დაბალი ნოდების



მქონე სამხედრო პირებსა და მეზღვაურებში (Gosse, 2007). ორი და მეტი მეტრის სიგრძის ჩიბუხების ხელით ტარება და გამოყენებაც ნამდვილად არ იქნებოდა მოსახერხებელი. ამიტომ მწვევლები ჩიბუხის ჯამის მინაზე ან იატაკზე „დასასვენებლად“ პატარა ლანგრებს ("tassa") იყენებდნენ (Simpson, 2009:89). ასეთ ლანგრებს უფრო შეძლებული მწვევლები მოიხმარდნენ, რომლებიც უფრო ხოლოდნენ გაცხელებული ჩიბუხის ჯამის იატაკზე დაგებულ ძვირფას აღმოსავლურ ხალიჩასთან უშუალო „კონტაქტს“ (Billings, 1875:145).<sup>47</sup>

ჩიბუხის საქაჩი მილის სიგრძე სუბორდინაციულ ნიუანსებსაც შეიცავდა. მუშირი<sup>48</sup> მისთვის შეურაცხყოფლად ჩათვლიდა, რომ ორ მეტრზე ნაკლები სიგრძის საქაჩი მილით განყოფილი ჩიბუხი მოენია. ამავე დროს, დაბალი რანგის მოხელე ან ხელოსანი ვერ მისცემდა თავს უფლებას, რომ ჰქონოდა იმ სიგრძის ჩიბუხი, რაც აღემატებოდა მის სოციალურ სტატუსს. დაუნერული კანონის მიხედვით, მდაბიოების ჩიბუხი მხოლოდ ოდნავ უნდა გამოჩენილიყო მისი შეკრული მუშტიდან (Gosse, 2007:9).<sup>49</sup>

<sup>47</sup> ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც არის მოხსენება გრძელი ჩიბუხებისა. მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ ყეენობის დღესასწაულზე საქილიკო გმირი ორმეტრიანი ჩიბუხითაა „შეიარალებული“: „ყეინობაც ელიზბარმა მოანყო: ვილაც ჩანაურა გლესხ ნიკაპზე ნითელი ჭუა მიაკრა, თავპირი ინით შეულება, თავზე ირანული გვირგვინი ჩამოაფხატა, ზაალის მამაპაპეული ირანული ხალათი ჩააცვა, პირში ორადლიანი ჩიბუხი მისცა, ხელში ბატის ფრთა ჩასჩარა, ჯიბეში სიმინდი ჩაუყარა, აქლემზე უკულმა შესვა და სოფლის დასავლელად წაიყვანა“ (ჯავახიშვილი, 1975:10).

<sup>48</sup> „მუშირი“ — ოსმალეთის იმპერიაში სამბუნჩუკიანი პირველი კლასის ფაშას სამხედრო ჩინი, რომელიც მარშლის ნოდებას უტოლდებოდა.

<sup>49</sup> ჩარლზ დიკენსის ჩანანერებიდან (1840 წელი): „ჩიბუხები მოაქვთ სტუმრის რანგის შესაფერისად, რაც დიდ პატივად ითვლება“ (De Haan, 2011).

ფორმით თამბაქოს საქაჩი მილი სწორი ან სპირალისებურიც შეიძლება ყოფილიყო (Bakla, 1985). ოსმალეთის იმპერიაში არსებობდა ტრადიცია საჩიბუხე მილების მორთვისა აბრეშუმით, ოქროთი, ვერცხლით და მარგალიტებით, რაც ასევე ჩიბუხის პატრონის განსხვავებულ სოციალურ სტატუსზე მიუთითებდა (Batchvarov, 2014:4).

ინგლისელი ანტიკვარი ფრედერიკ ფეიჰოლტი ეგვიპტის ფაშასთან შეხვედრის დროს მდიდრული ჩიბუხის ნახვით მიღებულ შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემს: „ჩვენ ვიყენებდით ექვსი ფუტის სიგრძის ჩიბუხებს, რომელთა უსამინის საქაჩი მილები აბრეშუმით იყო დაფარული და განყოფილი ვერცხლისა და ოქროს ძაფებით; ვარდისფერი დოლბანდის თხელი ფენა იცავდა მას გამთბარი ხელის შეხებისას დასვრისაგან, თანაც მორთულობაც არ იმალებოდა. სატუჩები დამზადებული იყო მალალი ხარისხის ქვისგან, ლერძთან მიერთების ადგილი კი გამყარებული იყო ბრილიანტებით განყოფილი ოქროს რგოლით“ (Robinson, 1985:153). როგორც ოსმალური წყაროები მოწმობს, „სიმდიდრის დემონსტრატორთა“ ვნებები ნაწილობრივ ჩააცხრო სულთანმა აბდულ-ჰამიდ I-მა (1725-1789). ერთობ „ყაირათიანმა“ მმართველმა 1781 წელს გამოსცა ბრძანება, რომელიც კატეგორიულად კრძალავდა ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით მოვარაყებული ჩიბუხების დამზადებას და გაყიდვას (Куланда, 2005:151).

საქაჩი მილები სისტემატურად ინმინდებოდა წერილი მავთულით, უფრო დიდი დიამეტრის მილი კი — მავთულზე წამოგებული ბამბით. ჩარლზ უაიტის დაკვირვებით, XIX საუკუნის სტამბოლში, მოსამსახურეების არმქონე მწვეელები ამ საქმის ოსტატებს — ქუჩებში ყოველ დილით "tchibookjee/tchibookja"-ს ხმამალალი შეძახილით მოსიარულე ებრაელებს მიმართავდნენ (White, 1845:127).

როგორც წესი, ჩიბუხის ყველა მწვეელს თავისი პირადი საქაჩი მილი (ასევე სატუჩეც) ჰქონდა. რაც შეეხება სათუთუნე ჯამებს, მათ, მოთხოვნის კვალობაზე, ზოგჯერ არენდითაც კი გასცემდნენ ადგილობრივ სასტუმროებსა თუ ყავახანებში (De Haan, 2004). XVII საუკუნის დასაწყისში საქაჩი მილის სიგრძე საშუალოდ 6-8 დუიმს შეადგენდა, XVII საუკუნის ბოლოსთვის მილის სიგრძე ორჯერ გაიზარდა, ხოლო XIX საუკუნისთვის ის უკვე პირვანდელ (შედარებით მოკლე) ზომას დაუბრუნდა (Mallios, 2005:90).

**სატურე.** საყოველთაო აღიარებით, აღმოსავლური ჩიბუხების გამოჩეულად ლამაზი ნაწილი იყო ე.წ. სატურე ("ağızlik"), რომელიც კვამლის საქაჩი მილის ბოლოზე მაგრდებოდა.



ადრეული ჩიბუხების სატურეები ანალოგიური იყო ნარგილესა და ჰუკას სატურეებისა. როგორც აღვნიშნეთ, ოსმალური ჩიბუხის ყველა მომხმარებელს პირადი სატურე ჰქონდა (Haan, 2011). უნდა დავეთანხმოთ იმ მკვლევრებს, რომლებიც თვლიან, რომ სატურე ერთადერთი ნაკლებად აუცილებელი ნაწილი იყო აღმოსავლური ტიპის ჩიბუხისა, რადგან მის გარეშე არ გაუჭირდებოდათ ჩიბუხის მომხმარებლებს თამბაქოს მოწევა. როგორც ჩანს, ჩიბუხის ეს დეტალი უფრო შეძლებული, ან თავმოძნონე მწვევლის

ატრიბუტი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სატურეები, როგორც წესი, მზადდებოდა ქარვის, ძონის ან ძვირფასი ლითონისაგან, და შესაბამისად, ჩიბუხის ყველაზე ძვირადღირებულ ნაწილს წარმოადგენდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისინი პრაქტიკულად არ გვხვდება გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების გათხრების დროს, მეტწილად კი იმ უბნებზე, სადაც ჩიბუხის (თამბაქოს) მომხმარებლები შედარებით დაბალი ფენის წარმომადგენლები, კონკრეტულად კი — ჯარისკაცები იყვნენ.

ინგლისელი ექიმი ჩარლზ უაიტი, რომელიც 1845 წელს კონსტანტინეპოლს სტუმრობდა, დაწვრილებით საუბრობს ძვირფასი ქვებისგან დამზადებული სატურეების ფასზე. მისი ინფორმაციით, მუქი ფერის დიდი ქარვის სატურის ყიდვა შეიძლებოდა 500 პიასტრად, უფრო პატარა ზომის — 250-300 პიასტრად. ქარვის სატურის საშუალო ფასი 5-50 ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. თუ მას გააფორმებდნენ ძვირფასი ლითონის ან ქვის რგოლებით, მაშინ მისი ფასი უფრო იზრდებოდა. ჩარლზ უაიტი დამატებით იმასაც გვამცნობს, რომ ბრჭყვიალა რგოლების მოყვარულები უფრო ქალბატონები იყვნენ, ხოლო მამაკაცები ქვის (პორფირის, მარჯნის, ემალის, აგატის) რგოლებს ანიჭებდნენ უპირატესობას (White, 1845:129).

ჩვენი აზრითაც, სატურჩების შერჩევის დროს, არსებითი იყო ჩიბუხების ლამაზად გაფორმების სურვილი, მაგრამ ფაქტია, რომ მწვევლის მიერ არც პრავამატული მხარე უნდა ყოფილიყო უგულვებლყოფილი. ქარვისგან, რქისგან, კუს ბაქნისგან, ან სხვა მყარი მასალისგან დამზადებული სატურჩები, ერთი მხრივ, ჩიბუხის პატრონის სოციალურ სტატუსსაც უსვამდა ხაზს, ამავე დროს, უფრო მეტად უძღვებდა ინტენსიური მოხმარების დროს მწვევლის კბილების ზემოქმედებას, ვიდრე ის ტრადიციული ორგანული მასალა, რომლითაც საქაჩი ღეროები იყო დამზადებული (Gosse, 2007).<sup>50</sup>



**ორნამენტი.** ოსმალური ჩიბუხები მრავალფეროვანი ორნამენტითაა შემკული, რაც უდავოდ მიუთითებს ოსტატთა მაღალ პროფესიონალიზმზე.<sup>51</sup> ორნამენტი მეტწილად გეომეტრიულია (სამკუთხედები, წრეები, ტალღისებრი და ზიგზაგსებრი ხაზები, რომბები და ა.შ.). გავრცეებულია, ასევე, მცენარეული მოტივები,

სადაც სჭარბობს ყვავილოვანი და ფურცლოვანი ორნამენტი. ხშირ შემთხვევაში კი გეომეტრიული და მცენარეული მოტივები ერთადაა წარმოდგენილი (Станчева, Медарова, 1968:10; Попова, 2010:170).<sup>52</sup>

შემკულობის ხარისხი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა ნაკეთობის საბაზრო ფასზე. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ჩიბუხებზე ორნამენტი

<sup>50</sup> როგორც სხვა მასალას, ქარვის სატურჩებსაც ირჩევდნენ ელეგანტურობისა და კბილების ზემოქმედებისადმი მედეგობის გამო. ირანელებს სხვა არგუმენტიც ჰქონდათ ყალიონისთვის ქარვის მასალის შერჩევის დროს. ისინი თვლიდნენ, რომ ვინც ქარვას პირით შეეხებოდა — განინმინდებოდა (Гейтлин, 2005). ქარვას ბაქტეროციდულ თვისებებსაც მიანერდნენ, რაც თამბაქოს მონევისას ამცირებდა კარცენოგენული ფისის მავნე ზემოქმედებას (Сокольский, 2008:92-93).

<sup>51</sup> ჯეიმს ბუკინგემი, რომელიც 1827 წელს თურქულ ქალაქ დიარბექირს სტუმრობდა, გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ამ ქალაქში მხოლოდ ჩიბუხებზე ორნამენტის მკეთებელ ოსტატთა რიცხვი 150-ზე მეტს მოითვლიდა (Simpson, 1990:7).

<sup>52</sup> ოსმალური ჩიბუხები, მცირე გამოწკისის გარდა (Ayhan, 2015), დეკორატიული და გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული, რადგან მუსლიმანური რელიგია კრძალავდა ცოცხალი არსების გამოსახვას (Banzan, 2010).

იმდენად მდარედ იყო დატანილი, რომ შესაძლოა, ერთი შეხედვით, ზოგიერთი ნაკეთობა წუნადაც კი მიგვეჩნია. მკვლევართა ნაწილი ამ ფაქტს ხსნის ჩიბუხების დამზადების ორი განსხვავებული მეთოდის არსებობით. პირველი მეთოდი გულისხმობს ყალიბში ჩაპრესვის შემდეგ ფორმაზე ორნამენტის ხელით დატანას, ხოლო მეორე მეთოდი – თვით ორნამენტამოტივიფრულ ყალიბში ჩაპრესვას. პირველ შემთხვევაში ნახაზი უფრო ხშირად ასიმეტრიულია, მეორე შემთხვევაში კი ნაკეთობაზე ეს ელემენტი გაცილებით ლამაზად და მკაფიოდაა გამოკვეთილი (Рабинович, 1949).<sup>53</sup>

სავარაუდოდ, ჩიბუხების მკეთებელი ოსტატები ორნამენტის დასატანად ხმარობდნენ იგივე სპეციალურ ინსტრუმენტებს, რასაც პროფესიონალი იუველიერები. უფრო მეტიც, ჩიბუხზე დატანილი შტამპებიც კი უნდა ყოფილიყო გადმოღებული იუველიერების მიერ დამუშავებული ტრადიციული მოტივებიდან. ეს აზრი თავის ადრეულ ნაშრომში ბულგარელმა მკვლევარმა მარგარიტა სტანჩევამ განავითარა (Stančeva, 1972:95). ის თვლიდა, რომ ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენებოდა ჩიბუხების ფორმაზე დეკორის გამოსაყვანად, ანალოგიური იყო ლითონის დასამუშავებელი ინსტრუმენტებისა. ამავე დროს, ჩიბუხების ცალკეული ნიმუშის გაფორმება ვერცხლისა და ოქროს ძაფებით, მკაფიოდ მიაწინებდა ჩიბუხების დამზადებასა და საიუველირო საქმის ურთიერთკავშირის თაობაზე.

**დამლები და მონოგრამები.** ჩიბუხის ხელოსნები ამაყობდნენ თავიანთი ხელობით და ამიტომ მათ ნაკეთობებზე ხშირად დამლის სახით დაჰქონდათ საკუთარი სახელი (ხუსნუ, ომერი, ხამდი) (Kocabağ, 1963:11). როგორც ჩანს, თურქი ჩიბუხის ოსტატები პროდუქციის ნაწილს საექსპორტოდაც (მაგ. საფრანგეთში გასაგზავნად) ამზადებდნენ, ამიტომ ზოგ ნიმუშზე ოსტატის სახელი ორ ენაზე (თურქულად და ფრანგულად) (მაგ. Hüsnü – Housnu) არის დატანილი (Haan, 2011).

<sup>53</sup> ჩიბუხებზე დატანილი ორნამენტის დაბალი ხარისხი მეტწილად ჩიბუხების მასობრივ წარმოებაზე უნდა მიანიშნებდეს. განსხვავებულია და ფრიად ორიგინალური რუსი მკვლევრების მოსაზრება. რუსეთში ნაპოვნი ჩიბუხების ანალიზი მათ აფიქრებინებს, რომ ხელოსნები ზოგჯერ სპეციალურად ამზადებდნენ უხარისხო ჩიბუხებს, რომ უფრო კარგი რუსული მინაბადები გაესაღებინათ თურქულ ორიგინალებად (Недомолкина, Недомолкин, 2003).

როდესაც ხელოსნები დიდი სულთნის დაკვეთით მუშაობდნენ, ჩიბუხებს სულთნის ბეჭდით ("Tughra") აფორმებდნენ.

ოსმალური ჩიბუხების ზოგ ნიმუშზე მისასალმებელი სიტყვები, დევიზები, ფრაზები ყურანიდან და ორტაეპიანი ბაიათებია დატანილი. მაგალითად: „თქვენი კეთილდღეობა არ შესუსტდება, თუ მიეცით შეკვეთა ჩიბუხზე. აბა, ისიამოვნეთ მონევით“, ან კიდევ: „შეგიძლიათ ისიამოვნოთ ჩემი საჩუქრით და მეც მასიამოვნებთ, თუ მას არ დაკარგავთ“ (Bakla, 1985:8).<sup>54</sup> გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ ჩიბუხებს ასეთი შინაარსის წარწერები ამშვენებს: „თუ მეგობრობ საჭმლით სავსე ჭურჭელთან, მოგიხდება (გინამლებს)“, ან კიდევ: „წყეული დაუნდობელი დარდი მომძალებია“.

ოსმალები სპეციალურად შეკვეთილ ჩიბუხებს განსაკუთრებულად უფრთხილდებოდნენ, რბილ ნაჭრებში სათუთად ინახავდნენ, სისტემატურად წმენდნენ და აპრიალებდნენ.<sup>55</sup> ისინი ჩიბუხებს გვერდიდან არ იშორებდნენ, ხოლო მათი დაკარგვა ან გაჩუქება თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნდათ.<sup>56</sup> მოგზაურობისას თამბაქო დაჰქონდათ პატარა ჩანთებით ("çibukluks"), რომლებსაც სხვადასხვა მასალისაგან ამზადებდნენ (სელი, ტილო, ხარის საშარდე ბუშტი) (Fotić, 2011:96). ინგლისელი მოგზაური ედუარდ ბრაუნი აღნიშნავს: „იმ ქვეყნებში,

<sup>54</sup> ანა ვინსენსი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის წარწერებისთვის ჩიბუხებზე შედარებით მცირე სივრცეა გამოყოფილი, ამდენად, მათი ნაკითხვა საკმაოდ პრობლემურია და მკვლევართა ნაწილი არიდებს თავს ამ სამუშაოს (Vinsenz, 2016:114).

<sup>55</sup> თამბაქოს მწვევლები დროულად იჭერდნენ თადარიგს და წინასწარ უკვეთავდნენ საჭირო რაოდენობისა და ფორმის ჩიბუხებს.

<sup>56</sup> ამის გამოძახილი უნდა იყოს ძველი ინგლისური ანდაზა: „ჩიბუხს, ცხენსა და ცოლს ვერ დავუთმობ ვერავის“. ნ. გოგოლის გმირი ტარას ბულბაც ფაქტიურად ემსხვერპლა სურვილს, რომ მისი ჩიბუხი მტერს არ ჩაეგდო ხელში: „ოთხ დღეს ებრძოდნენ კაზაკები და იგერიებდნენ მტერს ქვითა და აგურით. მაგრამ გამოვლიათ ძალაც და მარაგიც. მაშინ გადაწყვიტა ტარასმა მტრის ჯარი გაერღვია. კიდევაც გააღრვიეს და იქნება ერთხელ კიდევ გაენიათ მალ ცხენებს სამსახური კაზაკებისთვის, რომ უცბად შედგა გზაზე ტარასი და შეჰყვირა: „მოიცათ, თამბაქოთი სავსე ჩიბუხი გამივარდა, არ მინდა, რომ ჩიბუხი რა არის, ჩიბუხიც ჩაუვარდეთ ხელში წყეულ ლიახებს!“ და დაილუნა. დაუნყო ბალახში ძებნა ჩიბუხს, რომელიც ზღვაზე თუ ხმელეთზე, ლაშქრობის დროს თუ შინ მუდამ განუშორებლივ თან ჰქონდა ხოლმე. შემოესია ამ დროს მტრის მთელი გროვა და მძლავრი მკლავები გაუკავა“ (Горюх, 1994).

რომლებიც მე ვნახე, აქტიურად მოიხმარდნენ თურქულ თამბაქოს. მას ქამარზე ჩამოკიდებულ პატარა ჩანთებში ინახავენ, ხოლო ენევიან ერთი წყრთის სიგრძის ჩიბუხებით, რომლებიც შედგება ლერწმის ლეროსა და თიხის ჯამისგან" (Попова, 2010:165). მოგვიანებით, ოსმალეთშიც თამბაქოს შენახვა ლითონის და ძვირფასი ქვის ყუთებში დაიწყეს, რომელსაც ბალკანელი მუსლიმანები იტალიური სიტყვით „ტაბაკერა“ (იტალ. "tabacchiera") მოიხსენიებდნენ.<sup>57</sup>

ჩიბუხის თურქული სახელი ("lüle") დამკვიდრდა სხვადასხვა ქვეყანაში: ალბანეთში "lulla", ბულგარეთში "lula-ta", სერბია-ხორვატიაში "lula" (Simpson, 2009:3), უკრაინაში «люлка». აღმოსავლური ეტიმოლოგიისაა თამბაქოს მოსანევი აქსესუარების პოლონური სახელებია lulka, cybuch, kapciuch antypka, stambulka (Bis, 2009).<sup>58</sup> საქართველოში ჩიბუხს მოიხსენიებდნენ „ხაშარის“ და „ყალიონის“ სახელით.<sup>59</sup>

თამბაქოს მწვევლთა რიცხვის ზრდის კვალობაზე, იზრდებოდა მოთხოვნილება ჩიბუხებზეც.<sup>60</sup> ე. ბაკლა აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნეში


<sup>57</sup> ერდინკ ბალკა მიუთითებს, რომ თურქები თამბაქოს ნაშენის უსაფრთხოდ გამოსაყრელად სპილენძის პატარა ყუთებს "Takatuka" –ს იყენებდნენ.

<sup>58</sup> რუსულ ლიტერატურაში (თურქულის გავლენით) ტერმინით «Чубук» მოიხსენიება კვამლის საქაჩი მილი: «В соседнем магазине я купил...султанского табаку, стамбулку трубку и два липовых и розовых чубука» (Толстой, 1987); ვლადიმერ დალის ლექსიკონიდან: «Чубук (турецк.)...деревянная дудка, на которую насаживают табачную трубку». კონსტანტინეპოლში რუსეთის საელჩოს დრაგომანის ფელიქს ფონტონის ჩანაწერებიდან: «Чубук турецкой трубки бывает обыкновенно вишневым, длиною в три, четыре, иногда в шесть футов; мунштук янтарный, который богато украшают рубинами, изумрудами, алмазами, а сама трубка бывает обыкновенно глиняная» (Кудрявцева, 2008:34).

<sup>59</sup> სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჩიბუხის ქართული შესატყვისია „ხაშარი“ (ხაშარი: ფალანგთ სვეტნი, რომელსა თურქნი ჩიბუხს უწოდებენ) (ორბელიანი, 1993:419). ქართულ სინონიმთა ლექსიკონში ჩიბუხის სინონიმად მითითებულია „ყალიონი“ (ნეიმანი, 1961:385). ქართველ მკვლევართა აზრით, ორივეს (ჩიბუხს, ყალიონს) ერთგვარი საგნობრივი მიმართება და ერთგვარი მნიშვნელობა აქვს. ჩიბუხი შეიძლება დახასიათდეს, როგორც საყოველთაო-სალიტერატურო სიტყვა, ხოლო ყალიონი – საუბრულ ვარიანტად მივიჩნოთ (ფოჩხუა, 1979:250).

<sup>60</sup> 1723 წელს, როდესაც მალტაში ოსმალთა ინტერვენცია გადაწყვეტილი იყო, მალტელებმა მოსამზადებელ სამუშაოებში გაითვალისწინეს ჯარისკაცების მომარაგება თამბაქოთი და 200 ათასი ჩიბუხით (Pipe smoking in Malta, 2010).

თურქეთში თამბაქოს ეწეოდა ყველა, განურჩევლად სქესისა და სოციალური კუთვნილებისა. მეტ-ნაკლებად შეძლებულ ოჯახებში, თითო მწველზე 50-მდე ჩიბუხი მოდიოდა (Bakla, 1985). ჩიბუხის



ფასი ხელმისაწვდომი იყო ადგილობრივებისთვის. ფრანგი მწერალი და თამბაქოს მოყვარული თეოფილე გოტიე კონსტანტანტინეპოლში ნანახი ჩიბუხების შესახებ წერდა, რომ ისინი, ფრანგულისგან განსხვავებით, გამძლე და იაფია, ამიტომ მოიხმარენ მათ დიდი რაოდენობით.

ჩარლზ უაიტი დღიურებში აღნიშნავდა: „თურქები ფულს არ იშურებენ ჩიბუხისთვის. ისინი ისევე მნიშვნელობას ანიჭებენ ჩიბუხების მდიდარი ასორტიმენტის ქონას, როგორსაც ევროპელები სურათების ძვირფასი კოლექციისა“ (White, 1845:129). ჩარლზ დიკენსი

პუბლიკაციაში „როგორ ეწევა მსოფლიო“ წერდა: „როგორც სირია ცნობილია საუკეთესო თამბაქოთი, ასევე სირიის პრინცი ბექირი განთქმულია აღმოსავლეთის მმართველთა შორის ჩიბუხების დიდი კოლექციით.“ ჩარლზ დიკენსის ცნობით, ფაშას ერთ-ერთი ჩიბუხის ფასი 30 ათასი ფუნტი სტერლინგი იყო (<http://tobaccopipearthistory.blogspot.com/2012/03/silver-plated-copper-pipe.html>).<sup>61</sup>

ოსმალური წყაროების მიხედვით, მონარქები ხელს უწყობდნენ საქალაქო მეურნეობის განვითარებას, კვალიფიციურ სპეციალისტებს ასახლებდნენ ქალაქებში, ქმნიდნენ შესაბამის ინფრასტრუქტურას,

<sup>61</sup> ამ მხრივ არც ევროპელები „მოიკოჭლებდნენ“. ნაპოლეონის მარშალს შარლ-ნიკოლა უდინოს (რომელიც ბრძოლების დროს მიღებული ჭრილობების რაოდენობით უფრო იყო ცნობილი) ჩიბუხების დიდი კოლექცია ჰქონდა. ის ამაყობდა ნაპოლეონის ნაჩუქარი აღმასებით მორთული ჩიბუხით, რომელიც იმ დროისთვის დიდ თანხად — 30 ათას ფრანკად იყო შეფასებული. სხვა ფრანგი მხედართმთავრებიც არ მალავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ძვირფასი ნივთების, მათ შორის, ორიგინალური ჩიბუხების მიმართ. როდესაც მარშალ ლასალს ჩიბუხის მწვეელი ტყვე ავსტრიელი ფელდმარშალი მიუყვანეს, ჰკითხეს, თუ შემდგომში რა ელონათ. ლასალმა უპასუხა: „ჯერ არ ვიცი. მე უფრო მაინტერესებს ჩიბუხი, ვიდრე მისი პატრონი“ (<https://mlcigar.com/napoleon-bonapart/html>).

მფარველობდნენ ხელოსნებს. იანიჩრების, სახელმწიფო მოხელეებისა და რელიგიური პირების გარდა, ქალაქის მოსახლეობა, რომელიც დაკავებული იყო ამა თუ იმ ხელობით, ქმნიდა პროფესიულ კორპორაციულ გაერთიანებას — „ესნაფს“ (Tokman, 2001:6). ერთ-ერთ ასეთ პროფესიონალურ გილდიაში იყვნენ გაერთიანებულნი ჩიბუხის მკეთებლები ოსტატებიც (Хитцель, 2006:148).

ჩიბუხების დასამზადებელი სახელოსნოები იხსნებოდა ოსმალეთის იმპერიის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქში. მიჩნეულია, რომ ქალაქ ლულეზურგასს სახელი იმის გამო დაერქვა, რომ იქ თიხის ჩიბუხის დამამზადებელი სახელოსნოები იყო გახსნილი (Lule – თურქ. ჩიბუხი). საყოველთაო აღიარებით, აქაური ოსტატები გამორჩეული ფორმისა და სილამაზის ჩიბუხებს ამზადებდნენ.<sup>62</sup> თურქი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჩიბუხის ოსტატები მრავლად იყვნენ ედირნეში, ავანოსში, დიარბაქირში. მრავლად იყვნენ ისინი სტამბოლში, ძირითადად, თოფანეს ქუჩაზე, რომელიც ჩიბუხების ოსტატთა უბნადაც კი იწოდებოდა (Bakla, 1985; Findik, 2016:375).

ოსმალური ჩიბუხების დამზადების მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა ოსმალეთის იმპერიის სიდიდით მეორე ქალაქი სოფია, სადაც 1604 წლიდან მეჩიბუხეთა გილდიაც კი დასტურდება (Станчева, 1972: 82). ჩიბუხის მკეთებელ ქალაქებად ასევე მოიხსენიება ვარნა (Станчева, 1972), რუსჩუკი, ვიდინი და ბურგასი (Попова, 2010:67).<sup>63</sup> საბერძნეთში, რომელიც ასევე ტრადიციულად მაღალხარისხიანი თამბაქოს წარმოებით იყო ცნობილი, სახელდება მაკედონიის ქალაქი იანიცა (ხის ჩიბუხები) და ქალაქი თებე (ხვირთქლის ჩიბუხები) (Robinson,

<sup>62</sup> რებეკა რობინსონს მოაქვს 1675 წლით დათარიღებული ცნობა, რომ ყველაზე კარგი ჩიბუხის შექმნა ამ ქალაქში შეიძლებოდა (Robinson, 1985:152). ჩიბუხების პოპულარობის მანიშნებელი იყო ისიც, რომ სერბიაში ჩიბუხის „გავლენით“ იყო შექმნილი და დამკვიდრებული ქსოვილების ("čibuk bez", "basma na čibuk") ან იარაღის ("čibuklija") სახელები (Fotić, 2011:97).

<sup>63</sup> ინგლისელი მოგზაური ჯონ კოელი ასე აღწერს თავის დღიურში ბურგასის შთაბეჭდილებებს: „ბურგასში დიდი სავაჭრო ცენტრია. გავიარეთ რამდენიმე ქუჩა და მივადექით სასტუმროს ოთხკუთხა ეზოთი და შადრევანით. შესასვლელთან ვაჭრები დაგვხვდნენ, რომლებიც ვაჭრობდნენ თიხის ჩიბუხებით – საუკეთესო ნიმუშებით, რისი ნახვაც შეიძლება თურქეთში“ (Попова, 2010: 169).

1985:152).<sup>64</sup> XVIII-XIX საუკუნეების გასაყარზე, ქაიროში, ალ-ნაჰასინის სექტორის ხელოსანთა უბანში, ჩიბუხის მკეთებელთა ("shibukjiya") გილდიაც კი იყო შექმნილი (Shachter, 2006:26).<sup>65</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ჩიბუხების დამზადება რთული და შრომატევადი პროცესი იყო. ამ დარგის პროფესიონალად ჩამოყალიბებას მიზანდასახულობა, დიდი მოთმინება და კარგი პრაქტიკა სჭირდებოდა.<sup>66</sup> როგორც დოკუმენტური წყაროები მოწმობს, XVIII საუკუნისთვის ოსმალეთის იმპერიის ზოგიერთ რეგიონში (მაგალითად, ბულგარეთში) მეჩიბუხეობა ხელოსნობის გამორჩეულ დარგადაც კი ჩამოყალიბდა, რომელიც, ბულგარულ ეთნოგრაფთა შეფასებით, არსებითად ადგანსხვავდებოდა ადგილობრივი ტრადიციული მეთუნეობისაგან (Stančeva, 1972:95; Попова, 2010).

<sup>64</sup> რებეკა რობინსონის აზრით, საბერძნეთის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქს, სულ მცირე, ერთი ჩიბუხის პროფესიონალი ოსტატი მაინც უნდა ჰყოლოდა. სოფლებში კი ამ საქმით მეთუნეები უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი (Robinson, 1985:152).

<sup>65</sup> არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჩიბუხის მკეთებლები სამხედროებს ლაშქრობის დროს თან ხლებოდნენ და ადგილზევე დაემზადებინათ საჭირო პროდუქცია. ცნობილია, რომ იანიჩრებს, რომლებიც ომობდნენ, ან სამხედრო ობიექტების დაცვით იყვნენ დაკავებულნი, ემსახურებოდნენ ხელოსნები (მენალები, დალ-აქები, უნაგირის და მშვილდის ოსტატები, მჭედლები და სხვ.). ბევრ ასეთ ხელოსანს ქირაობდა თვით სახელმწიფო. ომის გამოცხადების შემთხვევაში კი, უფროსი იანიჩარი-ოფიცერი არჩევდა ხელოსანთა გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც თან ახლდნენ ჯარს და უზრუნველყოფდნენ მათ საჭირო საქონლითა და მომსახურებით (Льюис, 2004). ზოგჯერ ჩიბუხებს თურქი ტყვეებიც ამზადებდნენ. მაგალითად, XIX საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ტყვედ ჩავარდნილი თურქი ჯარისკაცები, ქ. კურსკში თავიანთ მწირ ბიუჯეტს ავსებდნენ ჩიბუხების დამზადება-რეალიზაციით (Познахирев, 2013).

<sup>66</sup> თურქული ლეგენდის თანახმად, შეგივრდმა, რომელმაც მცირე ხნით ოსტატთან იმუშავა, ჩათვალა, რომ ამ ცოდნას სრულად დაეუფლა და აღარ სჭირდებოდა არც „იმტიხანი“ (გამოცდა), არც „პემტამალ კუშატმა“ (ოსტატად კურთხევა) და დაიწყო დამოუკიდებლად საქმიანობა. მაგრამ როდესაც მისი ჩიბუხები დაიბზარა, ის იძულებული გახდა უფრო ყურადღებით დაკვირვებოდა ოსტატის საქმიანობას. შეგივრი მიხვდა, რომ ჩიბუხის დამზადება ზოგად განსწავლულობასთან ერთად „სხვა ცოდნასაც“ მოითხოვდა. ოსტატი „ესაუბრებოდა“ ჩიბუხს, ლუმელიდან გამოღებულს კი „სულს უბერავდა“, რომ ნაკეთობას ტემპერატურის ცვლილებებისათვის გაეძლო და უზადო გამოსულიყო (Кутаная, 2005:150).

მოგზაურთა დლიურებში ხშირად გვხვდება ჩანანერი ჩიბუხის მოწვევის ტრადიციული წესის და ამ პროცესის „ორგანიზაციის“ შესახებ. მდიდართა სახლებში ჩიბუხის მოწვევის „რიტუალში“ რამდენიმე კაცი იღებდა მონაწილეობას. „თუთუნ ჯუბაში“ ამზადებდა თამბაქოს და უმატებდა მას არომატულ ნივთიერებებს, „ჩუბუკდარი“ თამბაქოთი ავ-



სებდა ჩიბუხებს და აწოდებდა მწვევლებს, „ატეშ ოვლანი“ თამბაქოს მოსაკიდებლად ვერცხლის მაშით იღებდა ნახშირს ლუმელიდან.<sup>67</sup> „ჩუბუკდარად“, რომელიც ამ რიტუალში ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა და უშუალოდ ემსახურებოდა ბატონს და სტუმარს, როგორც წესი, წარმოსადევგ ყმანვილებს არჩევდნენ. მათი უმეტესობა საქურისი იყო (Льюис, 2004:73). ზოგადად, სამეფო კარის მომსახურე ყმანვილები „იჩ ოვლანად“ („სამეფო კარის ბიჭები“) იწოდებოდნენ (Хитцель, 2006:109).<sup>68</sup>

ელიტური კლასის წარმომადგენლებს პირადი ჩიბუხების ყოველდღიური მოვლა-პატრონობისთვის ორი-სამი მოსამსახურე ჰყავდათ შერჩეული. ერთ-ერთი მათგანი ამ ნივთებს უვლიდა სახლში, სხვებს კი დაჰქონდათ ჩიბუხები სეირნობისა და მოგზაურობის დროს. მოსამსახურეებს საქაჩი მილი შეხვეული ჰქონდათ ძვირფას ქსოვილში, ხოლო ჯამს ინახავდნენ სპეციალური ნაჭრის ან ტყავის ჩანთაში (Billings, 1875:145; Попова, 2010:165). 1830 წლის სერბიული წყაროს მიხედვით, ადგილობრივ თავადებს მოგზაურობის დროს უკან პირველი მოყვებოდა ჩიბუხის მიმწოდებელი მსახური čibukdžija (luledžija), შემდეგ — ყავის მიმწოდებელი kafedžija, შემდეგ კი ყველა დანარჩენი მოსამ-

<sup>67</sup> მკვლევართა აზრით, საქართველოში დადასტურებული გვარი „ჩიბუხაშვილი“ შერქმეული გვარი უნდა ყოფილიყო, რომელიც ჩიბუხის მკეთებელს აღნიშნავდა ან მიუთითებდა ყმა გლეხზე, რომელიც ბატონს ჩიბუხს უკიდებდა.

<sup>68</sup> ირანულ და ქართულ ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ალა-მაჰმად ხანის მკვლევლებიდან ერთ-ერთი მისი პირადი მსახური, წარმოშობით ქართველი სადიყა იყო, რომელსაც ევალებოდა „მიტანა პირის საბანი წყლისა, ჩაისა და ყალიონისა“ (სონლულაშვილი, 2005:100).

სახურე (დალაქი და სხვ.) (Fotic, 2011:94).<sup>69</sup> როგორც აღვნიშნეთ, წარჩინებულ პირთა ოჯახებში, სადაც ტრადიციულად ხალხმრავლობა (სტუმრიანობა) იყო, სულ ცოტა, 15-20 კარგი ხარისხის ჩიბუხი მზად უნდა ყოფილიყო სტუმრისთვის. განსაკუთრებული მზაობა იყო ბაირამის დღესასწაულის დროს, როდესაც ყველა ჭეშმარიტი მუსლიმანის სახლის კარი ღია იყო სტუმრისთვის (White, 1845:131).<sup>70</sup>

თუ როგორ უყვარდათ ოსმალებს ჩიბუხის მოწვევა, ამის შესახებ მოგვითხრობს იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე (1586-1652): „თურქები წამონებებიან რბილ ტახტზე და ყოველ საათში ერთმანეთის მიყოლებით ენევიან ჩიბუხს, თან კიდევ ცხვირიდან უშვებენ



კვამლს, რაც მათთვის ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს“. შარლ დე ვალის ცნობით, თურქები დღის განმავლობაში ოთხმოცამდე ჩიბუხს მაინც ეწეოდნენ (Шарль Де Валь, 1828: 35).

ცნობილი ინგლისელი მწერლის ჩარლზ უაიტის სიტყვებით: „ჩი-

ბუხის შეთავაზება იყო გამობატულება ქვეშევდომებთან ღმობიერების, თანატოლებთან მოკრძალების, უფროსებთან კი — მოწინებების და პატივისცემისა“ (White, 1845:131). აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩიბუხის მოწვევის პროცედურა გარკვეულ სუბორდინაციულ

<sup>69</sup> ყირიმის ხანის კარზე არსებობდა „ჩუბუკჩუს“ თანამედებობა, რომელიც პასუხისმგებელი იყო ჩიბუხების მომზადება-მიწოდებაზე (Зайцев, 2011:18). სოლომონ ასლანიშვილი-ბარველი არტანუჯში მოგზაურობის ჩანაწერებში საუბრობს ჩიბუხის ფუნქციებზე: „ჩიბუხჩი უნდა იყოს ახალგაზრდა და თვალად ჩინიანი ყმაწვილი. იმისი ვალია ჩიბუხის ავსება და ყავის კეთება“ (ასლანიშვილი, 2008:107).

<sup>70</sup> ინგლისელი მოგზაური ედმონდ სპენსერი გადმოგვცემს, რომ რიზეს მხარის მუთესელიმის სახლში სტუმრებს ყავასა და ჩიბუხებს აწოდებდა მსახური „ყავეჩი“, რომლის ძირითადი ფუნქცია ყავის მომზადება იყო: „შემდგომ ნათელ და საკმაოდ დიდ ოთახში შეგვიყვანა და დივანზე დაგვევა და ყავეჩის, ანუ მსახურს, რომელიც ყავას ამზადებს, მოატანინა ჩვენთვის თითო ჭიქა ყავა. შევექცეოდით დაუშქრავ, ძალიან მწარე შავ სასმელს და თან ვცდილობდით მთის მაცხოვრებლების შესახებ უფრო მეტი რამ შეგვეტყო. ამასობაში პატარა ჭიქები გამოგვართვეს და გრძელი ჩიბუხები დაგვირიგეს“ (კოხი, სპენსერი, 1981:205).

მომენტებსაც შეიცავდა. ფაშას უფლება ჰქონდა თამბაქოს ბოლი „მიემართა“ როგორც გვერდზე, ასევე წინ, ხელქვეითებს კი მხოლოდ თავს უკან და თან „მცირე ბოლქვებით“ (Козаков, 2006:119). ოსმალური წყაროებიდან ჩანს, რომ ხელმძღვანელთან მოწვევა მაინც გამონაკლის შემთხვევაში ხდებოდა. XIX-XX საუკუნეების თურქ ისტორიკოსს ახმედ რეფიკს თუ დავიმონებთ, უარის თქმა მაშინ, როცა უფროსი უმცროსს შესთავაზებდა თამბაქოს, უფროსის მიმართ უპატივცემუობის გამოხატვად ჩაითვლებოდა, რაც თურქული ტრადიციის მიხედვით დაუშვებელი იყო (Рефик, 1935:37). თუმცა, როგორც ევროპელი მოგზაურები აღნიშნავენ, შვილი მაშინაც ერიდებოდა მამასთან მოწვევას, როდესაც თვით მამა შესთავაზებდა მას ყალიონს ან ჩიბუხს.

ჩიბუხის მოწვევა აღმოსავლელი მოხელის დღის განრიგის „მნიშვნელოვან“ ნაწილს შეადგენდა. ეგვიპტეში, მუჰამედ ალი-ფაშას თანამედროვე სამხედრო დივანის მწერლის სამუშაო დღე დღის 7-8



საათზე იწყებოდა, როდესაც ის ქრისტიანი ან მუსლიმი მსახურის თანხლებით ცხადდებოდა სამსახურში — დივანში. თავის ჭუჭყიან ოთახში შესვლისთანავე, მას ფინჯანი ყავა უნდა დაეღვინა და ჩიბუხი გაებოლებინა. ამ დროს მასთან მნიშვნელოვანი დოკუმენტიც რომ მოეტანათ

ან მთხოვნელი მოსულიყო, ის მაინც არ იჩქარებდა ... იწყებდა ყავის სმას და ჩიბუხის მოწვევას (შარაშენიძე, 2006:35,36).<sup>71</sup>

<sup>71</sup> ამ კონტექსტში, ვფიქრობთ საინტერესოა პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით გამოცემული „სასოფლო გაზეთის“ 1876 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ანონიმი ქობულეთელის საუბარი, რომელიც ოსმალების ბატონობის დროს ყადების სასამართლოზე საუბრობს: „ჩვენ ყველამ თათრული თუ ვიცოდეთ, რაცხას კი გავაგონებთ, მარა არ ვიცით, ზოგიერთმა აღებმა კი იციან, მარა იგინს ვინ კითხავს; თარჯიმანიც კი გვყავს, მაგრამ მაინც ვერაფერი სამართალი კაიმაკამმა ვერ ქნა, ძიავ; მოვა, დაჯდება ბუსავით ოდაში, დაიძახებს: „ბუიურუმო ყადიო ალიებო, ოთურ მენჯლიშო!“ დაჯდება ილაპარაკებენ, ყავეს და თუთუნს სმენ და მერმე ილოცვენ და გათავდა მათი სამართალი“ (ზოიძე, 2002).

გერმანელი ბოტანიკოსი კარლ კოხიცი აღნიშნავდა, რომ აღმოსავლელ კაცს საათობით შეუძლია იჯდეს ჩუმად ტახტზე აბანოში, გააბოლოს ჩიბუხი და ყალიონი და ამით მიიღოს დიდი სიამოვნება, ბოლოს კი ცარიელი ქისით დატოვოს აბანო (კოხი, სპენსერი, 1981:86, 220-221).

ოსმალეთის იმპერიაში ჩიბუხის მონევა დიპლომატიური მოლაპარაკებების დროსაც „აუცილებელ“ რიტუალს წარმოადგენდა. უცხოელი ელჩები ერთგვარი ირონიითაც აღნიშნავდნენ, რომ თურქები მოლაპარაკების პროცესს ხშირად შეგნებულადაც კი აჭიანურებდნენ და ამისთვის სხვადასხვა აპრობირებულ ფორმას იყენებდნენ. როგორც წყაროები მონიშნა, „დროის განვლვის“ ყველაზე გავრცელებული მეთოდი სხდომების დროს შესვენების გამოცხადება და მომლაპარაკებელთათვის ყავისა და თამბაქოს (ყალიონის ან ჩიბუხის) მორთმევა იყო. დიპლომატიური ეტიკეტი უცხოელებს ფაქტობრივად ავალდებულებდა, რომ შეძლებისდაგვარად, არ ეთქვათ უარი მასპინძელთა ასეთ „მოკრძალებულ“ შეთავაზებაზე (White, 1845:32,33). აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკულად XIX საუკუნის დასაწყისამდე, ოსმალური ოფიციალური პროტოკოლის მიხედვით, სტუმრებს მკაცრად განერილი კრიტერიუმებით მასპინძლობდნენ: სტუმარს მასპინძელზე დაბალი რანგით — მიართმევდნენ მხოლოდ ყავას, მასპინძლის თანაბარი რანგის მქონეს — ჩიბუხს, ყავას და ხილის წვენს, უფრო მაღალი რანგისას კი — ჩიბუხს, ყავას, ხილის წვენს, ტკბილეულს და სხვადასხვა სურნელებს (Якушев, 2010;159; Козлов, 2006;119).

რუსეთის იმპერატორის — ნიკოლოზ I-ს ფლიგელ-ადიუტანტი ისაკოვი საკმაოდ დეტალურად აღწერს 1849 წელს პორტაში დიპლომატიურ მიღებაზე ჩიბუხის შეთავაზების რიტუალს: „დიდი დარბაზის იატაკი და კედლებიც მოგებული იყო ხალიჩებით, დივანებითა და სავარძლებით. როგორც კი დავსხედით, გამოჩნდა მსახურთა ჯგუფი ჩიბუხებით, რომლებიც განთავსდნენ სტუმრების გასწვრივ. მსახურებმა ერთდროულად დაალაგეს იატაკზე პატარა ლანგრები და ზედ ჩიბუხები მოათავსეს. ყველა ჩვენგანს მიეცა საშუალება დანაფოდა ძვირფასი თვლებით გაფორმებულ მუნდშტუკებს. შემდეგ მოვსვით ყავა, სამჯერ გამოვუშვით ბოლი ჩიბუხებიდან. ბოლოს ეს ყველაფერი მოხერხებულად ჩამოგვართვეს. ამ მცირეხნიან სიამოვნებაში გამოიხატებოდა მიღების მთელი ეტიკეტი“ (Кудрявцева, 2008:34).

1799-1801 წლებში თურქეთსა და ეგვიპტეში ბრიტანეთის მისიის წევრი, უილიამ ვიტმანი აღნიშნავს, რომ ჩიბუხი თურქი ჯარისკაცის განუყოფელი ატრიბუტი იყო: „თურქ კავალერისტებს მშვილდსატყორცნზე მოხერხებულად აქვთ ჩამოკიდებული ორი ტიკი წყალი, ასევე თამბაქოს მოსანევი ჩიბუხი, რომელიც ჯარისკაცისთვის ნამდვილად წარმოადგენს აუცილებელ ნივთს“ (Витманн, 1804: 140).

საინტერესოა, რომ ბალკანეთის ხალხებში ჩიბუხი ზომის ერთეულად და ერთგვარ „ღირებულების ეკვივალენტადაც“ კი გამოიყენებოდა. გამოთქმა: „არ ღირს ერთ ჩიბუხ თამბაქოდ“ ყველასთვის ნათელს ხდიდა, რომ ესა თუ ის ნივთი (ან თუნდაც არამატერიალური რამ) პრაქტიკულ ღირებულებას მოკლებული იყო. ბოსნიაში მცირე მანძილი ხშირად ერთი ჩიბუხის მოწვეისათვის საჭირო დროით იზომებოდა. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ სერბეთში ჩიბუხს სითხის საზომადაც კი იყენებდნენ.<sup>72</sup>

ჩიბუხების შესახებ საინტერესო ჩანაწერებია დაცული ცნობილი სერბი ენათმეცნიერის, ვუკ კარაჯიჩის ჩერნიგორიულ გამონათქვამთა ნიგნში. მაგალითად: „ქალებმა უნდა იბრძოლონ ჩიბუხით, ხოლო მამაკაცებმა — დანითა და იარაღით“. 1834 წელს გამოცემულ ერთ-ერთ ნაშრომში ვუკ კარაჯიჩი წერდა, რომ ჩერნიგორიაში ჩიბუხის თავში ჩარტყმა მამაკაცის დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. აღნიშნული დანაშაულისთვის დამნაშავეს 50 ოქრო ჯარიმა უნდა გადაეხადა, დამატებით კიდევ 50 ოქრო დაზარალებულს ეკუთვნოდა. უფრო მეტი, იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ადგილზე მოკლავდა შეურაცხმყოფელს, მას პასუხისმგებლობა საერთოდ არ დაეკისრებოდა, რადგან, კონკრეტულ შემთხვევაში, მისი საქციელი ქურდობაზე წასწრებული ადამიანის მოკვლას უტოლდებოდა (Fotić, 2011:97)<sup>73</sup>

<sup>72</sup> ვუკ კარაჯიჩის ცნობით, ქალაქბელგრადის თოფჩი-ბაშმა თავად მილოშის ქალიშვილს ქორწილში 2 ოყისა და 20 ჩიბუხის (liiles) ტევადობის მინის ბოთლით მიართვა ვარდის წყალი (gül suyu) (Fotić, 2011:96).

<sup>73</sup> ბოსნია-ჰერცეგოვინაში ზმნა "čibučiti" (ჩიბუჩიტი) – ერთი მხრივ, ნიშნავდა დროის გატარებას ჩიბუხის მოწვეით, ხოლო მეორე მნიშვნელობა ამ სიტყვისა იყო – ცემა. ფაქტია, რომ ჩიბუხის ზომა ამის „საშუალებას“ იძლეოდა. რუსულ მეტყველებაშიც სიტყვა «отычухица» ნიშნავდა ცემას, ჩიბუხით გალახვას.

ოსმალეთის იმპერიის ევროპული ორიენტაციის შედეგად, ადგილობრივი ნაწარმი ნაკლებად მოთხოვნადი გახდა. ამას დაემატა იმპორტირებულ საქონელზე დაბალი გადასახადები, რის შედეგად ადგილობრივი წარმოების პროდუქციამ (მათ შორის, ჩიბუხებმა) ვერ გაუნია ჯეროვანი კონკურენცია ევროპულ საქონელს.



ხოლო მას შემდეგ, რაც სიგარეტი შემოვიდა აქტიურ ხმარებაში,<sup>74</sup> შეიძლება ითქვას, რომ ჩიბუხის წარმოება პრაქტიკულად შეწყდა. ჩიბუხის ოსტატებმა ყავის ფინჯნების, ლანგრების, დოქების, ლამპების, საშაქრეების, სამელნეებისა

და მუნდშტუკების კეთება დაიწყეს, რომელთა მხატვრულ გაფორმებაში ნათლად იკითხება ნოსტალგია ძველ პროფესიაზე (Khalil, Gusch, 2018:234,235). სამწუხაროდ, ეს ახალი პროდუქციაც, ევროპულ საქონელთან მიმართებით, არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა.

ისევე, როგორც ევროპის სახელმწიფოებში, თურქეთშიც სიგარეტებმა სწრაფად ჩაანაცვლა თამბაქოს მოსაწევი სხვა ტრადიციული საშუალებები (Birdal, 2010:130). არსებული რეალობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ ახალი გადასახადები დაანესა თამბაქოს წარმოებაზე, ხოლო 1873 წელს შექმნა პირველი ოსმალური მონოპოლიური სისტემა "İdarei İnhisarîyeyi Duhan" (Birdal, 2010:130).

XX საუკუნის 30-იანი წლებისათვის „ჩიბუხების ეპოქა“ პრაქტიკულად დასრულდა. რასაკვირველია, დარჩნენ ჩიბუხის ერთგული მწეველები, მაგრამ მათი რიცხვი წლითწლიობით მცირდებოდა. 1921 წელს სტამბოლში ერთადერთი ოსტატი — ომერი ფიქსირდებოდა ჩიბუხის მკეთებლად და ისიც 1928 წელს, სავარაუდოდ, წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნილების არარსებობის გამო, იძულებული გახდა დაეხურა თავისი საწარმო (Bakla, 1985).

<sup>74</sup> 1857 წელს, ყირიმის ომის ვეტერანმა რობერტ პიკოკ გლოადმა პირველი სიგარეტების ქარხანა გახსნა ინგლისის ქალაქ ვოლვორტში. რუსი მკვლევრების აზრით, სიგარეტის (პაპიროსის) შექმნის გლოადისეულ იდეას საფუძველი დაუდეს რუსმა ჯარისკაცებმა ყირიმის ომის დროს, როდესაც მათ თამბაქოს შესახვევად გამოიყენეს დენტის ჩასაყრელი ქალაღის პილზები.

## §11. ოსმალური ჩიბუხების ტიპოლოგია და კლასიფიკაცია

აღმოსავლური ტიპის ჩიბუხები, მათი გავრცელების არეალისა და სიმრავლის მიუხედავად, ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. როგორც აღვნიშნეთ, მათგან განსხვავებით, ევროპული ჩიბუხები გაცილებით ადრე მოექცა მეცნიერთა ინტერესის არეალში და კვლევა ამ მიმართულებით დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

XX საუკუნის მეორე ნახევარის დასაწყისში გამოქვეყნდა შრომები, რომლებიც ეხებოდა ევროპული ჩიბუხების ქრონოლოგიზაციის საკითხებს. ადრიან ოვალდმა და დევიდ ატკინსონმა ჩამოაყალიბეს ჩიბუხების კლასიფიკაციის სქემა სათუთუნე ჯამების ინდივიდუალური ფორმებისა და ჩიბუხების მწარმოებელთა დამლების მიხედვით (Atkinson, Oswald, 1980). საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა ჰქონდა ამერიკელ მკვლევარს ჯეიმს ჰარინგტონს, რომელიც ჩიბუხების კლასიფიკაციის დროს ძირითადად ეყრდნობოდა კვამლის საქაჩი მილის დიამეტრს. მისი დაკვირვებით, რაც უფრო ფართო იყო მილის დიამეტრი, მით უფრო ძველი იყო ჩიბუხი (Harrington, 1954).<sup>1</sup> საქაჩი მილების დიამეტრი იყო, ასევე, ლუის ბინფორდის ქრონოლოგიური თეორიის ამოსავალი წერტილი (Jagielski, 2010:2; McMillan, 2010:17).<sup>2</sup>

რაც შეეხება აღმოსავლურ ჩიბუხებს, უნდა ვაღიაროთ, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ევროპელი მეცნიერების მიერ აღმოსავლური ჩიბუხების ტიპოლოგიის მცდელობა არ ყოფილა. არქეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, აღმოსავლური თიხის ჩიბუხების ქრონოლოგიზაცია გართულებული იყო იმ გარემოებითაც, რომ ისინი ნაკლებად ფიქსირდება (და დღესაც იშვიათად ჩნდება) დახურულ კომპლექსებში, უფრო ხშირად ეს არტეფაქტები განთავსებულია საკმაოდ

<sup>1</sup> ევროპელ მეცნიერთა სხვა ნაშრომებში აქცენტი კეთდებოდა სათუთუნე ჯამის შიდა დიამეტრზეც. დადგინდა, რომ ჩიბუხების ეს პარამეტრიც, ზრდის ტენდენციით, იცვლებოდა ყოველი 20-30 წლის ინტერვალში (Malios, 2005:90).

<sup>2</sup> მოსაზრება, რომ ევროპული ჩიბუხების ადრეული ნიმუშების კლასიფიცირება შესაძლებელი იყო საქაჩი მილის დიამეტრის მიხედვით, არ გამოდგა მყარი. მოგვიანო გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ეს მიდგომა გამართლებული იყო მხოლოდ XVIII საუკუნით დათარიღებული ნიმუშებისათვის (Oswald, 1975:32-92).

ვრცელ ტერიტორიაზე, ზოგ შემთხვევაში გვხვდება სანიტარიული მიზნით სპეციალურად ამოხრილ სანაგვე ორმოებშიც კი.

ერთ-ერთი პირველი სერიოზული მცდელობა აღმოსავლური (ოსმალური) თიხის ჩიბუხების კლასიფიცირებისა, ბულგარელი მკვლევრების სახელს უკავშირდება (Станчева, Медарова, 1968; Станчева, 1972; Хараламбиева, 1986)<sup>3</sup>. ისინი ჩიბუხების კლასიფიცირების დროს ძირითად აქცენტს აკეთებდნენ თიხის ფერსა და ჩიბუხის ე.წ. „ფასონზე“, ხოლო ფასონების სტილის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად ხაზს უკავშირებდნენ ჩიბუხის ოსტატთა მიზანმიმართულ მცდელობას, ყვავილის (ტიტა, ნარცისი, შროშანი, ლოტოსი) ფორმა მიეცათ ნაკეთობისთვის<sup>4</sup>. აქედან გამომდინარე, ბულგარელი მკვლევრები ცალკეული ჩიბუხის ფორმას ან დეტალს<sup>5</sup>, მსგავსების კვალობაზე, კონკრეტული ყვავილის სახელით მოიხსენიებდნენ (Khalil, Gusach, 2018:241-242).<sup>6</sup>

<sup>3</sup> ბულგარელი მეცნიერების გამორჩეული ინტერესი აღნიშნული არტიფაქტების მიმართ იმითაც იყო განპირობებული, რომ აღმოსავლური ჩიბუხები მრავლად იყო აღმოჩენილი ადგილობრივ მატერიალური კულტურის ძეგლებზე. ბულგარელი მკვლევრები თლიდნენ, რომ სოფიაში, სერდიკში, ველიკო ტირნოვოში, პროვადიაში და სხვა ბულგარულ ქალაქებში ნანახი ჩიბუხების უმეტესი ნაწილი არა იმპორტირებული (თუნდაც, ოსმალეთის იმპერიის სხვა რეგიონებიდან), არამედ ადგილობრივი წარმოიქმნა.

<sup>4</sup> ამ „მცდელობას“ თავისი ახსნა ეძებნება. მაგალითად, მუსლიმანურ რელიგიურ ტრადიციაში ტიტა ასოცირდება ღმერთის სახელთან. არაბულ გრაფიკაში ტიტას სახელი „ლალე“ იგივე ასოებით იწერება, როგორც „ალაპი“ (ერთი „ალიფი“, ორი „ლამი“ და ერთი „ხა“), რაც ხალხში აღიქმებოდა მათ შორის ერთგვარი მისტიკური კავშირის გამოხატულებად. თემასთან კონტექსტში შეგახსენებთ, რომ ოსმალეთის ისტორიაში ცნობილია ე.წ. ტიტების ეპოქაც (Lâle Devri). ეს სახელი უკავშირდება სულთან ახმედ III-ს მმართველობის II პერიოდში (1718-1730წწ.) ტიტების გაშენების მოდის გავრცელებას. ნიშანდობლივია, რომ ოსმალეთში სწორედ ამ ეპოქაში დაიწყო დასავლური ღირებულებების კენ სწრაფვა.

<sup>5</sup> მაგალითად: რუსი მკვლევრების ნაშრომებში ჩიბუხების ტანის გასაფორმებლად გამოყვანილი ვიწრო ვერტიკალური კანელურები შედარებულია ქრიზანთემის ან ლოტოსის ფურცლებთან (Гусач, 2016).

<sup>6</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ ბულგარელმა მკვლევრებმა ჩიბუხების ფორმებისა თუ ცალკეული დეტალის აღწერისას სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე შემოიტანეს გეომეტრიულ ტერმინებზე (კონუსი, ელიფსი, პრიზმა, ცილინდრი, სფერო, მართკუთხედი, სამკუთხედი და ა.შ.) დაფუძნებული სახელებიც (Станчева, 1972; Хараламбиева, 1986).

ინგლისელმა მეცნიერმა ჯონ ჰეისმა, სარაჩანში (სტამბოლი) აღმოჩენილი ჩიბუხების კვლევის შედეგად, გამოყო აღმოსავლური ჩიბუხების რამდენიმე ჯგუფი და ტიპი, განსაზღვრა მათი დამზადების ქრონოლოგიური ჩარჩოები და წარმოადგინა აღნიშნულ ნაკეთობათა ე.წ. „წინასწარი ტიპოლოგია“ (Hayes, 1980). ჯ. ჰეისმა სარაჩანში აღმოჩენილი თიხის ჩიბუხები XVII-XIX საუკუნეებით დაათარილა, 5 ძირითად ჯგუფში გააერთიანა და 27 ტიპად დაჰყო (Hayes, 1980:3-11). ჯ. ჰეისის მცირე მოცულობის, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვან გამოკვლევაში, აღმოსავლური ჩიბუხების სათუთუნე ჯამების ძირითად და განმსაზღვრელ პარამეტრებთან ერთად, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საჩიბუხე თიხის ფერზე. ჯ. ჰეისმა ადრეულ ტიპებში (XVII საუკუნე-XVIII საუკუნის დასაწყისი) მოაქცია თხელკედლიანი ღია რუხი ფერის ჩიბუხები, მომდევნო ეპოქაში (XIX საუკუნემდე) — მონითალო ნიმუშები. დაბოლოს, XX საუკუნეში, მკვლევარმა გააერთიანა გაპრიალებული მონითალო ჩიბუხები (მწარმოებლის მიმანიშნებელი დამლ-ით) და იმპორტული ნაკეთობები.

აღმოსავლური ჩიბუხების შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკელმა მეცნიერმა რებეკა რობინსონმა (Robinson, 1983, 1985), რომელმაც საბერძნეთის ძეგლებზე — კერამიკოსში, კორინთოსა და ათენის აგორაზე აღმოჩენილი თიხის ჩიბუხების დეტალური ანალიზის საფუძველზე, სცადა აღმოსავლური ჩიბუხების ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური დიფერენციაცია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ძეგლებზე ჩიბუხების შემცველი კულტურული ფენები არ იძლეოდა საშუალებას ფენათა სტრატიგრაფიაზე დაკვირვებისა, ჩიბუხის ჯამების ფორმის, ზომებისა და გაფორმების საფუძველზე, რობინსონმა საგულისხმო დასკვნები ჩამოაყალიბა. მკვლევარმა აღნიშნა, რომ ათენსა და კორინთოში აღმოჩენილი ჩიბუხების ფორმები, ისევე, როგორც მათი ანალოგები თურქეთიდან, ეგვიპტიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, სირიიდან თუ ლიბანიდან, XVII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის ჩათვლით, დინამიკურად იცვლება და ეს ევოლუციური პროცესი უშუალო კავშირშია აღმოსავლეთში დასავლური კულტურული გავლენების დამკვიდრებასთან (Robinson, 1983). კორინთოს, კერამიკოსისა და ათენის აგორას მასალების მიხედვით, რობინსონი გამოყოფს აღმოსავლური ჩიბუხების რამდენიმე ჯგუფს: მომრგვალებული, დისკოსებრი და შროშანის ყვავილის ფორმის ჯა-

მით. რებეკა რობინსონის დაკვირვებით, შროშანის ფორმის ჩიბუხები XIX საუკუნიდან ჩნდება, ხოლო მრგვალი და დისკოსებრი ფორმის ნიმუშები თანაარსებობდნენ XVII საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით (Robinson, 1985:161). ჩიბუხების ზომებთან დაკავშირებით, რობინსონმა ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ჩიბუხის ჯამების მოცულობის ზრდა პირდაპირ კავშირში იყო მსოფლიო ბაზარზე თამბაქოს გაიაფებასთან და ხელმისაწვდომობასთან.<sup>7</sup>

ჯონ ჰეისისა და რებეკა რობინსონის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით და კვიპროსში აღმოჩენილ ჩიბუხების ანალიზის საფუძველზე, ამერიკელმა არქეოლოგმა უზი ბარამმა შეიმუშავა ახალი ტიპოლოგიური სქემა და ჩიბუხები დააჯგუფა ფორმის, ფერის, ჯამის, ტარის შიდა დიამეტრისა და მწარმოებლის დამლის მიხედვით (Baram, 1995:299-309). უზი ბარამმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ XVII საუკუნის ჩიბუხებისათვის დამახასიათებელია თეთრი და რუხი ფერი, პატარა ჯამები, წაგრძელებული ღერო რგოლის ან კონუსის ფორმის ბოლოთი. ამერიკელი მკვლევრის საინტერესო დაკვირვებით, ჩიბუხთა ადრეულ ნიმუშებზე ჯამისა და ტარის შეერთების კუთხე იდაყვის ფორმას ჩამოჰგავს და 90° ან მეტს შეადგენს (Baram, 1955; 2000:153).

ვლადისლავ ტოდოროვმა სილისტრას (ბულგარეთი) მასალების მიხედვით ოსმალური ჩიბუხების 14 ტიპი გამოყო. ის თვლის, რომ ჩიბუხების ტიპებად დაყოფა უნდა ეფუძნებოდეს ორი არსებითი დეტალის: ჯამის და ტანის (ყელის) კონფიგურაციას. ჩიბუხის ტარის და გვირგვინის ფორმა, მკვლევრის აზრით, შეიძლება გამოყენებული იყოს ქვეტიპების განსაზღვრისთვის, ხოლო გაფორმება (ორნამენტიც) — დამატებითი ვარიანტების გამოყოფისთვის (Тодоров, 2010:813).

თურქი ეთნოგრაფი ჰუსეინ კოჯაბაში ადრეული აღმოსავლური ჩიბუხების დახასიათებისას ხაზს უსვამს ამ პერიოდის სათუთუნე ჯამების თხელკედლიანობას და თიხის თეთრ და ნაცრისფერ შეფერილ-

<sup>7</sup> რებეკა რობინსონის ეს მოსაზრება გაიზიარეს სხვა ევროპელმა მკვლევრებმაც (Simpson, 2011:83). XVIII-XIX საუკუნეებში, ჩიბუხების ჯამის მოცულობის ზრდის კვალობაზე, ნაკლებად აქტუალური ხდება მათი გაფორმების თემა, რაც თვალწინააღმდეგობას ქმნის რაოდენობრივ მაჩვენებელზე აქცენტის გადატანას.

ობას.<sup>8</sup> მისი დაკვირვებით, XVIII საუკუნის ჩიბუხებში აქცენტი კეთდება უფრო ნითელ (ან მონითალო) ფერზე, კვლავ თხელკედლიანობასა და ზედაპირის გაპრიალების პრაქტიკაზე. ჰუსეინ კოჯაბაშის აზრით, შედარებით ზერელედ გაპრიალებული ჩიბუხები ერთგვარი ნინამორბედებია XIX საუკუნის ნითელი და კარგად გაპრიალებული ნიმუშებისა (Kocabaş, 1963).

ოსმალური ჩიბუხების კლასიფიკაციის საკუთარი ვერსია შეგვეთავაზა ჯონ ჰამფრიმ. საბერძნეთის კუნძულ ლესბოსის მასალების საფუძველზე, მან ჩიბუხების 7 ტიპი გამოჰყო, ხოლო თითოეულ ტიპში გაერთიანებული ნიმუშები აღწერა სათუთუნე ჯამების გეომეტრიული ფორმების მიხედვით (Humphrey, 1990).

ფილიპ გოსემ, მარსელთან ახლოს აღმოჩენილი ოსმალური ჩიბუხები, სათუთუნე ჯამების ფორმის მიხედვით, დაჰყო ბერძნულ, თურქულ, სირიულ, ეგვიპტურ და ბალკანურ ტიპებად, ხოლო თითოეულ მათგანში 5 ქვეტიპი (A-E) გამოჰყო (Gosse, 2007).

რუსმა მკვლევარმა იგორ ვოლკოვმა, მოსკოვში აღმოჩენილი ოსმალური ჩიბუხების დამზადების თარიღისა და ადგილის განსაზღვრისთვის, უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა ჩიბუხების შესწავლა არა ზოგადი პარამეტრების (ჩიბუხების დეტალების მორფოლოგიური მახასიათებლების აღწერის სირთულის გამო) საფუძველზე, არამედ ფასონების (ტიტას ფორმის, ტიტასმაგვარი, ნარცისი, ნახევრადნარცისი, ტახტა-ჩიბუხი და ა.შ.) მიხედვით (Волков, 1969).

თურქმა მკვლევარმა გულბენ აიჰანმა საფუძვლიანად შეისწავლა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლური ჩიბუხები (გამორჩეულად ქალაქ სმირნის მასალები). მკვლევარმა, ჩიბუხების ჯამების კონსტრუქციული თავისებურებების დეტალური ანალიზის კვალობაზე, შვიდი ტიპი გამოჰყო და ორიგინალურად წარმოაჩინა მათი ევოლუციის სურათი (Ayhan, 2009).

<sup>8</sup> აქვე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სოფიაში, ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ მთავარ ქალაქში, სადაც ჯერ კიდევ XVII საუკუნის პირველ ათწლეულში ფიქსირდება ჩიბუხების ოსტატთა გილდია, ღია ან მონაცრისფრო ჩიბუხებს საერთოდ არ ამზადებდნენ (Станчева. Медарова, 1968: 9).

რუსმა მკვლევარმა ირინა გუსაჩმა აზაკის ციხესიმაგრეში აღმოჩენილი ჩიბუხები დაჰყო კეცის ფერის მიხედვით (თეთრი, რუხი, ყავისფერი, წითელი, შავი) და თითოეულ მათგანში, ჯამების კონსტრუქციული თავისებურებების მიხედვით, გამოჰყო ტიპური ჯგუფები და ქვეჯგუფები (Гусац, 2016).

მოკლედ რომ მიმოვიხილოთ XVII-XX საუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხების ძირითადი მახასიათებლები, ასეთ სურათს ვაკვირდებით: XVII საუკუნეში, განსაკუთრებით, პირველ ნახევარში, ოსმალური ჩიბუხების მხოლოდ რამდენიმე ტიპის გამოყოფა შეიძლება. მათ უმეტესობას საქაჩი მილის შესაერთებელი ნაზარდი (ტარი) ოდნავ წაგრძელებული აქვს (Ward, Baram, 2006). ადრეულ ჩიბუხებს არ გააჩნიათ ტარის ჯამთან მიერთების ადგილას, კორპუსის ქვემოთ, ერთგვარი კილი და თუთუნის ჩასაყრელი ჯამის მილთან მიერთების ადგილას გამოკვეთილი ფორმის რელიეფური ფიგურა. ორივე ეს დეტალი დასტურდება XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისის ნიმუშებზე და დამახასიათებელი ნიშანი ხდება (თუმცა ფიგურის სახეცვლილებით: ხან ბრტყელი, ხან დაკუთხული) ჩიბუხების წარმოების ბოლო პერიოდამდე (Khalil, Gusach, 2018:23). XVII საუკუნის ოსმალური ჩიბუხებისთვის შედარებით ნაკლებად არის დამახასიათებელი დამამზადებელთა აღმნიშვნელი დამლები და მონოგრამები (Hayes, 1980:5).<sup>9</sup> XVII საუკუნის ჩიბუხები შედარებით ღია ფერის (თეთრი, რუხი, მოყვითალო, ღია ყავისფერი) თიხისგან არის ნაძერწი. ასეთი შეფერილობის ჩიბუხები XVII საუკუნის ბოლოსკენ შეიცვალა მონითალო ფერის ნიმუშებით (Robinson, 1983:266, Bouzigard, 2010). ჩიბუხების ჯამები მოგვიანო ნიმუშებთან შედარებით ჯერ კიდევ თხელკედლიანია, თან პატარა ზომისაა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ადრეულ ეტაპზე თამბაქოს სიძვირით აიხსნება (Robinson, 1985:153). ამ ეპოქის ჩიბუხებისთვის დამახასიათებელია ტარის შიდა ხვრელის მცირე დიამეტრი. ჯამის და ტარის შეერთების კუთხე კი 90°-ან მეტია; აღმოსავლური ჩიბუხების ადრეულ ნიმუშებზე ასევე არ დასტურდება ჯამის პირის დეკორირების შემთხვევები (Simpson, 2000).

<sup>9</sup> პუსეინ კოჯაბაშს ჩიბუხების ადრეული ტიპები, მათზე დატანილი საამქროს თუ ოსტატის აღმნიშვნელი დამლების მიხედვით, XVII საუკუნის შემდგომი პერიოდით აქვს დათარიღებული (Kocabaş, 1963). ოსტატის დამლები არ დასტურდება აზაკის ციხის თეთრკეციან ადრეული ხანის ჩიბუხებზეც (Khalil, Gusach, 2018:241).

XVII საუკუნის ჩიბუხების საქაჩი მილის ხვრელის დიამეტრი შედარებით ვიწროა (როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის აქტიურად გამოყენებული გრძელი კვამლის საქაჩი მილით განყოფილი ჩიბუხები), შემკულობაც ზომიერია — ძირითადად გაფორმებულია არა იმდენად ჩიბუხის ჯამები, არამედ მოკლე და საშუალო სიგრძის ტარების შესქელებული დაბოლოებები (გვირგვინები) (Simpson, 2000).

XVIII საუკუნის ოსმალური ჩიბუხები გამოირჩევა ფორმათა მრავალგვარობით, შეფერილობის მხრივ არის ტენდენცია მიწის ფერებისკენ (ყავისფერი, მონითალო-მოყავისფრო). სათუთუნე ჯამები ძირითადად საშუალო ზომისაა: მომრგვალებული, ცილინდრისებური და დისკოსებური ფორმის. ჯამები ჯერჯერობით კვლავ თხელკედლიანია. XVIII საუკუნის მანძილზე ჯამები ზომაში იზრდება, მრავალფეროვნდება ორნამენტიც. XVIII საუკუნის უმეტეს ნიმუშზე მონოგრამაა დატანილი. ტარი უფრო ხშირად ბოლოვდება რგოლისებრი ან კონუსისებრი გვირგვინით; ჩიბუხის ტარის ღრუს დიამეტრი 1,5 მილიმეტრამდეა. კილი ჯამის ძირზე გამოკვეთილია.<sup>10</sup> მკვლევართა აზრით, ამ ეპოქის ჩიბუხები შედარებით მარტივად იყო დამზადებული და უფრო ხელმისაწვდომი იყო მცირე შეძლების მომხმარებლისთვისაც.

XIX საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ჩიბუხებში უფრო მეტად წარმოდგენილია მონითალო-მოყავისფრო შეფერილობის ნიმუშები, მომრგვალებული ან დისკოსებური ფორმის სათუთუნე ჯამებით. XIX საუკუნის შუა ხანის ჩიბუხთა უმეტესობის ზედაპირი გაპრიანებულია, ნაკლებად კეთდება აქცენტი კონსტრუქციულ დეტალებზე ან დეკორატიულ მოტივებზე. აღნიშნული პერიოდის მასალაში აშკარად ქარბობს შროშანის ყვავილის ფორმის ჩიბუხები, რომლებიც დამლებით და მონოგრამებით არის გაფორმებული.

XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება თიხის ჩიბუხების ერთგვარი სტანდარტიზაცია (Ward, Baram, 2006; Findik, 2016:375). ამ პერიოდის ჩიბუხები, განსხვავებით წინა ეპოქის ნიმუშებისგან, შედარებით დიდი ზომისაა. მათი უმეტესობა შროშანის ან ტიტას ყვავილის ფორმისაა,

<sup>10</sup> რებეკა რობინსონის დაკვირვებით, XVIII-XIX საუკუნეებში აღმოსავლური ჩიბუხების ჯამის კილი ხან ბრტყელდებოდა, ხან მახვილი კუთხით იძერწებოდა, ხან ფართოვდებოდა, ხან კიდევ საერთოდ ქრებოდა (Robinson, 1985:161).

თიხა უფრო მონითალო-მოყავისფრო შეფერილობისაა, დიდი ნაწილი შემკულია ჩიბუხის მკეთებელ ოსტატთა სახელების ან კონკრეტული სახელოსნოს აღმნიშვნელი დამლებით.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ყალიბდება ჩიბუხების უფრო მარტივი ფორმები, რაც ძირითადად მათზე მოთხოვნების გაზრდით იყო განპირობებული (Baram, 2006). აღნიშნულ პერიოდში უფრო სჭარბობს ნითელკეციანი და ყავისფერკეციანი ჩიბუხები. სათუთუნე ჯამის ზომით ისინი გაცილებით დიდია წინა საუკუნეების ნიმუშებთან შედარებით.

როგორც უახლესი არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, ოსმალეთის ვრცელი იმპერიის ცალკეულ რეგიონში ორიგინალური ფორმის ჩიბუხებსაც ამზადებდნენ. ზოგ შემთხვევაში მათი ფორმისა და დეკორის მიხედვით რთულია ლოკალური თავისებურების განსაზღვრა. ხორვატიელი მკვლევრის ლუკა ბეკიჩის ცნობით, მის სამშობლოში — ხორვატიაში, სადაც არ დასტურდება ტრადიცია მცირე ზომის თიხის ან ხის ნაკეთობების დამზადებისა, ადგილობრივი ოსტატები თიხის ჩიბუხებს აკეთებდნენ სხვადასხვა ქვეყნის (თურქების, იტალიელების, ფრანგების, ავსტრიელების) ჯარისკაცების და მოგზაურების ჩიბუხების ფორმების მიბაძვით. ალბათ ამიტომ, ხორვატიული ჩიბუხების სათუთუნე ჯამები ჩამოჰგავს მოგვიანო პერიოდის თურქულ ნიმუშებს, დეკორატიული მოტივი — იტალიურს, ხოლო ჯამის პირი — თურქულ და ავსტრო-უნგრულ ნაკეთობებს (Bekic, 2001).



ჩიბუხის ფორმების დინამიური ცვლილების კვალდაკვალ, არსებობას განაგრძობდა კლასიკური ფორმებიც. ამდენად, მათი დათარიღების დროს უფრო დეტალური ანალიზია საჭირო. კრიტიკულად უნდა მივეუდგეთ ჩიბუხებზე აღბეჭდილ დამლებსა და მონოგრამებს.

ზოგ შემთხვევაში ჩიბუხზე დატანილი მონოგრამა არ ნიშნავს, რომ ჩიბუხი კონკრეტული ოსტატის მოღვაწეობის პერიოდში იყო დამზადებული. მაგალითად, ჩიბუხის ცნობილი ოსტატი ფუშე მუშაობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის პირველ ათწლეულამდე, თუმცა მონოგრამა "Foucher Constantinople" გამოიყენებოდა

XX საუკუნის დასაწყისამდეც. თურქი მკვლევრები მიუთითებენ, რომ ჩიბუხის სხვა ოსტატის — ჰუსნის მონოგრამა გამოიყენებოდა ოსტატის მიერ საწარმოს დახურვიდან 60 წლის შემდეგაც კი (Haan, 2005). შეიძლება ითქვას, რომ ეს გარემოება ხელშემშლელიც კი აღმოჩნდა დამზადების ადგილის მიხედვით ჩიბუხების კლასიფიცირებისათვის, რადგან დამლის და მონოგრამის დატანის მარტივი ტექნიკა ნებისმიერ ნაკეთობაზე პოპულარული ნიშნის კოპირების საშუალებას იძლეოდა (Спиридонова, Рубан, 2004). ამიტომ ჩათვალეს რუსმა მკვლევრებმა უფრო მართებულად ჩიბუხების კლასიფიცირება არა დამზადების ადგილის, არამედ უფრო მყარი მახასიათებლის — „ფასონის“ და თანმხლები ორნამენტის მიხედვით (Волков, Новикова, 1996:134-141).

აღმოსავლური თიხის ჩიბუხების კვლევის პროცესში გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის ბევრი საინტერესო საკითხის გარკვევა არის შესაძლებელი. მხედველობაში გვაქვს როგორც რეგიონებს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, ასევე, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ყოფა-ცხოვრებასთან და კულტურულ ტრადიციებთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება აღმოსავლური ჩიბუხების კლასიფიკაციასა და ტიპოლოგიას, ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ სრულფასოვანი კვლევისთვის აუცილებელია ამ ტიპის ნაკეთობების რეგონალური ნაირსახეობების დეტალური შესწავლა,<sup>11</sup> ჩიბუხების დასამზადებლად გამოყენებული თიხების ქიმიურ-პეტროგრაფიული ანალიზი<sup>12</sup> და აღნიშნული არტეფაქტების შემცველი, თუნდაც ერთეული, მაგრამ კარგად დათარიღებული კომპლექსების სამეცნიერო ბრუნვაში დროულად შემოტანა (Baram, 2000:152).

<sup>11</sup> ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ახალი არტეფაქტების გამოჩენის კვალობაზე, ამ განცხადების მატერიალური საფუძველი დღითიდღე მყარდება. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ჩვენთან ჯერჯერობით არ იკვეთება ოსმალური ჩიბუხების ადგილობრივი ვარიანტები (თუ არ ჩავლით ორიოდ უხეშად ნაძერწ და ზერელედ გამომწვარ ნიმუშს აღმოჩენის ადგილის მითითების გარეშე). აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას საქართველოში ევროპული ტიპის ჩიბუხების აღმოჩენის თაობაზე.

<sup>12</sup> რუსი მკვლევარი იგორ ვოლკოვი უპირატესობას სპექტრალურ ანალიზს ანიჭებს. ის თვლის, რომ პეტროგრაფიული ანალიზი სასურველი შედეგის მომცემი არ არის, რადგან ყალიბში ჩასაპრესად გამზადებული თიხის მასა, დამუშავების (გარეცხვის, გაფილტვრის, გამოშრობის) შემდეგ, ანალიზისთვის პრაქტიკულად უვარგისია, რადგან მინარევების გარეშეა წარმოდგენილი (Волков, 2010).

## §12. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ოსმალური ჩიბუხები

ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ, როგორც ევროპაში, ასევე, აღმოსავლეთის ქვეყნებში, თამბაქოს ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მომხმარებლებად სამხედრო მოსამსახურეები გვევლინებიან. გამონაკლისი არც ოსმალეთის ვრცელი იმპერიის ჯარისკაცები იყვნენ, რასაც თვალნათლივ მონშობს მათი ძირითადი დისლოკაციის ადგილებში — ციხესიმაგრეებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. ერთ-ერთ ასეთ სტრატეგიულ ობიექტს, სადაც უხვადაა მიკვლეული გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის ოსმალური თიხის ჩიბუხები, გონიო-აფსაროსის ციხე წარმოადგენს.

გონიო-აფსაროსის ციხეში ოსმალთა „მოღვაწეობის“ ხანა, ცალკეული წლების გამოკლებით — 1547-1878 წლებია. ჩვენი აზრით, სწორედ ამ ქრონოლოგიური ჩარჩოების უბრალო კალკირებამ ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ოსმალური ჩიბუხების გავრცელების ქვედა თარიღის არასწორ ინტერპრეტაციას დაუდო სათავე. ოსმალური თიხის ჩიბუხები ქართველი მკვლევრების მიერ XVI-XIX საუკუნეებით არის დათარიღებული (ჯანდიერი, 1974; არჩვაძე, 1974; ჩხაიძე, 1982).

ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს გამოჩენის დროისა და წინაპირობის შესახებ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ევროპელ მოგზაურთა ცნობებით, ოსმალეთის ისტორიის მკვლევართა დასკვნებით და არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, ოსმალეთში თამბაქოს კულტურის შემოტანა-გავრცელება XVII საუკუნის პირველ ნახევარში ივარაუდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართველი მკვლევრები ფაქტობრივად იზიარებენ ვერსიას როგორც თამბაქოს, ისე აღმოსავლური თიხის ჩიბუხების საქართველოში ოსმალეთიდან გავრცელების შესახებ, მაშინ, საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია მცდელობა, რომ საქართველოში მიკვლეული აღმოსავლური ჩიბუხების ყველაზე ადრეული ნიმუშებიც კი XVI საუკუნით დავათარილოთ. მიუხედავად ამისა, თემის აქტულობიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით, დამატებითი დოკუმენტური და არქეოლოგიური მასალის მოშველიებით, უფრო დავაზუსტოდ ეს თარიღი და ჩვენთვის საინტერესო საკითხებსაც დაუუკავშიროთ.

თურქი ისტორიკოსის — იბრაჰიმ ფეჩევის თანახმად, თამბაქო თურქეთში 1600-1601 წელს (ჰიჯრით 1009 წ.) შემოიტანეს. თურქი ისტორიკოსი ნაიმი ამ თარიღს 1606 წლით აზუსტებს. ანონიმი ინგლისელი მოგზაურის ცნობით, რომელიც 1610 წელს სტამბოლს სტუმრობდა, თამბაქოს მოწვევა იქ „რამდენიმე წლის წინ იყო დაწყებული“ (Рагозин, 1871:20-21). მისთვის ცნობილ ოსმალურ წყაროებზე დაყრდნობით, ფონ ჰამერი თურქეთში თამბაქოს შემოტანის თარიღად 1605 წელს ასახელებს (Hammer, 1829:380). 1605 წელი მიაჩნია მისაღებად რებეკა რობინსონსაც (Robinson, 1985:151). ჯონ ჰეისი თურქეთში თამბაქოს ყველაზე ადრეულ იმპორტს XVII საუკუნის დასაწყისს უკავშირებს (Hayes, 1980:3).<sup>1</sup> თამბაქოს შემოტანის ირანულ გზაზე თუ ვისაუბრებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ირანულ წყაროებში პირველი ცნობა თამბაქოს მოხმარების თაობაზე XVII საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული (Ахмедов 1992:79; Süngü, 2014:71).

ჩვენ გარკვეული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოსმალური ჩიბუხები საქართველოს ტერიტორიაზე XVII საუკუნის პირველ ათწლეულებშიც ვერ უნდა მოხვედრილიყო. შეგახსენებთ, რომ პირველ ხანებში თურქეთში, ისევე, როგორც სხვა ევროპულ თუ აღმოსავლურ ქვეყნებში, თამბაქოს იმპორტი არ ითვალისწინებდა მის მოხმარებას, როგორც მოსაწვევი, ან საყნოსი საშუალებისა. თურქი ისტორიკოსი ახმედ რეფიკი მიუთითებს, რომ პირველად თამბაქო თურქეთში შემოვიდა, როგორც სამკურნალო საშუალება (Bakla, 1985). პრაქტიკულად, იგივეს ამტკიცებს იბრაჰიმ ფეჩევიც (Литература востока. 1996:244).<sup>2</sup> მოგვიანო პერიოდში კი თამბაქოს შემოტანა იმ მოცულობით ხდებოდა, რომ ის არ შეიძლებოდა ფართო მოხმარების საგანი ყოფილიყო. სავარაუდოდ, ის უფრო ოსმალური საზოგადოების ელიტური ნაწილ-

<sup>1</sup> ჯ. ჰეისის ინფორმაციით, სარაჩანში გათხრების დროს, სადაც მოხერხდა ადრეული ოსმალური პერიოდის უძრავი ფენის (XV საუკუნე-XVI საუკუნის დასასრული) გამოყოფა, აღმოსავლური თიხის ჩიბუხის ერთი ნიმუშიც არ ყოფილა აღმოჩენილი, მაშინ, როდესაც XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღებულ ფენაში ეს არტეფაქტები ათასზე მეტი ერთეულით იყო წარმოდგენილი (Hayes, 1980:3).

<sup>2</sup> ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს, მაგრამ ბალიკჰანელი ნაზირი ალი რიზა ბეი ნაშრომში „ერთხელ სტამბოლში“ ("Bir zamanlar Istanbul") აღნიშნავს, რომ თამბაქო ოსმალეთში 1687 წელს შემოვიდა, როგორც სამკურნალო საშუალება და პოპულარული გახდა მხოლოდ 1715 წელს (Gamm, 2014).

ის, ე.წ. „ახალი მოდის მიმდევართა“ გატაცების საგანს წარმოადგენდა. ამ მოსაზრებას ამყარებს თიხის ჩიბუხების ანალიზიც, რომლის მიხედვით, თვალსაჩინოა ადრეული ნიმუშების სათუთუნე ჯამების მცირე ზომები მოგვიანო პერიოდის ჩიბუხებთან შედარებით, რაც, მკვლევართა აზრით, განპირობებული იყო თამბაქოს ნედლეულის სიძვირით, შესაბამისად, თამბაქოს იმპორტის შეზღუდული მოცულობით (Duco, 1980, Walker, 1967).

შესაძლოა, აღმოსავლური თიხის ჩიბუხების გავრცელების სანყისი თარიღის — XVI საუკუნის დამკვიდრება განაპირობა ბულგარელი მკვლევრის — მაგდალინა სტანჩევას მიერ, თავის დროზე, საბჭოთა ეპოქის მკვლევრებისათვის ყველაზე ხელმისაწვდომმა გამოკვლევამ ვარნის მუზეუმში დაცული თიხის ჩიბუხების შესახებ (Станчева, 1972). ბულგარეთში ჩიბუხების გამოჩენის სანყისი თარიღის განსაზღვრის დროს, სტანჩევა ეყრდნობა ისტორიულ წყაროს, სადაც შემონახულია ცნობა იმის თაობაზე, რომ სოფიაში, ოსმალეთის იმპერიის მნიშვნელობით მეორე ქალაქში, 1604 წლისათვის თიხის ჩიბუხების მკეთებელთა საამქრო არსებობდა. მკვლევრის აზრით, საამქროს შექმნას წინ უძღოდა შედარებით მცირე მასშტაბის კუსტარული წარმოება, რომლის ფუნქციონირება XVI საუკუნეში უნდა იყოს სავარაუდებელი. პრაქტიკულად, ნაშრომში მოტანილ ვარნის მუზეუმში დაცულ ვერც ერთ თიხის ჩიბუხს მკვლევრები ვერ ათარიღებენ XVI საუკუნით. XVI საუკუნით დათარიღებულ ჩიბუხებს ვერ ვხვდებით როგორც სტანჩევას ჩვენთვის ცნობილ ნაშრომებში (Станчева, 1968; Станчева, Медарова, 1968; Станчева, Николова, 1989), ასევე სხვა ბულგარელ მკვლევართა პუბლიკაციებში, სადაც სოფიის, ვარნის, ველიკო ტირნოვოსა და სერდიკის მასალებია განხილული (Илчева, 1975, Хараламбиева, 1986). XVII საუკუნით არის დათარიღებული რუმინეთში ქალაქ იასში აღმოჩენილი ყველაზე ადრეული თიხის ჩიბუხები (Andronic, 1967). უნგრეთში, ქალაქ ეგერის გათხრების დროს აღმოჩენილი თურქული ჩიბუხების ადრეული ნიმუშები, ბელა კოვაჩის მიერ XVI საუკუნის ბოლოთი თარიღდება, თუმცა, მკვლევრისავე განმარტებით, დოკუმენტური მასალა აღმოჩენის ადგილისა და პირობების შესახებ განადგურებულია და მისი თარიღი მხოლოდ ორნამენტაციის ანალიზზე და უნგრულ ეთნოგრაფიულ მასალაზე იყო დაფუძნებული (Kovács, 1963). ბოლო წლებში გამოქვეყნებულ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ნაშრომებში, უნგრეთში ოსმალური ტიპის ჩიბუხების დამზადების

საწყის თარიღად XVII საუკუნე არის მიჩნეული. (Kovács, 2004). ძველი მოსკოვის გათხრების დროს აღმოჩენილი ოსმალური ჩიბუხები რუსი მკვლევრების მიერ ძირითადად XVIII საუკუნით დათარიღებულ ფენებშია აღმოჩენილი (Рабинович, 1947:72-73; Рабинович, 1949:78; Розенфельдт, 1968:57). ჰუსეინ კოჯაბაშს, ჩიბუხების ადრეული ტიპები, მათზე დატანილი საამქროსა თუ ოსტატის აღმნიშვნელი დამლებითა და მონოგრამებით, უახლესი თურქული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, XVII საუკუნის შემდგომი პერიოდით აქვს დათარიღებული (Kocabaş 1963).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალური ჩიბუხები ძირითადად ციხესიმაგრეებშია აღმოჩენილი, სადაც წლების მანძილზე თურქი ჯარისკაცები იდგნენ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ჩიბუხები მათ პირად საკუთრებას შეადგენდა. ჯარისკაცი, თავისი განსაზღვრული სოციალური სტატუსით, რასაკვირველია, არ წარმოადგენდა იმ დონეს, რომელსაც თამბაქოს გავრცელების პირველ ეტაპზე ხელენიფებოდა ისეთი ეგზოტიკური პროდუქტის მოხმარება, როგორც თამბაქო იყო. ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია ეს პროცესი მოვიაზროთ იმ პერიოდშიც, როდესაც ოსმალეთის იმპერიაში აკრძალვები სახელმწიფო დონეზე ხორციელდებოდა, რადგან, აკრძალვების კონტროლი ყველაზე უკეთ იქ ხერხდებოდა, სადაც ბრძანებების არშესრულების ადეკვატური ოპერატიული დამსჯელი ქმედებების დიდი ტრადიცია არსებობდა. ჩვენ უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია, ოსმალური თიხის ჩიბუხების გამოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე XVII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს მოვიაზროთ, როდესაც სულთან იბრაჰიმ I-ს მმართველობის დროს (1640-1646 წწ), ნაწილობრივ გაუქმდა შეზღუდვა თამბაქოს მოხმარებაზე (Birdal, 2001:129). ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა არქეოლოგიური მასალაც, რომელშიც მხოლოდ მცირე ნაწილი განეკუთვნება ადრეულ XVII საუკუნის ნიმუშებს, მეტი წილი კი მოდის მოგვიანო, XVIII-XIX საუკუნეების, ნაკეთობებზე.<sup>3</sup>

<sup>3</sup> თურქი მკვლევარი ერთუგრულ სიუნგუ აღნიშნავს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარშიც კი ოსმალეთში ჩიბუხის წარმოება ჩანასახოვან მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რადგან მათ, სხვებისგან განსხვავებით, გილდიაც არ ჰქონდათ. სხვა შემთხვევაში, ევლია ჩელები მათ მოიხსენიებდა მურად IV-ის ეპოქის ხელოსანთა და ვაჭართა გილდიების აღწერის დროს (Süngü, 2014:102).


გონიო-აფსაროსის შიდაციხის ტერიტორიაზე ასეულობით ოსმალური თიხის ჩიბუხია მიკვლეული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მეტ-ნაკლებად დაზიანებულია (მომტვრეული აქვთ ტანის, პირის ან ტარის ნაწილები; ხშირად ზედაპირი თითქმის გადალექილია და ცუდად იკითხება დამლა, მონოგრამა ან გაფორმების კვალი), მაგრამ შემორჩენილი სახითაც ისინი საშუალებას გვაძლევენ გარკვეული ნარმოდგენა შევიქმნათ ჩიბუხების დამზადების დროზე, ორიგინალურ ფორმებსა და მდიდარ შემკულობაზე.<sup>4</sup>

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ყველა ჩიბუხი ყალიბშია ნაძერწი. კეცის მიხედვით შეიძლება გამოიყოს წითელი, ყავისფერი, ნაცრისფერი, აგურისფერი და თეთრი ჩიბუხები. ჩიბუხების ერთი ნაწილის ჯამი შროშანის ან ტიტას ყვავილს ჩამოჰგავს, სხვები — დისკოს, ელიფსის ან სფეროს ფორმისაა. ჩიბუხების უმეტესობა შემკულია მცენარეული ან გეომეტრიული ორნამენტით, თუმცა გვხვდება სადაზედაპირიანი ნიმუშებიც. ჩიბუხების ნაწილი გაპრიალებულია, ზოგი დაფარულია წერნაქით, შედარებით მცირე ნაწილზე კი მწარმოებელთა დამლები, მონოგრამები, ან კიდევ მცირე ტექსტებია დატანილი.

ჩიბუხების კლასიფიცირების დროს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა იყო მორფოლოგიური მახასიათებლების გარშემო. მათი ნაწილი გაზომვადია და ექვემდებარება ფორმალიზაციას, ნაწილი კი უფრო მიესადაგება ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ამავე დროს, მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს ჩიბუხის რომელ დეტალზეა საუბარი, სასურველია გარკვევა ტერმინებში, რომლებითაც მოიხსენიებენ ჩიბუხის კონკრეტულ ნაწილს. ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში შეინიშნება მცდელობა ტერმინთა უნიფიცირებისა. შეიძლება ითქვას, რომ, დღესდღეობით, შერჩეულ ტერმინთა დიდი ნაწილი შინაარსობრივად შეესატყვისება კონკრეტული დეტალის ფუნქციონალურ მახასიათებელს და ვიზუალურ მხარესაც.<sup>5</sup>

<sup>4</sup> გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჩიბუხების ნაწილი გამოქვეყნებულია ქ-ნ ლილი ჩხაიძის მიერ კრებულში: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, XI (ჩხაიძე, 1982).

<sup>5</sup> კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე, გაცილებით ვრცელია აღმოსავლური ჩიბუხების დეტალების შესატყვისი ტერმინების ჩამონათვალი.



ჩიბუხების აღწერის პრინციპი პოლივარიანტულია. გამოიყენება ტერმინები: ჯამი, ტანი, ყელი, ტარი, ძირი, ბაზა, ლილვაკი, კილი, ნახნაგი, ქობა და ა.შ. ჩიბუხების აღწერის გამოყოფთ ტანს (რომელიც ჯამის ქვედა ძირითად ნაწილს წარმოადგენს), ყელს (თუ ყელის გამოყოფა ხერხდება) და პირს (რომელიც ყელის გაგრძელებაა ზემო-

თ). პირის ზედა ნაწილს უწოდებთ ქობას (რომელიც ხშირად არაა გამოყოფილი). ჩიბუხის დეტალს, რომელიც ჯამთან არის მიძერწილი და წარმოადგენს კვამლის საქაჩი მილის ჯამთან მისაერთებელ ნაწილს — ტარის სახელით მოვიხსენიებთ. როგორც წესი, ტარი ბოლოვდება სადა ან ფიგურული, ჭრილში სამკუთხედის, ელიფსის ან წრიული ფორმის გვირგვინით. ტარი, გვირგვინის გაგრძელებაზე, მთავრდება კონუსის ან რგოლის ფორმის პატარა ლილვაკით, რომელიც ტარის ბოლოს წარმოადგენს. ჯამის ძირის აღწერისთვის ვიყენებთ ტერმინებს — ძირი ან ბაზა. ძირის დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს სოლისებრი რელიეფური ფიგურა, რომელიც ჩამოჰგავს გემის კილს (ხერხემალს), ამიტომაც ეს დეტალი სწორედ კილის სახელით დამკვიდრდა ლიტერატურაში.<sup>6</sup> ოსმალური ჩიბუხების ჯამის აღწერისას აქცენტი კეთდება ისეთ მახასიათებლებზეც, როგორიცაა: სიმაღლე, სიღრმე, გარე და შიდა დიამეტრი, კედლის სისქე, პირის ფორმა (სწორი, გადაშლილი, ჩაბრუნებული); ტარის ფორმა (კონუსისებრი, ცილინდრული, დანახნაგებული), ძირის ფორმა (ბრტყელი, კონუსისებრი, შეზნექილი, სეგმენტისებრი). ჩიბუხების დამზადების თარიღის დაზუსტების დროს, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ჯამის ტანის და ტარის შეერთების კუთხეს. ჯამის გაფორმებაზე მსჯელობის დროს, გამოყოფთ ზედაპირის დამუშავების ხერხს (სადა, გაპრიალებული, ანგობით/წერნაქით დაფარული), ორნამენტის დატანის წესს (ყალიბში, საბეჭდავით, ამოანერით), შემკობის ფორმას (სტილს): გეომეტრიული (წრეები, ელიფსები, სამკუთხედები, ვარსკვ-

<sup>6</sup> რელიეფური კილი უფრო დამახასიათებელია მრგვალძირიანი ჩიბუხებისთვის. ზოგ ნიმუშზე კილი არ არის ქედისებურად გამოკვეთილი: ის მხოლოდ შემოსაზღვრულია ქდეული წერტილების მწკრივით ან მსუბუქი ღარებით.

ლავები, გირლანდები და ა.შ.) და მცენარეული (ვარდულები, ხის ტოტები, ყვავილის თუ თამბაქოს ფოთლები და ა.შ.).

პირველადი კლასიფიკაციისთვის ჩვენს ხელთ არსებული მასალა<sup>7</sup> დავაჯგუფეთ კეცის ფერის (თეთრი, წითელი, ყავისფერი, ნაცრისფერი, აგურისფერი) მიხედვით.<sup>8</sup> მიუხედავად ე.წ. „ფასონების“ სიმრავლისა, თითოეულ ჯგუფში შესაძლებლად ჩავთვალეთ გამოგვეყო ტიპური ფორმები, რისთვისაც ძირითად აქცენტი გავაკეთეთ ჩიბუხების ჯამზე (ტანზე)<sup>9</sup>. არსებით მახასიათებლებად ასევე მივიჩნიეთ: ჯამის ყელი (კონუსის ან ცილინდრის ფორმის; დაბალი, საშუალო ზომის ან მაღალი; პირგადამლილი ან სწორი და ა.შ.), ტარი (მოკლე, გრძელი ან საშუალო ზომის; ფართო ან ვიწრო ღრუს მქონე; დანახნაგებული ან მრგვალი და ა.შ.), კილი (გამოკვეთილი; მაღალი, დაბალი; ოთხკუთხა, სამკუთხა, ბრტყელი), ზედაპირის დამუშავების სტილი (გაპრიალება, ნერნაქი) და, რასაკვირველია — ორნამენტი.<sup>10</sup>

<sup>7</sup> როგორც მოგახსენეთ, ჩვენ მოვახერხეთ გონიო-აფსაროსის შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლური ჩიბუხების მხოლოდ ერთი ნაწილის შესწავლა. მსგავსი არტეფაქტები მიკვლეულია პეტრა-ციხისძირის, ბათუმის, ზენდიდის ციხისა და აჭარისწყლის ხეობის გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებზეც. ვფიქრობ, რომ ოსმალური ჩიბუხების სრულყოფილი კლასიფიკაცია და ტიპოლოგია ამ მასალის შესწავლის შედეგად იქნება შესაძლებელი.

<sup>8</sup> კეცის ფერი წარმოადგენს მნიშვნელოვან მახასიათებელს ჩიბუხების ქრონოლოგიური დიფერენციაციისათვის. თეთრი და ნაცრისფერკეციანი ნაკეთობები ადრეულია, წითელი და აგურისფერი კი — მოგვიანო პერიოდის. მიუხედავად იმისა, რომ ჩიბუხების ქრონოლოგიური ჩარჩოები შედარებით მცირეა, რთულია ნიმუშის დათარიღება ერთი კონკრეტული საუკუნით. უახლეს ნაშრომებშიც კი, უმეტეს შემთხვევაში, ცალკეული ჩიბუხის დამზადების თარიღი, სულ მცირე, ორი საუკუნით არის განსაზღვრული.

<sup>9</sup> რუსი და უკრაინელი მკვლევრები აღმოსავლური ჩიბუხის ჯამს ქვედა და ზედა ნაწილებად ჰყოფენ. იმისთვის, რომ გავმიჯნოთ ჯამის ქვედა და ზედა ნაწილი, ჩვენ პირველს — ტანის, ხოლო მეორეს — ყელის სახელით მოვიხსენიებთ.

<sup>10</sup> როგორც აღვნიშნეთ, ჩიბუხების დიდი ნაწილი შემკულია მრავალფეროვანი ორნამენტით. მიუხედავად ამისა, ჩიბუხების გამოყოფა მხოლოდ ამ ნიშნის მიხედვით, არამართებულად არის მიჩნეული, რადგან ასეთი მიდგომით ვლებულობთ დიდი მოცულობის და ძალიან დანაწევრებულ კლასიფიკაციას. რასაკვირველია, ამით არ ვაკნინებთ ორნამენტის მნიშვნელობას. უფრო მეტიც, არ გამოვრიცხავთ, რომ ჩიბუხის კონკრეტული ფასონის ფორმირება, ზოგ შემთხვევაში, სასურველი ორნამენტის წარმოჩენის სურვილითაც კი ყოფილიყო განპირობებული.

თეთრკეციანი ჩიბუხები.

ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულ ნაკეთობებს თეთრი და ნაცრისფერკეციანი ჩიბუხები წარმოადგენს, რომლებიც, სიძველის გამო, გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებზე მცირე რაოდენობითაა მოპოვებული. როგორც მოგახსენეთ, თეთრი და ნაცრისფერკეციანი ჩიბუხების სათუთუნე ჯამი, მოგვიანო პერიოდის ნაკეთობებთან შედარებით, პატარა ზომისაა, რაც ნათლად მიანიშნებს მათი დამზადების ადრეულ პერიოდზე. მიუხედავად სიმცირისა, თეთრი და ნაცრისფერკეციანი ჩიბუხებში შეიძლება რამდენიმე ტიპური ფორმა გამოიყოს:

1. ჩიბუხები ნახევრადსფერული ფორმის ტანით და ცილინდრული ფორმის ყელით. ზოგი ნიმუშის ზედაპირი ანგობის თხელი ფენითაა დაფარული. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. გვირგვინი ბიკონუსური მოყვანილობის. ლილვაკი მკვეთრად გამოყოფილი. კილი მაღალი, ფართო, სამკუთხედის ფორმის და ძირისკენ ქედისებურად მომრგვალებული (ტაბ.1:1,2). ამ ტიპის ჩიბუხებისთვის დამახასიათებელია ყელის გაფორმება ჰორიზონტალურ ღარებში მოქცეული მსუბუქი ვერტიკალური კანელურებით.

2. ჩიბუხები ნახევრადსფერული ფორმის შებრტყელებული ტანით და ცილინდრის ფორმის ყელით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, ხოლო გვირგვინი — რგოლის ფორმის. ამ ტიპის ჩიბუხების კილი, მეტწილად, არ არის რელიეფურად გამოკვეთილი (ტაბ.1:3). ზოგი ნიმუშის ტანი რომბის ფორმის ჩარჩოში ჩასმული ფიგურებით, ყელი კი ჰორიზონტალური ღარებითაა გაფორმებული.

3. ჩიბუხები დისკოს ფორმის ტანით და მაღალი ცილინდრული ყელით.<sup>11</sup> ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი დაბალი, ბრტყელი, სამკუთხედის ფორმის, შემოსაზღვრული მსუბუქი ღარებით (ტაბ.1:4). ამ ტიპის ჩიბუხებისთვის დამახასიათებელია ტანის შემკულობა მსუბუქი ვერტიკალური კანელურებით.

<sup>11</sup> ჩვენი აზრით, ამ ტიპის ჩიბუხების დახასიათებისას, უფრო უპირიანი ჩანს ჯამის ქვედა ნაწილის მოხსენიება არა „ტანის“, არამედ „ბაზის“ სახელით, რადგან „ტანში“, როგორც წესი, ვგულისხმობთ სივრცეს, სადაც მოსაწვევად გამზადებული თამბაქოს დიდი ნაწილი იყო განთავსებული.

## ნაცრისფერკეციანი ჩიბუხები

როგორც აღვნიშნეთ, ნაცრისფერკეციანი ჩიბუხებიც ადრეული ნაკეთობებია. როგორც წესი, მათი სათუთუნე ჯამიც მცირე ზომისაა. მათთვისაც დამახასიათებელია გრძელი ტარი, რომლის ასეთი ფორმით გამოკვეთა ევროპული ანალოგების მიბაძვის სურვილით იყო განპირობებული. შემკულობის თვალსაზრისით, გვხვდება სადა და ორნამენტური ნიმუშები. ნაცრისფერკეციანი ჩიბუხების აბსოლუტური უმრავლესობის ზედაპირი გაპრიალებულია, ზოგი ნიმუში კი ანგობის თხელი ფენითაა დაფარული. გამოვყოფთ რამდენიმე ტიპურ ფორმას:

1. ჩიბუხები ელიფსის ფორმის ტანით და მაღალი, ოდნავ გადაშლილი ყელით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. გვირგვინი „ჩალმის“ ფორმის. კილი მაღალი, რელიეფურად გამოკვეთილი (ტაბ. 1:5). ზოგი ნიმუშის ტანის ზედა ნაწილი წერტილებით შემოსაზღვრული გეომეტრიული ორნამენტით არის შემკული, ტარი და გვირგვინი კი წერტილებით შედგენილი დიაგონალური ღარებითაა გაფორმებული.

2. ჩიბუხები ნახევრადსფერული ფორმის ტანით და დაბალი, ოდნავ გადაშლილი ყელით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. გვირგვინი ბიკონუსური ფორმის. კილი მაღალი, რელიეფური, შემოსაზღვრული მსუბუქი პატარა ღარებით (ტაბ. 1:6). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი მეტწილად გაფორმებულია მსუბუქი ვერტიკალური კანელურებით,<sup>12</sup> ყელი კი პატარა ლილაკების მწკრივისგან შედგენილი სარტყლითაა შემკული, რომელშიც ხის ტოტის სქემატური გამოსახულებაა გამოკვეთილი. ამ ტიპის ჩიბუხებს უნდა მივაკუთვნოთ ნიმუშები, რომელთა ყელი ტანისგან გამოყოფილია პატარა ლილაკების და ხის ტოტის მაგვარი გამოსახულებებით შედგენილი სარტყლით. ტანი, ტარის და კილის გამოკლებით, გაფორმებულია მსუბუქი ვერტიკალური კანელურებით, ხოლო ტარი — პატარა ლილაკების სარტყლით (ტაბ. 1:7).

3. ჩიბუხები შებრტყელებული ბიკონუსური ფორმის ტანით და დაბალი ყელით. პირი ექვსი წახნაგითაა შედგენილი. ტარი მოკლე, ცილი-

<sup>12</sup> რუს მკვლევართა ნაშრომებში მსგავსი კანელურებიანი ორნამენტი ქრიზანთემის ყვავილის ფოთლებსაა მიმსგავსებული (Гыца, 2016).

ნდრის ფორმის. ჩიბუხების ძირზე კილი ფაქტობრივად არ იკითხება (ტაბ.1:8). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი მეტწილად შემკულია მსუბუქი პარალელური ღარებით გამოყოფილი ვერტიკალური რელიეფური ქედებით. ექვსნახნაგა პირი კი გაფორმებულია პარალელურ ღარებს შორის მოქცეული დიაგონალური ჭდეული ხაზებით.

4. ჩიბუხები მოლუსკის ფორმის ჯამით და მალალი, ცილინდრული ფორმის ყელით. ტანი სეგმენტებადაა დაყოფილი. ცილინდრის ფორმის ყელი პირისკენ შევიწროებულია. ტარი მოკლე, ასევე ცილინდრის ფორმის. ჯამის ძირზე კილი არ იკითხება (ტაბ.1:9). ამ ტიპის ჩიბუხების ტანის ზედა ნაწილი, თითოეულ სეგმენტში, როზეტებით არის გაფორმებული (ტაბ.8:27). ყელი ტანისგან გამოყოფილია წერტილების და წნული რელიეფური ხაზების სარტყლით.

5. ჩიბუხები ნახევარსფერული ფორმის ტანით და დაბალი ყელით. ზოგი ნიმუშის ტანი — ყელისგან, ხოლო ტარი — გვირგვინისგან გამოყოფილია ლილვაკისებურად შესქელებული ქედით, ზოგის — წერტილებით შედგენილი სარტყლით. კილი მალალი, რელიეფურად გამოკვეთილი და შემოსაზღვრული წერტილებით შედგენილი ღარებით. ამ ტიპის ჩიბუხების ტანის ნაწილი გაფორმებულია ჭდეული ტექნიკით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტით (ტაბ.1: 10,11), ზოგჯერ კი რელიეფური ფიგურებით (ტაბ.1:12).

6. ჩიბუხები დისკოსებური ფორმის ტანით (ბაზით) და საშუალო სიმაღლის ცილინდრული ყელით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, კილი რელიეფურად გამოყოფილი და წერტილებით შემოსაზღვრული (ტაბ.1:13,14). ამ ტიპის ჩიბუხების ტანის ზედა ნაწილი გაფორმებულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით, ტარი კი მსუბუქი წერტილებისგან შედგენილი ღარების სარტყლით.

7. ჩიბუხები ბიკონუსური ფორმის ტანით და გადაშლილი ცილინდრული ყელით. ყელი ტანისგან გამოყოფილია ლილვაკისებრი ქედით და მსუბუქი რელიეფური ღარებით. ტარი მოკლე. კილი მალალი, რელიეფურად გამოყოფილი და სოლისებურად ნანვეტებული ნვერით (ტაბ.1:15). ამ ტიპის ჩიბუხების ჯამის ქვედა ნაწილი გაფორმებულია პარალელური ღარებით. ზოგი ნიმუშის ტანი და ყელი გაფორმებულია

მცენარეული (სამყურა ფოთლები) ორნამენტით (ტაბ.8:17).

8. ჩიბუხები ბიკონუსური ფორმის ჯამით და მკვეთრად დანახნაგებულ ცილინდრული ფორმის ტარით. ამ ტიპის ჩიბუხების ტარის გვირგვინთან შეერთების ადგილას (ან უშუალოდ გვირგვინზე), წრიულად, ზოგჯერ არაბული გრაფიკული წარწერაა დატანილი (ტაბ.2:16,19, 25). გრძელტარიანი ჩიბუხების ზოგი ნიმუშის ტანი სადაა (ტაბ.2:17), ზოგი შემკულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით (ტაბ. 2:16, 19).

9. ჩიბუხები პატარა ზომის ბიკონუსური ფორმის ტანით და ცილინდრის ფორმის ყელით. ტარი მოკლე. ამ ტიპის ჩიბუხების ძირზე კილი არ იკითხება (ტაბ. 2:20). ჩიბუხების ტანი მეტწილად სადაა, ყელი კი ზოგჯერ გაფორმებულია ასიმეტრიულად დატანილი მსუბუქი ჰორიზონტალური ღარებით.

10. ჩიბუხები კონუსის ფორმის ტანით და ცილინდრის ფორმის ყელით. ტარი მოკლე. ჩიბუხების ძირზე კილი არ იკითხება (ტაბ. 2:18,21). ამ ტიპის ჩიბუხების ყელი, ტანთან შეერთების ადგილას, გაფორმებულია მსუბუქი ჰორიზონტალური ღარებით, ტანი კი შემკულია ღრმა, ვერტიკალური (ზოგჯერ დახრილი) კანელურებით.

11. ჩიბუხები არატიპური ფორმის. ამ ტიპის ჩიბუხებისთვის დამახასიათებელია სადა ზედაპირი, მართკუთხა ფორმის ტანი და გრძელი, დანახნაგებული ტარი. ტანი სადა. ტანზე და ტარზეც ნახნაგები ძვიდევებმოსწორებულია, პირი კი გამოყოფილია მცირე ზომის მართკუთხა ქობით. ამ ტიპის ჩიბუხებზე კილი არ იკითხება (ტაბ. 2: 22).

12. ჩიბუხები ბიკონუსური ფორმის ტანით და ცილინდრული ყელით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. ამ ტიპის ჩიბუხების ძირზე კილი არ იკვეთება (ტაბ. 2:23,24). ჩიბუხების ჯამის ტანი ფართო ვერტიკალური კანელურებითაა შემკული, ყელი ტანისგან გამოყოფილია წრიული ღარებით ან წერტილებისგან შედგენილი სარტყლით. უნდა აღინიშნოს, რომ ნაცრისფერკეციანი ჩიბუხების ტარების დიდი ნაწილი ცილინდრის ფორმისაა. გაფორმებისთვის ძირითადად წრიული ღარებით შემოსაზღვრული გეომეტრიული ორნამენტია (პარალელური და ზიგზაგისებრი ხაზები) გამოყენებული (ტაბ. 2:28-30).

## ყავისფერკეციანი ჩიბუხები

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ მასალაში ყველაზე დიდი რაოდენობით ყავისფერკეციანი ჩიბუხებია წარმოდგენილი.

1. ე.წ. „ტახტა-ჩიბუხები“. ტანი ნახევრადსფერული ფორმის — მსუბუქად დანახნაგებული, ყელი კი ცილინდრის ფორმის — მკვეთრად დანახნაგებული. ტარი მოკლე, ფართო და კონუსის ფორმის. კილი დაბალი, შემოსაზღვრული მსუბუქი ღარებით (ტაბ. 3:31,32,33). აღნიშნული ტიპის ჩიბუხების ტანი და ყელი, როგორც წესი, შემკულია პალმეტების, ნახევარპალმეტების, ე.წ. „კაურის თვალის“ და თამბაქოს ფოთლების მსგავსი გამოსახულებებით. გვირგვინი გაფორმებულია ჭდეული მოკლე ღარებისგან შედგენილი სარტყლით. ზოგი ნიმუშის ტანზე მწარმოებლის მონოგრამა ან დამლა არის დატანილი.

2. ჩიბუხები დიდი მოცულობის ჯამით. ტანი ნახევრადსფეროს, ყელი კი ცილინდრული ფორმის. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის, მსუბუქად დანახნაგებული. კილი — მაღალი და რელიეფური. ზოგ ნიმუშის ტანზე და ტარზე დამლაა დატანილი (ტაბ. 3:34). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი ვერტიკალური კანელურებითაა შემკული. ზოგი ნიმუშის შუანელზე და ტანის და ყელის გასაყარზე პეპლების მსგავსი გამოსახულებებია დატანილი (ტაბ. 8:25).

3. ჩიბუხები ნახევრადსფერული ფორმის ტანით და წაკვეთილი კონუსის ფორმის პირით (ყელი არ იკითხება). ტარი მოკლე, ცილინდრული ფორმის. კილი არ არის გამოკვეთილი — მხოლოდ წერტილებით არის შემოსაზღვრული (ტაბ. 3:35). ამ ტიპის ჩიბუხების ტანზე ხშირად გეომეტრიული ფიგურებია (სამკუთხედები) გამოყვანილი, ხოლო გვირგვინი წერტილებით შედგენილი სარტყლითაა შემკული.

4. ჩიბუხები ელიფსის ფორმის ტანით და ცილინდრული ფორმის ყელით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. კილი რელიეფურად არ არის გამოკვეთილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია წერტილების რიგით (ტაბ. 3: 36). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი შემკულია სქელი ვერტიკალური კანელურებით, რომლებიც ყელის საზღვართან ხის ტოტების სქემატური გამოსახულებებითაა გაფორმებული.

4. ჩიბუხები ელიფსის ფორმის ტანით და ცილინდრის ფორმის ყელით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. კილი რელიეფურად არ არის გამოკვეთილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია წერტილების ერთი რიგით (ტაბ. 3:36). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი შემკულია სქელი ვერტიკალური კანელურებით, რომლებიც ყელის საზღვართან ხის ტოტების სქემატური გამოსახულებებით არის გაფორმებული.

5. ჩიბუხები საშუალო მოცულობის ჯამით. ტანი (ბაზა) ნაკვეთილი კონუსის, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ტარი მოკლე, ასევე ცილინდრის ფორმის. კილი ბრტყელი, რელიეფურად გამოკვეთილი (ტაბ. 3:37). ამ ტიპის ჩიბუხებს ამშვენებს ტანის ყელისგან გამყოფი ფართო სარტყელი, რომელიც მცენარეული ორნამენტითაა გაფორმებული (ტაბ. 7:15). ტანის ქვედა, ნაკვეთილი კონუსის ფორმის ნაწილი და კილი გაფორმებულია ელიფსის ფორმის ჭდეული ფოსოებით. კილის ძირი (ზოგ ნიმუშზე) გეომეტრიული ფიგურებითაა გაფორმებული.

6. ჩიბუხები ნახევრადსფერული ტანით და კონუსის ფორმის ყელით. ყელი ტანისგან გამოყოფილია წერტილებით შედგენილი სარტყლით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. კილი დაბალი, რელიეფურად გამოკვეთილი (ტაბ. 3:38). ტანი ბადისებრი ნახაზითაა გაფორმებული. ზოგი ნიმუშის ტანი, გვერდებზე და წინა მხარეს, რომბის ფორმის ჩარჩოში ჩასმული ხუთქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებითაა შემკული.

7. ჩიბუხები ნახევრადსფერული ფორმის ტანით და კონუსის ფორმის მაღალი ყელით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი მაღალი, რელიეფურად გამოკვეთილი (ტაბ. 3:39). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი რომბისებრი ფიგურებით შედგენილი ბადისებრი ნახაზით არის დაფარული, რომელშიც, ზოგ შემთხვევაში, ჩარჩოში მოქცეული ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებაა დატანილი (ტაბ. 3:40). ზოგ ნიმუშზე ყელ-პირი ერთმანეთისგან გამოყოფილია პატარა კვადრატებით შედგენილი სარტყლით, პირის ქობა კი რკალისებურად თავმომრგვალებული სამკუთხედებითაა გაფორმებული.

8. ჩიბუხები ნაკვეთილი კონუსის ფორმის ტანით და დაბალი ცილინდრული ყელით. ზოგი ნიმუშის ზედაპირი დაფარულია ანგობის თხელი ფენით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. ამ ტიპის ჩიბუხებისთვის

დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, რომელზეც სამკუთხედის, ზოგჯერ კი მართკუთხედის ფორმის კილია გამოყვანილი (ტაბ.3:41). ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ჩიბუხების გაფორმებაც გამორჩეულია. ზოგ ნიმუშზე გეომეტრიული ფიგურებით შედგენილი ორნამენტი სამ ფრიზზეა განაწილებული. თითოეული ფრიზი კი ერთმანეთისგან მსუბუქი ჰორიზონტალური ღარითაა გამოყოფილი. კილზეც (მეტწილად მართკუთხედის ფორმის ნიმუშებზე) ტანზე დატანილი ორნამენტია გადმოტანილი. (ტაბ. 8:30).

9. ჩიბუხები დისკოს ფორმის ტანით და ნაკვეთილი კონუსი ფორმის ყელით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. კილი არ არის რელიეფურად გამოკვეთილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია ქდეული წერტილებით შედგენილი ღარებით (ტაბ. 3:42). ამ ტიპის ჩიბუხების ცალკეული ნიმუშის ტანი შემკულია გირლანდისებურად განლაგებული გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტის კომბინაციით (ტაბ. 8:28). გვირგვინი და ლილვაკი კი გაფორმებულია პარალელური ხაზებისა და ხის ტოტების სქემატური გამოსახულებებით.

10. ჩიბუხები ნახევრადსფერული ფორმის ტანით და დაბალი ყელით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. გვირგვინი რგოლის ფორმის, ლილვაკი ვარდულის ფორმის, მკვეთრად გამოყოფილი (ტაბ.3:43). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი შემკულია ვიწრო კანელურებით, ძირი კი ტარისკენ წვერით მიმართული სამი მაღალტოტიანი ყვავილის გამოსახულებით (ტაბ.8:19). ზოგ ნიმუშზე გვირგვინი და ლილვაკი გაფორმებულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით.

11. ჩიბუხები დიდი მოცულობის ნახევრადსფერული ფორმის ტანით და კონუსის ფორმის დაბალი ყელით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი სამკუთხა, შემოსაზღვრული მსუბუქი წერტილების რიგით. (ტაბ. 3:44). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი, როგორც წესი, შემკულია მსუბუქი ვერტიკალური კანელურებით, რომელიც მოკლე ჰორიზონტალური ნაჭდევებითაა გაფორმებული.

12. ჩიბუხები დიდი მოცულობის ცილინდრული ფორმის ტანით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. კილი რელიეფურად გამოკვეთილი. კილის წვერი გრძელდება ჯამის პირისკენ, რაც არ არის დამახასიათებ-

ელი ტრადიციული ფორმის ჩიბუხებისთვის (ტაბ. 3:45). ამ ტიპის ჩიბუხების ზოგიერთი ნიმუშის ტანზე გირლანდებში მოქცეული დიდი სასმი-სის (?) სქემატური გამოსახულებაა დატანილი (ტაბ. 8:31).

13. ჩიბუხები ბიკონუსური ფორმის ჯამით და დაწახნაგებული გრძელი ტარით. ზოგ ნიმუშზე, ტარის გვირგვინთან შეერთების ადგილას, არაბული გრაფიკული ნარნერაა დატანილი. ლილვაკი ფართო, კონუსის ფორმის. ამ ტიპის ჩიბუხებზე კილი არ იკითხება (ტაბ. 4:46).

ყავისფერკეციანი ჩიბუხების ტარი და გვირგვინი ყოველთვის ორიგინალურადაა გაფორმებული. სჭარბობს გეომეტრიული ორნამენტი (ტაბ. 4:48,49), თუმცა, გვხვდება მცენარეთა გამოსახულებით შემკული ნიმუშებიც (ტაბ. 4:47). გონიო-აფსაროსის მასალაში ყურადღებას იპყრობს ორიგინალური გვირგვინით გაფორმებული ტარი, რომელსაც მკვლევართა ერთი ჯგუფი გველის თავს ამსგავსებს, სხვები კი გაშლილი ფოთლების გამოსახულებად აღიქვამს (ტაბ. 4:51).

### ნითელკეციანი ჩიბუხები

ნითელკეციანი ჩიბუხები შედარებით მოგვიანო პერიოდის ნაკეთობებს წარმოადგენს. გამოვყოფთ რამდენიმე ტიპურ ფორმას:

1. ე.წ. „ტახტა-ჩიბუხები“. ნახევრადსფერული ფორმის სუსტად დაწახნაგებული ტანით და მკვეთრად დაწახნაგებული ცილინდრული ფორმის ყელით. ტარი მოკლე, ფართო, კონუსის ფორმის. ზოგი ნიმუშის ტარის წახნაგზე დამლა დატანილი. კილი დაბალი, რელიეფური, შემოსაზღვრული მსუბუქი ლარებით (ტაბ. 4:52). ნითელკეციანი „ტახტა-ჩიბუხების“ ტანი და ყელი, ანალოგიურად მსგავსი ტიპის ადრე აღწერილი ნიმუშებისა, შემკულია პალმეტების, ნახევარპალმეტების, თამბაქოს ფოთლებისა და ე.წ. „კაურის თვალის“ გამოსახულებებით.

2. ჩიბუხები სფერული ფორმის ტანით და დაბალი ყელით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, დაბოლოებული ფართო გვირგვინით. კილი არ არის მკვეთრად გამოყოფილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია ნერტილებისგან შედგენილი მწკრივით. კილის წვერი იკითხება ტანის

ნინა მხარეზეც (ტაბ. 4:53). ამ ტიპის ჩიბუხების ზოგიერთი ნიმუშის ტანი (ორივე მხარეს და ცენტრში) შემკულია ქდელი სამკუთხედებისგან შედგენილი როზეტის გამოსახულებებით.

3. ჩიბუხები ცილინდრის ფორმის ტანით. ზოგი ნიმუშის ზედაპირი ანგობითაა დაფარული. ტანი მსუბუქადაა დანახნაგებული, ნახნაგები კი ერთიმეორესგან რელიეფურადაა გამოყოფილი. კილი არ არის გამოკვეთილი. საშუალო სიგრძის და კონუსის ფორმის ტარი ბოლოვდება ფართო რგოლისებრი გვირგვინით. (ტაბ. 4:54). ამ ტიპის ჯამების ტანის ნახნაგები ერთმანეთისგან გამიჯნულია ორ-ორი მსუბუქი ვერტიკალური ზოლით და პატარა ზომის რომბების მწკრივით. ასეთივე ნახაზითაა გაფორმებული სივრცე ჯამსა და გვირგვინამდე. კილიც, შემკულობის სტილიდან გამომდინარე, გაფორმებულია ორ პარალელურ ღარში მოქცეული პატარა რომბების მწკრივით.

4. ჩიბუხები დიდი სფერული ფორმის ტანით. სავარაუდოდ, დაბალი ყელით. ტარი მოკლე. კილი რელიეფური, მაღალი, შემოსაზღვრული მსუბუქი წერტილების რიგით (ტაბ. 4:55). ამ ტიპის ჯამების ტანი ხშირად მცენარეული ორნამენტით არის შემკული, ყელი კი გაფორმებულია წერტილებით შედგენილი სარტყლით.

5. ჩიბუხები შროშანის ყვავილის ფორმის ჯამით. ზოგი ნიმუშის ზედაპირი დაფარულია ანგობის ფენით. ტანი რომბის ფორმის მოზრდილ სექტორებად არის დანახნაგებული. ტარი საშუალო სიგრძის, კონუსის ფორმის. ზოგი ნიმუშის ტარზე მწარმოებლის მონოგრამა ან დამლაა დატანილი (ტაბ. 4:56-60). ამ ტიპის ჩიბუხების კილი ოდნავ არის გამოკვეთილი. კვამლის საქაჩი მილის მისაერთებელი ღრუ საკმაოდ ფართოა, რაც მიანიშნებს, რომ აღნიშნული ტიპის ჯამები (ტაბ. 4:56-60) გრძელი საქაჩი მილისთვის იყო სპეციალურად დამზადებული. აღნიშნული ტიპის ჩიბუხების ტანზე გამოკვეთილ თითოეულ ნახნაგზე ჩარჩოში მოქცეული ოთხი პატარა რომბის ფორმის ფიგურაა გამოსახული (ტაბ. 4:57). ზოგი ნიმუშის ტანი შემკულია გრძელღეროიანი ყვავილის სქემატური გამოსახულებითაც (ტაბ. 4:56). ტარის ზედაპირი ხშირად სადაა, გვირგვინისგან გამოყოფილია ნყვილი ღარით, ზოგჯერ კი გაფორმებულია ლოტოსის ყვავილის მსგავსი გამოსახულებით.

## აგურისფერკეციანი ჩიბუხები

აგურისფერკეციანი ჩიბუხები გამოირჩევა ფორმათა ნაირგვარობით და ორიგინალური გაფორმებით. გამოვყოფთ ტიპურ ფორმებს:

1. ჩიბუხები დიდი მოცულობის და ნაგრძელებული სფეროს ფორმის ჯამით. ზედაპირი აგურისფერი ანგობით დაფარული. ტანი გაფორმებულია ქრიზანთების ფოთლების მსგავსი მსუბუქი ვერტიკალური კანელურებით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის, გვირგვინისგან გამოყოფილია რელიეფური გეომეტრიული ფიგურებით (სამკუთხედები) შედგენილი სარტყლით. კილი რელიეფური, სამკუთხედის ფორმის. ზოგი ნიმუშის გვირგვინი გაფორმებულია ტანისკენ წვერით მიმართული თამბაქოს ფოთლების გამოსახულებით (ტაბ. 5:61).

2. ჩიბუხები მცირე მოცულობის ნახევრადსფერული ფორმის ტანით და მაღალი, გარეთ გადაშლილი ყელით. ეს უკანასკნელი ტანისგან გამოყოფილია ნერტილებით შედგენილი სარტყლით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. გვირგვინი სადა, კონუსის ან ბიკონუსური ფორმის. კილი არ არის რელიეფურად გამოკვეთილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია პარალელური მსუბუქი ღარებით. ამ ტიპის ჩიბუხების ტანი გაფორმებულია ქდეული ბადისებრი ორნამენტით (ტაბ. 5:62,63) ან მოკლე, დახრილი ხაზებით შემკული, ვერტიკალური კანელურებით (ტაბ. 5:64).

3. ჩიბუხები ნახევრად სფერული ფორმის ტანით და მაღალი ცილინდრული ყელით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი სოლისებრი, რელიეფურად გამოკვეთილი, შემოსაზღვრული მსუბუქი ღარებით (ტაბ. 5:65). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი, ძირის ჩათვლით, შემკულია ვიწრო ვერტიკალური კანელურებით, ხოლო ყელი გაფორმებულია ფართო ვერტიკალური კანელურებით. პირი ტანისგან გამოყოფილია ჰორიზონტალური წრიული ღარითა და მსუბუქი ნერტილებით შედგენილი სარტყლით.

4. ჩიბუხები დიდი მოცულობის სფერული ტანით და მაღალი, ნაკვეთილი კონუსის ფორმის ყელით. კილი დაბალი, რელიეფურად გამოკვეთილი და შემოსაზღვრული ფართო ჰორიზონტალური ღარებით

(ტაბ. 5:66). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი გაფორმებულია ლოტოსის ყვავილის ფორმის ბოლოსკენ ნაწვეტებული კანელურებით, ხოლო ყელის ქვედა ნაწილი პარალელურ ქედებს შორის მოქცეული ბადისებრი ორნამენტით.

5. ჩიბუხები დიდი მოცულობის ნახევრადსფერული ტანით და საშუალო სიმაღლის ცილინდრული ფორმის ყელით. ტარი მოკლე, გვირგვინისგან გამოყოფილი წრიული ღარებით. კილი არ არის რელიეფურად გამოკვეთილი, ის მხოლოდ შემოსაზღვრულია ნერტილების ერთი რიგით (ტაბ. 5:67,68). ამ ტიპის ჩიბუხებისთვის დამახასიათებელია ტანის გაფორმება სქელი ვერტიკალური კანელურებით და გვირგვინის შემკობა დიაგონალური ან ჰორიზონტალური ღარებით.

6. ჩიბუხები დიდი მოცულობის კონუსის ფორმის ტანით და საშუალო სიმაღლის ცილინდრული ყელით. ტარი მოკლე, გვირგვინისგან გამოყოფილია ღარებიანი სარტყლით. კილი არ არის რელიეფურად გამოკვეთილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია ნერტილების რიგით (ტაბ. 5:69). ტანი გაფორმებულია სქელი ვერტიკალური კანელურებით, ყელი კი სქელი წრიული ღარებით. გვირგვინი შემკულია წრიულ ღარებს შორის მოქცეული ჰორიზონტალური ღარებით.

7. ჩიბუხები დისკოს ფორმის ტანით (ბაზით) და ცილინდრული ყელით. ტარი საშუალო სიმაღლის, მსუბუქად დანახნაგებული და გვირგვინისკენ გაფართოებული. კილი დაბალი, მაგრამ რელიეფურად გამოკვეთილი (ტაბ. 5:70). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი, ჯამთან შეერთების ადგილას, გაფორმებულია ვერტიკალური ჭდეული ღარებისაგან შედგენილი სარტყლით. გვირგვინი ორი ქედისებრი ფორმის რგოლით და მსუბუქი ჭდეული ღარების სარტყლითაა შემკული.

8. ჩიბუხები მცირე მოცულობის ელიფსის ფორმის ტანით და ბრტყელი ძირით. ტარი მოკლე, კილი გამოყოფილია და შემოსაზღვრულია მსუბუქი ღარებით (ტაბ. 5:71). ტანი გაფორმებულია ფართო, ლოტოსის ყვავილის მსგავსი, ვერტიკალური კანელურებით. კანელურების თავი შემკულია ორი ფოთლის სქემატური გამოსახულებით.

9. ჩიბუხები ბიკონუსური ფორმის ტანით და ცილინდრული ყელით.

ტარი გრძელი, ცილინდრის ფორმის. კილი არ იკითხება (ტაბ. 5:72). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი ხშირად შემკულია მცენარეული ორნამენტით, ყელი კინრიული პარალელური ღარებით. ტარი, გვირგვინის საზღვართან, თამბაქოს ფოთლების გამოსახულებით არის გაფორმებული.

10. ჩიბუხები სფეროსებური ტანით. სავარაუდოდ, დაბალი ყელის და მოკლე ტარის. ზედაპირი ანგობითაა დაფარული. როგორც წესი, ამ ტიპის ჩიბუხებზე კილი არ იკითხება (ტაბ. 5:73). ზოგი ნიმუშის ტანზე რომბისებრ ფიგურებში მოქცეული წრეებია დატანილი (ტაბ. 8:32).

11. ჩიბუხები საშუალო მოცულობის შებრტყელებული სფეროს ფორმის ტანით და ცილინდრული ყელით. ზოგის ზედაპირი დაფარულია ანგობის ფენით. ტარი მოკლე. კილი მართკუთხედის ფორმის, რელიეფურად გამოყოფილი (ტაბ. 5:74). ყელი გაფორმებულია წერტილებით შედგენილი სარტყლით, ტანი კი მრგვალ ჩარჩოში მოქცეული ღილაკის ფორმის რელიეფური ფიგურების ორი სარტყლით. კილიც ჯამის ტანზე დატანილი ორნამენტის მსგავსი ნახაზით არის გაფორმებული.

12. ჩიბუხები ნახევრადსფერული ფორმის ტანით და დაბალი, გარეთ გადაშლილი ყელით. ზოგი ნიმუშის ზედაპირი ანგობითაა დაფარული. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, ბოლოვდება კონუსის ფორმის გვირგვინით. კილი რელიეფურადაა გამოყოფილი და შემოსაზღვრულია წერტილოვანი ორნამენტის მწკრივით (ტაბ. 5:75). ამ ტიპის ჩიბუხების ტანი გაფორმებულია მოკლე ვერტიკალური ღარების სარტყლით და გირლანდებში მოქცეული სამფოთლიანი ყვავილების სქემატური გამოსახულებით. გვირგვინიც ჩიბუხის ტანზე დატანილი მსგავსი ორნამენტითაა შემკული.

ნაშრომის ბოლოს, გთავაზობთ გონიო-ავსაროსის შიდაციხეზე აღმოჩენილი ოსმალური ჩიბუხების (ერთი ნაწილის) კატალოგს, სადაც შევეცადეთ დეტალურად აგვეწერა ეს ნაკეთობები და მეტ-ნაკლები სიზუსტით განვესაზღვრა მათი დამზადების ქრონოლოგიური ჩარჩოები. კატალოგს თან ახლავს ფოტომასალა (ძირითად ფორმებსა და დეტალებზე აქცენტირებით), რომელიც, ჩვენი აზრით, მკითხველს დაეხმარება უფრო სრული წარმოდგენა შეიქმნას გვიანი შუა საუკუნეების ამ ორიგინალური კერამიკული ნაკეთობების შესახებ.

ტაბულა 1



## ტაბულა 2



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



29



30

## ტაბულა 3



31



32



33



34



35



36



37



38



39



40



41



42



43



44



45

## ტაბულა 4



46



47



48



49



50



51



52



53



54



55



56



57



58



59



60

ტაბულა 5



61



62



63



64



65



66



67



68



69



70



71



72



73



74



75

## ტაბულა 7



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16

## ტაბულა 8



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



29



30



31



32

კატალოგი<sup>1</sup>

1. გ.ა.1-97:1171. თეთრკეციანი. თხელკედლიანი. თეთრი ანგობის ფენით დაფარული. მომტვრეული აქვს ყელის და პირის ნაწილი.<sup>2</sup> ტანი ნახევრადსფერული, ყელი ცილინდრის ფორმის. ტანი სადა, ყელი გაფორმებულია მსუბუქ ჰორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეული ვერტიკალური კანელურებით.<sup>3</sup> ტარი მოკლე, გვირგვინისკენ კონუსისებურად გაფართოვებული. გვირგვინი სადა, ბიკონუსური ფორმის, დასრულებული ღილის ფორმის ვიწრო ლილვაკით. კილი რელიეფურად არის გამოკვეთილი და შემოსაზღვრულია ორ-ორი მსუბუქი ღარით. L— 4,7 სმ. —3,5 სმ. D1 — 1,6 სმ. D2—0,5სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Robinson, 1985: 194, pl. 61-A4; Гусач, 2016: 151, №168; 174, №206; 288, №386).

2. გ.ა.1-96:81. თეთრკეციანი. თხელკედლიანი. თეთრი ანგობით დაფარული. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული, ყელი ცილინდრული ფორმის. ტანი სადა, ყელი კი გაფორმებულია მსუბუქ ჰორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეული

<sup>1</sup> აღწერის დროს გამოყენებული ლათინური ასოების შესატყვისი პარამეტრები: L — სიგრძე; H — სიმაღლე; D1 — ჯამის შიდა დიამეტრი; D2 — ტარის ღრუს დიამეტრი; A — ჯამის და ტარის შეერთების კუთხე. რადგან წარმოდგენილი ნიმუშების უმრავლესობა დაზიანებულია, ჩვენ ვეყრდნობით მხოლოდ არსებულ ზომებს, რაც, შესაძლოა, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდეს კონკრეტული ნიმუშის რეალურ (დაზიანებამდე) პარამეტრებს.

<sup>2</sup> ჩიბუხების დახასიათების დროს „ნაწილში“ ვგულისხმობთ აღნიშნული დეტალის (ჯამის, ტარის, პირის და ა.შ.) ნაწილს და არა დეტალს მთლიანად. მეტი სიცხადისთვის, ტაბულების გვერდზე განვდით კონკრეტული ჩიბუხის ფოტოს გვერდებში ან ზედხედში.

<sup>3</sup> ჯამების შემკულობა მხოლოდ გეომეტრიული ორნამენტით უფრო დამახასიათებელია ადრეული პერიოდის (XVII-XVIII საუკუნეები) ნიმუშებისთვის.

<sup>4</sup> რ. რობინსონის დაკვირვებით, ადრეულ ჩიბუხებს (მხედველობაში აქვს XVII საუკუნის პირველი ნახევრის ნაკეთობები) არ ახასიათებს ტარის და ჯამის შეერთების ადგილას „მოხდენილი“ კილი. ეს დეტალი ჩნდება XVII საუკუნის ბოლოს ან XVIII საუკუნის დასაწყისში (Robinson, 1985: 162-163). რ. რობინსონის დასკვნა ერთგვარად ამყარებს ჩვენ მოსაზრებას, რომ გონიო-აფსაროსის შიდაციხეში აღმოჩენილი ყველაზე ადრეული ჩიბუხები XVII საუკუნის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

ვინრო ვერტიკალური კანელურებით. კილი ნანილობრივ დაზიანებულია (მომტვრეული აქვს წვერის ნანილი), რელიეფურადაა გამოკვეთილი და შემოსაზღვრულია მსუბუქი ლარით. L— 2,5სმ. H— 4,2 სმ. D1 — 1,8 სმ. D2—0,6სმ.  $A < 90^\circ$

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Robinson, 1985:194, pl.61-A4; Гысау, 2016:151, №168; 174, №206).

3. გ.ა. 95:379. თეთრკეციანი. თხელკედლიანი. თეთრი ანგობით დაფარული. მომტვრეული აქვს ყელის და პირის ნანილი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ყელი გაფორმებულია საშუალო სისქის ჰორიზონტალური ლარებით. ტანის მარჯვენა მხარეს და ცენტრში (კილის წვერში), რომბის ფორმის ჩარჩოში მოქცეული, გადამკვეთი ხაზებისა და წერტილების კომბინირებით შედგენილი, ორნამენტია დატანილი (ტაბ.ბ<sub>13</sub>). სავარაუდოდ, ასეთივე ნახაზით უნდა ყოფილიყო გაფორმებული ტანის მარცხენა (ამჟამად მომტვრეული) მხარე. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, გვირგვინისგან გამოყოფილია წერტილებით შედგენილი სარტყლით. გვირგვინი სადა, რგოლის ფორმის. ლიღვაკი ლილის ფორმის, მკვეთრად გამოყოფილი. კილი არ არის რელიეფურად გამოკვეთილი, მხოლოდ შემოსაზღვრულია მსუბუქი მსუბუქი ლარებით. L—4,2 სმ. H—1,9 სმ. D1—1,4 სმ. D2— 0,5 სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები. მიუხედავად იმისა, რომ სქელი ჰორიზონტალური ლარებით გაფორმებული ყელი, მცირე გამოწვევისგან გარდა (Zejnillahdžić, 2012:186, fig.37; Гысау, 2016:681), არ არის დამახასიათებელი თეთრკეციანი ჩიბუხებისთვის. კეცის ფერი, ჯამის მოცულობა, თხელკედლიანობა და გვირგვინის ფორმა (Ayhan, 2009:7, Res. 3) მიუნიშნებს, რომ ეს ნიმუში ადრეული პერიოდის ნაკეთობას უნდა წარმოადგენდეს.

4. გ.ა.1-91:181. თეთრკეციანი. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნანილი. ტანი (ბაზა) დისკოსებური ფორმის, ყელი მაღალი, ცილინდრის ფორმის. პირი გაფორმებულია ორი მსუბუქი პარალელური წრიული ლარით. ტანი (ბაზა) ყელისგან გამოყოფილია რელიეფური სარტყლით და შემკულია ვერტიკალური კანელურებით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. კილი ნანილობრივ დაზიანებულია, რელიეფურად არის გამოკვეთილი და შემოსაზღვრულია მსუბუქი ლარებით.

L—2,9სმ. H—4,7 სმ. D1—1,5 სმ. D2 — 0,5სმ. A <90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Hayes, 1980:7; Gusar, 2008 : 144; Stančeva, 1972, 91-92, f.16-17; Stančeva, 1976, s.9; Ilčeva, 1975, pl.17-9).

5. გ.ა.1-96:147. კეცი მონაცრისფრო. მომტკვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ტანი ელიფსის, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ტანი გაფორმებულია წერტილებით შედგენილი სარტყლით, რომლის ზემოთ, სანინალმდეგო მიმართულებით დამხრობილი და ძირისკენ შეერთებული, ელიფსის ფორმის პატარა ფიგურებია გამოკვეთილი (ტაბ. 6<sub>2</sub>). ტარი მოკლე, გვირგვინისგან გამოყოფილია რელიეფური სარტყლით. გვირგვინი გაფორმებულია წერტილოვანი ორნამენტით შედგენილი დიაგონალური ხაზებით.<sup>5</sup> კილი გამოკვეთილი, შემოსაზღვრული და შუაში გაყოფილი წერტილოვანი ორნამენტის მწკრივით. L—4,8სმ. H — 3,2 სმ. D1 — 1,6 სმ. D2 — 0,6 სმ. A <90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე (Robinson, 1985:175, pl.48-C16, Robinson, 1983:275, taf.52<sub>11</sub>; Bercero, Alaix, Rodrigues, 2012:182-183). მსგავსი გაფორმების უნგრული (მდ. დრავას რეგიონი) ტიპის ჩიბუხები XVII საუკუნის ბოლო — XVIII საუკუნის პირველი ნახევართაა დათარიღებული (Kovács, Rózsás. 2014:249). XVII-XVIII საუკუნით თარიღდება მსგავსი ჩიბუხები რუმინეთის ტიმიშუარადან (Gaşpar, 2016:272, fig.8).

6. გ.ა.1-96:85. კეცი ნაცრისფერი. მომტკვრეული აქვს ყელ-პირისა და ტარის ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული, ყელი კი ცილინდრული (სავარაუდოდ — პირგადაშლილი) ფორმის (Гуцау, 2016:301, №420). ტანი გაფორმებულია ვერტიკალური კანელურებით, რომლებიც პირისკენ დაშტრიხული სამკუთხედებისგან შედგენილი სარტყლითაა შემოსაზღვრული. ტანი და ყელი გაყოფილია პატარა ღილაკებისგან შედგენილი რელიეფური სარტყლით. ასეთივე ტექნიკითაა შესრულებული ტარის შუაში გამყოფი ზოლიც. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. გვირგვინი რგოლის ფორმის, შემკული წრიული ღარებით. ლილვაკი ბრტყელი, ოდნავ გამოყოფილი. კილი რელიეფურად გამოკვეთილი. L—4,9სმ. H — 2,5 სმ. D1 — 1,5 სმ. D2 — 0,6სმ. A <90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე (Robinson, 1983:274; taf.53; 1985:178-179, pl.51; Bekic, 2000:267). ი. გუსაჩიც და ი. ენეც მსგავსი ფორმის

<sup>5</sup> ასეთი შემკულობის გვირგვინებს „ჩალმის“ სახელითაც მოიხსენიებენ.

შემკულობის ყავისფერკეციან ჩიბუხებს XVII-XVIII საუკუნეებით ათარილებენ (Гысау, 2016:326, №449, Ene, 2014:444, №3). ფ. გოსსე ნახევრადსფერული ტანის, დაბალი ცილინდრული ყელის და ვერტიკალური კანელურებით შემკულ ჩიბუხებს „ბერძნულ ტიპს“ მიაკუთვნებს (Gosse, 2007:10). იგივე სახელით მოიხსენიებენ მათ ბარსელონას მასალების მიმოხილვისას ესპანელი მკვლევრებიც (Hercedia, Miro, Soberon, 2013: 119, fig.8).

7. გ.ა.1-97:1292. კეცი ნაცრისფერი. ტიტას ყვავილის ტიპის. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, ყელი ცილინდრული, ოდნავ გარეთ გადაშლილი. მომტვრეული აქვს პირ-ყელის ნაწილი. ტანი, ტარის და კილის გამოკლებით, გაფორმებულია ვერტიკალური კანელურებით, რომლებიც პირისკენ დაშტრიბული სამკუთხედების სარტყლითაა შემოსაზღვრული. პირის ქობა შემკულია მსუბუქი წერტილების სარტყლით, გვირგვინი პატარა ფოლაქის ფორმის ფიგურების მწკრივით. ტარს შუაში, წრიულად, შემოუყვება მსგავსი ორნამენტის სარტყელი. ლილვაკი ბრტყელი, ოდნავ გამოყოფილი. კილი რელიეფურად გამოკვეთილი, შემოსაზღვრული წერტილებით შედგენილი ღარებით. L—5,3სმ. H—4,2 სმ. D1—2,3 სმ. D2 —0,7სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Robinson, 1985:179, pl.51; Ayhan, 2009:14). რუსი მკვლევრები მსგავსი ფორმისა და ვერტიკალური კანელურებით შემკულ ნაცრისფერკეციან ჩიბუხებს უფრო ადრეულ ნაკეთობად მიიჩნევენ და მათ XVII-XVIII საუკუნეებით ათარილებენ (Гысау, 2016:218, №275).

8. გ.ა. 0570. კეცი მონაცრისფრო. მომტვრეული აქვს ტარის ნაწილი. ტანი საშუალო ზომის, ბიკონუსური ფორმის, გაფორმებული ფართო ვერტიკალური ქედებით, რომლებიც ერთმანეთისგან მსუბუქი პარალელური ღარებითაა გამოყოფილი. ექვსკუთხედის ფორმის პირი გაფორმებულია პარალელურ ღარებს შორის მოქცეული დიაგონალური ჭდეული ხაზებით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. ამ ტიპის ჩიბუხებზე კილი არ იკითხება. L—3,0სმ. H—3,0 სმ. D1— 1,3სმ. D2 — 0,3 სმ. A <90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Ayhan, 2009:10, Res. 7); აზაკის ციხის მასალებით, მსგავსი ფორმის ნაცრისფერკეციანი ჩიბუხები, ოლონდ სამკუთხა კილით და გრძელი ტარით, XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება (Гысау, 2016:108, №79; 197, №242).

9. გ.ა.11-95:13. კეცი მონაცრისფრო. საშუალო მოცულობის. მომტვრეული აქვს პირისა და ტარის ნაწილი. ტანი მოლუსკის, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ტანი შემკულია სქელი ვერტიკალური კანელურებით, რომლის ზედა მომრგვალებულ ნაწილზე ფანტელის მსგავსი როზეტებია გამოსახული. როზეტის გამოსახულება დატანილია ჯამის ძირზეც — ქედების შეერთების ადგილას. ყელი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ზედა ნაწილი სადაა, ქვედა კი პარალელურ წერტილებით შემდგენილ სარტყელს შორის მოქცეული წნული ტალღისებური ზოლებით არის გაფორმებული (ტაბ.7<sub>27</sub>). ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. ძირი, ცეცხლის მოქმედების შედეგად, გაშავებულია. L—3,1სმ. H—3,3სმ. D1—1,8სმ. D2—0,3სმ. A<90°.

სავარაუდოთარილი: XVII-XVIII საუკუნეები (Kopieczny, Dincă, 2012:184, pl.50; Robinson, 1985, Pl.47, C2; Гусач, 2016:155, №175; Хараламбиева, 1986:149, таб. II-10; Inanan, Şahin, 2017:49, Tab.2b). უნგრეთში, მდინარე დრავას რეგიონში აღმოჩენილ მსგავსი ფორმის და შემკულობის (როზეტების განლაგება ტანზე) ოსმალურ ჩიბუხებს კოვაჩი და როზასი XVII საუკუნით ათარილებენ (Kovács, Rózsás. 2014:245).

10. გ.ა.5143. კეცი ნაცრისფერი. ჯამი მცირე მოცულობის. მომტვრეული აქვს პირ-ყელისა და ტარის ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, ყელი დაბალი, ცილინდრის ფორმის. ყელი ტანისგან გამოყოფილია წერტილოვანი სარტყლის ორი რიგით, ტანი კი ჯვარედინი ხაზებისგან შედგენილი მწკრივის ორი რიგით (ტაბ.7<sub>28</sub>). კილი ბრტყელი, შემოსაზღვრული წერტილების ორ-ორი რიგით. L—2,8 სმ. H—2,0 სმ. D1—1,4 სმ. D2—0,3სმ. A<90°.

სავარაუდო თარილი: XVII-XVIII საუკუნეები. ჯამის მოცულობა, კეცის ფერი, გაფორმების სტილი აღნიშნული ნიმუშის დამზადების ადრეულ პერიოდზე მიუნიშნებს.

11. გ.ა. 95:1654. კეცი ნაცრისფერი. მომტვრეული აქვს პირისა და ტარის ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის. პირ-ყელი სადა, კონუსის ფორმის. ტანი გაფორმებულია მრგვალ ჩარჩოებში ჩაჭდებული პალმეტებისა და ნახევარპალმეტების ორი რიგით (ტაბ.7<sub>29</sub>). ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, გვირგვინისგან გამოყოფილია ქდელი ღარებისგან შედგენილი სარტყლით. გვირგვინი კონუსის ფორმის, ლილვაკის მხარეს გაფორმებული ყვავილის სქემატური გამოსახულებებით

შედგენილი მწკვრივით. ლილვაკი სადა, მკვეთრად გამოყოფილი და პირმოსწორებული. კილი რელიეფურად გამოკვეთითილი, შემოსაზღვრული მცირე ქდეული ღარების რიგით. L —4,4 სმ. H—2,3სმ. D1—1, 4სმ. D2—0,6სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები. მსგავსი გაფორმების ნაცრისფერკეციანი ჯამები ცნობილია აზაკის და ეგერის (Varga, 2014: 372) ციხეების მასალებიდან. ი. გუსაჩი მათ XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებს (Гусау, 2016:129, №127;196, №241). გ. აიჰანი, სმირნის მასალით, ასეთი ფიგურებით შემკულ ჩიბუხებს XVIII საუკუნის ნაკეთობებს მიაკუთვნებს (Ayhan, 2015:10, Res.9, tab.2). ისრაელის მასალების მიხედვით მსგავსი გაფორმების ჩიბუხის ჯამები XVIII საუკუნით არის დათარიღებული (Milwright, 2011:55). ჯამების ასეთი გაფორმება დამახასიათებელია მოგვიანო პერიოდის ნიმუშებისთვისაც. ბაბადაგის (რუმინეთი) მასალებით ასეთი შემკულობის ჯამები თარიღდება XIX საუკუნით (Costea, Stanica, Ignat, 2007:353, pl. V6-8).

12. გ.ა. 2-340. კეცი ნაცრისფერი. ჯამი მცირე მოცულობის. ტანი ნახევრადსფერული ფორმის. მომტვრეული აქვს ყელ-პირის ნაწილი. ტანი გაფორმებულია რელიეფური ბადისებრი ორნამენტით. ტანის სამ მხარეს (ორი გვერდზე, ერთიც— წინა ფასადზე), ღილის ფორმის მინაძერწში, ფანტელის მსგავსი გამოსახულებაა გამოყვანილი. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, შუაში გაყოფილი წერტილოვანი ორნამენტის სარტყლით. გვირგვინიც მსგავსი ნახაზით არის გაფორმებული. L—4,8სმ. H—2,0 სმ. D1 —1,4 სმ. D2 — 0,6სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები. მკვლევართა აზრით, ჯამების გაფორმების მსგავსი სტილი ევროპულის მინაბადი უნდა იყოს. ჩვენთვის ცნობილი ევროპული ვარიანტები თარიღდება XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნით (Bekič, 2012:5, fig.4), ხოლო აღმოსავლური ნიმუშები— XVIII-XIX საუკუნეებით (Vincenz, 140-141; Гачић, 2008:8).

13. გ.ა.91-12. კეცი მონაცრისფრო. მომტვრეული აქვს ტანის, პირის, ყელის და ტარის ნაწილი. ტანი (ბაზა) დისკოს ფორმის, ყელი ცილინდრის ფორმის. ტანის ზედა ნაწილი გაფორმებულია გუმბათის ფორმის ფიგურების და დაშტრიხული სამკუთხედებისგან შედგენილი ორნამენტით (ტაბ. 7<sub>24</sub>). ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, გაფორმებული წრიული მსუბუქი ღარებითა და წერტილებისგან შედგენილი

სარტყლით. კილი რელიეფურად არის გამოკვეთილი, შემოსაზღვრულია მსუბუქი ნერტილებით განყოფილი ღარებით. L— 4,0სმ. H— 1,5 სმ. D1 — 1,5 სმ. D2 — 0,5 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII საუკუნის ბოლო - XVIII საუკუნის პირველი ნახევარი (Robinson, 1983:274, taf. 524,10; Хараламбиева, 1986:144, таб. II,14; Bercero, Aleix, Rodrigues, 2012:182-183).

14. გ.ა.1-97-1380. კეცი ნაცრისფერი. ჯამი მცირე მოცულობის. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ტანი (ბაზა) დისკოს ფორმის. ტანი გაფორმებულია სწორღეროიანი ყვავილების (?) სქემატური გამოსახულებით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი რელიეფურად გამოკვეთილი, შემოსაზღვრული მსუბუქი ღარების ერთი რიგით. L—3,3სმ. H— 1,0 სმ. D1— 1,3 სმ. D2—0,4 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Хараламбиева, 1986:149, таб.II-14; Costea, Stanica, Ignat, 2007:354, pl. VI-7b). რ. რობინსონის კლასიფიკაციითაც, ეს თარიღი მისაღებია აღნიშნული ტიპის ჩიბუხებისთვის (Robinson, 1985: 161).

15. გ.ა.1-06:12. კეცი მონაცრისფრო. ჯამი მცირე მოცულობის. მომტვრეული აქვს ტარის ნაწილი. ტანი ბიკონუსური, ყელი ცილინდრის ფორმის, პირისკენ ოდნავ გადაშლილი. ტანი ყელისგან გამოყოფილია რელიეფური ქედით. ტანის ქვედა ნაწილი გაფორმებულია მსუბუქი ღარებით, ხოლო ზედა ნაწილი და ყელი, წვერით ზევით და ქვევით, მიმართული ფოთლების გამოსახულებით (ტაბ.7,17). ტარი მოკლე. კილი რელიეფურად გამოყოფილი, მკვეთრად მორკალული და დანახნაგებული. კილის წვერის ბოლოსაც ფოთლის გამოსახულებაა დატანილი. L — 3,2სმ. H—3,3 სმ. D1 — 1,5 სმ. D2—0,5სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Costea, Stanica, Ignat, 2007:354, pl. VI-7b). Kopeczny, Dincă, 2012:184; Robinson, 1985:175, pl.48,c14).

16. გ.ა. 1-97:1299. კეცი ნაცრისფერი. მომტვრეული აქვს პირის და ლილვაკის ნაწილი. ტანი ბიკონუსური ფორმის. ყელი დაბალი, ცილ-

<sup>6</sup> ზოგი მკვლევარი ამ ფიგურას ნაძვის ხეს ამსგავსებს (Kopeczny, Dincă, 2012, pic.2; Topić, Milošević, 2012:21, fig.13).

ინდრის ფორმის. ტარი დანახნაგებული. ტარზე, რგოლისებრი გვირგვინის საზღვართან, წრიულად, არაბული გრაფიკული წარწერაა დატანილი. წარწერა ასევე იკითხება გვირგვინზე: *داری در گنبد* („წყული დაუნდობელი დარდი მომძალეობა“).<sup>7</sup> ლილვაკი მკვეთრად გამოყოფილი, ნაწილობრივ მომტვრეული. ჯამის ძირზე კილი არ იკითხება. L — 6,2 სმ. H — 2,4 სმ. D1 — 1,3 სმ. D2 — 0,5 სმ. A < 90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Humphrey, 1990:3, Hayes, 1980:5, VIII-XXI; Costea, 2013:260-262; Evely, 1988:140, fig.4, Гусау, 2016:124, №119; Гачиш, 2011:52; Ene, 2014, pl.II. 16).

17. გ. ა. 99:5999. კეცი ნაცრისფერი. მომტვრეული აქვს პირის და ყელის ნაწილი. ჯამი მცირე მოცულობის. ტანი ბიკონუსური ფორმის. ყელი დაბალი, ცილინდრის ფორმის. დანახნაგებული ტარი, რგოლისებრი გვირგვინის საზღვართან, მცენარეული (თამბაქოს ფოთლები?) ორნამენტითაა შემკული. ჯამის ძირზე კილი არ იკითხება. L — 5,5 სმ. H — 2,3 სმ. D1 — 1,5 სმ. D2 — 0,6 სმ. A < 90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Humphrey, 1990:3, Evely, 1988:142, fig.5; Hayes, 1980:5, XVIII-XXI; Costea, 2013:260-262; Evely, 1988:140, fig. 4, Гусау, 2016:124, №119; 293, №405). ზოგი მკვლევარი მსგავსი გაფორმების ჩიბუხის ჯამებს უფრო მოგვიანო (XIX საუკუნე) ნაკეთობებად მიიჩნევს (Vincenz, 2019:180-183).

18. გ. ა. 6-95.163. კეცი მონაცრისფრო. მომტვრეული აქვს ტანის, პირ-ყელის და ტარის ნაწილი. ტანი კონუსის ფორმის, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ტანი გაფორმებულია სქელი ვერტიკალური კანელურებით, ყელი კი მსუბუქი ჰორიზონტალური ზოლებით. ჯამის ძირზე კილი არ იკითხება. L — 5 სმ. H — 2,2 სმ. D1 — 1,3 სმ. D2 — 0,6 სმ.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნე (Ayhan, 2009:9-10; Heredia, Miro, Soberon, 2012:118-119).

19. გ. ა. 03.40 კ. 21. კეცი მონაცრისფრო. მომტვრეული აქვს ნაწილობრივ — ტანის და სრულად — პირ-ყელის ნაწილი. ტანი ბიკონუსური ფორმის, პატარა მოცულობის. ტანი გაფორმებულია წრიულად გან-

<sup>7</sup> ჩიბუხებზე დატანილი წარწერები ნაიკითხა ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა ზაზა შაშიკაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ლაგებული ფოთლების და ხელებდაშვებული ადამიანის (?) მსგავსი გამოსახულებით (ტაბ. 6<sub>10</sub>). ტარი დაწახნაგებული. ძირი გაფორმებულია მარაოსებურად ცენტრისკენ მიმართული ღარებით, ხოლო ძირის ცენტრში — ადამიანის ფიგურის მსგავსი სქემატური გამოსახულებაა დატანილი. ტარის ბოლოს, გვირგვინის საზღვარზე, მსუბუქ ღარებს შორის მოქცეული სარტყელია გამოკვეთილი, რომელზეც არაბული გრაფიკული ნარწერაა დატანილი. ნარწერა გადაღეჭილია, მხოლოდ რამდენიმე ანბანური ნიშნის გარჩევაა შესაძლებელი. გვირგვინი გაფორმებულია წვერით ზემოთ მიმართული ფოთლების გამოსახულებით. ლილვაკი ოდნავ გამოყოფილი. ჯამის ძირზე კილი არ იკითხება. L—6,8 სმ. H—1,3 სმ. D1—1,3 სმ. D2—0,5 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Hayes, 1980:5, XVIII-XXI; Costea, 2013:260-262; Vincenz, 2011:44. fig.1).

20. გ.ა. 96:7. კეცი მონაცრისფრო. მომტვრეული აქვს ძირის, ტარის და ლილვაკის ნაწილი. ტანი ბიკონუსური, ყელი კი ცილინდრული ფორმის. ტანი სადა. ყელი შემკულია მსუბუქი წერტილებით გაფორმებული ჰორიზონტალური ღარებით, ხოლო წერტილებით შედგენილი ღარებიანი სარტყელი — გეომეტრიული ფიგურებით. L—2,6 სმ. H—3,0 სმ, D1—1,4 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები. ჯამის მოცულობა და ფორმის სიმარტივე მიანიშნებს დამზადების ადრეულ პერიოდზე. ყელის გაფორმება ასიმეტრიულად დატანილი ღარებით (ეს არ უნდა იყოს მოსწორების კვალი), მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია მოგვიანო (XIX საუკუნე), ნიმუშებისთვისაც (Kopenczi, Dinca, 2014:1849).

21. გ.ა. SWVI3818. კეცი ნაცრისფერი. მომტვრეული აქვს ტარის ნაწილი. ტანი კონუსის, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ყელი სადა, პირისკენ ოდნავ გადაშლილი. ყელი ტანისგან გამოყოფილია წერტილებით შედგენილი სარტყლით. ტანი და ძირი გაფორმებულია საშუალო სიღრმის დახრილი ღარებით. ამ ნიმუშის ძირზე კილი არ იკითხება. L—2,8 სმ. H—2,9 სმ. D1—1,5 სმ. D2—0,3 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე (Robinson, 1985:196/61. A13). თუმცა, ტიმიშუარას (რუმინეთი) მასალებით, მსგავსი ვერტიკალურკანელურებიანი ნაცრისფერკეციანი ჩიბუხები უფრო ადრეული პერიოდით — XVII საუკუნით არის დათარიღებული (Gaspar, 2016:273, 277).

22. გ.ა. 1-97:1074. კეცი ნაცრისფერი. მომტვრეული აქვს ტარის ნაწილი. არატიპური ფორმის. ტანი და ტარი მართკუთხედის ფორმის. გვერდები ბრტყელი და ძგიდეებმოსწორებული. პირი გამოყოფილია მცირე ზომის ქობით. ამ ნიმუშის ძირზე კილი არ იკითხება. L—4,5სმ. H—2,7 სმ. D1—1,2 სმ. D2 — 0,3სმ. A=90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე (Bekic, 2010:2) და XIX საუკუნის დასაწყისი (Milosevic, Topic, 2011:302).

23. გ.ა.97.3738. კეცი მონაცრისფრო. ჯამი საშუალო ზომის. ტანი ბიკონუსური ფორმის, ყელი კი ცილინდრის ფორმის. პირი ყელისგან გამოყოფილია მოკლე ვერტიკალური ღარების სარტყლით. ტანი გაფორმებულია ღრმა ვერტიკალური ღარებით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. გვირგვინი ფართო, რგოლის ფორმის, შუაში გაყოფილი წრიული ღარით. ამ ნიმუშზე კილი და ლილვაკი არ იკითხება. L — 4,6 სმ. H— 2,6 სმ. D1 — 1,6 სმ. D2—0,6სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე (Kopenczi, Dinca, 2014:184; Ayhan, 2009: 10, res.7).

24. გ.ა.95.163. კეცი მონაცრისფრო-მოყავისფრო. მომტვრეული აქვს პირ-ყელისა და ტარის ნაწილი. ტანი ბიკონუსური, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ყელი ტანისგან გამოყოფილია ჰორიზონტალური ღარით. ტანი შემკულია ფართო და ღრმა ვერტიკალური კანელურებით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. გვირგვინიც კონუსის ფორმის — გაფორმებული წრიულ ჰორიზონტალურ ღარებში მოქცეული ტალღისებური ზოლებისა და წერტილების კომბინაციით. ძირზე კილი არ იკითხება. L— 3,2სმ. H— 3,9 სმ. D1—2,0 სმ. D2 — 0,6სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Kopenczi, Dinca, 2014:184; Ayhan, 2009:10, res.7).

25. გ.ა.95311. კეცი მონაცრისფრო-მოყავისფრო. შემორჩენილია კონუსის ფორმის დანახნაგებული ტარის ნაწილი. გვირგვინი ნაკვეთილი კონუსის ფორმის. გვირგვინამდე და გვირგვინზე №16 ნიმუშზე დატანილი ანალოგიური წარწერა იკითხება:  $\text{اگر شادی در سعاد}$  („წყეული დაუნდობელი დარდი მომძალდება“). L—4,3სმ. D2— 0,7სმ. სავარაუდო თარიღი: XVII საუკუნის ბოლო - XVIII საუკუნის დასაწყისი (Costea, 2013:260-262; Humphrey, 1990:3, Evely, 1988:142, fig.5;

Гусач, 2016:124, №119; Алядинова, 2013:2756 рис.2-), ჯ. ჰეისი თვლის, რომ მონოგრამები და დამლები უფრო XVIII საუკუნის ნიმუშებისათვისაა დამახასიათებელი (Hayes, 1980: 5, XVIII-XXI;).

26. გ.ა.1-96:407. კეცი მონაცრისფრო. შემორჩენილია მხოლოდ ტარის ნაწილი. ტარი გრძელი, შვიდნახნაგიაანი, ბოლოვდება ნერტილებით შემკულ სარტყელში მოქცეული ქედისებური რგოლით. გვირგვინი გრძელი, კონუსის ფორმის. გვირგვინი დასაწყისში შემკულია სამკუთხედებით შედგენილი სარტყლით, ხოლო რგოლისებურ ნაწილზე გაფორმებულია ტალღისებრი ფიგურის გამოსახულებით. ლილვაკი წაკვეთილი კონუსის ფორმის, გვირგვინისგან მკვეთრად გამოყოფილი. L — 4,6 სმ. D2—0,5სმ.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Hayes, 1980:5, XVIII-XXI; Costea, 2013:260-262).

27. გ.ა.1-97:1316. კეცი ნაცრისფერი. შემორჩენილია მხოლოდ ტარის ნაწილი. ზედაპირი დაფარულია თეთრი ანგობით. ბუნიკის ფორმის გვირგვინი გაფორმებულია რომბებისგან შედგენილი სარტყლით. ლილვაკი არ არის გამოკვეთილი. L— 3,5სმ. D2—0,6სმ.

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე. თუმცა, მსგავსი ფორმის გვირგვინიანი ტარები მოგვიანო პერიოდის (XIX საუკუნე) ჩიბუხებისთვისაც არის დამახასიათებელი (Radu-Iorgus, Radu, Ionescu, 2013:250, 244, fig. 216; Bikić, 2012:7, fig. 5,3-4).

28. გ.ა.1-97:1332. კეცი მონაცრისფრო. შემორჩენილია მხოლოდ ტარის ნაწილი. ტარი გვირგვინამდე გაფორმებულია ზიგზაგისებური ხაზებით, რომლებიც შემოსაზღვრულია მსუბუქი წრიული ლარებით. ტარი ბოლოვდება რგოლისებრი ლილვაკით. L—3,1 სმ. D2— 0,5სმ.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Hayes, 1980:5, XVIII-XXI; Costea, 2013:260; Bekic, 2000:267/9). გ. აიჰანი თურქეთში მიკვლეულ მსგავსი ორნამენტით გაფორმებულ ჩიბუხის ტარებს XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებს (Ayhan, 2015:10, Res. 12, Şek. 4).

29. გ.ა.1-97:1056. კეცი მონაცრისფრო. შემორჩენილია მხოლოდ ტარის ნაწილი, რომელიც გაფორმებულია, წრიულ მსუბუქ ლარებს შორის მოქცეული, დახრილი ლარებისგან შედგენილი სარტყლით.

გვირგვინი კონუსის ფორმის, სადა ზედაპირით. ლილვაკი რგოლის ფორმის, მკვეთრად გამოყოფილი და გაფორმებული ორი მსუბუქი წრიული ღარი. L—3,8სმ. D2— 0,6სმ.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Hayes, 1980:5, XVIII-XXI; Costea, 2013:260-262).

30. გ.ა.157SWVI. კეცი მონაცრისფრო-მოყავისფრო. შემორჩენილია მხოლოდ ტარის ნაწილი, რომელიც გვირგვინამდე გაფორმებულია წერტილებით შედგენილ სარტყლებში მოქცეული ურთიერთგადამკვეთი დიაგონალური ღარებით. გვირგვინი სადა, ბიკონუსური ფორმის. ლილვაკი ვიწრო, მკვეთრად გამოყოფილი. L—4,5სმ. D2—0,5სმ. სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე.

31. გ.ა.1-96:123. კეცი ღია ყავისფერი. ე.წ. „ტახტა-ჩიბუხის“ ტიპის. მომტვრეული აქვს ტარის ნაწილი. ზედაპირი გაპრიალებული. ჯამი დიდი მოცულობის, სქელკედლიანი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, დანახნაგებული. ყელი ცილინდრული ფორმის. ტანი რვანახნაგიანი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია მსუბუქი ვერტიკალური ღარებით. ნახნაგები გაფორმებულია თვალის, ნახევარპალმეტიების და თამბაქოს ფოთლის (ტაბ.6<sub>გ</sub>) სქემატური გამოსახულებით. ტანი ყელისგან გამოყოფილია რელიეფური სარტყლით. ყელი ათნახნაგიანია და შემკულია ერთმანეთზე სამ იარუსად განლაგებული ნახევარპალმეტიებით. პირის ქობა ბრტყელი, გვერდებმომრგვალებული. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. კილი დაბალი, რელიეფური, შემოსაზღვრული ჭდეული წერტილოვანი შტამპის თითო ზოლით. L — 4სმ. H— 3,2 სმ. D1—2,2 სმ. D2— 1,0სმ. A<90°.

32. გ.ა.69632. კეცი ღია-ყავისფერი. „ტახტა-ჩიბუხის“ ტიპის. მომტვრეული აქვს ჯამის ნახევარი და პირი სრულად. გაფორმება ანალოგიურია ზემოთ აღწერილი ნიმუშის. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის. ტარი ბოლოვდება კონუსის ფორმის გვირგვინით, რომელიც ჰორიზონტალური ნაჭდევი ღარებითაა გაფორმებული. კილი დაბალი, რელიეფური, შემოსაზღვრული წერტილოვანი შტამპით შედგენილი ორ-ორი ღარით. L— 5,5 სმ. —2,3სმ. D1 — 2,3 სმ. D2— 1,5სმ. A<90°.

33. გ.ა.96-6. კეცი ღია ყავისფერი. „ტახტა-ჩიბუხის“ ტიპის. მომტვრ-

ეული აქვს ტანის, პირის და ტარის ნაწილი. გაფორმება ანალოგიური ზემოთ აღწერილი ნიმუშების. ამ ნიმუშის კილზე წყვილი დამლაა და-ტანილი (ტაბ.6.). L—6სმ. H—2,3 სმ. D1—2,7 სმ. D2—1,9სმ. A<90°.

„ტახტა-ჩიბუხის“ ტიპის ჩიბუხები (№№ 31, 32, 33) ოსმალური ჩიბუხების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტიპს განეკუთვნება. ეს ნაკეთობები მოსკოვის მასალებით თარიღდება XIX საუკუნის დასაწყისით და შუა პერიოდით. შარლ პეისონელის ჩანაწერებით, ყირიმელები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადად მოიხმარდნენ „ტახტა-ჩიბუხის“ ტიპის ჩიბუხებს (Волков, 1994). სტაროდუბშინის მასალებით, მსგავსი ტიპის ჩიბუხები XVIII საუკუნის შუა წლებით თარიღდება (Пусь, Ещенко, 2008), ვოლოგდის მასალებით კი XVIII საუკუნის მეორე ნახევრით და XIX საუკუნის დასაწყისით (Недомолкина, Недомолкина, 2003). შუისკის ნაქალაქარის მკვლევრები მათ XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასაწყისით თარიღებენ (Метелкина, 2012). რ. პეტრუზელი კასტლ-ჰილში აღმოჩენილ მსგავს ჩიბუხებს, ქ. სიტკას (რუსეთი) ნიმუშების მსგავსად, XIX საუკუნის შუა ხანებით თარიღებს (Petruzelli, 2002:165). დუბროვნიკის მასალების მიხედვით, მათი დამზადების თარიღი XIX საუკუნითაა განსაზღვრული (Milošević, Topić, 2011:318). ფ. გოსსე ამ ტიპის ჩიბუხებს ს (ქვეტიპი A, B) XVIII საუკუნის შუა ხანებით თარიღებს. (Gosse, 2007:13). XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება ბაბადაგში და პოლტავაში აღმოჩენილი მსგავსი ჩიბუხები (Costea, Stănică, Ignat, 2007:342351; Крaкaлo, 2014:79-81), ხოლო იასის (რუმინეთი) მასალებით, მათი ასაკი XVIII საუკუნით არის განსაზღვრული (Andronic, Neamtu, 1964:20). რ. ახმედოვი აზერბაიჯანში მიკვლეულ „ტახტა-ჩიბუხის“ ტიპის ნიმუშებს XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისის ნაკეთობებად მიჩნევს (Ахмедов, 1992:78). ა. ვინსენსი ჯაფაში (ისრაელი) აღმოჩენილ ამ ტიპის ჩიბუხებს XVIII საუკუნის ბოლო პერიოდით თარიღებს (Vincens, 2019:135).

34. გ.ა.91-51. კეცი ყავისფერი. მომტვრეული აქვს ტანის, პირის და ყელის ნაწილი. ფორმით ჩამოგავს „ტახტა-ჩიბუხის“ ტიპის ჩიბუხებს (განსხვავებულია ტანზე დატანილი კანელურების ნახაზი). ჯამი დიდი მოცულობის, სქელკედლიანი. ტანი ნახევრადსფერული, ყელი კი ცილინდრული ფორმის. ტანის და ყელის გამყოფი ზოლი პალმეტებისგან შედგენილი ორნამენტითაა გაფორმებული. ტანი დანახ-

ნაგებულია სქელი კანელურებით. ნახნაგების გასაყარზე პეპლების მსგავსი გამოსახულებებია გამოყვანილი (ტაბ. 7<sub>ჟ</sub>). ტარი მოკლე, კონუსის ფორმის, მკვეთრად დაწახნაგებული. ტანის ერთ-ერთ ნახნაგზე წყვილი დამლაა დატანილი (ტაბ. 6<sub>ჟ</sub>). L — 6სმ. H — 2,9სმ. D1 — 2,3სმ. D2 — 1,4სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები. ტულჩეას (რუმინეთი) მასალებით, ი. კოსტეა მსგავსი ფორმისა და შემკულობის (კანელურები, პალმეტები) ჩიბუხებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს (Costea, 2013:285, Pl. IV15).

35. გ.ა.95-2704. კეცი მოყავისფრო. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ჯამი საშუალო ზომის, სქელკედლიანი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, ყელი წაკვეთილი კონუსის ფორმის. ტანი გაფორმებულია წერტილებით შედგენილი სამკუთხედებით, ხოლო წაკვეთილი კონუსის ფორმის გვირგვინი შემკულია წერტილოვანი ორნამენტის სარტყლით. კილი არ არის გამოკვეთილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია წერტილების რიგით. L — 5,3სმ. H — 3,2სმ. D1 — 2,3სმ. D2 — 1,0სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები. ზემოთ აღწერილ ნიმუშზე ტანის და ყელის გამყოფი ორიგინალური რელიეფური ქედია გამოყვანილი, რაც არ არის დამახასიათებელი ნახევრადსფერული ტანის ოსმალური ჩიბუხებისთვის. ეს დეტალი უფრო ხშირად ფიქსირდება სერბიულ-ხორვატიულ ვარიანტებზე (Bekic, 2000). სამკუთხედებისგან შედგენილი ნახაზით გაფორმებული ჩიბუხის ჯამები ცნობილია ისრაელის მასალებიდან, რომლებიც XVIII საუკუნით არის დათარიღებული (Milwright, 2011:35).

36. გ.ა.1-97:1124. კეცი ყავისფერი. მომტვრეული აქვს ტანის და პირ-ყელის ნაწილი. ტანი ელიფსის ფორმის, გაფორმებული დახრილი და ღრმა ვერტიკალური კანელურებით. კანელურებს შორის, ტანის ყელთან შეერთების ადგილას, ზემოთ აშვერილი ტოტების სქემატური გამოსახულებაა დატანილი. ტარი მოკლე, სადა, კონუსის ფორმის, ტანისგან გამოყოფილია წერტილებით შედგენილი სარტყლით. კილი არ არის მკვეთრად გამოყოფილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია წერტილოვანი ორნამენტით შედგენილი ორ-ორი ღარით. L — 5,5სმ. H — 3,4სმ. D1-2,2სმ, D2-0,7სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები. რ. რობინსონი მსგავსი გაფორმების ჩიბუხებს XVIII-XIX საუკუნეებით ათარიღებს (Robinson, 1985: PL. 52/ C54; PL. 53/C 60 – 63).

37. გ.ა. 6-96:317. კეცი ყავისფერი. მომტვრეული აქვს ტანის, პირის და ტარის ნაწილი. საშუალო მოცულობის. ტანი (ბაზა) წაკვეთილი კონუსის ფორმის. ყელი ცილინდრის ფორმის. ტანი ყელისგან გამოყოფილია წერტილების ორი რიგით შემოსაზღვრული სარტყლით, რომელიც მცენარეული (ოთხფურცლიანი ყვავილი) ორნამენტითაა გაფორმებული (ტაბ.6<sub>15</sub>). ტანის ქვედა, კონუსის ფორმის ნაწილი, გაფორმებულია ჭდეული ფოსოების ორი რიგით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. ბრტყელ კილზე<sup>8</sup> სამკუთხედაა გამოსახული, რომლის ორი გვერდი — ორი ვიწრო ზოლით და ერთიც — წერტილების რიგითაა შედგენილი. L—3,7სმ. H —3,1 სმ. D1—1,9 სმ. D2 —8სმ. A= 90°.

სავარაუდო თარიღი: ნიმუში შედარებით მოგვიანო ხანის ნაკეთობა უნდა იყოს და XVIII-XIX საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

38. გ.ა. 996088. კეცი ღია ყავისფერი. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ტანი სფეროს ფორმის. ყელი დაბალი, ტანისგან გამოყოფილია ჰორიზონტალური ღარით, რომელიც ჭდეული წერტილებით შედგენილი სარტყლით არის გაფორმებული. ტანი შემკულია მჭიდროდ განლაგებული ხაზებისგან შედგენილი ბადისებრი ორნამენტით. ტანზე, სამ ადგილას (გვერდებზე და წინა მხარეს) რომბის ფორმის ჩარჩოში მოქცეული ხუთქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებაა გამოყვანილი. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი რელიეფური, შემოსაზღვრული წერტილოვანი ორნამენტის ერთი რიგით. L— 4,3სმ. H—3,5 სმ. D1—1,9 სმ. D2—0,8სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: რუმინელი მკვლევრები მათ შედარებით ადრეულ ნაკეთობებად მიიჩნევენ და XVIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ (Costea, Stănică. Pl. II,7:2007), ხოლო საბერძნეთის მასალებით, მათი გავრცელების პერიოდი ძირითადად XIX საუკუნით კონკრეტდება (Gusar, 2008:144; Robinson, 1985:84-85).

<sup>8</sup> რებეკა რობინსონის დაკვირვებით, XIX საუკუნისთვის ოსმალურ ჩიბუხების კილი ფორმას ხშირად იცვლის: ის ხან კვადრატის ფორმას ღებულობს, ხან წაგრძელებული მართკუთხედის მოყვანილობისაა, ზოგჯერ გაბრტყელებულია, ამავე დროს, ზომითაც საგრძნობლად იზრდება (Robinson, 1985:162-163).

39. გ.ა.1-97:1296. კეცი ღია ყავისფერი. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ჯამი საშუალო მოცულობის. ტანი ნახევრადსფერული ფორმის. ყელი მაღალი, კონუსის ფორმის. ტანი რომბისებური ფიგურებით შედგენილი ბადისებრი ნახაზით არის დაფარული. ყელპირი ერთმანეთისგან გამოყოფილია მცირე კვადრატებით გაფორმებული სარტყლით, რომელიც, თავის მხრივ, ორივე მხარეს ფართო სარტყლებითაა შემოსაზღვრული. პირის ქობა გაფორმებულია რკალისებურად თავებმომრგვალებული სამკუთხედებით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი მაღალი, რელიეფური, შემოსაზღვრული მსუბუქი ღარებით. ტარი, ჯამთან მიერთების ადგილას, კილზე დატანილი მსგავსი გამოსახულებითაა გაფორმებული. L—2,4სმ. H—4,4 სმ. D1 — 2,0 სმ. D2 — 0,6სმ. A < 90°.

სავარაუდო თარიღი: მსგავსი გაფორმების ჩიბუხები აზაკის ციხის მასალებით თარიღდება XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის დასაწყისით (Гуцау, 2016:242, №309). რუმინელი მკვლევრები, მანგალიას მასალებზე დაყრდნობით, მათ ასაკს XVIII საუკუნით განსაზღვრავენ (Radu, C., Radu, L., Ionescu, 2013: 248-249).

40. გ.ა.1-96:307. კეცი მოყავისფრო. იასამნისფერი ანგობით დაფარული. მომტვრეული აქვს პირის ნაწილი. ჯამი საშუალო მოცულობის. ტანი ნახევრადსფერული, ყელი კი კონუსის ფორმის. ტანი გაფორმებულია დახრილი ხაზებისგან შედგენილი ბადისებრი ორნამენტით. ტანი ტარისგან გამოყოფილია ნაჭდევი ნერტილების ერთი რიგით. ტანის ქვედა ნაწილში, გვერდებზე და წინა მხარეს ოვალურნახნაგან ჩარჩოებში მოქცეული შვიდექიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებაა დატანილი (ტაბ.7<sup>20</sup>). ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, ბოლოვდება კონუსის ფორმის გვირგვინით. ეს უკანასკნელი ჭდეული ვარდულებითაა შემკული. ლილვაკი კონუსის ფორმის. კილი არ არის მკვეთრად გამოყოფილი— ის მხოლოდ შემოსაზღვრულია მსუბუქი ღარებით. L— 4,2სმ. H—3,3 სმ. D1—1,4 სმ. D2 — 0,5სმ. A < 90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები. ი. გუსაჩი მსგავსი ფორმის, შემკულობის და გვირგვინის ფორმის მქონე ჯამებს XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. რ. რობინსონი მათ უფრო მოგვიანო ნაკეთობებად მიიჩნევს და საბერძნეთში აღმოჩენილი მსგავსი ნიმუშების ასაკს XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასაწყისით განსაზღვრავს (Robinson, 1985: pl.53).

41. გ.ა.96 2698. კეცი მოყავისფრო-მონითალო. დაფარულია იასამნისფერი ანგობის თხელი ფენით. ძირი დისკოს ფორმის, ტანი ბიკონუსური მოყვანილობის, ყელი ცილინდრის ფორმის. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ტანის შემკულობა სამ ფრიზზე არის განაწილებული. ქვედა ნაწილი ნერტილოვანი ფოსოების სარტყლით არის გაფორმებული, რომელსაც ზევით აგრძელებს ჯერ ზიგზაგისებრი რელიეფური ზოლებით შედგენილი მწკრივი, ხოლო შემდეგ ტეხილი ვერტიკალური ღარებისგან შედგენილი სარტყელი (ტაბ.7<sub>21</sub>). ფრიზები ერთიმეორესგან მსუბუქი ჰორიზონტალური ღარებითაა გამოყოფილი. შემორჩენილი პირის ფრაგმენტიც, სავარაუდოდ, მსუბუქი ჰორიზონტალური ღარებით უნდა ყოფილიყო გაფორმებული. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი სადა, რელიეფურად გამოკვეთილი და შემოსაზღვრული ნერტილოვანი ორნამენტით. L—4,0 სმ. H— 2,4 სმ. D — 1,6 სმ. D2— 0,4 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: პრიშკეს მასალებით მსგავსი ფორმის და შემკულობის ჯამები XVIII საუკუნის II ნახევრით თარიღდება (Demjen, 2018: 234). აზაკის და კიევ-პოდოლის მასალებით, ორ და სამფრიზიან ბრტყელძირიან (Гусач, 2016:258, №329;194, №237; 267, №345; Чека новский, Чміль, 2000:5, мал.24-6) და ნახევრადსფერული ფორმის (Гусач, 2016 :244, №311; 216, №271) ჯამებს XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებენ.

42. გ.ა. 1-97:1368. კეცი ღია ყავისფერი. ჯამი საშუალო მოცულობის. ტანი (ბაზა) დისკოს ფორმის, ყელი ნაკვეთილი კონუსის ფორმის. მომტვრეული აქვს პირის ნაწილი. ტანის ქვედა ნაწილი გაფორმებულია გირლანდის მსგავსად ერთმანეთზე გადაბმული ნახევარმთვარის მსგავსი ფიგურებისგან შედგენილი სარტყლით. ეს ფიგურები ზევიდან სამფოთლიანი ყვავილებით არის განყოფილი (ტაბ.7<sub>28</sub>). ყვავილებს შორის სივრცე მსუბუქი ვერტიკალური ღარებითაა შევსებული. ნახევარმთვარის მსგავსი ფიგურები ვერტიკალური ღარებისგან შედგენილი სარტყლითაა შემოსაზღვრული. ბაზის ძირის მთელ პერიმეტრზე პარალელური ჭდეული ღარებია დატანილი. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის, ჯამისგან გამოყოფილია რგოლისებრი ქედდით. გვირგვინი ბუნიკის ფორმის, შუაში გაყოფილი სამი პარალელური ღარით. ტანის მხარეს გვირგვინი გაფორმებულია ტოტების (ან ყვავილების), ხოლო ლილვაკის მხარეს — შვიდფურცლიანი ვარდულის გამოსახულებით. ლილვაკი კონუსის ფორმის, მკვეთრად

გამოყოფილი. კილი დაბალი, რელიეფური, მკვეთრად გამოყოფილი და შემოსაზღვრული წერტილებით შედგენილი ღარებით. L— 5,2 სმ. H—2,3 სმ. D1—1,4 სმ. D2 — 0,6 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Bercero, Alaix, Rodrigues, 2012:183/3; Ayhan, 2009:9).

43. გ.ა.1-96:278. კეცი ყავისფერი. ანგობით დაფარული. ტანი ნახევრადსფერული ფორმის. მომტვრეული აქვს ტანის და პირის დიდი ნაწილი. ტანი გაფორმებულია მსუბუქი ვერტიკალური კანელურებით, ყელის და პირის საზღვარი კი ღილაკების მწკრივისგან შედგენილი სარტყლით. ღილაკებში ტოტის გამოსახულებაა გამოკვეთილი. გვირგვინი შემკულია ცალგვერდმომრგვალებული სამკუთხედების ან ყვავილების (?) სამი რიგით. ეს უკანასკნელი, ტარის ძირითადი ნაწილისგან, ჰორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეული ვერტიკალურ ღარებიანი სარტყლითაა გამოყოფილი. ლილვაკიც მკვეთრადაა გამოყოფილი, წარმოდგენილია ათფურცლიანი ყვავილის ფორმით. კილი რელიეფური, მომრგვალებული, გაფორმებული ტარისკენ წვერით მიმართული სამტოტიანი ყვავილის გამოსახულებით (ტაბ.7,19). L—4,5 სმ. H—2,3 სმ. D2— 0,6 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Robinson, 1985:180, pl.50-51, Costea, 2013:270; სამტოტიანი ყვავილებით გაფორმებული რუმინული ჩიბუხები XIX -XX საუკუნეებითაა დათარიღებული (Gruia, 2012: fig.15).

44. გ.ა.98 50612. კეცი ყავისფერი. დაფარულია შინდისფერი ანგობით. ჯამი დიდი მოცულობის. მომტვრეული აქვს პირ-ყელისა და ტარის ნაწილი. ტანი ნახევრადსფეროს ფორმის, გაფორმებულია მსუბუქი ვერტიკალური კანელურებით. ტანი პირ-ყელისგან გამოყოფილია ფართო ჰორიზონტალური სარტყლით. კილი დაბალი, რელიეფურად გამოკვეთილი. L — 3,6 სმ. H — 3,1 სმ. D1—1,7 სმ. D2 —0,5 სმ. <90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Гыцау, 2016:137, №142; Costea, Stănică, Ignat, 2007:352, Pl.IV-7; Bikić, 2012:5, fig.412; Demjen, 2018:244). ე. ბაკლა, დახვეწილი ფორმის გამო, ასეთი ფორმის ჯამებს „ხალხური ტიპის“ ("Folk type") სახელით მოიხსენიებს (Bakla, 2007:130-142). ფ. გოსსე კი მათ „ბერძნულ ტიპს“ მიაკუთვნებს (Gosse, 2007:10).

--45. გ.ა.9166. კეცი ყავისფერი. ჯამი დიდი მოცულობის. სქელკედლი-

ანი. ტანი ცილინდრის ფორმის, გაფორმებული გირლანდებში მოქცეული დიდი სასმისის (?) სქემატური გამოსახულებით (ტაბ.7<sub>31</sub>). ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, გვირგვინისგან გამოყოფილი მსუბუქი წრიული ღარების სარტყლით. კილი მაღალი, რელიეფურად გამოკვეთილი, შემოსაზღვრული ნერტილოვანი ორნამენტის რიგით და მსუბუქი ღარებით. კილის პირი გრძელდება ჯამის პირისკენ, რაც არ არის დამახასიათებელი ტრადიციული ფორმებისთვის. ტარის ერთ მხარზე დამლაა დატანილი, რომელიც კარგად არ იკითხება. L—4,3სმ. H—2,8 სმ. D1 — 2,1 სმ. D2—1,0 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Алядинова, 2013:376, рис. 3.11; Алядинова, Тесленко, 2015:192, таб.24<sub>28</sub>; Горбов, Божко, Кушнир, 2013:148; Кракало, 2014:78, рис.39; Кракало, 2014:80). გულბენ აიჰანი ამ თარიღს იზიარებს, მაგრამ ჯამზე დატანილ ფიგურას განსხვავებულად კითხულობს. მისი აზრით, აქ ცხოველის ნილაბი უნდა იყოს გამოსახული (Ayhan, 2015:3, Tab.1).

46. გ.ა. 1-97:1073. კეცი მოყავისფრო-მოაგურისფრო. შემორჩენილია მხოლოდ ტარის ნაწილი. ტარი დაწახნაგებული. ტარის ბოლოს, გვირგვინის რგოლამდე, წრიული რელიეფური ღარებით შემოსაზღვრული არაბული გრაფიკული წარწერაა **بى الفستور صحنه** („თუ მეგობრობ საჭმლით სავსე ჭურჭელთან, მოგიხდება, გინამლებს“) დატანილი. გვირგვინი სადა, ბიკონუსური ფორმის, ლილვაკი გამოვეთილი, ნაკვეთილი კონუსის ფორმის. L—5,0 სმ. D2— 0,6 სმ.

სავარაუდო თარიღი: ი. გუსაჩი, აზაკის ციხის მასალებით, ამ ტიპის ნაცრისფერკეციანი ჩიბუხების ტარებს XVII საუკუნით ათარიღებს (Гусач, 2016:293, №405). ჯ.ჰეისის მინიშნებით, ჩიბუხებზე დატანილი დამლები უფრო XVIII საუკუნის ნიმუშებისთვის არის დამახასიათებელი (Hayes, 1980:5, XVIII-XXI). რუმინული მასალებით მცირე ტექსტებით გაფორმებული ტარები XVIII-XIX საუკუნეებითაა დათარიღებული (Costea, Stanica, Ignat, 2007: 356/ 1-2 Costea, 2013:260-262).

47. გ.ა.1-96:28. კეცი ღია ყავისფერი. შემორჩენილია ტარის ნაწილი. ტარი დაწახნაგებულია (7 წახნაგი). ტარის წახნაგების ბოლოს, გვირგვინის საზღვრამდე, წვერით გვირგვინისკენ მიმართული ფოთლის (თამბაქო?) სქემატური გამოსახულებაა დატანილი. გვირგვინი სადა, ბიკონუსური ფორმის. ლილვაკი ღილის ფორმის, კორპუსისგან ოდნავ

გამოყოფილი. L—5,0სმ. D2— 0,5სმ.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Hayes, 1980:5, XVIII-XXI; Costea, 2013:260-262).

48. გ.ა.1-96:256. კეცი მოყავისფრო-მონაცრისფრო. შემორჩენილია ტარის ნაწილი. სქელკედლიანი. ტარი გვირგვინამდე წერტილებით შედგენილ ორ სარტყელს შორის მოქცეული გეომეტრიული ნახაზით არის გაფორმებული (ტაბ.7<sub>18</sub>). გვირგვინი სადა. ლილვაკი გვირგვინისგან მსუბუქი ღარიტაა გამოყოფილი. L—4,8სმ. D2— 0,5სმ.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Hayes, 1980:5, XVIII-XXI; Costea, 2013:260-262; Vincenz, 2011:49, fig.2-17).

49. გ.ა. 2-96:204. კეცი მოყავისფრო-მონაცრისფრო. შემორჩენილია მხოლოდ ტარის ნაწილი. ტარი გაფორმებულია ურთიერთგადამკვეთი ვიწრო ხაზების ორი რიგით, რომელიც პატარა წერტილებით შედგენილი სარტყლებითაა შემოსაზღვრული და სვეტებითაა გაყოფილი. გვირგვინი სადა, რგოლის ფორმის. ლილვაკი ოდნავაა გამოკვეთილი, გაფორმებულია წერტილოვანი ორნამენტის სარტყლით. L — 5,0სმ. D2— 0,4სმ.

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე.

50. გ.ა. 1-96:125. კეცი მოყავისფრო-მონაცრისფრო. შემორჩენილია ტარის ნაწილი. ტარი მოკლე, სადა. გვირგვინი რგოლის ფორმის, ორივე მხრიდან შემოსაზღვრული წერტილებით შედგენილი სარტყლით. უშულოდ გვირგვინი გაფორმებულია ჰორიზონტალური ღარებით. L—3,2სმ. D2— 0,4სმ.

სავარაუდო თარიღი: რუმინული მასალებით, მსგავსი გვირგვინიანი ტარები XVIII საუკუნით თარიღდება (Costea, Stanica, Ignat, 2007:350).

51. გ.ა.9153. კეცი ღია ყავისფერი. შემორჩენილია მხოლოდ ტარის ნაწილი. ტარი გაფორმებულია გადაშლილი ფოთლების ან ცხოველის (გველის?) დაშტრიხული ფიგურით, რომლის შიგნით სადაზედაპირიანი ლილვაკია მოქცეული. L—4,5 სმ. D2—0,6სმ.

სავარაუდო თარიღი: რუმინელი და ხორვატი მკვლევრები ასეთი გაფორმების ჩიბუხების თარიღს XVII საუკუნით განსაზღვრავენ (Costea, Stanica, Ignat, 2007: 350; Bekic, 2000:277,t.5/2 ). ი. გუსაჩი არ გამოორიც-

ხავს, რომ მსგავსი ტარიანი ჩიბუხები ევროპული ნაკეთობები იყოს და მათ თეთრკეციან ანალოგებს XVII-XVIII საუკუნეებით ათარილებს (Гысау, 2016:103, №71).

52. გ.ა.6-96:30. კეცი მონითალო-მოყავისფრო. „ტახტა-ჩიბუხის“ ტიპის. ზედაპირი დაფარულია წითელი ანგობით. ტანი ელიფსის ფორმის, სუსტად დაწახნაგებული. ყელი ცილინდრის ფორმის, მკვეთრად დაწახნაგებული. გაფორმება ანალოგიურია ადრე აღწერილი მსგავსი ტიპის ნიმუშების. პირისა და ტანის წახნაგების საზღვარი, ორი ვერტიკალური ზოლით, მკვეთრადაა გამოყოფილი. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის, დაწახნაგებული. ტარი ბოლოვდება ფართო გვირგვინით. ლილვაკი მკვეთრად გამოყოფილი, გაფორმებული ჭდეული ღარებით. კილი რელიეფურადაა გამოკვეთილი და შემოსაზღვრულია წერტილებით შედგენილი ღარით. ტარის ერთ-ერთ წახნაგზე ოვალური ფორმის შტამპია დატანილი, რომელიც გადაღეჭილია და ცუდად იკითხება. L—5,5სმ. H—2,3სმ. D1—2,3სმ. D2—1,7სმ. A<90°. სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები.

53. გ.ა.1-97:1322. კეცი მონითალო. სქელკედლიანი. ჯამი დიდი მოცულობის. ზედაპირი გაპრიალებული. მომტვრეული აქვს პირის, ტანის და ტარის (გვირგვინის) ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, გაფორმებული ჭდეული სამკუთხედებისგან შედგენილი როზეტების (ორივე მხარეს და ცენტრში) გამოსახულებებით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. ტარი ბოლოვდება გვირგვინით, რომელიც ტარისგან გამოყოფილია წერტილებით შედგენილი სარტყლით. ლილვაკი არ არის გამოკვეთილი. კილი მაღალი, რელიეფური, ორივე მხარეს შემოსაზღვრულია წერტილების მწკრივით. ამ ტიპის ჩიბუხებზე კილის წვერი ხშირად იკითხება ჯამის ტანის წინა მხარეზეც. L—5,2სმ. H—3,1სმ. D1—2,1სმ. D2—0,7სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII (Vinsenz, 2011:47, fig.215) - XIX საუკუნეები (Robinson, 1985:172).

54. გ.ა.6-96:34. კეცი მონითალო-მოყავისფრო. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ზედაპირი მონითალო ანგობითაა დაფარული. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, დაწახნაგებული. წახნაგები ერთმანეთისგან გამოყოფილია ორი მსუბუქი ვერტიკალური ზოლით.

თითოეული ნახნაგი მცირე ზომის რომბების მწკრივით არის გაფორმებული. ასეთივე ნახაზითაა გაფორმებული სივრცე ჯამსა და გვირგვინამდე. გვირგვინი რგოლის ფორმის, ფართო კანელურებით შემკული. კილი მაღალი, რელიეფური, შემოსაზღვრული ორ პარალელურ ღარში მოქცეული რომბების მწკრივით: L— 5,6სმ. H— 2,5 სმ. D1 — 1,9 სმ. D2— 1,4სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: ნიმუში მოგვიანო ნაკეთობაა და XIX საუკუნის II ნახევრით უნდა დათარიღდეს (Robinson, 1983:290, t. 56, nr. 52).

55. გ.ა.1-96:146. კეცი მოყავისფრო-მონითალო. მომტვრეული აქვს ჯამის, პირის და ტარის ნაწილები. ჯამი დიდი მოცულობის. ნახევრადსფერული ფორმის. ყელი ტანისგან გამოყოფილია წერტილოვანი ორნამენტით შედგენილი სარტყლით. ტანის ზედა ნაწილი, ყელის საზღვართან, გაფორმებულია ერთმანეთზე გადაბმული ოვალური ფიგურების მწკრივით (ტაბ. 6<sub>11</sub>). ფიგურების ქვემოთ, წრიულად, სამყურა ფოთლების გამოსახულებებია დატანილი. კილი მაღალი, რელიეფური, შემოსაზღვრული მსუბუქი წერტილების რიგით. L—3,2სმ. H— 2,6 სმ. D1—2,3 სმ. D2 — 0,6სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე (Robinson, 1985:175, pl. 48, c.16; Гыцац, 2016:208, №257). დ. გაჩიჩის ვარაუდით, სერბიაში აღმოჩენილი მსგავსი ფიგურებით (სამყურა ფოთლები) შემკული ნახევრადსფერული ჯამები XIX საუკუნის ნაკეთობებს უნდა მივაკუთვნოთ (Гачиш, 2011:54).

56. გ.ა.6.96:44. კეცი მონითალო-მოყავისფრო. შროშანის ყვავილის ტიპის. ზედაპირი მონითალო ანგობითაა დაფარული. ჯამი დიდი მოცულობის. მომტვრეული აქვს ტანის ნაწილი. ტანი გაფორმებულია მოხრილტოტიანი ყვავილის გამოსახულებით (ტაბ. 6<sub>16</sub>). საშუალო სიგრძის და კონუსის ფორმის ტარი ბოლოვდება ფართო გვირგვინით, რომელიც გაფორმებულია წერტილებით შედგენილი ორი წრიული ღარით. ლილვაკი კონუსის ფორმის. კილი არ არის გამოკვეთილი. ტარზე ოვალურ ჩარჩოში მოქცეული დამლაა დატანილი, რომელიც არ იკითხება. ტარის ფართო ღრუ მიუნიშნებს, რომ ჯამი გრძელი და მსხვილი საქაჩი მილისთვის იყო განკუთვნილი. L— 5,8სმ. H—3,3 სმ. D1—?. D2— 1,5სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები. რებეკა რობინსონი მიიჩნ-

ნევს, რომ შროშანის ყვავილის ფორმის ჩიბუხები უფრო მოგვიანო ტიპს მიეკუთვნებიან და მათი ასაკი XIX საუკუნის შუა პერიოდით უნდა განისაზღვროს (Robinson, 1985:163). XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდებიან ისინი ტულჩეას (რუმინეთი) მასალებიდან (Costea, 2013 :271). ყვავილის გამოსახულებით შემკული ჩიბუხები რუმინეთის და ბულგარეთის სხვა ძეგლების მასალებით უფრო ადრე პერიოდით — XVIII საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული (Costea, Stănică, Ignat, 2007:344, Pl. 4/ 9; Станчева, 1972: 94, обр. 24).

57. გ.ა.9624. კეცი მონთალო-მოყავისფრო. შროშანის ყვავილის ფორმის. ზედაპირი დაფარულია ანგობის თხელი ფენით. მომტვრეული აქვს ტანის და პირ-ყელის ნაწილი. ტანი მკვეთრადაა დანახნაგებული. თითოეულ ნახნაგზე ჩარჩოში მოქცეული რომბის მსგავსი ოთხი პატარა ფიგურაა გამოკვეთილი, რომელიც გადაკვეთი ხაზებით არის გაფორმებული. ტარზე ოვალურ ჩარჩოში მოქცეული დამლაა დატანის ნაწილი. ტარის ღრუ ფართოა, რაც მიანიშნებს, რომ აღნიშნული ჯამი გრძელი საქაჩი მილისთვის იყო დამზადებული. ტარი გვირგვინისგან გამოყოფილია წერტილოვანი ორნამენტით შედგენილი ლარების ორი რიგით. გვირგვინი სქელი, ლილვაკის გარეშე. გვირგვინის წიბო ვარდულის ფორმის. კილი დაბალი, ოდნავ გამოკვეთილი, გაგრძელებული ყელ-პირის საზღვრამდე. L—56სმ. H— 3,3 სმ. D1 —2,1 სმ. D2 —1,5სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XIX საუკუნე. ბრანკა მილოშევიჩი და ნიკოლინა ტოპიჩი ასეთი ლილვაკის მქონე ჩიბუხის ტარებს XIX საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ (Milosević, Topić, 2011:320, sl.65-67). იგივე აზრისაა ი. გუსაჩი (Гусац, 2016:310, №430). ბულგარული, ბერძნული, თურქული და უკრაინული მასალებით, მსგავსად გაფორმებული ტანის ჩიბუხები XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული (Ilčeva 1975, T. II /13,14; Robinson 1985, PL. 59/ C123; Findik, 2016:378; Voinea, Szmoniewski, Mototolea, 2016:282, f.b.pl.1-3).

58. გ.ა. 41-96. სავარაუდოდ, შროშანის ყვავილის ფორმის. შემორჩენილი აქვს მხოლოდ გვირგვინი და ტარის ნაწილი. გვირგვინი გაფორმებულია წრიულ ლარში მოქცეული წერტილოვანი ორნამენტით. ტარის მარჯვენა გვერდზე დამლაა დატანილი (ტაბ. 6<sub>5</sub>) L —4,3სმ. H—1,6 სმ. D1 —? D2 —1,5სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XIX საუკუნის ბოლო — XX საუკუნის დასაწყისი. ბულგარელი, თურქი და რუმინელი მკვლევრები დამლაზე გამოკვეთილ ფიგურას ჩიტის გამოსახულებად მიიჩნევენ (Станчева, 1972:89, обр.13; Ayhan, 2015:10, t.3; Costea, Stănică, Ignat, 2007:361, pl.XIII; Radu, Radu-Iorgus, Ionescu, 2013: 252, fig.46).

59. გ.ა. 91. კატალოგის ნომერი კარგად არ იკითხება. შროშანის ყვავილის ტიპის. კეცი მონითალო. ზედაპირზე შემორჩენილია შინდისფერი ანგობის კვალი. მომტვრეული აქვს ტანის, ყელ-პირის და ლილვაკის ნაწილი. ტარის მარცხენა გვერდზე მრგვალ ჩარჩოში ჩასმული დამლა აქვს დატანილი (ტაბ. 6<sub>4</sub>). ტარი და გვირგვინი არ არის მკვეთრად გამოყოფილი. ეს სივრცე გაფორმებულია მომრგვალებულთავიანი ფართო ჰორიზონტალური კანელურებით. ლილვაკიოდნავ გამოყოფილი. ტარის ფართო ღრუ მიუნიშნებს, რომ ეს ნიშეში დიდი ზომის საქაჩი მილისთვის იყო დამზადებული. L— 5,9სმ. H—1,7 სმ. D1 —? D2 — 1,3 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XIX საუკუნის ბოლო (Hayes, 1980:7, VIII, Costea, 2013: 27; Станчева, 1972:96; Milošević, Topić, 2011:320-323) ან XX საუკუნის დასაწყისი (Robinson, 1985:199, pl. 59, c123; pl. 63, A26,30).

60. გ.ა. 91 17. შროშანის ყვავილის ტიპის. მომტვრეული აქვს ტანის და პირ-ყელის ნაწილი. ტარის ერთ მხარეს ოვალურ ჩარჩოში მოქცეული დამლაა დატანილი. გვირგვინი გაფორმებულია პატარა ღარებისგან შედგენილი სარტყლის ორი რიგით. ლილვაკი არ არის გამოყოფილი. L— 5,6სმ. H — 2,0სმ. D1 — 2,1 სმ. D2 — 1,5სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XIX საუკუნე - XX საუკუნის დასაწყისი (Costea, Stănică, Ignat, 2007:333-334, Pl.4/ 8, 9; Станчева, 1972:94, обр.24; Robinson, 1985:163).

61. გ.ა. 3-98:506. კეცი აგურისფერი. ჯამი დიდი მოცულობის. მომტვრეული აქვს ტანისა და ყელ-პირის ნაწილი. ზედაპირი ანგობითაა დაფარული. ტანი წაგრძელებული სფეროს ფორმის, გაფორმებული ქრიზანთემას ყვავილის მსგავსი ვერტიკალური კანელურებით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის, ტანისგან გამოყოფილი პატარა სამკუთხედებით შედგენილი წრიული სარტყლით. გვირგვინი შემკულია ტანისკენ წვერით მიმართული თამბაქოს ფოთლების (11 ფოთოლი)

მსგავსი გამოსახულებით (ტაბ.6გ). ლილვაკი ვიწრო, ვარდულის ფორმის, არ არის მკვეთრად გამოყოფილი. კილი მაღალი, რელიეფური, შემოსაზღვრული ჭდეული წერტილების რიგით. L—6სმ. H—3,2 სმ. D1— 2,6 სმ. D2 — 0,9სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: მსგავსი ფორმის და შემკულობის ჩიბუხები ისრაელის მასალებით თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით (Vincenz, 2015:44-45), რუმინელი მკვლევრები მათ XVIII საუკუნის ნაკეთობებად მიიჩნევენ (Kopieczny, Dincă, 2012:176), რ. რობინსონი კი XIX საუკუნით ათარიღებს (Robinson, 1985:197, pl. 48-A20). თამბაქოს ფოთლის გამოსახულებიან ჩიბუხებს მდინარე დრავას (უნგრეთი) რეგიონიდან, უნგრელი მკვლევრები ადრეული პერიოდით (XVII საუკუნე) ათარიღებენ (Kovács, Rózsás. 2014: 2451). ზოგადად, მსგავსი გამოსახულებით არის შემკული გონიო-აფსაროსის გრძელტარიანი ჩიბუხები, რომლებიც ასევე ადრეულ ნაკეთობებს წარმოადგენს (ტაბ.6<sub>10</sub>).

62. გ.ა.1-96:313. კეცი აგურისფერი. ჯამი მცირე მოცულობის. ზედაპირი გაპრიალებული. მომტვრეული აქვს ტანის და ყელ-პირის ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, გაფორმებული ვერტიკალურ ხაზებს შორის მოქცეული ბადისებრი ორნამენტით. ტანი ყელისგან და ტარისგან გამოყოფილია ჭდეული წერტილების სარტყლით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის, ბოლოვდება ბიკონუსური ფორმის გვირგვინით, რომელიც ლილვაკის მხარეს გაფორმებულია ტანზე დატანილი ორნამენტის მსგავსი ნახაზით. ლილვაკი მკვეთრად გამოყოფილი. კილი არ არის რელიეფურად გამოკვეთილი. L — 4,1სმ. H— 4,3 სმ. D1 — 1,5 სმ. D2— 0,8 მ.  $A = 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე. აზაკის ციხის მასალებით, ირ. გუსაჩი მსგავსი ფორმისა და შემკულობის ყავისფერკეციან ჩიბუხებს XVII-XVIII საუკუნით ათარიღებს (Гусац, 2016:151, №168).

63. გ.ა.2002.439. კეცი ღია აგურისფერი. პატარა მოცულობის. ტანი ნახევრადსფერული ფორმის. მომტვრეული აქვს ყელ-პირის ნაწილი. ყელი სადა, პირისკენ ოდნავ შევიწროვებული, ტანისგან გამოყოფილი წრიული ღარით და წერტილებით შედგენილი სარტყლით. ტანი გაფორმებულია ჭდეული ბადისებრი ორნამენტით. ტარი გვირგვინისგან გამოყოფილია ქედისებრი რგოლით, რომელიც ორივე მხრიდან შემოსაზღვრულია წერტილებით შედგენილი სარტყლით. გვირგვინი

ბიკონუსური ფორმის, გაფორმებულია მსუბუქი წრიული ღარით და დახრილი ხაზებისგან შედგენილი სარტყლით. ლილვაკი ოდნავ გამოკვეთილი, კონუსის ფორმის. კილი არ არის რელიეფურად გამოყოფილი, ის მხოლოდ შემოსაზღვრულია მსუბუქი ღარების ორი რიგით. L— 4,6სმ. H— 2,7სმ. D1— 1,5 სმ. D2 — 0,5 სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები. სმირნის და აზაკის ციხის მასალებით, მსგავსი ფორმისა და შემკულობის ჩიბუხები XVII-XVIII საუკუნეებით არის დათარიღებული (Ayhan, 2009:14; res.11; Гысау, 2016:151, №168).

64. გ.ა. 1-97:1055. კეცი აგურისფერი. ტანი ნახევარსფერული, ყელი კი ცილინდრული ფორმის, ოდნავ პირგადაშლილი. მომტვრეული აქვს პირის ნაწილი. ჯამის ტანი გაფორმებულია დახრილი ჭდეული ღარებით შედგენილი ვერტიკალური კანელურებით. ყელი ტანისაგან გამოყოფილია წრიული წერტილოვანი ორნამენტით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. გვირგვინი ბიკონუსური ფორმის. ლილვაკი მოკლე, ნაკვეთილი კონუსის ფორმის. კილი სამკუთხა, არ არის რელიეფურად გამოკვეთილი, ის მხოლოდ შემოსაზღვრულია მსუბუქი ღარებით. L— 4,3სმ. H — 2,7სმ. D1— 2 სმ. D2 — 0,5სმ. A=90°.

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Robinson, 1985;196. Pl.61, A14). რუსი მკვლევრები მსგავსი ფორმის და შემკულობის ნაცრისფერკეციან ჯამებს XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ (Гысау, 2016:237, №288).

65. გ.ა.1-98:1311. კეცი აგურისფერი. ჯამის ზედაპირზე შემორჩენილია ანგობის კვალი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის. ყელი მაღალი, ცილინდრული ფორმის, მსუბუქად დანახნაგებული. ყელი ტანისგან გამოყოფილია ჰორიზონტალური წრიული ღარითა და წერტილებით შედგენილი სარტყლით. პირ-ყელი გაფორმებულია ფართო, ხოლო ტანი და ძირი — ვიწრო ვერტიკალური კანელურებით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის. კილი სოლისებური, რელიეფურად გამოყოფილი, შემოსაზღვრული მსუბუქი ღარებით. L—3,1სმ. H—3,8 სმ. D1 — 1,7 სმ. D2— 0,4სმ. A<90°.

სავარაუდო თარიღი: XIX საუკუნე. ქ. სმირნის (თურქეთი) მასალების მიხედვით, გ. აიჰანი ნახევრადსფერული ტანის და დანახნაგებული ყელის ჯამებს XIX საუკუნით ათარიღებენ (Ayhan, 2009:12, Res.10).

66. გ.ა.1-97:1188. კეცი აგურისფერი. ჯამი დიდი მოცულობის. ტანი სფერული, ყელი კი ცილინდრული ფორმის. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ტანი გაფორმებულია ზემოთ თალისებურად მომრგვალებული, ხოლო ძირისკენ ნაწვეტებული ფართო კანელურებით. ყოველი თალის ქვეშ ტოტის გამოსახულებაა გამოკვეთილი. ყელი გაფორმებულია ბადისებრი ორნამენტით (ტაბ.7<sub>22</sub>). კილი რელიეფურად არის გამოკვეთილი, შემოსაზღვრულია ფართო ჰორიზონტალური ღარებით. L—3,2 სმ. H—3,6 სმ. D1—2,0 სმ. D2—1,7 სმ. A<90°.  
სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Robinson, 1985, Pl. 49/C 21, Pl. 54/ C70, Pl. 55/C81; 1985, Pl. 63; Simpson, 2008, fig.270/63).

67. გ.ა.1-96:6. კეცი აგურისფერი. მომტვრეული აქვს ტანის, პირის და ტარის ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, გაფორმებული ნიწვოვანი ტოტების სქემატური გამოსახულებით. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, ბოლოვდება გვირგვინით, რომელიც შემოსაზღვრულია სარტყლების ორი რიგით და გაფორმებულია დახრილი პარალელური ღარებით. ლილვაკი ნაკვეთილი კონუსის ფორმის. კილი რელიეფურად არ არის გამოკვეთილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია მსუბუქი ღარებით. ძირი, კილის შუა ნაწილში, როზეტით არის შემკული. L—4,3 სმ. H—1,9 სმ. D1—1,6 სმ. D2—0,6 სმ. A=90°.  
სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები (Kovács, 2004:131).

68. გ.ა.1-97:1116. კეცი აგურისფერი. ჯამი აგურისფერი ანგობით დაფარული. ჯამი დიდი მოცულობის. მომტვრეული აქვს პირის ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, გაფორმებული სქელი ვერტიკალური კანელურებით. პირი ტანისგან გამოყოფილია წერტილებით შედგენილი სარტყლით. გვირგვინი რგოლის ფორმის, ორივე მხრიდან შემოსაზღვრული წერტილებით შედგენილი სარტყლით და გაფორმებული წერტილოვანი შტამპით შესრულებული დიაგონალური ღარებით. ლილვაკი რგოლის ფორმის. კილი არ არის რელიეფურად გამოკვეთილი — ის მხოლოდ შემოსაზღვრულია მსუბუქი წერტილების ერთი რიგით. L—5,6 სმ. H—2,7 სმ. D1—1,9 სმ. D2—0,8 სმ. A<90°.  
სავარაუდო თარიღი: XVIII საუკუნე. ლუკა ბეკიჩი თვლის, რომ მსგავსი გაფორმების გვირგვინიანი ჩიბუხები უფრო ადრეული პერიოდით — XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს (Bekić, 2010:3, fig.23).

69. გ.ა. 11-06:7. კეცი აგურისფერი. მომტვრეული აქვს პირის ნაწილი. ტანი კონუსის, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ტანი შემკულია დახრილი სქელი კანელურებით, პირი კი წრიული ღარებით. ტარი გაფორმებულია წრიულ ღარებში მოქცეული ფართო და მსუბუქი ჰორიზონტალური ღარებით. გვირგვინი კონუსის ფორმის, გაფორმებული ორი წრიული ღარით. კილი არ არის გამოკვეთილი. ჯამის ძირზე როზეტის ფორმის შტამპია დატანილი. L— 5,2სმ. H—2,9სმ. D1— 1,3სმ.

სავარაუდო თარიღი: XVII-XVIII საუკუნეები. მსგავსი ფორმისა (კონუსისებრი ტანი) და შემკულობის (ვერტიკალური კანელურები, ძირის გაფორმება როზეტის ფიგურით) ჩიბუხები სზაზადბოლის (უნგრეთი) მასალებით თარიღდება XVII საუკუნით (Kovács, 2004:131, 3 kép.16).

70. გ.ა.1-97:1110. კეცი აგურისფერი. ტანი (ბაზა) დისკოს ფორმის. ყელი მაღალი, ცილინდრის ფორმის. სადაზედაპირიანი. ბაზის და ტანის გასაყარი გაფორმებულია ვერტიკალური ღარების სარტყლით. ტარი მოკლე, კონუსის ფორმის, დაწახნაგებული. ტარი ბოლოვდება შესქელებული გვირგვინით, რომელიც ლილვაკისებრი რგოლებითაა გაფორმებული. კილი რელიეფურადაა გამოკვეთილი და შემოსაზღვრული მსუბუქი ღარების ორი რიგით L— 3,8 სმ. H— 1,8 სმ. D1— 1,4 სმ. D2— 0,3სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: ბულგარეთის მასალებით მსგავსი ტიპის ჩიბუხის ჯამები თარიღდება XIX საუკუნით (Stancëva 1972, 91-92, Fig. 16-17; Stancëva, 1976, sl. 9; Ilčeva 1975, Pl. 1, 7-9; Хараламбиева, 1986:146, таб. 5-37). ჯ. ჰეისი ამ ტიპის ჩიბუხებს XIX საუკუნით ათარიღებს (Hayes, 1980:7; Gusar, 2008:144). რ. რობინსონიც მათ XIX საუკუნის ნაკეთობებად მიიჩნევს (Robinson, 1985:74);

71. გ.ა.1-97:1211. კეცი აგურისფერი. ჯამი პატარა მოცულობის. მომტვრეული აქვს პირის და ტარის ნაწილი. ტანი ელიფსის ფორმის, კილის საზღვრებამდე გაფორმებული ფართო ვერტიკალური კანელურებით. ტანზე დატანილი კანელურების თავი შემკულია ორი ფოთლის სქემატური გამოსახულებით (ტაბ.ბ<sub>14</sub>). კილი მაღალი, რელიეფურად გამოყოფილი, შემოსაზღვრული მსუბუქი ღარებით. L — 2,6 სმ. H— 1,5 სმ. D1 — 1,8სმ. D2 — 0,3სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები (Robinson, 1953, pl.53; Cosca, Stănică, Ignat, 2007:353, Pl.V-1).

72. გ.ა. 296:478. კეცი აგურისფერი. უხარისხოდ გამოძერწილი და გამომწვარი. მომტვრეული აქვს პირის და გვირგვინის ნაწილი. ტანი ბიკონუსური, ყელი კი ცილინდრის ფორმის. ყელი გაფორმებულია პარალელურ და ჰორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეული დიდი და პატარა წერტილებით შედგენილი ღარებით. ტარი წაგრძელებული, ბოლოვდება ჭდეული სამკუთხედებით გაფორმებული გვირგვინით. ტარი, გვირგვინის საზღვართან, გაფორმებულია თამბაქოს ფოთლების მსგავსი სქემატური გამოსახულებით. ლილვაკი კონუსის ფორმის. ამ ტიპის ჩიბუხების ძირზე კილი არ იკითხება. L— 6,7სმ. H — 3,5სმ. D1— 1,1 სმ. D2— 0,6 სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: ბალკანეთის მასალების მიხედვით, მსგავსი ფორმის ჩიბუხები XVIII საუკუნით თარიღდება (Costea, Stănică, Ignat. 2007: 346; Evely, 1988: 140, fig.4). ამ ტიპის ჩიბუხები მოგვიანო პერიოდშიც არის გავრცელებული. ჯაფას (ისრაელი) მკვლევრები მათ XIX საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ (Vincenz, 180, Fig. 8.6:118; 182, Fig. 8.6:124).

73. გ.ა. 9134. კეცი აგურისფერი. ტანი სფეროს ფორმის. მომტვრეული აქვს ტანის, პირის და ტარის ნაწილი. ტანი სადა, ორნამენტი დატანილია მხოლოდ წინა ფასადზე: პატარა შტრიხებით შედგენილი წრეები გარშემორტყმულია რომბის ფორმის ფიგურებით (ტაბ. 7<sub>32</sub>). ამ ტიპის ჩიბუხების ძირზე კილი არ იკითხება. L — 3,2სმ. H — 2,1 სმ. D1 — 1,6სმ. D2—0,5სმ.  $A < 90^\circ$ .

სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნეები. ამ პერიოდით თარიღდებიან ისინი ხორვატიის (Bekic, 2000:277, t.5/12) და უნგრეთის (Kovács, Rózsás. 2014:2496) მასალებიდან.

74. კეცი აგურისფერი. საშუალო მოცულობის. ზედაპირზე იასამნისფერი ანგობის თხელი ფენის კვალია შემორჩენილი. ტანი ბიკონუსური ფორმის. ყელი ტანისგან გამოყოფილია რელიეფური წერტილების სარტყლით. ტანი, ქვედა და ზედა ნაწილში, გაფორმებულია მრგვალ ჩარჩოში მოქცეული ღილის ფორმის რელიეფური ფიგურების სარტყლით. კილი, ბრტყელი, წაგრძელებული მართკუთხდის ფორმის, რელიეფურად გამოყოფილი. კილის ზედაპირი ჯამის ტანზე დატანილი ორნამენტის მსგავსი ნახაზითაა გაფორმებული (ტაბ. 7<sub>30</sub>). კილზე მრგვალ ჩარჩოში მოქცეული დამლა დატანილი. L—3,0სმ. H— 2,3სმ.

D1—1,6 სმ. D2— 0,6სმ. A<90°

სავარაუდო თარიღი: რუსი მკვლევრები აზოვის ციხის მასალებიდან მსგავსი ფორმისა და შემკულობის ბრტყელკილიან ჩიბუხებს ადრეულ ნაკეთობად მიიჩნევენ და XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებენ (Гуцау, 2016:120, №112;1162№184). ჯაფას (ისრაელი), დუბროვნიკის (ხორვატია), ათენის აგორის (საბერძნეთი), ბურსას (თურქეთი) მასლების მიხედვით, ბრტყელი და მართკუთხა ფორმის მსგავსი ნახაზით გაფორმებული კილის, ან წრიული გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჯამები (Гачић, 2011:89. cat.51) უფრო მოგვიანო პერიოდით — XVIII-XIX საუკუნეებით არის დათარიღებული (Vincenz, 152:Fig. 8. 6:68 and Ill. 8. 6:13; Kopeczni, Dinca, 2012:186, f.61; Milosevic, Topic, 2011:322; Robinson, 1985:188, c.101; Inanan, Şahin, 2017:52).

75. გ.ა.11-06:19. კეცი აგურისფერი. ჯამის ზედაპირზე იასამნისფერი ანგობის კვალია შემორჩენილი. მომტვრეული აქვს პირის და გვირგვინის ნაწილი. ტანი ნახევრადსფერული ფორმის, გაფორმებული სქელზოლიან გირლანდებში მოქცეული სამფოთლიანი ყვავილების სქემატური გამოსახულებით (ტაბ.7<sub>23</sub>). ჯამის ყელი ტანისგან გამოყოფილია მოკლე ვერტიკალური ღარებისგან შედგენილი სარტყლით. გირლანდებს შორის სივრცე დაშტრიხული სამკუთხედებით არის გაფორმებული. ტარი მოკლე, ცილინდრის ფორმის, სადაზედაპირიანი, ბოლოვდება კონუსის ფორმის ფართო გვირგვინით. გვირგვინის ჯამისკენ მიმართული მხარე სადაა, ხოლო ლილვაკის მხარეს სივრცე ტანზე დატანილი დეკორის ანალოგიური ნახაზითაა შემკული. ლილვაკი რგოლის ფორმის, მკვეთრად გამოყოფილი. კილი რელიეფურად არის გამოკვეთილი, შემოსაზღვრული მსუბუქი ნერტილოვანი ღარების რიგით. L— 4,8 სმ. H — 2,3სმ. D1—1,6სმ. D2 — 0,6სმ. A<90°  
სავარაუდო თარიღი: XVIII-XIX საუკუნე. ა. ვინსენსი მსგავსი ფორმის და შემკულობის ჩიბუხებს ჯაფის (ისრაელის) მასალებიდან XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასაწყისით ათარიღებს (Vincenz, 137), ი. გუსაჩი კი აზოვის მასალებით მათ XVII-XVIII საუკუნეების ნაკეთობებებად მიიჩნევს (Гуцау, 2016:134, №136). გირლანდებით გაფორმებული შავკეციანი ნახევრადსფერული ჯამები ბარსელონას მასალებით ასევე XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული ( Heredia, Miro, Soberon, 2012: 122,fig.9).

სურათი 1



თამბაქოს კულტივაციის სათავეებთან

ჰოლანდია



საფრანგეთი



ინგლისი



## სურათი 3



თურქეთი



ტუნისი



ეგვიპტე

ჩინეთი




კორეა



იაპონია






1



2




3




4

## სურათი 6



1



2



3



4

## სურათი 7



1



2



3



4



5



6



7



8



9

## სურათების და ილუსტრაციების აღწერილობა:

გვ. 16, მაიას ტომის ტაძრის კედლის რელიეფი (პალენკა, ჯვრის ტაძარი, ახ.წ. VII ს.). წყარო: Smoke: a global history of smoking (2004) edited by Sander L. Gilman and Zhou Xu, p. 10.

გვ. 16<sub>2</sub> ფარაონ ხორემების (ან ხორემჰების) (ჩვ.წ.მდე 1323-1295 წწ.) ბარელიეფი. მე-18 დინასტია. წყარო: Sh. Booth. Horemheb: the forgotten pharaon. Electronic edition, 2012.

გვ. 20. ჯონ სინგერ სარჯენტი. „ქარვის კვამლი“. 1880. წყარო: <http://www.orientalistart.net/Page3.html>.

გვ. 26. აცტეკების ღმერთი „Xochipilli“. წყარო: Aztec Deities. Xochipilli God of art, games, beauty, dance, flowers and song. <http://www.latinamericanstudies.org/xochipilli.htm>

გვ. 38. მინამბერების გამოსახულება მე-12 დინასტიის სამარხიდან. წყარო: Ancient Egyptian materials and technology. Edited by P.T. Nicholson, I. Shaw. Cambridge university press, 2000. p.195.

გვ. 39. რიდოლფო ჩირლანდაიო. ქრისტოფორე კოლუმბის პორტრეტი. წყარო: [www.allposters.com](http://www.allposters.com)

გვ. 41. ინდიელი. წყარო: Neimann, R. Tobacco and Americans. 1960, p.8.

გვ. 43. ჯონ ბუქსტონი. „კვამლის შექმნა“. წყარო: <http://www.liveinternet.ru/users/3162595/post290607806/>

გვ. 44. ჟაკ ლე მუან დე მორგი (1564-1565 წწ.). თამბაქოს ჩიბუხით მწველი ინდიელის პირველი გრაფიკული სურათი. წყარო: Tobacco Use by Native North Americans: Sacred Smoke and Silent Killer. Ed.: by Joseph C. Winter. University of Oklahoma Press. 2000. p.73.

